აზერბაიჯანის ისტორია





10

სახელმძღვანელო

















Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

თეგექულ ალიევი, ფერვიზ აღალაროვი, ნიამედინ კულიევი,
ელშენ კასიმოვი, ფაიგ ბაბაევი, ელნურ ჰუსეინოვი,
ქამრან ასადოვი, რაფიგ მემმედოვი

აზერბაიჯანის ისტორია

10

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-10 კლასისათვის აზერბაიჯანის ისტორიის სავნის
სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი
გამოხმაურება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

სარჩევი

აზერბაიჯანი შუმერის ხანაში

შესავალი 7
1. პირველყოფილი თემური წყობილება 9
2. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პირველი ტომთა კავშირები და სახელმწიფო წყობები 14
3. პირველი აზერბაიჯანული სახელმწიფო მანა 18
4. აზერბაიჯანი ჩვ. წ აღ-მდე VII-IV საუკუნეებში 23
5. ატროპატენის სახელმწიფო 27
6. ალბანეთის სახელმწიფო 32
7. კულტურა 36

აზერბაიჯანი III-XI საუკუნეებში

8. აზერბაიჯანი სასანელთა დროს 41
9. გირდიმანის სახელმწიფო. ჯავანშირი 45
10. აზერბაიჯანის შესვლა არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში 48
11. ხალიფატის პოლიტიკა აზერბაიჯანში 51
12. გამანთავისუფლებელი მოძრაობა. ბაბექი 54
13. შირვანშაჰების სახელმწიფო. დერბენდის საემირო 57
14. საჯის, სალარის და რევადის სახელმწიფოები 60
15. შედადიების სახელმწიფო. თიფლისის მუსლიმანთა საემირო 64
16. სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება ადრეულ შუა საუკუნეებში 68
17. კულტურა 72

აზერბაიჯანი XI-XV საუკუნეებში III

18. აზერბაიჯანი და სელჩუკები 77
19. აზერბაიჯანის ათაბეგების (ელდენიზების) სახელმწიფო 81
20. შირვანშაჰები XI-XIV საუკუნეებში 85
21. აღორძინების კულტურა 89
22. აზერბაიჯანი მონღოლთა შემოსევების პერიოდში 93
23. აზერბაიჯანი ჰულაქების სახელმწიფოს შემადგენლობაში 97
24. აზერბაიჯანი ჯალაირებისა და თემურელების მმართველობის პერიოდში 101
25. შავბატკნიანთა სახელმწიფო. 105
26. თეთრბატკნიანთა სახელმწიფო 109
27. შირვანშაჰების სახელმწიფო XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისში.. 115
28. შექის მმართველობა. სეფიანელთა ერდებილის მმართველობა 118
29. კულტურა XIII-XV საუკუნეებში 122

აზერბაიჯანი XVI -XVIII საუკუნეებში IV

30. სეფიანთა სახელმწიფოს შექმნა და გაძლიერება 127
31. სეფიანთა სახელმწიფო XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში 134
32. სეფიანთა სახელმწიფო შაჰ-აბას I-ის ხელისუფლების წლებში 137
33. სეფიანთა სახელმწიფო XVII საუკუნის II ნახევარში და XVIII საუკუნის დასაწყისში.. 142
34. აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიური განვითარების თავისებურებები..... 147
35. კულტურა სეფიანთა დროს 153
36. ბრძოლა აზერბაიჯანის მიწების განთავისუფლებისათვის. ნადირ შაჰი.....157
37. კუბის სახანოს გაერთიანების პოლიტიკა 163
38. შექის სახანო. ჭარ-ბელექანის თემი 167
39. ყარაბაღის სახანო 171

40. ნახჩევანისა და ირევანის სახანოები 175
41. სამხრეთის სახანოები 178
42. აღამაჰმად შაჰ ყაჯარის ცენტრალიზაციის პოლიტიკა 182
43. სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება სახანოების პერიოდში 186
44. კულტურა სახანოების პერიოდში 190

დანართები

დამატებითი წყაროები 193
ტერმინოლოგიური ლექსიკონი 196
გამოყენებული ლიტერატურა 199

პირობითი ნიშნები:

შესავალი

საკვანძო სიტყვები

თემაში გამოკვლევის მიზნით დასმული კითხვები

თემაში გამოკვლევის მიზნით მოცემული დავალებები

წყარო

თემის ბოლოს მოცემული კითხვები და დავალებები


შესავალი

ძვირფასო მოსწავლეებო! თქვენთვის წარმოდგენილი სახელმძღვანელო ქრონოლოგიური თვალსაზრისით აზერბაიჯანის ისტორიის ძალიან დიდ ეტაპს - უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე არსებულ პერიოდს მოიცავს. მასში ძირითადი ისტორიული ინფორმაციები ოთხ განყოფილებადაა გაყოფილი და 44 პარაგრაფშია მოცემული. როგორც განყოფილების ისე პარაგრაფების დასაწყისში ზოგადი მიმართულების შესავალია მოცემული. სახელმძღვანელოს ავტორები შეეცადნენ, რომ მოცულობის თვალსაზრისით პარაგრაფებს შორის წონასწორობა დაცული ყოფილიყო. ასე რომ სხვადასხვა ქვესათაურებით გამოყოფილი პარაგრაფებიდან თითოეული, ძირითადად 4-5 გვერდისაგან შედგება. თქვენს წინამდებარე ამ სახელმძღვანელოში, თქვენ გაეცნობით ჩვენი ქვეყნის ისტორიის განვითარების გზებს, კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებას, ჩვენი მიწების დაპყრობის მცდელ სახელმწიფოებისა და ხალხების ვერაგულ პოლიტიკას, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისათვის საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ხალხის წარმოებული ბრძოლისადმი მიძღვნილ მასალებს.

სახელმძღვანელოში მოცემულ პარაგრაფებში ან ბოლოს წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული წყაროები. ეს წყაროები შედგება წარსულში მცხოვრები მბრძანებლების ქვისა და თიხის დაფებზე ამოკვეთილი გამოსახულებებისა და ლურსმნული დამწერლობის საბუთებისაგან, ანტიკური ავტორების, შუა საუკუნეების მოგზაურთა და ისტორიკოსთა საგზაო ჩანაწერებისა და ნაწარმოებებისაგან, კანონების კრებულთა ნაწყვეტებისაგან. აზერბაიჯანის ისტორიაში მომხდარი მოვლენების აღდგენაში ამ წყაროებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რუკები და სქემები, ყოველდღიური ცხოვრების, საბრძოლო სცენებისა და პიროვნებების ამსახველი მინიატურები. არქეოლოგიური აღმოჩენებისა და არქიტექტურული ძეგლების ფოტოსურათები. ისტორიის სახელმძღვანელოს წარმოდგენა შეუცვლელი წყაროს - რუკების გარეშე შეუძლებელია. ისტორიული რუკები ასახავს ადამიანების პოლიტიკურ და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში არსებულ ცვლილებებს, იძლევა მოვლენების მოხდენის დროსა და ადგილს შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრის შესაძლებლობას. თქვენ წყაროებზე მუშაობით შეგიძლიათ გაიფართოოთ წარმოდგენები წარსულის შესახებ და თანაც როგორც ისტორიკოს-მკვლევარმა წარმოაჩინოთ თქვენი უნარები.

სახელმძღვანელოში მოცემული ქრონოლოგიური ცხრილები და დიაგრამები დაგეხმარებიან ისტორიული მოვლენების კიდევ უფრო უკეთესად ათვისებაში. ტექსტში შემხვედრი ახალი სიტყვები და ცნებები სპეციალური შრიფტითა და კურსივითაა მოცემული. მათ განმარტებას კი როგორც პარაგრაფებში, ისე სახელმძღვანელოს ბოლოში მოცემული ლექსიკონის საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ. პარაგრაფებში თქვენ გეძლევათ სირთულის დონის მიხედვით სხვადასხვა კითხვები და დავალებები. ისინი თქვენ დაგეხმარებიან თემის შესწავლაში, დამატებითი ინფორმაციების მოპოვებისათვის მოგცემენ მიმართულებას სხვა საინფორმაციო საშუალებებისაკენ.

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებელი ჩვენი ქვეყნის - აზერბაიჯანის ისტორიის გაცნობისა და მისი შესწავლის გზებზე გისურვებთ წარმატებებს!



I. აზერბაიჯანი უძველეს ხანაში

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი პირველყოფილი ადამიანების სადგომებში ჩატარებული გამოკვლევები მოწმობენ, რომ აზერბაიჯანი მსოფლიოს უძველესი ადამიანების კერათავგანია. ჩვ. წ. აღ–მდე IV-III ათასწლეულებში წინა ცივილიზაციების ჩამოყალიბების აღმოჩენილ ერთ–ერთ ადგილას შუამდინარეთში მიმდინარე პროცესებმა ურმიის მიმდებარე ტერიტორიებზე მხოვრებ ტომებს სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე პირველადი გამოცდილების მოპოვების შესაძლებლობა მისცა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფო წარმონაქმნების გაჩენაც ამ მხარის კულტურულ ცენტრებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებასთან იყო დაკავშირებული.

ერთის მხრივ, სოციალურ–ეკონომიკური განვითარება, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაფართოება, მეორე მხრივ, ასურიასა და ურარტუსავით ძლიერი აღმოსავლური სახელმწიფოების დამპყრობლური პოლიტიკა აზერბაიჯანის სამხრეთში – ურმიის ტბის მიდამოებში მცხოვრები ტომების გაერთიანებით მანას ძლიერი სახელმწიფოს შექმნის მიზეზი გახდა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე პირველი მონათმფლობელური სახელმწიფო – მანა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებს აწარმოებდა და მიაღწია ამას. ის, ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიის სავარკველზე იდგა და შემდგომ ეტაპებზე ისტორიის სცენაზე გამოსული ჩვენი სხვა სახელმწიფოებისათვის ნიმუშად იქცა. მიდიასა და აქემენის იმპერიების მმართველობის დროსაც კი ურმიის გარშემო მიწებზე მცხოვრებმა მოსახლეობამ კულტურის დონის დაცვა–შენახვა შეძლო.

ჩვ. წ. აღ–მდე IV საუკუნეში აზერბაიჯანის ჩრდილოეთში ალბანეთის, სამხრეთში კი ატროპატენას სახელმწიფოები შეიქმნა. ამით ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ძველი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები კიდევ უფრო განმტკიცდა. რთული გეოპოლიტიკური გარემოს მიუხედავად, ამ სახელმწიფოების განვითარებამ და აშაღლებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში.

უძველეს ხანაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გაჩნდა ქალაქები – ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები, მოსახლეობა გაეცნო სხვადასხვა წერით სისტემებს და შექმნა მდიდარი კულტურა.




1

პირველყოფილი თემური წყობილება

საზოგადოების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი წყობა (საფეხური) პირველყოფილი თემური წყობილებაა. ამ წყობილების საფეხურზე, რომელიც მილიონობით წლებს ითვლის აზერბაიჯანს თავისი ადგილი გააჩნია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიის ყველა პერიოდისათვის დამახასიათებელ საცხოვრებელ ადგილებს შეგვიძლია წავაწყდეთ. მათ შორის არსებული აზიხი, კობუსტანი, ქულთეფე, გულთეფე და სხვა ძეგლები მსოფლიოს მეცნიერულ ცენტრებში კარგად არის ცნობილი.

პირველყოფილი თემი, აზიხი, კობუსტანის გამოსახულებები, ნეოლითური რევოლუცია, პირველი საქალაქო ცენტრები, შრომის დანაწილება, ქონებრივი უთანასწორობა.


აზიხიდან დაწყებული სიცოცხლე. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ადამიანები უძველესი დროიდან ცხოვრობენ. შემთხვევით არ არის, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე დაახლოებით 40-მდე **პალეოლითის** (ძველი ქვის) ხანის ძეგლი იქნა აღმოჩენილი ყარაბაღში აზიხი და თაღები, ყაზახში დამჯილი და დაშსალაჰლი, ლერიქში ბეზეირი, ნახჩევანში კაზმა, ქელბეჯარში ზარი, მინგაჩევირის ახლოს მდებარე კარაჯა ასეთ ძეგლებს მიეკუთვნება.



აზიხის გამოქვაბულის გეგმა

ქალაქ ფიზულისთან ახლოს არსებული აზიხის გამოქვაბული მსოფლიოს უძველესი გამოქვაბულის ტიპის სადგომთაგანია. უზარმაზარი კლდეების ქვეშ მდებარე გამოქვაბული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 250 მეტრამდე არის გადაჭიმული. გამოჩენილი მეცნიერის მემედალი ჰუსეინოვის 20-წლიანი გამოკვლევები უჩვენებს, რომ აზიხის გამოქვაბულში და მის გარშემო კურუჩაის ხეობაში სიცოცხლე დაახლოებით 2 მილიონი წლის წინათ დაიწყო.

რასთან არის დაკავშირებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული ბევრი უძველეს ადამიანთა სადგომლის არსებობა?



მ.ჰუსეინოვი

არქეოლოგიური გათხრების დროს აზიხის გამოქვაბულში აღმოჩენილი იქნა ადგილი სადაც ცეცხლს ანთებდნენ. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ძველი ქვის ხანის ადამიანებს შეეძლოთ ცეცხლის გამოყენება, ცეცხლი იყო სინათლისა და სითბოს წყარო ადამიანებისათვის. მისი დახმარებით უძველესი ადამიანები საკვებს ამზადებდნენ, ცივ გამოქვაბულებს ათბობდნენ, გარეულ ცხოველებს დევნიდნენ გამოქვაბულებიდან. 1968 წელს აზიხის გამოქვაბულში 350-400 ათასი წლის წინანდელი პირველყოფილი ადამიანის (აზიხისტროპის ანუ აზიხის ადამიანის) გაქვავებული ქვედა ყბა იქნა აღმოჩენილი. ეს აღმოჩენა ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანი არის მსოფლიოს უძველესი ადამიანების ერთ-ერთი დასახლების ადგილი. აზიხის გამოქვაბულში ნაპოვნ უხეშ ნაჯახებს შორის რიყის ქვებით დამზადებული 4-5 კგ-იანი წონის მქონე მსხვილი შრომის იარაღებიც არის. ასეთი იარაღები დაქუცმაცებისა და დაჭრისათვის ხელსაყრელი იყო.

ნადირობასთან დაკავშირებით კვესი და ვულკანური მინის (ობსიდიანის) წვეტიანი იარაღი მზადდებოდა. პალეოლითის ხანის შუა პერიოდში აზიხის და თაღლარის გამოქვაბულების მაცხოვრებლებს სწორედ ამ იარაღების დახმარებით 25-ზე მეტი სახეობის გარეულ ცხოველებზე ნადირობა შეეძლოთ. უფრო მეტი ირმის, დათვისა და ჯიხვის მონადირება შეეძლოთ. მცირე ზომის ბასრი იარაღები ძვლისა და ხის დამუშავებაში გამოიყენებოდა. ტყავზე სამუშაოების შესასრულებლად კი მთავარი იარაღი საფხეკები იყო.



ობსიდიანის ხელსაწყო (გათეთფე, თოვუზის რაიონი)

თქვენი აზრით, კიდევ რა მიზნით გამოიყენებოდა ქვის იარაღები?

საზოგადოების ისტორიის ადრეულ საფეხურებზე პირველყოფილი ადამიანები სხვადასხვა გაერთიანების სახით ცხოვრობდნენ. პირველყოფილ თემად წოდებული ასეთი კოლექტივები არ იყო მტკიცე და მუდმივი. უძველესი ადამიანები ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და ველური ცხოველების წინააღმდეგ საბრძოლველად იძულებულნი იყვნენ ერთად ეცხოვრათ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებული ***პირველყოფილი თემი*** ძველი ქვის ხანის ბოლოს (გვიანი პალეოლითი) ***გვაროვნულმა თემმა*** ანუ ნათესაურმა თემმა შეცვალა. ეს დაკავშირებული იყო "ჭკვიანი ადამიანის" (Homo Sapiens) ტიპის ადამიანის გაჩენასთან. "ჭკვიანი ადამიანების" სისხლით ნათესაობაზე დაფუძნებული და დედის ხაზით განსაზღვრული გაერთიანება - გვაროვნული თემი პირველყოფილ თემთან შედარებით მტკიცე, ორგანიზებული კოლექტივი იყო. საზოგადოებაში ძირითადად მატრიარქატით მართული ეს ფორმა ბრინჯაოს ხანამდე არსებობდა.

კიდევ რომელი მიზეზები აიძულებდნენ ადამიანებს, რომ ერთად ეცხოვრათ?

ძეგლი, რომელიც ათ ათასწლეულს ითვლის. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული მსოფლიო მნიშვნელობის უძველესი ადამიანების საცხოვრებელთაგან ერთ-ერთი გობუსტანია. ეს ძეგლი ქ. ბაქოდან სამხრეთით 55 კმ-ში კასპის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. აქ **მეზოლითის–შუა ქვის** ხანიდან (ჩვ. წ. აღ-მდე XII-VIII ათასწლეულები) დაწყებული ათი ათასი წლის განმავლობაში სიცოცხლე უწყვეტად გრძელდებოდა.

გობუსტანი მსოფლიოს ამ კლდეებზე გრავირებულმა ათასობით გამოსახულებამ გააცნო. მათ შორის არის ადამიანებისა და ცხოველების სურათები ნადირობისა და ცეკვის ეპიზოდები. რომელიც თანამედროვე "იალლის" მოგვაგონებს. ყურადღებას იპყრობს მეზოლითური ხანის ყველაზე დიდი აღმოჩენა - ისრითა და მშვილდით აღჭურვილი მონადირის გამოსახულება. ძველი გობუსტანის მაცხოვრებლები ნადირობისა და შეგროვების პარალელურად მეთევზეობითაც იყვნენ დაკავებულნი. ისინი ხეებს თლიდნენ და ნავებს აკეთებდნენ .

გობუსტანში, შიგნით ადამიანები, ხოლო ცხვირის ნაწილზე მზის გამოსახულებიანი ნავებია დახატული. ამ ნახატებმა დააინტერესა ცნობილი ნორვეგიელი მეცნიერი თურ ჰეიერდალი, რომელიც იკვლევდა ნაოსნობის ისტორიას. იგი XX საუკუნის ბოლოს რამდენჯერმე ესტუმრა აზერბაიჯანს და კვლევები ჩაატარა. მეცნიერის მიერ გამოტანილი დასკვნა ასეთი იყო: "აზერბაიჯანი არის ნაოსნობის უძველესი მხარე".

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მსოფლიო მნიშვნელობის რომელ ძეგლებს იცნობთ?

გამოსახულებიანი ნავები

ნეოლითის რევოლუცია. მეზოლითის ხანის შემდგომი საფეხური **ნეოლითი–ახალი ქვის ხანად** იწოდება. ძირითადად ჩვ. წ.აღ.-მდე VIIIათასწლეულის ბოლოდან VI ათასწლეულის შუა პერიოდამდე მომცველ ამ ხანაში პირველყოფილი საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეები მოხდა. ნახჩევანში, განჯა-ყაზახის მხარეში, თებრიზის მიდამოებში, კობუსტანში, ბოლო წლებში კიდევ თოუზის რაიონში არსებული გიოითეფეში ნეოლითის ხანის ძვლისა და ქვისაგან დამზადებული თოხები, ნამგლის კბილანები, ჩაქუჩი, ცული და სხვა იარაღები იქნა ნაპოვნი. ეს შრომის იარაღები საწარმოო მეურნეობის მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობი წარმოშობას გვიჩვენებს. წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაიწყო არამომთაბარეული ცხოვრება ამან კი, მათ შორის სხვადასხვა ხელობის წარმოშობას ხელი შეუწყო. თიხის ჭურჭლის დამზადება ნეოლითის ხანის ყველაზე დიდი წარმატებაა. ამ ხანაში ადამიანებმა ქვის იარაღების გათლა და გახვრეტა ისწავლეს, ქსოვით დაკავდნენ. ეს ყველაფერი პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში ნამდვილ რევოლუციურ ცვლილებებს წარმოადგენდა.



ქამილთეფეს დასახლება. ნეოლითის ხანა (აღჯაბედის რაიონი)

ლითონის გაცნობა. მეთუნის ხელობის წარმოშობამ, კერამიკის ჭურჭლის წარმოებამ მთავარი როლი ითამაშა აზერბაიჯანში მეტალურგიის გაჩენაში. თიხის ჭურჭლის დამამზადებელმა ხელოსნებმა დროთა განმავლობაში უფრო მეტი ტემპერატურის მიღება ისწავლეს. ამ დროს სპილენძი მათი ყურადღების მიმპყრობი პირველი ლითონი გახდა. მდიდარი სპილენძის საბადოებში (გედებეისა და დაშქესანის რაიონში, ყარაბღის მთიან ნაწილში) ცეცხლში ჩავარდნილი სპილენძის ნაჭერი სიცხის შედეგად დნებოდა და ახალ ფორმას ღებულობდა. იგი ქვასავით მაგარი არ იყო. თუმცა მისგან რბილი მასალის (ქსოვილი, ტყავი) წარმოებისათვის შრომის იარაღების დამზადება ხელსაყრელი იყო. ლითონის ნემსები, მახათები თევზის საჭერი ანკესებიც კი გაკეთდა. სპილენძისაგან მძივები, ბეჭდები, სამაჯურების მსგავსი სამკაულები კეთდებოდა. სპილენძის წარმოების დაწყებით დათარიღებული ისტორიული საფეხური სპილენძი ქვის მნიშვნელობის მქონე **ენეოლითის** ხანად იწოდება. აზერბაიჯანში ამ პერიოდის - ჩვ. წ.აღ-მდე VI-IV ათასწლეულის შესაბამისი უამრავი საცხოვრებელი ადგილები აღმოჩენილი და შესწავლილი იქნა. სახლები გამოუწველი აგურებისაგან და თიხის ტალახისგან შენდებოდა.

ენეოლითის ხანაში ნიადაგს თოხით ამუშავებდნენ, ამიტომაც იმ ხანის მიწათმოქმედებას "თოხით მიწათმოქმედებას" უწოდებენ. მარცვლეულს სხვადასხვა ფორმის კაჟის ქვებისაგან დამზადებული ნამგლით მკიდნენ.



თოხით ნიადაგის დამუშავება

ბრინჯაოს ხანა. ჩვ. წ. აღ-მდე IV ათასწლეულის მეორე ნახევარში ენეოლითის ხანა ბრინჯაოს ხანამ შეცვალა. ეს ბრინჯაოდ წოდებული ახალი ლითონის სახელთან იყო დაკავშირებული.

თქვენი აზრით, როგორ მოიპოვებოდა ბრინჯაო?

დაახლოებით ორიათას წელიწადს გრძელდებოდა **ბრინჯაოს ხანა**, რომელიც სამ საფეხურად იყოფოდა. ადრეული, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანა. ადრეული ბრინჯაოს ხანა აზერბაიჯანში მტკვარ-არაზის კულტურადაც მოიხსენიება. ამ ხანაში თოხის მიწათმოქმედება კავის მიწათმოქმედებამ შეცვალა. გაჩნდა მომთაბარე მესაქონლეობა, მოხდა პირველი დიდი შრომის საზოგადოებრივი დანაწევრება. მიწათმოქმედების გამოყოფით მესაქონლეობისაგან. მეურნეობაში მამაკაცის შრომა წინა პლანზე გადავიდა და მატრიარქატი პატრიარქატმა შეცვალა. ბრინჯაოს ხანის საცხოვრებელ ადგილებში რამოდენიმე გაერთიანებული ტომის თემები ცხოვრობდნენ. სახლები გამოუწველი აგურითა და ქვით შენდებოდა. ბაბადერვიში (ყაზახი), ქიულთეფე (ნახჩევანი), სერქერთეფე (ხაჩმაზი) საცხოვრებელ ადგილებში დადასტურებული იქნა სპეციალური სამლოცველო სახლების არსებობა.



საღებავით მოხატული ჭურჭელი, ბრინჯაოს ხანა (შაჰთახთი, ნახჩევანი)

რა იცით პირველყოფილი ადამიანის რელიგიური წარმოდგენების შესახებ?



თაგდაცვითი კედელი. რინჯაოს ხანა (ნარგიზთეფე, ხოჯავენდის რაიონი)

აზერბაიჯანში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე III ათასწლეულის ბოლოს დაწყებული შუა ბრინჯაოს ხანა დაახლოებით 600 წელიწადს გაგრძელდა. ესხანა გაძლიერებული საცხოვრებელი ადგილებით, მდიდარი სამარხებით, ქონებისა და სოციალური უთანასწორობის მატებით, დიდი თემების კავშირების შექმნით ხასიათდება. ხელოსნობა სხვა წარმოების დარგებს გამოეყო და დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა, ამით მოხდა მეორე დიდი საზოგადოებრივი შრომის დანაწევრება. აზერბაიჯანში პირველი ქალაქური ცენტრების შექმნაც ამ პერიოდს ემთხვევა. ნახიჩევანში (II ქიულთეფე, ოღლანკალა), ურმიის მიდამოებში (გოითეფე) და ყარაბაღში (იუზარლიქთეფე, ნარგიზთეფე) აღმოჩენილი რიგი საცხოვრებელი ადგილები ძველი აღმოსავლეთის პირველი ქალაქ ცენტრების დამახასიათებელ თვისებებს ატარებდნენ.

ბრინჯაოს ხანის ბოლოს აზერბაიჯანში მეთუნეობა ხელობას თავის განვითარების ახალი საფუძველი ჩაეყარა. თიხის ჭურჭლის წარმოებაში ფეხის საშუალებით ასამუშავებელი თუნის დაზგები გამოიყენებოდა. ჭურჭლის ზედაპირის სხვადასხვა ხერხებით (დახაზვა, ჭურჭელზე ნაკვეთების გაკეთება, გამოძერწვა. შეღებვა და სხვა) მოხატვა ხდებოდა.

ლითონზე დამუშავების ხელობაც ვითარდებოდა. ბრინჯაოსაგან სხვადასხვა შრომის იარაღები, საბრძოლო იარაღები, სამკაულები მზადდებოდა. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1-ლი ათასწლეულის დასაწყისში რკინის გამოყენება გავრცელდა. რკინით დამზადებული შრომის იარაღები, ბრინჯაოს იარაღებთან შედარებით უფრო მაგარი იყო. მუღანში, უზუნთეფედ წოდებულ ტერიტორიაზე რკინის საჭრეთელი და ბრინჯაოს ტარიანი ხმლები იქნა ნაპოვნი. რკინის შრომის იარაღები ნიადაგის უკეთ დამუშავებაში ეხმარებოდა. აღნიშნულ ხანაში **გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის** ხანაში მოხდა მესამე დიდი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება: ვაჭრების ჯგუფი გამოეყო ხელოსნებს.

თქვენის აზრით, ზემოთხსენებული ლითონებიდან კიდევ რომელი შრომისა და საბრძოლო იარაღის დამზადება შეიძლებოდა?

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა. გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანაში მიწათმოქმედების, მეცხოველეობისა და ხელოსნობის პარალელურად, ომი და სამხედრო საქმე ძირითად დასაქმებად იქცა. ქვეყნის მოსახლეობის და მისი საკუთრების უცხო ტომების შემოსევებისაგან დაცვის მიზნით თავდაცვითი ნაგებობები შენდებოდა. ნახჩევანში, აზერბაიჯანის დასავლეთ რეგიონებში 100-ზე მეტი "ციკლოპური" ან "თეფეგოზად" წოდებული ნაგებობის კვალი დღესაც არსებობს.



ციკლოპური ნაგებობა (გედაბეის რაიონი, სოფელი არახდაში)

რატომ იყო ქცეული ამ დროს სამხედრო საქმიანობა დასაქმების მთავარ სახედ?

თემის საერთო მეურნეობის დანგრევის შედეგად უხუცესები გამდიდრებას იწყებდნენ. საუკეთესო მიწის ნაკვეთები, მსხვილფეხა საქონლის დიდი ნაწილი მდიდრების ხელში გადადიოდა. პირველყოფილი კოლექტიური შრომა თავის მნიშვნელობას კარგავდა. სამხედრო საქმის ხელმძღვანელად მებრძოლები მეთაურს ირჩევდნენ. ომებში მოპოვებული სიმდიდრის დიდი ნაწილი მეთაურებსა და უხუცესებს რჩებოდათ. უკვე მათი სამარხები საზოგადოების რიგით წევრების საფლავებისაგან განსხვავდებოდა. ყარაბაღში ხოჯალო, ოღუზის რაიონში ქარიმლი და სხვა კურგანული ტიპის სამარხებში ნაპოვნი ოქროსა და ბრინჯაოს, სადაფისა და სპილოს ძვლით დამზადებული მძივფასი ნივთები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამოქალაქო უთანასწორობის გაღრმავებასა და პირველყოფილი თემური წყობილების ნელ-ნელა რღვევას გვამცნობს.



მიწის საფლავი. ადრეული რკინის ხანა (აღჯაბედის რაიონი)

1. რომელი შრომის იარაღები გამოიყენებოდა ქვის ხანაში?
2. თქვენი აზრით, ქვის ხანის რომელი ეტაპი ხასიათდებოდა უფრო მეტი სიახლეებით?
3. თქვენს საცხოვრებელ ტერიტორიაზე არსებობს ძველი ისტორიული და კულტურული ძეგლები?
4. განმარტეთ ცეცხლისა და მეტალის როლი ადამიანის ცხოვრებაში.
5. ჩამოთვალეთ წარმოებისა და მოხმარების მეურნეობისათვის დამახასიათებელი საქმიანობის სახეები.
6. მოამზადეთ რეფერატი ტურ ჰეიერდალის მოგზაურობების შესახებ.



2

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე პირველი ტომთა კავშირები და სახელმწიფო წყობები

ჩვ.წ. აღ–მდე III–II ათასწლეულებში ურმიის ტბის მიდამოებში რულლუბის, ქუთის, სუს, თურქუ–ლი ტომები, არაზის ჩრდილოეთით–ნახჩიჟევანის და მილ–ყარაბაღის მიდამოებში ნახჩები, გერგერები და სხვა ტომები ცხოვრობდნენ. ამ ტომების შესახებ პირველ ინფორმაციას შუმერული თქმულებები და შუმერ–აქადის ლურსმნულ დამწერლობის წყაროები გვაძლევს. დიდი ტომების ერთობების სახელმწიფო სტრუქტურად ვახდაცვაც ფიგე ხანას ეკუთვნის. ლურსმნული დამწერლობის წყაროები აღმოსავლეთის ქვეყნების რამდენიმე ათასწლეულის ისტორიას აშუქებენ. ეს დამწერლობა შუამდინა–რეთის სამხრეთით მცხოვრებმა შუმერებმა შექმნეს.

ტომების კავშირები, პირველი სახელმწიფო წარმონაქმნები, არატა, კუთიები, ლულლუბილები, ანუბანები

პირველი ტომთა კავშირები. წარსულში აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთი მიწები მესოპოტამიის განვითარებულ მონათმფლობელურ საზოგადოებასთან მეზობლად მდე-ბარეობდა. ამ ფაქტორმა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთთან შედარებისას სამხრეთში ეკონო-მიკური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების კიდევ უფრო დაჩქარებული ტემპით წინსვლის საფუძველი შექმნა. მეცხოველეობის მიწათმოქმედებისაგან გამოყოფამ, ლითონის წარმოების განვითარებამ, ჭარბი სასაქონლო მოსავლის წარმოებამ, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობამ ადამიანებს შორის კლასობრივად დაყოფა გააღრმავა. ნოყიერი მიწებისა და სიმდიდრის მოპოვებისათვის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ასეთ პირობებში მონათესავე ტომები ერთიანდებოდნენ და მსხვილ ტომურ კავშირებს ქმნიდნენ. ერთმანეთის მეზობლად მცხოვრებ ტომებს საერთო კულტურა გააჩნიათ, ერთ ენაზე ან კიდევ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ, ერთსა და იმავე ღმერთებს სცემდნენ თაყვანს.

ვანსაზღვრეთ ტომებთა გაერთიანების აუცილებელი შექმნის მიზეზები.

ურმიის ტბის მიდამოებში ქუთი, ლულ-ლუბი, ჰურრი და სხვა დიდი ტომების გაერთიანებების ფორმირება მოხდა. სუ და თურუკუს ტომები ლულლუბის ტომის კავშირს შეუერთდნენ. ზაგროს მთების დასავლეთის ფერდობზე "მთის ხალხებად" წოდებულ ჰურრიელებს ძლიერი ტომების ერთობა ჰქონდათ შექმნილი. ისინი ძველი შუმრები, აკკადი და ელამის ხალხებთან ერთად, წინა აზიის მეოთხე დიდ კულ-ტურულ ხალხებად ითვლებიან. აზერბაი-ჯანის ტერიტორიაზე შექმნილი მსხვილი ტომების კავშირები ნელ-ნელა სახელმწიფო წარმონაქმნებად ყალიბდებოდა. მათ შესა-ბამისი ტერიტორია, ჯარი, ხაზინა და მმართველი ჰყავდათ, მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტუ-რული ურთიერთობები ჰქონდათ.



ურმიის ტბის აუზი ჩვ.წ.აღ–მდე III–II ათასწლეულებში

ძველ აზერბაიჯანელებთან მეზობლად მდებარე წინა აზიის რომელ სახელმწიფოებს იცნობთ?

არატა. არატა ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის პირველ ნახევარში ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთში შექმნილი ერთ-ერთი სახელმწიფოთაგანია. ამ სახელმწიფოს ენსი წოდების მატარებელი მბრძანებელი მართავდა. შუმერებში ეს წოდება უმაღლეს სულიერ მოძღვარს, მბრძანებელს ენიჭებოდა. არატაში სამხედრო საკითხების საბჭოში განხილვის მიუხედავად ბოლო გადაწყვეტილებას მბრძანებელი იღებდა.



ლაჟვარდის ქვა

შუმერულ თქმულებაში "ენმერქარისა და არატას მბრძანებელი" ნათქვამია, რომ არატა არის შუამდინარეთის ახლომდებარე ერთ-ერთი მთიანი ქვეყანა. აქედან შუამდინარეთში ძვირფასი ლითონები, სამშენებლო მასალები, მათ შორის ლაჟვარდის ქვა ლაზურიტი ჩამოჰქონდათ. შუა საუკუნეების წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვირფასი ლაჟვარდის ქვა აზერბაიჯანშიც მოიპოვებოდა (იწარმოებოდა). ლაჟვარდის ქვა არატას მოსახლეობა შუმერებთან საქონლის გაცვლას აწარმოებდა, სამლოცველოს მშენებლობისათვის ხელოსნებს შუმერებში იწვევდნენ. ისინი მიწათმოქმედებითაც იყვნენ დაკავებულნი, ხორბალი და ბარდა მოჰყავდათ.

თებრიზსა და მაღარას შორის აღმართულია დიდი სეჰენთის მთა. მის გარშემო ადამიანები ცხოვრობენ, წყალიც და მარცვლეულიც ბევრი აქვთ. ცხელი წყლის არსებობის გამო ადამიანები ზაფხულობით აქ ჩამოდიან. მთის მწვერვალი ყოველთვის თოვლით არის დაფარული. იქ ბევრი სპილენძის, რკინის, მალაქიტის, კუპოროსისა და ლაზურიტის საბადოებია.

აბდულრეშიდ ელ-ბაქუვის (XIV-XV ს.ს). ნაწარმოებიდან "ძვეწლების არსი და ძლევამოსილი მბრძანებლების საოცრებანი"

არატაში სხვადასხვა ღმერთებს სცემდნენ თაყვანს. შუმერების ბარაქისა და და სიყვარულის ქალღმერთის ინანნას მიმართ ლოცვა არატაშიც იყო გავრცელებული. რელიგიური მმართველობის სათავეში მაშმაშად წოდებული წინასწარმეტყველი იდგა.




ქუთას მმართველის ბრინჯაოს ბიუსტი (ჩვ.წ.აღ-მდე XXIIIს)

ქუთას სახელმწიფო. ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის მეორე ნახევარში ურმიას ტბის სამხრეთ-დასავლეთით ქუთის სახელმწიფომ დაიწყო აღზევება. აქადის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში შექმნილი და გაძლიერებული ეს სახელმწიფო შუმერების ქალაქ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა. შუამდინარეთის მცხოვრებნი მამაც და მებრძოლ ქუთებს "მთის დრაკონებსაც" უწოდებდნენ. ჩვ. წ. აღ-მდე XXIII საუკუნის ბოლოს მათ აქადის სახელმწიფო გაანადგურეს. შუამდინარეთი დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე ქუთის ხელისუფლების მმართველობაში გადავიდა.მისი ტერიტორია ჩრდილოეთში ურმიის ტბის დასავლეთიდან სამხრეთით სპარსეთის ყურემდე გადაჭიმულიყო. ქუთებმა აქადისა და შუმერების მმართველობის წესები შეისწავლეს. ისინი ხელისუფლების მემკვიდრეობით კი არა, არჩევის გზით შეცვლას ანიჭებდნენ უპირატესობას. ვილაიათებში ჯანიშინები[1] ინიშნებოდა. მმართველობის საქმეში მათ საკმარისი დამოუკიდებლობა ეძლეოდათ. დაპყრობილ ქვეყანაში მმართველობის ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეებისათვის გადაბარებამ ქუთიების მდგომარეობა შეასუსტა.



ქუთას მმართველის ლიშირ-პირანის კლდეზე რელიეფური გამოსახულება (ჩვ. წ. აღ-მდე XXIII ს)

[1] *ჯანიშინი* – განსაზღვრულ ტერიტორიაზე ხელმწიფის (ცენტრალური ხელისუფლების) ბრძანების, მითითებებისა და კანონების ცხოვრებაში განმახორციელებელი მოხელე.



ანუბანინის 'გამარჯვების სტელას' ძეგლის გამოსახულება (ჩვ.წ.აღ–მდე XXIIIს)

შუამდინარეთის უკანასკნელი ქუთის მბრძანებელი თირიქანის ხელისუფლება სულ 40 დღეს გაგრძელდა. იგი აჯანყების შედეგად ჩამოაგდეს. ამ მოვლენის შემდეგ ქუთიელებმა ურმიის ტბის მიდამოებში ადრინდელი დიდება და პოზიციები დაკარგეს.

ლულლუბის სახელმწიფო. ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის მეორე ნახევარში ურმიის ტბის სამხრეთით ლულლუბის სახელმწიფო შეიქმნა. პატარა მმართველების დამმორჩილებელი იმმაშ-კუნუ წყაროებში "ლულლუ (ბუმ) სახელმწიფოს მეფეთ-მეფედ" იწოდება.

იმ პერიოდში აქადის სახელმწიფო დაპყრობის გზით თავისი ტერიტორიების გაფართოებას ცდილობდა. უხვი მოსავლისა და მდიდარი ბუნების მქონე ძველი აზერბაიჯანის მიწებიც აქადის ბრძანებლის ყურადღებას იპყრობდა. თუმცა ძლიერი ჯარის შემქმნელი ლულლუბის მბრძანებლებმა ეს ძალადობა აღკვეთეს და ქვეყნის თავისუფლების დაცვა შეძლეს. ანუბანის ხელისუფლების წლებში სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა, ქვეყნის ტერიტორია საკმაოდ გაფართოვდა. ლურსმნური დამწერლობით შედგენილ წიგნში "გამარჯვების სტელა" ანუბანინი მოგვითხრობს საკუთარი წარმატებების შესახებ.

ძველი მსოფლიოს რომელ ქვეყნებში გამოიყენებოდა ლურსმნული დამწერლობა?

მთიან ტერიტორიაზე მცხოვრებ ლულლუბებს მარცვლეულზე ჰქონდათ მოთხოვნილება. ისინი მესოპოტამიის ქალაქებთან საქონლის გაცვლას აწარმოებდნენ, მსხვილფეხა საქონელს ხორბალზე ცვლიდნენ.

ლულლუბებიც ქუთებივით ცის, მზის, მთვარის, ბარაქისა და სიყვარულის ღმერთებს თაყვანს სცემდნენ. ანუბანინის ნაწარმოებში "გამარჯვების სტელას" ძეგლზე ცის ღმერთის ანუმით დაწყებული ღმერთების სახელები აქადის ენაზე მოიხსენიება.



შუმერების ბაზრობაზე საქონლის წამღები (ჩვ. წ. აღ–მდე III ათასწლეულის შუახანები)

ანუბანინი, ძლევამოსილი მეფე, ლულლუბუმის მეფემ თავისი გამოსახულება და ქალღმერთი აშტარის გამოსახულება ბათირის მთაზე დაადგმევინა. ვინც ამ გამოსახულებებსა და წარწერებს გაანადგურებს, დაე ანუმმა და ანტუნმა (ღმერთმა) ენლილმა და ღმერთმა (ნინლილმა) ადადმა და (ქალღმერთმა) აშტარამ მძიმედ დასწყევლონ, დაე ამათი მოდგმა გასწყვიტონ

ანუბანინის (ჩვ. წ.აღ.–მდე XXIII საუკუნე) სარიპულდა, ქალაქ ზოჰაბის სიახლოვეს აქადის ენაზე შედგენილი კლდეზე ამოკვეთილი წარწერიდან

თქვენი აზრით, ვის შეიძლება გაენადგურებინა წარწერები "გამარჯვების სტელაზე"?

ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის ბოლოს ქუთის და ლულლუბის სახელმწიფო სტრუქტურები პატარა ვილათებად დაიშალნენ. ურმიის ტბის მიდამოებში თურუქები მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად იქცნენ.

ქუთი, ლულლუბი, შუბარი და სხვა მეზობელი თემების გამაერთიანებელმა თურუქებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყეს. ეს კი თავის მხრივ მეზობელ ბაბილონის, ასურეთისთანა ძლევამოსილ სახელმწიფოებს არ მოეწონათ. ისინი გამუდმებით ურმიის გარშემო ტერიტორიებს ლაშქრავდნენ, ცდილობდნენ რომ აქაური მოსახლეობა გავლენის ქვეშ მოექციათ. თუმცა მტერი ყოველ ჯერზე ადგილობრივი თემების ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ასურელებთან შეჯახებისას გამარჯვებულმა თურრუქებმა მტრის მუშარის ვილაეთიც ხელში ჩაიგდეს. ბაბილონის მბრძანებლის ჰამურაფის პერიოდში (ჩვ. წ. აღ-მდე XVIII ს-ში) ეს მამაცი თემები შეიჭრნენ ბაბილონის ტერიტორიზე და იქ დამკვიდრდნენ. ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის ბოლო ხანებში ასურეთის წინააღმდეგ უწყვეტმა ბრძოლებმა ძველი აზერბაიჯანელი ტომების ერთიანი სახელმწიფოს სახით გაერთიანების აუცილებლობა გვიჩვენა.



აკადის მმართველის ნარან-სუენის სტელა [2]. ჩვ. წ. აღ-მდე XXIII ს(პარიზი, ლუვრის მუზეუმი)

აკადის მმართველის ნარან-სუენის ურმიის მიდამოებში წარმატებული სამხედრო მსვლელობა დროებით ხასიათს ატარებდა. ქუთის მბრძანებლების წერილობით ტექსტების თანახმად მან მწარე დამარცხებაც განიცადა, მის მიერ მტრების წინააღმდეგ (ლულლუბიების) ჩათვლით) სამჯერ გაგზავნილი ჯარიდან არც ერთი მებრძოლი უკანებელი არ დაბრუნებულა. ნარამ სუენის მტრებს "უმანმანდა" ("მანდას ჯარი") ეწოდებოდა.

ადდად ნერარი, ბრწყინვალე მმართველი, გმირი, ღმერთების რწმუნებული, ქალაქების დამფუძნებელი, ქაშების, ქუთიელების, ლიულულების (ლულლუბიელების-რედ) და შუბარიელების ძლიერი ჯარის ამომწყვეტი, ზემოთ და ქვემოთ ყოველი მტრის გამანადგურებელი... თურიქისა და ნიგიმხის ქვეყნების ყველა საზღვრამდე, ქუთილების ვრცელი ქვეყნის, მთებისა და კლდეების ყველა მბრძანებლის დამმარცხებელი...

ასურეთის მბრძანებელი ადდად-ნერარის (ჩვ. წ. აღ-მდე 1307-1275) ნაწერებიდან

დაასაბუთეთ, რომ წყაროში მოცემული ინფორმაცია ატარებს საავიტაციო ხასიათს.

1. *რომელი ტომები ცხოვრობდნენ ურმიის ტბის გარშემო?*
2. *რომელი წყაროები ადასტურებენ ლულლუბიების ძლიერებს?*
3. *მმართვის რომელ ხერხებს იყენებდნენ ქუთიები შუამდინარეთში?*
4. *დაახასიათეთ არატას საშეურნეო ცხოვრება.*
5. *შეადარეთ ტექსტში მოცემული წყაროები.*
6. *წყაროების საფუძველზე მოამზადეთ რეფერატი ანუბანინისა და ნნარანშა-სუენის შესახებ.*

[2] ***სტელა*** – ვერტიკალური ქვა, რომელზეც მოცემულია წარწერები და გამოსახულებები.



3

პირველი აზერბაიჯანული სახელმწიფო – მანა

მანას სახელმწიფო ურმიის ტბის აუზში, მდინარე არაზის სამხრეთით მდებარე აზერბაიჯანის მიწებზე შეიქმნა. შექმნის დროიდან ძლიერი მეზობელი ქვეყნების შემოსევების მიუხედავად ორას წელიწადზე მეტ დროის მანძილზე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დაცვა და შენარჩუნება შეძლო. მართალია, გარკვეული მიზეზებით ჩვ. წ. აღ–მდე VI საუკუნეში დაიშალა, მაგრამ აზერბაიჯანელი ხალხისათვის სახელმწიფოებრიობის ტრადიციის მემკვიდრეობის დამტოვებელი ჩვენი პირველი სახელმწიფოა.

ვილაიეთი, ჯანიშინი, ცენტრალიზებული სახელმწიფო, ირანზუ, აჰშერი

სახელმწიფოს შექმნა. ჩვ. წ. აღ-მდე XI-IX ს-ის პირველ ნახევარში ურმიის ტბის მიდამოებში შეიქმნა რიგი ვილაიეთებისა. ისინი ტერიტორიულ დანაყოფებზე შექმნილი პოლიტიკური სტრუქტურები იყო. ყოველ ვილაიეთს თავისი მეთაური ცენტრი - ციხე-ქალაქი ჰქონდა. ასურელები ამ ვილაიეთის მეთაურებს, თემის ბელადებისაგან განსხვავებით შარრანი-ანუ "მბრძანებელს" უწოდებდნენ. ვილაეთებს შორის ტერიტორიის მიხედვით ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ზამუა იყო. ზამუა ადრე ლულლუბების საცხოვრებელი ტერიტორია ყოფილა, უფრო მეტიც მანას სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც "ლულლუბების ქვეყანად" იწოდებოდა.



მანას სახელმწიფო

ჩვ. წ. აღ- მდე I ათასწლეულის დასაწყისიდან ასურეთის სახელმწიფოს ურმიაზე თავდასხმა იმატა. დამოუკიდებლად განვითარებად ვილაეთების ყოველწლიურად გაძლიერებული თავდასხმების მოგერიება უჭირდათ. ზოგიერთი ვილაეთის მეთაურებმა ასურეთთან ხელშეკრულება დადეს და იძულებული იყვნენ ხარკი გადაეხადათ, დანარჩენები წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მარცხდებოდნენ.

გაიხსენეთ: ურმიას ტბის მიდამოებში, წინათ რომელი ტომთა კავშირები წარმოიშვნენ?

მდგომარების სიმძიმის გამო ვილაიეთების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ხანგრძლივი შიდა ომების შედეგად ზამუას მეთაურების მცდელობის შედეგად ვილაიეთები გაერთიანდნენ და მანას სახელმწიფო შეიქმნა. მანნა წარმოშობით ადგილობრივი სახელწოდება იყო. ეს სახელწოდება ადრე ურმიას მიდამოებში ერთ-ერთ ტომს ეკუთვნოდა, შემდგომში მანელების მიერ გაერთიანებულ მთელ ტერიტორიებს მიეკუთვნებოდა.

სახელწოდება მანა პირველად **ჩვ.წ. აღ–მდე 843** წელს ასურელების მიერ მანას მხარეზე თავდასხმის დროს ასურელების მბრძანებელი სალმანასარ III წარწერებშია მოცემული. ჩვეულებისამებრ აშურის მბრძანებლები სახელმწიფოებს რომლებსაც თავს ესხმოდნენ ნაძარცვის ჩამონათვალს აკეთებდნენ. მაგრამ ჩვ.წ. აღ-მდე 843 წლის ლაშქრობის შესახებ არსებულ წიგნში ძარცვა-თარეშის შესახებ არ წერია. ჩანს, რომ მანნელებს კარგი თავდაცვა ჰქონდათ, მტრის ჯარები ქვეყანაში არ შეუშვიათ. ჩვ. ერამდე სალმანასარ III მხედართმთავრის შეტევის დროს პირველად იქნა ნახსენები მანას მბრძანებლის სახელი, "**მე მანელი უდაკის მხარეებს მიგუახლოვდი...**" იგივე წიგნში მბრძანებელი ქალაქს ასახელებდა იზირტუმანას დედაქალაქის სახელწოდებით.

თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორმა უფრო მეტად განაპირობა ურმიის ტბის აუზში სახელმწიფოს ჩამოყალიბება?

მანას სახელმწიფო წყობა და მართვა. ჩვენს ერამდე შექმნილი ყველა სახელმწიფოს მსგავსად მანას სახელმწიფოს საზოგადოებრივი წყობის მიხედვით მონათმფლობელური ყოფილა. პოლიტიკური წყობის მიხედვით მანა მონარქიული სახელმწიფო იყო. მანაში მბრძანებლური ხელისუფლება გაბილას-ტომის მეთაურობით შეიქმნა, თუმცა ჩვ.წ. აღ-მდე VIII საუკუნიდან დაწყებული მემკვიდრეობით გადასვლა დაიწყო. უხუცესთა საბჭოს არსებობა მანას სახელმწიფოს პირველყოფილი საზოგადოებიდან კლასიკურ საზოგადოებაში გადასვლის მაჩვენებლია. თუმცა ამ პერიოდში უხუცესთა საბჭო გადამწყვეტი ხმით ვერ სარგებლობდა. მხოლოდ მბრძანებლის გვერდით მრჩეველის ორგანოს როლს ასრულებდა. ბოლო გადაწყვეტილებას, ასევე კანონებს მბრძანებელი გასცემდა.

ჩვ.წ. აღ-მდე XIII საუკუნიდან დაწყებული მანას სახელმწიფო ცენტრალიზებული ფორმით იმართებოდა. ვილაიეთები მბრძანებლის მხრიდან დანიშნული რწმუნებულების საშუალებით იმართებოდა. მოსახლეობის ძირითადი ენა ძველი თურქული ენა იყო.


თქვენი აზრით, რა უპირატესობა გააჩნია ერთიან და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს?

ირანზუ. ცენტრალიზებული სახელმწიფოს წარმოშობა. ასურიელების გრძელვადიანი თარეშის დროს ჩვ.წ. აღ-მდე IX ს-ის ბოლოს მანადაუპირისპირდა ახალი მტრის-ურარტუს შემოსევებს. ორივე სახელმწიფო მანას მიწების ხელში ჩასაგდებად სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა. ჩვ. წ. აღ-მდე VIII ს-ის პირველ ნახევარში ურარტუს შემოსევებმა მანაზე უფრო იმატა, თუმცა მანა არ ნებდებოდა მტკიცე წინააღმდეგობას უწევდა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა საპასუხო დარტყმებს ახორციელებდა. სწორედ ურარტუს წინააღმდეგ წარმოებული ომები თვით მანას სახელმწიფოს ცნობადობისა და გაძლიერების მიზეზი გახდა.

მანას გაძლიერება მბრძანებელ ირანზუს სახელთან (დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე 740-718) არის დაკავშირებული. ირანზუმ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ორი მთავარი ამოცანა დასახა: მანას ვილაეთების ერთი ცენტრის გარშემო გაერთიანება, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, მეორე ამოცანა, უცხო ტომთა შემოსევების აღკვეთა. პირველი საკითხი ირანზუს შიდა პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენდა. ქვეყნის მეურნეობის,ეკონომიკის გაწონასწორება ერთიანი საგარეო პოლიტიკის ამოქმედებისათვის უნდა შეექმნა ცენტრალიზებული მმართველობა. საკითხს ართულებდა ისიც,



მანის მბრძანებლის გამოსახულება



მანელი მეომარი

რომ მანას სახელმწიფოს დაარსების შემდეგ რიგი ვილაეთების მბრძანებლებმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. იმისათვის, რომ ირანზუს ვილაეთები ცენტრალური ხელისუფ-ლებისათვის დაე-მორჩილებინა მმართველების ადგილას ჯაანიშინები დანიშნა. ამ-გვარად ირანზუს მმართველობის პერიოდში მანაში ცენტრალი-ზებული სახელმწიფო და მართვის ჯანიშინური სისტემა შეიქმნა.

ირანზუს წინაშე მდგომი მეორე საკითხი უფრო რთული იყო. ერთსა და იგივე დროს ორი ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების სირთულე გაითვალისწინა ირანზუმ და ასურიელებს დაუახლოვდა. რამდენიმე ფრონტზე ომის მწარმოებელ ასურეთსაც სჭირდებოდა მანას სახელმწიფოს მეგობრობა. ამგვარად ირანზუს მმართველობის პერიოდში ასურეთსა და მანას შორის სამოკავშირეო ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ასურეთსა და ურარტუს შორის ხან-გრძლივი პრინციპული ომები ჩვ. წ. აღ-მდე 735 წელს ასურეთის გა-მარჯვებით დასრულდა. ასურეთის გამარჯვებაში მანასაც გადამ-წყვეტი როლი ჰქონდა. ურარტუს დასუსტებით ისარგებლა ირან-ზუმ, მტრისაგან განთავისუფლებული ვილაიეთები მანას შემად-გენლობაში დააბრუნა და ყველგან თავისი რწმუნებულები დანიშნა. ამ პერიოდში მანამ აზერბაიჯანის მთელი სამხრეთი მიწები თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა. ირანზუს ხელისუფლების დროს მანა ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო გახდა.


გამოთქვით მოსაზრება მანას სახელმწიფოს გატარებული საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ორ ცეცხლს შუა. ურარტუ მანას გაძლიერებას და ურმიის ტბის აუზში პოზიციების დაკარგვას ვერ ურიგდებოდა. მანას წინააღმდეგ ღია შეტაკებას ვერ ბედავდა, ურარტუ ახლა სულ სხვა პოლიტიკას მიმართავდა. ურარტუს მბრძანებელი რუსა I ყოფილი ვილაეთების მმართველების და რწმუნებულების ირანზუს წინააღმდეგ გამოსვლით მანას შიგნიდან დასუსტებას ცდილობდა. ირანზუს ცენტრალიზებული პოლიტიკის შედეგად ხელისუფ-ლების გარეშე დარჩენილ ყოფილი ვილაიეთების მმართველებს პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება უნდოდათ. ზოგიერთ ახლად დანიშნულ რწმუნებულებს კი თავიანთ ტე-რიტორიებზე დამოუკიდებლობის სურვილით ურარტუს ნამდვილი მიზანი ვერ გაეგოთ და მის მხარეზე გადასულიყვნენ. ჯერ ზიკერტუ, მის კვალდაკვალ კიდევ რამდენიმე ვილაეთი მანას გამოეყო ხოლო ჩვენს ერამდე 719 წ. ქალაქ შუანდაჰულმა და დურდუკკამ აჯანყებები დაიწყეს. მძიმე მდგომარეობის გამო ირანზუ იძულებული გახდა ასურეთიდან დახმარება მოეთხოვა. ამან თავის მხრივ მანას პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. მანაში თავისი პოზიციების გაძლიერების სურვილით ასურეთმა დაუყოვნებლივ ისარგებლა მდგომარეობით. ასურეთის მბრძანებელი სარგონ II შეტევაზე გადავიდა, აჯანყებული ქალაქები და ვილაეთები გაანადგურა, მოსახლეობის ერთი ნაწილი ასურეთში გადაასახლა. ხოლო ტერიტორია და ქალაქები ირანზუს ხელისუფლებას დაუტოვა. ამ მოვლენებს მანაში არაერთმნიშვნელოვნად შეხვდნენ.

როგორ აფასებთ ირანზუს დახმარების თხოვნას ასურეთის მბრძანებელი სარგონ II-საგან?

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ირანზუ გარდაიცვალა. ხელისუფლების სათავეში ირანზუს უფროსი ვაჟი აზა (ჩვ. წ. აღ-მდე 718-716) მოვიდა. აზამ მამის პოლიტიკა გააგრძელა - ასურეთს დაეყრდნო. თუმცა აზას მცდელობამ დაემყარებინა ქვეყანაში სიმშვიდე, გაეძლიერებინა ცენტრალური ხელისუფლება, შედეგი არ გამოიღო. უაუშის (ახლანდელი სეჰენდის) მთაზე

ურარტუს მხარეზე გადასულ ჯანიშინებთან ბრძოლაში აზა მოკლეს. რუსა I შეტევაზე გადავიდა მანას ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთ ვილაეთები გაძარცვა, მანას 22 ციხე-სიმაგრე ხელში ჩაიგდო. ხელისუფლების სათავეში მოსული აზას ძმა ულუსუნუ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ურარტუს მომხრე ძალების მხარეზე გადავიდა და რუსა I-მა იგი მანას მბრძანებლად აღიარა. სამაგიერად ულუსუნი იძულებული გახდა რუსა I-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ურარტუსათვის გადაცემაზე თანხმობა მიეცა მანას ურარტუსთან დაახლოებით ასურეთს ურმიის ტბის აუზის პოზიციებს საფრთხე ექმნებოდა. ასურეთმა თავისი ყოფილი მოკავშირე - მანა, მტრების რიგებში, რომ არ გადასულიყო ჩვ. წ. აღ- მდე 716 წელს შეტევა დაიწყო. ამ ლაშქრობის შედეგად ურარტუს მომხრე ძალები დამარცხდნენ.ხოლო ულუსუნუ, ასურეთის პოლიტიკური ბატონობის აღიარებით ხელისუფლებაში დარჩა.



მანას ციხე-სიმაგრე

სარგონ II-ის ლაშქრობა მომდევნო წელს მანასათვის უფრო დადებითი შედეგების მომტანი იყო. სარგონის ეპიტაფიის ინფორმაციის თანახმად "მანელი ულუსუნი მეახლა... მე რუსასგან დაპყრობილი 22 კოშკი და 2 დაცული ქალაქი მას გადავეცი...". "ხელების აღპყრობით ღმერთს აშურას შევევედრე, რომ მანელებმა შური იძიონ... უაუშ მთაზე, სადაც მათ აზას ცხედარი გადააგდეს, მე მცველები გავატყავე და მანელებს ვუჩვენე. გაწრისხებულმა... მანელების ქვეყანაში სახელისუფლებო ქალაქი აზირთუ ქორიგით დაცემით აგიღე... მე ისინი შევიწყალე, ულუსუნს ცოდვები გაპატიე და ის მამის ტახტზე დავსვი".

სარგონ II-ის ნაწერებიდან

რატომ სურდა სარგონ II-ს შური ეძია აზასათვის?

სარგონ II-ის ყველაზე წარმატებული ლაშქრობა მოხდა ჩვ. წ. აღ-მდე 714 წელს. ამ ლაშქრობის დროს მანას ქალაქ სირდაქაში ორ სახელმწიფოს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მანას ხარკი უნდა გადაეხადა, სამაგიეროდ ასურიას დაპყრობილი მანას ტერიტორიები უნდა გაენთავისუფლებინა. სარგონ II-მ მიცემული პირობა შეასრულა ამ ლაშქრობის შედეგად ურარტუს მიერ დაპყრობილი მანას ყველა ოლქი (ვილაიეთი) გათავისუფლდა. საშინელი დამარცხების შემდეგ რუსა I-მა თავი მოიკლა. ძლიერებაშერყეული ურარტუ მის საბოლოო დაცემამდე (ჩვ. წ. აღ-მდე 590 წ.) თავისი ტერიტორიიდან აღარ გამოსულა. მანამ კი ტერიტორიები კიდევ უფრო გააფართოვა, წინა ხანებში ურარტუს მიერ დაკავებული ურმიის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებიც კვლავ დაიქვემდებარა. ყველა ვილაიეთი ერთიანი ცენტრის გარშემო შემოიერთა.

რით შეგეძლიათ ახსნათ ულუსუნის საგრეო პოლიტიკის ცვლილება?

ულუსუნის შემდეგაც მანა ძლიერ სახელმწიფოდ რჩებოდა. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის პირველ ნახევარში აჰშერის ხელისუფლების დროს მანა იმდენად იყო გაძლიერებული, რომ უკვე ასურიის მიწების დაპყრობას ცდილობდა. ამ პერიოდში მანას გაძლიერების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო თურქული ტომების შავი ზღვის სანაპიროებიდან წინა აზიაში გადმოსვლა. სხვადასხვა წყაროებში ქიმერებად, სკვითებად და საკებად წოდებულმა, ცხენოსანმა მებრძოლმა, მეომარმა ტომებმა წინა აზიის ისტორიაში ცვლილება გამოიწვიეს. აჰშერმა მანას ჩრდილოეთი საზღვრის სიახლოვეს განსახლებულ ამ ტომებთან მეგობრული ურთიერთობა

დაამყარა,მათი განთავსებით საკუთარ ქვეყანაში გააძლიერა საკუთარი ჯარი. ასურიულ წყაროებში ნაჩვენებია, რომ აჰშერი იყო სკვითთა ხელისუფალის იშპაკის მოკავშირე.

აჰშერის ხელისუფლების დროს ასურიის ხელისუფალის თავის ღმერთების მისამართით დასმული ერთ-ერთი შეკითხვა: "აშშური მმართველების მიდიის ქვეყნიდან ხარკის შესაგროველად წასვლისას მანელები მათ თავს დაეხმიან?"

კაშკაი ს.მ. "მანას სახელმწიფო"

თქვენი აზრით, ამ კითხვიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება?

აჰშერს მიდიაში ასურიის წინააღმდეგ აჯანყებულებისათვისაც დახმარება გაეგზავნა. გაერთიანებულმა ძალებმა მტერი დაამარცხეს და მიდიადან განდევნეს. ასურიელმა მმართველმა აშურბანიფალმა (ჩვ. წ. აღ-მდე 668-627) მოლაპარაკებებით, საჩუქრებით სკვითთა ხელისუფალის თავშეკავების მიღწევის შემდეგ დაიწყო მანის დალაშქვრა. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის შუა ხანებში მომხდარ ბრძოლაში ასურიამ გაიმარჯვა. იზირთუ გადაიწვა. რამდენიმე ოლქი გაიძარცვა. მანის მოსახლეობა აღდგა აჰშერის წინააღმდეგ. აჯანყების შედეგად აჰშერი მოკლულ იქნა. აჰშერის წინააღმდეგ აჯანყებულთა შორის ერთი ნაწილი ასურიასთან კავშირის მომხრე უმაღლესი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ხელისუფლებაში მოვიდა აჰშერის შვილი უალი. მან მოაწესრიგა ურთიერთობები ასურიასთან. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის ბოლოს მიდიისა და ბაბილონის სახელმწიფოები გაერთიანდენ და ასურიელების წინააღმდეგ ომი დაიწყეს. გაერიანებული ძალების გამარჯვებები ასურიაზე ამ სახელმწიფოს დაცემით დასრულდა. მანამ ამჯერადაც საგარეო პოლიტიკაში შეცდომა დაუშვა. მან თავისი ჯარის ნაწილები ასურიის დასახმარებლად გააგზავნა. მიდიისა და ბაბილონისათვის მანა მათი დაუძინებელი მტრის მოკავშირე იყო. ცოტა ხნის შემდეგ, გაძლიერებულმა მიდიამ ისტორიის სცენაზე კენტად დარჩენილი მანა დაიმორჩილა. მანას სახელმწიფო ჩვ. წ. აღ-მდე 590 წელს დაეცა.

მანის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა



მანის მეურნეობაში ძირითადი ადგილი ეკავა მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. წერილობით წყაროებში მოცემულია ინფორმაცია მანაში მსხვილი მარცვლეულის საცავების არსებობის შესახებ. ჰესენლის დასახლებაში ნაპოვნი ქვევრები მიუთითებს იმაზე, რომ განვითარებული იყო მევენახეობაც. აშურელთა და ურარტუელთა ნაწერებიდან შეიძლება იმის დანახვა, რომ მანაში მეცხოველეობა-მესაქონლეობა ფართოდ იყო გავრცელებული. სუბის ვილაიეთში განვითარებული იყო მეცხენეობა, ჰყავდათ სპეციალური ცხენების მომთვინიერებლები. მანის მოსახლეობა ეწეოდა არა მომთაბარე ცხოვრებას. ჰესენლიში და ზივიაში ნაპოვნი ნივთები კი უჩვენებს, რომ ხელოსნობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული.

1. რა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის I ნახევარში მანას გაძლიერებაზე?
2. შეადარეთ არაზუასა და აჰშერის პოლიტიკა, მსგავსი და განსხვავებული თვისებების განსაზღვრით შეაფასეთ ამ ხელმძღვანელთა საქმიანობა.
3. განსაზღვრეთ მანის სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.
4. მანის მაგალითზე განსაზღვრეთ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის უარყოფითი შედეგები.



4

აზერბაიჯანის ჩვ. წ. აღ-მდე VII-IV საუკუნეებში

მეომარი სკვითი ტომების ისტორიის სცენაზე გამოსვლამ ახლო აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანა. მათმა ქმედებებმა წინა აზიაში, მათ შორის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბიძგი მისცა ძალთა თანაფარდობის ცვლილებას, ძველი სახელმწიფოების – იმპერიების ნგრევას და ახალი იმპერიების შექმნას. თვითონ კი ახალი იარაღების, ბრძოლის მეთოდების, ახალი კულტურის შემქმნელი ეს ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელებითაა ცნობილი, წარმოშობით ეს იყო ძირძველი თურქი ხალხი.

სკვითები, იშპაკაი, ქაშტარითი, ქიაქსარი, ჰეროდოტი, სატრაპი

"სკვითები ძოძობარე ხალხი ყოფილა. ჯერ აზიაში ცხოვრობდნენ, შემდეგ ბრძოლის მწარმოებელი მასაგეთების მხრიდან შეგაწროებულა, მდინარე რაჰაზე (ვოლგის ძველი სახელწოდება) გადასულით ყოფილი ქიმერების მიწაზე (შავი ზღვის სანაპიროებზე) მოსულან..."

ჰეროდოტი, ნაწარმოებიდან "ისტორია"

სკვითების (იშკუზთა) სამეფო. როგორც ცნობილია, თურქი ხალხების დედა სამშობლო ცენტრალური აზია - ალტაის მთებში ითვლება. მომთაბარე ცხოვრების წესის მიმდევარმა სკვითებმა დედა სამშობლოდან - ალტაიდან დასავლეთისაკენ დაიწყეს მოძრაობა და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე მოსულები აქ სხვა თურქულენოვანი ქიმერების სიახლოვეს დასახლდნენ. ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის დასაწყისში დაიწყო კავკასიისა და წინა აზიის მიმართულებით პირველ ქიმერიულ ტომთა ლაშქრობა. ქიმერიელებიდან ცოტა ხნის შემდეგ კასპიის სანაპიროების გაყოლებით სამხრეთით მოძრავი სკვითები დერბენდის ხეობის გავლით სამხრეთი კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში - აზერბაიჯანში შემოსულან. ქიმერიულ-სკვითური შემოდინებები აზერბაიჯანში თურქული ტომების პირველ დიდ შემოსვლად ითვლება. ქიმერიულ- სკვითური ტომების გაერთიანებას ისპაკაი მეთაურობდა. მდინარე მტკვარსა და არაქსს შორის დასახლებულმა სკვითებმა ადგილობრივი ალბანები, კასპელები, უთის ტომები შემოიერთეს **ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის პირველ ნახევარში მდინარეების მტკვარსა და არაქსს შორის მდებარე ტერიტორიაზე შეიქმნა სკვითების – იშგუზების (შიდა ოღუზის) სამეფო.** ადგილობრივი ტომების ხარჯზე მებრძოლების რაოდენობის გაზრდის შემდეგ იშპაკაიმ დაიწყო ლაშქრობები.

თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვაზოგადოთ ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნეში თურქული ტომების აზერბაიჯანულ მიწებზე მოსვლის შედეგები?

არაქსიდან სამხრეთით გადასული სკვითები (ასურული წყაროების თანახმად – "იშგუზები") მანელი თანატომელების მხრიდან კარგად იყვნენ მიღებულნი. მათ შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობები. ხელისუფალ აჰშერისთან კავშირის დამყარების შემდეგ იშპაკაიმ მანის ტერიტორიაზე გავლით ასურიაზე შეტევა დაიწყო. ცხენოსანი ჯარის სწრაფი შეტევების შედეგად ასურიელები პირველ ბრძოლებში დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ამ ამბებმა ასურიელთა უღელის ქვეშ მყოფ ხალხებში იმედი და რწმენა გააჩინა. აჰშერიმ მანა დამოუკიდებლად გამოაცხადა და ასურის სასაზღვრო რაზმებზე დაიწყო შეტევა.

მიდიაში გაძლიერდა დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა. თუმცა იშპაკაის სიკვდილმა ასურია იხსნა დაცემისაგან.

როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ აზერბაიჯანში პირველი თურქული დინებების როლი წინა აზიის ხალხების ისტორიაში?

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ასურია ცდილობდა სამხედრო წარუმატებლობა დაეძლია დიპლომატიური გზით სკვითების სამეფოსა და ასურიას შორის დამყარდა სამოკავშირეო ურთიერთობები. ეს ურთიერთობები სკვითების ხელისუფალის პართათუასა და მისი შვილის - მადის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა.

თუმცა ეს ძლიერი თურქული სახელმწიფო გარკვეული დროის შემდეგ დასუსტდა და მიდიის სახელმწიფოს დარტყმების შედეგად დაეცა.

ომი თუ დიპლომატია? ასურიისა და სკვითების მმართველების ურთიერთობებზე დაყრდნობით შეადარეთ ეს ორი საშუალება პოლიტიკური კონფლიქტების გადაწყვეტაში.

მიდიას (მადა) სახელმწიფო. მიდიას ტომები მანას სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ზეგანის ცენტრში ცხოვრობდნენ. მიდიელების შესახებ პირველი ინფორმაცია ჩვ.წ.აღ-მდე IX საუკუნეში ასურიულ წყაროებშია მოცემული. ასურიულ წყაროებში ეს ქვეყანა მათაი, მადაი, ამადაი სახელებითაა მოხსენიებული. ჩვ.წ.აღ-მდე IX-VIII საუკუნეებში მიდიის ტერიტორიაზე შექმნილი მცირე პოლიტიკური გაერთიანებების - ვილაიეთის მმართველები მალე აღმოჩნდნენ ასურიის დამოკიდებულებაში. ჩვ.წ.აღ-მდე 673 წელს დაწყებულ დამოუკიდებლობისათვის სახალხო მოძრაობას კაშთარიტი მეთაურობდა. კაშთარიტის სკვითთა (იშგუზა) სამეფოსა და მანას კავშირის დამყარება აჯანყებულებს შესაძლებლობას აძლევდა ებრძოლათ რამდენიმე ფრონტზე. **ჩვ.წ.აღ-მდე 672 წელს კაშთარიტის ბრწყინვალე გამარჯვება მიდიის ასურეთის დაქვემდებარებიდან სამუდამო განთავისუფლებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. ჩვ.წ.აღ-მდე 653 წელს კაშთარიტი სკვითთა ჯართან ბრძოლის დროს დაიღუპა. ეს გამარჯვება გახდა სკვითთა სახელმწიფოს მწვერვალი.**



მიდიის იმპერია (ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნის ბოლო – ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნის შუა ხანები)

რომელი მსგავსების პოვნაა შესაძლებელი მანასა და მიდიის სახელმწიფოების ჩვ.წ.აღ-მდე VII საუკუნის ისტორიებს შორის?

"სკვითების მეფე მადიმ მიდიელებზე გაიმარჯვა... ამის შემდეგ 28 წლის განმავლობაში სკვითები აზიაზე მბრძანებლობდნენ..."

წყაროებზე დაყრდნობით განსაზღვრეთ რომელ წლებს მოიცავდა მიდიაში სკვითების ბატონობა.



სკვითი და მიდიელი მებრძოლები *სკვითების ისრის წვეროები ჩვ.წ.აღ-მდე VII-VI საუკუნეები*

ამ ღონისძიებების შემდეგ ქიაქსარმა ბაბილონის სახელმწიფოსთან დაამყარა კავშირი და დაიწყო ბრძოლა ასურიელთა წინააღმდეგ. მოკავშირეები ორი მიმართულებიდან გადავიდნენ შეტევაზე ასურიელთა წინააღმდეგ. ჩვ.წ.აღ-მდე 612 წელს მიდიისა და ბაბილონის ჯარებმა დაამარცხეს ასურიის ჯარი, მისი ძირითადი დედაქალაქი - ნინევიანი დაიპყრეს, დაანგრიეს და გადაწვეს. ასურია, როგორც სახელმწიფო ჩვ.წ.აღ-მდე 605 წელს დაიშალა. ასურის ტერიტორია გამარჯვებულებს შორის გაიყო. ამის შემდეგ ქიაქსარმა ჩვ.წ.აღ-მდე 590 წელს მანა, ურარტუ და სკვით-იშგუზების სახელმწიფოები სრულად გააუქმა და ტერიტორიები მიდიას შეუერთდა. მიდია იმპერიად იქცა.

შეაგროვეთ ინფორმაცია სკვითი და მიდიელი მებრძოლების სამოსის შესახებ და სცადეთ გა-ნასხვავოთ ისინი სურათები მიხედვით

მიდიის იმპერიის შექმნამდე, რომელი სახელმწიფო ითვლებოდა წინა აზიის უძლიერეს სახელ-მწიფოდ?

მოსახლეობის სოციალური შედგენილობა

უმაღლესი ფენა

თავისუფალი თემელები

მონები

მიდიის სახელმწიფო აგებულება და მმართველობა

მმართველი მბრძანებელი

სატრაპოების მმართველები

ჯარი

კაშთარიტის სახელმწიფოს მმართველობაში დაწყებული ცვლილებების საფუძველზე დიდ-გვაროვნებმა (გვარის მეთაურებმა და ოლქების მმართველებმა) დამოუკიდებელი ხელისუფლება დაკარგეს, მაგრამ სინამდვილეში სასახლის მაღალ ფენად იქცნენ. გამარჯვებით დამთავრებული ომები კი ქვეყანაში მონების შემოდინების მიზეზი გახდა.

თქვენი აზრით, როგორ შეეძლო მოხდინა გავლენა თავისუფალი მეურნეობის მდ-გომარეობაზე ქვეყანაში მონების შემოყვანას?

მიდიის სახელმწიფოს დაცემა. ასტიაგის (ჩვ.წ.აღ-მდე 585-550) მმართველობის დროს დაპყრობები შეჩერდა. სამხედრო ნადავლის ხარჯზე მცხოვრები სამხედრო ზედა ფენა და პროფესიონალი მებრძოლები ამ მდგომარეობით უკმაყოფილონი იყვნენ. მეორე მხრივ, ასტიაგი ახლად შექმნილი ზოროასტრიზმის რელიგიის წინასწარმეტყველებს უახლოვ-დებოდა. მის სასახლეში ადგილის მომპოვებელი ახალი რელიგიის მქადაგებლები ძველი რელიგიებისა და ღმერთების წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებასთან ერთად, საზოგადოების განვითარებისათვის ზოგადი თანასწორობის შექმნის მოსაზრებასაც წინა პლანზე აყენებდნენ.

ახალი რელიგია დაბალი ფენების ინტერესებს შეესაბამებოდა და ამიტომ მოსახლეობაში სწრაფად ვრცელდებოდა. მიდიის მაღალ ფენაში კი ახალ რელიგიას საკუთარი თავისათვის საფრთხედ თვლიდნენ. მმართველობის პერიოდის გაგრძელებასთან ერთად ასტიაგასა და მაღალ ფენას შორის წინააღმდეგობაც იზრდებოდა. ასტიაგას წინააღმდეგ ღიად გამოსასვლელად გამბედაობა არ ჰყოფნიდათ მიდიელ ზედა ფენელებს და მათ მიიღეს გადაწყვეტილება იგი მისი შვილიშვილის კირ II-ის ხელით ჩამოეშორებინათ მმართველობიდან. კირ II (კურუში) ასტიაგას სპარსული ვილაიეთის მეთაურისათვის მითხოვებული ქალიშვილის მანდანას შვილი იყო. ჩვ.წ.აღ-მდე 553 წელს კირ II-ის მეთაურობით დაიწყო აჯანყება. გადამწყვეტ მომენტში მიდიელი ზედაფენელების ღალატმა შედეგი გამოიღო. ჩვ.წ.აღ-მდე 550 წელს მიდია დამარცხდა. ექბათანი შეტევით იქნა აღებული. ქალაქი კირ II-ის ბრძანებით გაი-ძარცვა. მოსახლეობის ერთი ნაწილი მონებად აქციეს. მიდიას სახელმწიფო დაიშალა. მმართველობა სპარსელების ხელში გადავიდა. მიდიის ადგილას შეიქმნა ეჰემენის სპარსული სახელმწიფო და მოკლე ხანში იმპერიად იქცა.


თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი მიდიის სახელმწიფოს დაშლაში?

აზერბაიჯანი ეჰემენების (აქემენიდების) მმართველობის პერიოდში (ჩვ.წ.აღ-მდე 550 – ჩვ.წ.აღ-მდე 330-იანი წლები).

აღმოსავლეთში ინდოეთიდან დასავლეთით ეგვიპტემდე გაგრძელებული უზარმაზარი ეჰემენის იმპერიაში აზერბაიჯანის მიწებიც შედიოდა. ასეთი დიდი იმპერიის კონტროლის ქვეშ ყოფნისათვის ეჰემენის მეფეებმა ტერიტორია სატრაპოებად დაყვეს. დიდი უფლებამოსილების მქონე სატრაპები მოსახლეობიდან წლიურ გადასახადს აგროვებდნენ და ომის დროს მებრძოლების შეგროვებას ახდენდნენ. სპარსელები მთელ თურქულენოვან მომთაბარეებს საქებს უწოდებდნენ. ვინაიდან საქ-სკვითოღუზის ტომები იყვნენ ძლიერი მეო-მარნი, ეჰემენის მეფეები ყველა ომში მათ ძალებს იყენებდნენ. ეჰემენელების ჩრდილოეთ აზერბაიჯანზე მმართველობა ნომინალურ (პირობით) ხასიათს ატარებდა. ეჰემენის სატრაპები უფრო მეტ გადასახადს აგროვებდნენ, მოსახლეობის შიგა საქმეებში. წეს-ჩვეულებებში არ ერეოდნენ, ეჰემენების მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აზერბაიჯანში სოციალური დაყოფა გაძლიერდა. ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა, ფინანსური საგადასახადო სისტემის გამოყენება, მსხვილი სამრეწველო პუნქტების რაოდენობის ზრდა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზეზი გახდა. უკვე ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის ბოლოს აზერბაიჯანის ჩრდილოეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ზღვარზე იყო.



შემშირის რაიონის სოფელ კარაჯემირლიში აღმოჩენილი ეჰემენის პერიოდის სასახლის კომპლექსი



სასახლის აღდგენილი სახე

1. რა გავლენა მოახდინა აზერბაიჯანის ისტორიაზე ეჰემენთა დაპყრობამ?
2. მოამზადეთ წარდგენა სკვითთა სამეფოსთან დაკავშირებით, წყაროების საფუძველზე დაახუსტეთ მათი მოძრაობის გეოგრაფია.
3. წინა კლასებში მიღებული ისტორიის ცოდნის საფუძველზე შეადარეთ სხვა თურქების შემოსევები სკვით-ქიმერების შემოდინებებთან, შეეცადეთ განსაზღვროთ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.
4. შეადარეთ სკვითთა მეფის იშპაკაისა და მიდიის მმართველის ქიაქსარის მოღვაწეობა.
5. განსაზღვრეთ კაშთარიტის, ქიაქსარისა და ასტიაგას მმართველობის პერიოდში მიდიაში მომხდარი ცვლილებები.



5

ატროპატენას სახელმწიფო

ატროპატი[1] ქვეყნების დამპყრობი მხედართმთავარი არ ყოფილა. იგი ისტორიაში დარჩა, როგორც მძიმე, გარუსაზღვრელ პერიოდში თავისი ხალხის უცხო დამპყრობლებისავან მხსნელი, ქვეყნის უღლისავან მხსნელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემქმნელი უნარიანი, ღრმად მოაზროვნე სახელმწიფო მოღვაწე. ისტორიაში ატროპატენას სახელთან დაკავშირებული ატროპატენად წოდებული ტერიტორიები VII საუკუნიდან დაწყებული აზერბაიჯანად მოხსენიება, ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სახელად იქცა.

ატროპატი, ალექსანდრე მაკედონელი, პარფიას სახელმწიფო, ართაბაზდ, რომა, არიობარზანი.

რომელ სახელმწიფოებს იცნობთ, რომელთა დასახელებაც დაკავშირებულია პიროვნების სახელთან და გვართან?

სახელმწიფოს შექმნა. ჩვ.წ.აღ-მდე 331 წელს ეჰემენის სახელმწიფოს ბედის გადამწყვეტ კავკამელას ბრძოლაში ირანის ჯარის მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა მიდიელი სატრაპი ატროპატი. ბრძოლის დასაწყისში ატროპატის მეთაურობით მარჯვენა ფლანგმა მაკედონელთა შემჭიდროებას მიაღწია, თუმცა ფიცხელი ბრძოლის დროს მაკედონელმა მმართველმა ალექსანდრემ მანევრის გზით შეძლო, თავის ცხენოსანი ჯარით ირანელთა ჯარის ცენტრში დაეწყო შეტევა. ეჰმენის მმართველის - დარა III-ის, ამ მოულოდნელი შეტევით შეშინებამ და გაქცევამ ბრძოლისა და ირანის იმპერიის ბედი გადაწყვიტა. ამ ბრძოლის შემდეგ ალექსანდრემ ეჰემენის იმპერიის ძირითადი ქალაქები და დედაქალაქი პერსპოლუ წინააღმდეგობის გარეშე აიღო. კავკამელას ბრძოლის შემდეგ ატროპატმა თავისი სამხედრო რაზმები მიდიის სატრაპოს ცენტრ ექბათანში აღარ დააბრუნა და ზოროასტრიზმის რელიგიის ძირითად ცენტრად ცნობილ ქალაქ კაზაქაში წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ექბათანში გამოქცეულმა დარა III-მ აქ ხელახლა ჯარის შეგროვება სცადა. მან ატროპატიც თავის ჯართან შემოსაერთებ-ლად მოიწვია, მიდიას სატრაპმა ამ მოწოდებას პასუხი არ გასცა.



ატროპატი

თქვენი აზრით, რატომ უარყო ატროპატმა დარა III-ის მოწოდება?

ასეთ პირობებში დარა III ქვეყნის აღმოსავლეთით დაიძრა. თუმცა გზაში თავისი მომხრეების მიერვე იქნა მოკლული. ამრიგად, ეჰემენის იმპერია მთლიანად დაიშალა. იმპერიაზე გაბატონებულმა ალექსანდრემ ჩვ.წ.აღ-მდე 330 წელს გამოსცა ბრძანება და ქვეყნის მმართველი ყველა სატრაპი თანამდებობიდან გაანთავისუფლა.

ჩვ.წ.აღ-მდე 328 წელს ალექსანდრემ ატროპატი დაიბარა და კვლავ მიდიის სატრაპად დანიშნა. ის ხალხში დიდი ავტორიტეტის მქონე ატროპატის დაახლოებით დაპყრობილ

[1] ***ატროპატი*** – ძველ ირანულ ენაზე "ცეცხლის დამცველს" ან "ცეცხლის, ალის მფლობელს" ნიშნავს.

ტერიტორიაზე განმტკიცებას ეცდებოდა. თუმცა ალექსანდრემ ეჰემენის დროინდელი მიდიის სატრაპო ორად გაყო: სამხრეთი - დიდი მიდია (ცენტრი ეკბათანი) თვითონ შეინარჩუნა, ჩრდილოეთი - მცირე მიდია (ძველი მანა) ატროპატს გადასცა მმართველობაში. ამის მიზეზი იყო ის, რომ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა ეკბათანზე, მეორის მხრივ კი სამხრეთ მიდია იმპერიის აღმოსავლეთ ურთიერთობებში ძირითად როლს ასრულებდა. ატროპატის გატარებულმა ღონისძიებებმა ხალხში მისი ავტორიტეტი გაზარდა. ჩვ.წ.აღ-მდე 327 წელს ალექსანდრემ ინდოეთი დალაშქრა. როგორც კი მან დატოვა ქვეყანა, მიდიის სატრაპოს გარდა ირანში დაიწყო კინკლაობები. მაკედონიელების თვითნებობების წინააღმდეგ დაწყებული უკმაყოფილება ცოტა ხნის შემდეგ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყების მეთაური მიდიელი ბარიაქსი იყო. ატროპატმა გაითვალისწინა, რომ ალექსანდრეს ამ აჯანყების გამო ხალხი შეიძლება დაესაჯა, ამიტომ აჯანყება ჩაახშო, ბარიაქსი კი ტყვედ აიყვანა.

შეადარეთ ატროპატი და ბარიაქსი. ჩაატარეთ მათი საქმიანობის განხილვა



ამაზონი ქალი ბრძოლაში

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ალექსანდრემ უკანონობის რამდენი მმართველები ჩამოახრჩო. ატროპატი ალექსანდრეს მიერ ინდოეთის დალაშქვრის შემდეგ თავისი თანამდებობის შემნარჩუნებელი ერთადერთი სატრაპი იყო. ის ალექსანდრეს პატივისცემით შეხვდა, მას საპატიო შეხვედრა მოუწყო, მას ცნობილი მიდიური ცხენები აჩუქა.

"მიდიის სატრაპმა ატროპატმა ალექსანდრეს ასი ამაზონკა[2] ქალი აჩუქა. მათ მეომარი მამაკაცივით ეცვათ. თუმცა ხელში შუბის ნაცვლად თებერზინი[3] და მსუბუქი ფარი ეჭირათ..."

ბერძენი მეცნიერი არიანი ატროპატის შესახებ

ამიტომაც ატროპატმა თავისი ქალიშვილი ალექსანდრეს ერთგულ მხედართმთავარს პერდიქს მიათხოვა. ჩვ.წ.აღ-მდე 323 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა. იმპერიის მართვა პერდიქს ჩაბარდა. ამან ატროპატის პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცა. ჩვ.წ.აღ.-მდე 321 წელს პერდიქის მოკვლის შემდეგ მცირე მიდია დარჩა ატროპატის მმართველობაში. ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შედეგად რამდენიმე სახელმწიფო შეიქმნა. **მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლის მიერ საფუძველჩაყრილი ერთადერთი სახელმწიფო ატროპატის სახელის მატარებელი ატროპატენას სახელმწიფო გახდა.**

"მიდია ორ ნაწილად იყოფა. იმ ნაწილს, რომლის ცენტრიც ეკბათანია დიდი მიდია ეწოდება... მეორე ნაწილი ატრპოატის მიდიაა, მისი სახელი აღებულია სარდალი ატროპატიდან, რომელმაც თავისი ტერიტორიის დიდი მიდიის მსგავსად მაკედონელების მმართველობის ქვეშ მოქცევა არ დაუშვა... ახლანდელ ხანაშიც მმართველობა მისი გვარის წარმომადგენლებს ეკუთვნით".

სტრაბონი, ნაწარმოებიდან "გეოგრაფია"

განმარტეთ ატროპენას სახელმწიფოს შექმნის ისტორიული მნიშვნელობა

ზერბაიჯანის ისტორიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემქმნელ რომელ პიროვნებებს იცნობთ?

[2] ***ამაზონკა*** – ბერძნული მითოლოგიის თანახმად მცირე აზიაში და კავკასიაში დასახლებული მებრძოლი ქალები.
[3] ***თებერზინი*** – ორპირი ცული.

ატროპატენას სახელმწიფოს წყობა და მართვა. ატროპატენა საზოგადოებრივ-პოლიტი-კური წყობის მიხედვით იყო მონათფლობელური მონარქია. სახელმწიფო იმართებოდა ატროპატების მიერ.

ტერიტორია. ატროპატენა ძირითადად სამხრეთ აზერბაიჯანსა და ჩრდიოეთი აზერ-ბაიჯანის ზოგიერთ სამხრეთ ტერიტორიებს მოიცავდა, თუმცა აღზევების ხანაში უფრო ვრცელ ტერიტორიებს ფლობდა.

M

"ატროპატენას ყველაზე ძლიერი და ბრძენი მმართველის, ატროპატოებისა და მეზობელ ხალხებ-ზე მმართველობის მქონე აზერბაიჯანის დროს სახელმწიფოს საზღვრებმა დასავლეთით ფაზისამდე (საქართველოში მდინარე რიონი), ზემოთ პონტის (შავი ზღვა) მიაღწია, აღმოსავლეთით კი იგი ჰირკანის (კასპიის) ზღვამდე აღწევდა".

ბერძენი ისტორიკოსი პოლიბი ატროპატენას შესახებ

წყაროს თანახმად განსაზღვრეთ თანამედროვე რუკა ართაბაზანის ხანის ატროპატენას რო-მელ ტერიტორიებს მოიცავს.

ატროპატენას დედაქალაქი ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლების) რელიგიის ცენტრად მიჩნეული ქალაქი კაზაქა იყო. ანტიკური ხანის ავტორებს მოცემული აქვთ ინფორ-მაცია ატროპატენაში ქალაქების ფრაასპას, ფანასპას და აკნაზანას შესახებ.

ატროპატენას მოსახლეობა და სამეურნეო ცხოვრება. ანტიკური ხანის ავტორები იძლევიან ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ატროპატენას ძირძველ მოსახლეობასთან ერთად აქ დასახლდნენ მაკის, კადუსის, მუკისა და კასპის ტომები.

მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით. მეურნეობის სხვა სფეროებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეცხენეობა. ატროპატენაში მოშენებული ცხენები მთელ აღმოსავლეთში იყო ცნობილი. ჩინეთში მათ "სამოთხის ცხენებს" უწოდებდნენ. ხელოსნობის სფეროებს შორის ძირითადი ადგილი ეკავა მექოთნეობასა და ლითონის დამუშავებას.

ატროპატენა ჩვ.წ.აღ-მდე III I საუკუნეებში. ატროპატენას სამხრეთი მეზობელი ჯერ იყო სელევკის (სირიის) სახელმწიფო, ჩვ.წ.აღ-მდე II საუკუნიდან დაწყებული კი პარ-ფიას სახელმწიფო იყო. ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებამდე ტერიტორიების მომცველი სელევკის სახელმწიფოში ჩვ.წ.აღ-მდე 223 წელს მმართველობაში მოსული ანტიოხ III მოულოდნელად დაესხა თავს ატროპატენას.

?

ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შედეგად რომელ სახელმწიფოს იცნობთ? რით განსხვავდებოდა ატროპატენა ამ სახელმწიფოებისაგან?

ატროპატენას მმართველმა ართაბაზანმა საომრად მზად არ ყოფნის გამო სელევკის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფნა მიიღო, თუმცა ჩვ.წ.აღ-მდე 190 წელს ანტიოხ III-ის მაგნეზიის ბრძოლაში რომაელებთან დამარცხების შედეგად ატროპატენამ თავისი და-მოუკიდებლობა აღიდგინა. ჩვ.წ.აღ-მდე II საუკუნის მე-2 ნახევრიდან დაწყებული, პარფიამ და მასთან აუცილებლად ატროპატენამ რომის აზიის სიღრმის მიმართულებით წინსვლის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა. ატროპატენა და პარფია რომს ბერძენ-მაკედონიელი დამ-პრყობლების მემკვიდრედ აღიქვამდნენ და ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ.

თქვენი აზრით აღმოსავლეთით-აზიასა და დასავლეთით-ევროპას შორის შეჯახებას როგორ უნდა შევხედოთ, როგორც სახელმწიფოებს შორის, თუ როგორც კულტურებს შორის დაპირისპირებას? შეეცადეთ თქვენი მოსაზრება ფაქტებით გაამყაროთ.

სტრაბონი "გეოგრაფია" ნაწარმოებში წერდა: ატროპატენა სამხედრო ძალის თვალსაზრისით ძალიან ძლიერი ქვეყანაა, რადგან მას ბრძოლაში 10 ათასი ცხენოსანი და 40 ათასი ქვეითის გამოყვანა შეუძლია."

რომმა მცირე აზია სრულად დაიპყრო სირიასა და პალესტინაში გამაგრდა. **თუმცა ჩვ.წ.აღ-მდე 53 წელს კრასსის მეთაურობით რომის არმია ქალაქ კარას სიახლოვეს ბრძოლაში პარფიას მხრიდან განადგურებული იქნა.** ბრძოლებში პარფიის ჯარის შემ-ადგენლობაში ატროპატენელი მებრძოლებიც გამოირჩეოდნენ. პარფია, რომელიც ეცდებოდა

რომაელთა აზიიდან სრულად განდევნას ჩვ.წ.აღ-მდე 38 წელს მომხდარ ბრძოლაში დამარცხდა. რომის აღმოსავლეთი ოლქების მმართველად მიჩნეულმა ანტონიმ, ამ გამარჯვებით აღფრთოვანებულმა, მეთაუროზა აიღო საკუთარ თავზე და ჩვ.წ.აღ-მდე 36 წელს 100 ათასიანი ჯარით დაიწყო ლაშქრობა.

ფრაასპას გმირული დაცვა. სტრაბონის მიერ ატროპატენას მმართველების ზამთრის რეზიდენციად წოდებული ფრაასპა ჩვ.წ.აღ-მდე 36 წლის შემოდგომაზე ანტონიოს ჯარის მიერ ალყაშემორტყმული იქნა. მთელი მოსახლეობა აღდგა დასაცავად და ძირითადი ძალების მოსვლამდე დაიცვა ქალაქი.

"ფრაასპაში ალყაშემორტყმულმა მიდიელებმა (ატროპატენელებმა) დაბანაკებულთა მიმართულებით შემტევი წინა ხაზზე მდგომი რომაელი მებრძოლები შეაშინეს და უკან გააბრუნეს. ამაზე გარისკებულმა ანტონიომ სამხედრო გამოჩენილი ყოველი ათი ჯარისკაციდან ერთი სიკვდილით დასჯა".

პლუტარქე ნაწარმოებიდან "შედარებითი ავტობიოგრაფიები"

ქალაქის დასაცავად მოსული პარფიისა და ატროპატენას მხედრები ანტონის ალყის მოწყობილობების და მანქანების დამცველ რაზმებს თავს დაესხნენ, 10 ათასი რომაელი მოსპეს, ყველა მანქანა დაამტვრიეს.

დამარცხებით განრისხებული ანტონი იძულებული იყო უკან დაეხია. ატროპატენას ჯარმა უკან დამხევ რომაელებს მცირე აზიამდე სდიეს და მას მძიმე დარტყმები მიაყენეს. მთლიანობაში ანტონიმ ატროპატენაში 35 ათასი მებრძოლი დაკარგა.



ფრაასპას დაცვა

ატროპატენას მმართველი ართაბაზდიმ გამარჯვებასთან დაკავშირებულ დღესასწაულზე ნადავლს შორის რომაელი ლეგიონერების დროშებიც წარუდგინა ხალხს. ამ გამარჯვების შემდეგ მოკავშირეებს შორის ურთიერთობები დაირღვა. ამის მიზეზი იყო ის, რომ პარფიას სურდა დაეპყრო ატროპატენა და თავის შემადგენლობაში შეეყვანა. ურთიერთობების გაუარესება გახდა იმის მიზეზი, რომ ატროპატენამ შეცვალა საგარეო პოლიტიკა. ართაბაზდმა რომის მმართველად ქცეულ ოქტავიანთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები და შვილი არიობარზანი რომში გაგზავნა. ოქტავიანი ატროპატენასთან მოკავშირეობას მაღალ შეფასებას აძლევდა და მას რომის

აზიაში ძირითად საყრდენად მიიჩნევდა. არიობარზანი რომის იმპერატორის ოქტავიან აუგუსტუს მმართველობის პერიოდში 10 წელიწადი რომში ცხოვრობდა.

შეაფასეთ ართბაზდინის საგარეო პოლიტიკა.

ართბაზდინის გარდაცვალების შემდეგ ოქტავიანი ჩვ.წ.აღ-მდე მე-20 წელს არიობარზანს ატროპენას მმართველობაში მოსვლაში დაეხმარა. მან, ატროპატენის მეზობლად, მცირე აზიაში მცხოვრებ სომხებზეც მმართველობა არიობარზს გადასცა.

"...ამის შემდეგ გამოყოფილი და წარმოდგენილი, შვილის კაის მიერ დამორჩილებული ეს ხალხი (სომხები) მე (ოქტავიანმა) ატროპატენელების მეფის ართაბაზდინის შვილს, მეფე არიობარზან მმართველობასს გადავეცი განკარგულებაში...".

სიძველეთა ძეგლებზე წარწერებიდან "აუგუსტუნის საქმეები".

თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ოქტავიანის მიერ სომხებზე მმართველობა არიობარზანს გადაეცა?

არიობარზანის მმართველობა I საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა. რომაელი ისტორიკოსი თასიტი არიობარზანს ახასიათებდა, როგორც „ტანად და მორალური თვისებებით გამოჩენილ, გამორჩეულ მიდიელს." ჯერ არიობარზანის, ცოტა ხნის შემდეგ კი ოქტავიანის გარდაცვალებამ პარფიის გააქტიურებას მისცა ბიძგი.

პარფია იყენებდა ყველა ეკონომიკურ და პოლიტიკურ საშუალებას, რათა დაებრუნებინა ატროპატენა თავისი გავლენის ფარგლებში. ჩვ.წ.აღ-მდე 20 წელს ატროპატიების შთამომავლების ბოლო წარმომადგენლის არიოვასტის სიკვდილის შემდეგ პარფიამ ატროპატენა დაიპყრო და მის სახელმწიფოებრიობას ბოლო მოუღო. ატროპატენა, როგორც ტერიტორიული ერთეული პარფიის არშაკიების შთამომავლების დამარცხებამდე მის შემადგენლობაში დარჩა.



არიობარზანი

რომელ აზერბაიჯანელ მმართველს იცნობთ, რომელმაც ორ სახელმწიფოს შორის მანევრირებით შეძლება დაუცვა დამოუკიდებლობა?

2. რომელი ფაქტორებია მნიშვნელოვანი სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაცვისათვის?

3. მოამზადეთ რეფერატი ატროპატის როგორც მხედართმთავრისა და მმართველის შეფასების შესახებ.

4. განსაზღვრეთ ატროპატენას სახელმწიფოს დაშლის მიზეზები.

5. ვენის დიაგრამით შეადარეთ მანისა და ატროპატენას სახელმწიფოები.



6

ალბანეთის სახელმწიფო

*ალბანეთი ჩრდილოეთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილი პირველი ჩვენი სახელმწიფოა. მონათმფლობელობის ხანაში ჩვ.წ.აღ-მდე **IV–III** საუკუნეებში შექმნილი ალბანეთის სახელმწიფომ ძლიერი სახელმწიფოების შეტევისა და დაპყრობების მიუხედავად, სახელმწიფოებრიობა **VIII** საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა და ისტორიის სცენიდან წაიშალა, როგორც განვითარებული ფეოდალური სახელმწიფო.*

ალბანელი ტომები, ანტიკური ავტორები, ოროსესი, ქოზისი, პომპეუსი.

ალბანეთის სახელმწიფოს შექმნა. ჩრდილოეთი აზერბაიჯანის მდინარეებს მტკვარსა და არაქსს შორის მდებარე ტერიტორია ჩვ.წ.აღ-მდე VII საუკუნეში სკვითთა (იშგუზთა) თურქული სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. ჩვ.წ.აღ-მდე VI-IV საუკუნეებში ამ ტერიტორიის ერთი ნაწილი ჯერ მიდიის, შემდეგ კი ეჰემენის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. დიდი სახელმწიფოების შემადგენლობაში ყოფნის დროს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მცხოვრებმა ტომებმა და ტომთა გაერთიანებებმა წინა აზიაში პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობით, ლაშქრობებსა და ომებში მონაწილეობით სამხედრო გამოცდილება მოიპოვეს. ეჰემენის დროს ქვეყანაში საფინანსო-საგადასახადო სისტემის გამოყენებამ, სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებამ, მსხვილი საცხოვრებელი პუნქტების შექმნამ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში დააჩქარა კლასობრივი საზოგადოების შექმნა. უკვე ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში მცხოვრები ტომები ერთი სახელის ქვეშ - ალბანელი ტომები გაერთიანდნენ ყოველივე ამას ეჰემენელთა მმართველობისათვის ბოლოს მომღები ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის დროს ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნის ბოლოს დამოუკიდებელი ალბანეთის სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა.


კასპიის ზღვა
ალბანეთი
სპერი
ალბანეთის მეფე
ალბანეთის დედაქალაქი
ალბანეთის ტერიტორია
ალბანეთის საზღვარი
ალბანეთის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვარი
ალბანეთის ადმინისტრაციული ერთეულის დედაქალაქი
ალბანეთის ადმინისტრაციული ერთეული
ალბანეთის ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება
ალბანეთის ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდება, რომელიც ალბანეთის სახელმწიფოს შექმნამდე არსებობდა

ალბანეთის ქალაქები და ოლქები. I საუკუნეში მცხოვრები რომაელი მეცნიერი დიდი პლინი მიუთითებდა, რომ ალბანეთის დედაქალაქი იყო ქაბალაქა (კებელე). გეოგრაფი კლავდი პტოლემეუ წერდა, რომ ალბანეთში იყო 29 ქალაქი, მათ შორის კებელე, შამახი, მდინარე ალბანის აუზში ქალაქი ალბანა.

"ალბანეთის ქამბისენას ოლქი იბერიელებს ესაზღვრება. იბერიიდან ალბანეთში გზა უწყლო და ქვიან ქამბისენას ოლქში მდინარე ალაზანის მიმართულებით მიდის. ალბანების ქვეყანას კასპიანას ოლქიც მიეკუთვნება, მისი და ზღვის სახელი კასპის ტომების სახელიდანაა აღებული. ალბანეთის უთის ოლქში მდებარეობს ქალაქები აინიანა და ანარიაქა."

სტრაბონი ნაწარმოებიდან "გეოგრაფია"

ძველ დროში ჰერბაიჯანში დაარსებული ქალაქებიდან, რომლები დარჩნენ თანამედროვე პერიოდამდე?

სახელმწიფო წყობა და მისი მართვა. ალბანეთის სახელმწიფოს მართავდა ხელმწიფე. ალბანეთში ხელმწიფეები თანაც ჯარის მეთაურად ითვლებოდნენ. ანტიკური ხანის სხვა ავტორები პლუტარქე და დიონ ქასი იტყობინებოდნენ, რომ „რომის მთავარსარდლის პომპეუსის ლაშქრობის დროს ალბანურ ჯარს ხელმწიფე ოროუსი მეთაურობდა." ჩვ.წ.აღ-მდე IV-III საუკუნეების დასაწყისში ალბანეთში სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ფული გამოიყენებოდა.



ალბანელი მმართველების მოჭრილი ვერცხლის ფული

"ამჟამად ალბანურ ტომებს ერთი ხელმწიფე მეთაურობთ, მაგრამ წინათ თითოეულ ტომს თავისი მმართველი ჰყავდა".

სტრაბონი ნაწარმოებიდან "გეოგრაფია"

ჩვ.წ.აღ-მდე III საუკუნის პირველი ნახევრიდან ალბანელმა ხელმწიფეებმა დაიწყეს საკუთარი ფულის მოჭრა. ეს ალბანეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, ეკონომიკური თვალსაზრისით გაძლიერებისა და მმართველი ხელისუფლების სიმტკიცეს უჩვენებდა. ანტიკური ხანის ავტორები მიუთითებენ, რომ ალბანეთში მოსახლეობის ზედა ფენა რამდენიმე ჯგუფად იყოფოდა და სახელმწიფო მმართველობაში განსაზღვრულ თანამდებობებზე მუშაობდნენ. მათ მიერ მოწვდილი ინფორმაციის თანახმად ქვეყანაში არსებობდა მონათმფლობელური ურთიერთობები, გასაგები ხდება, რომ ხელმწიფისა და ზედა ფენელების მეურნეობებში მონური შრომა გამოიყენებოდა. თუმცა ალბანეთში მონური შრომის გამოყენებას არ ჰქონია ისეთი გავრცელებული ხასიათი, როგორიც ჰქონდა იგივე ხანის სხვა ქვეყნებში. ძირითადი მწარმოებლები თავისუფალ ადამიანთა ფენა იყო.

ზემოთ აღნიშნულების საფუძველზე, რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ალბანეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობის შესახებ?

ალბანეთის მეურნეობა. მეურნეობის დარგებს შორის წამყვანი ადგილი ეკავა მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას. ვაკე ტერიტორიებზე მარცვლეულის ნათესი ფართობები მდინარეების საშუალებით ირწყვებოდა. ანტიკური ავტორები აღნიშნავდნენ, რომ ალბანელებს უფრო მესაქონლეობისაკენ აქვთ მიდრეკილება. ისინი გვატყობინებენ, რომ ასევე მისდევდნენ მეცხენეობასა და მეაქლემეობას. არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, რომ ალბანეთში განვითარებული იყო მევენახეობა-მეღვინეობა. ასევე არსებობს ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ალბანელები მისდევდნენ მებაღეობას, მებოსტნეობასა და მეთევზეობას.



მოხატული ბრინჯაოს სამაგრი. ანტიკური ხანა (კალათოფე აღჯაბედის რაიონი)

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური აღმოჩენები მოწმობს იმას, რომ ალბანეთში ხელოსნობის მრავალი სფერო - მქსოველობა.

მექოთნეობა, მჭედლობა, იუველირობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული. სახელმწიფოს შექმნის შემდეგ გაფართოვდა სავაჭრო ურთიერთობები. საერთაშორისო სავაჭრო გზების ალბანეთზე გავლამ დადებითი გავლენა მოახდინა ხელოსნობის დონის ამაღლებაზე. ქვეყნის შიდა ვაჭრობაშიც ფული ფართოდ გამოიყენებოდა.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების შემაერთებელი, რომელი საგაჭრო გზა გადიოდა აზერბაიჯანზე?

ბრძოლა უცხოური მტრების წინააღმდეგ. ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში მცირე აზიის დიდი ნაწილის დამპყრობი რომის სახელმწიფო აღმოსავლეთის მიმართულებით შეტევებს აფართოებდა. ჩვ.წ.აღ-მდე 66 წელს რომის მხედართმთავარმა პომპეუსმა კავკასიის მიმართულებით დაიწყო ლაშქრობა და მდინარე მტკვართან მოღწევისას დაბანაკდა. ალბანეთის მმართველს ოროუსს არ სურდა მტრის არმიისათვის მიეცა ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობა და 40 ათასიანი ჯარით შეტევაზე გადავიდა. ალბანთა თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად, უფრო კარგად შეიარაღებულმა, დიდი სამხედრო გამოცდილების მქონე რომაელებმა გაიმარჯვეს. ალბანელებთან შეთანხმების შემდეგ რომაელებმა იმპერიის მიმართულებით დაიწყეს მოძრაობა. ალბანეთის სახელმწიფომ კვლავ შეკრიბა ძალები, რომის ჯარს უკან დაედევნა მდინარე კანიხის (ალაზნის) სანაპიროების მიმართულებით. პომპეუსმა დაინახა, რომის არმიისათვის სახიფათო მდგომარეობა და ჩვ.წ.აღ-მდე 65 წელს კვლავ შეუტია ალბანეთის არმიას.



კოზისა და პომპეუსი ბრძოლის დროს

"ალბანეთის არმია შედგებოდა 60 ათასი ქვეითისა და 12 ათასი ცხენოსნისაგან, მაგრამ ისინი ცუდად იყვნენ შეიარაღებულნი. მათ ოროუსის ძმა ქოზისი მეთაურობდა. ბრძოლის დროს ქოზისმა პომპეუსს შეუტია. მას ისარი სტყორცნა, პომპეუსი ჯავშანმა იხსნა. პომპეუსის საპასუხო სროლის შედეგად კი კოზისი სასიკვდილოდ დაიჭრა".

პლუტარქე ნაწარმოებიდან "შედარებითი ავტობიოგრაფიები"

განმარტეთ ალბანელების დამარცხების მიზეზები. შეეცადეთ დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრებები.

ბრძოლა ისევ რომაელების გამარჯვებით დამთავრდა. ამ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელი აპიანი წერს: "... დატყვევებულ ალბანელებს შორის კაცებზე არანაკლებად დაჭრილი მრავალრიცხოვანი ქალი იყო." პომპეუსმა ჯარი რამდენიმე დღე დაასვენა და კვლავ დაიწყო ლაშქრობა. ის ალბანეთის შიდა ოლქების დაპყრობით კასპიის სანაპიროებზე გასვლას ცდილობდა, მართალია ოროუსმა ძირითადი ძალებით უკან დაიხია, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა და რომაელების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა.

რა თვისებები ახასიათებს პარტიზანულ ბრძოლას? ისტორიაში, რომელ ქვეყნებში მომხდარ პარტიზანულ მოძრაობებს იცნობთ?

პომპეუსმა დაინახა ალბანელთა ძლიერი წინააღმდეგობრიობა და ლაშქრობა შეაჩერა. მან მოითხოვა, რომ ალბანეთის მმართველი ხლებოდა მას. ორეუსი არ მივიდა, თუმცა წერილი და საჩუქრები გაუგზავნა და მშვიდობა შესთავაზა. პომპეუსმა მშვიდობიანი შეთანხმება მიიღო და უკან დაბრუნდა. ჩვ.წ.აღ-მდე 36 წელს ანტონიმ აღმოსავლეთით დიდი ლაშქრობის დროს თავისი მხედართმთავარი კანიდი სამხრეთი კავკასიის მიმართულებით გააგზავნა.

M *„კანიდმა იბერთა მმართველი დააშარცხა ის თავის მოკავშირედ აქცია, მეზობელ ალბანეთს შეუტია. მძიმე ბრძოლაში კანიდმა ალბანთა ხელმწიფის ზობერის ჯარი დააშარცხა. იბერიის მმართველის მსგავსად, ზობერმაც პირობა დადო, რომ იქნება რომის ერთგული და იმოქმედებს როგორც მისი მოკავშირე...“.*


დიონ კასი კანიდის ალბანეთში შემოსევის შესახებ

I საუკუნეში პარფიის მიერ ანტროპატენის დამოუკიდებლობის ბოლოს მოღების შემდეგ ალბანე-თის მმართველებმა სამხრეთიდან მომავალი საფრთხისაგან დაცვისათვის რომთან კავშირები გააძლიერეს.

M *„თავიანთი ელჩების საშუალებით ალბანელ, იბერ და მიდიელ მმართველებს ჩვენთან მეგობრობა სურთ.“*

რომის იმპერატორს ოქტავიან აუგუსტოს ნაწერებიდან

? *თქვენი აზრით, ამ წყაროების საფუძველზე რომსა და ალბანეთს შორის ურთიერთობების შესახებ რა დასკვნის გამოტანა შეიძლება?*



კობუსტანის კლდეზე ამოკვეთილი წარწერა

IMPERATORI CAESARI DIVI IVLI F AVGVSTO PONTIFICI MAXIMO IMP XII LEGIONES

ქობუსტანის წარწერაზე იკითხება

I საუკუნეში რომსა და ალბანეთს შორის ურთიერთობების არსებობის მაჩვენებელი სხვა წერილობითი წყარო კობუსტანშია ნაპოვნი.

რომის იმპერიაც პარფიას წინააღმდეგ ბრძოლაში ეცდებოდა გამოეყენებინა ალბანეთი და იბერია. I საუკუნეში მცხოვრები სარდლისა და ისტორიკოსის იოსიფ ფლავიუსის ინფორმაციის თანახმად: „იმპერატორმა ტიბერიმ იბერ და ალბან ბასილევსებს (მმართველებს) პარფიის ხელმწიფის ართაბანის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის საკმარისი ფული გამოუგზავნათ...“. II საუკუნეში რომის იმპერატორმა ადრიანმა ალბან მმართველებს ძვირფასი საჩუქრები გამოუგზავნა. ალბანეთსა და რომს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობები III საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში და მდინარე დონის სანაპიროებზე მცხოვრები ალანთა ტომები I–III საუკუნეებში დერბენდისა და დარიალის უღელტეხილებიდან სამხრეთ კავკასიაში და წინა აზიაში ლაშქრობდნენ. ალანი ტომების შემოსევების ძირითადი მიზანი ძარცვა-გლეჯვის გზით ნადავლის ხელში ჩაგდება იყო. ალანების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლაშქრობა მოხდა 72-74 წლებში. ალბანეთზე გავლით ალანებმა ატროპატენას მმართველი პარფიის მემკვიდრის ძალები დაამარცხეს, ქვეყანა გაძარცვეს და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ უკან. სამხრეთიდან პარფიის, დასავლეთიდან რომის ზეწოლის მიუხედავად, ალბანელი მმართველობის ძალისხმევის შედეგად ალბანეთმა შეძლო სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება.

? *1. რომელი ფაქტით შეიძლებათ დაასაბუთოთ ჩვ.წ.აღ-მდე I საუკუნეში ალბანეთში წერის კულტურის არსებობა?*

2. თქვენი აზრით კობუსტანში არსებული ლათინურენოვანი წარწერა რასთან დაკავშირებით შეიძლება გვქონდეს?

3. შეადგინეთ ძველ დროში არსებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა და სახელმწიფოებისადმი მიძღვნილი ქრონოლოგიური ცხრილი.

4. გამოარკვიეთ I საუკუნეში ალბანეთის რომთან დაახლოების მიზეზი.




7

კულტურა

ძველ დროში ჩვენი წინაპრები თავიანთ საცხოვრებელ და თავდაცვისათვის მნიშვნელოვანი ნაგებობების შექმნით არქიტექტურის ხელობის პირველ ნიმუშებს უერიდნენ საფუძველს. მათ ცხოვრებისათვის სხვა მოძრავებიც არ ავიწყდებოდათ, გამზადებულ თითოეული სახის საყოფაცხოვრებო თუ საცხოვრებლების ნიმუშებს მხატვრული შესახედაობითა და მორთულობით ქმნიდნენ.

ჰესენლი, ზივიე, რელიეფი, დამწერლობა, ჰიეროგლიფიკა, "ავესტა", ელინის კულტურა, კერამიკა.

დამწერლობა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დამწერლობის წარმოშობის ისტორიას ძალიან ღრმა ფესვები აქვს. მისი ანბანზე ადრეული ხანა პიქტოგრაფიული (სურათით წარწერა) და იდეოგრაფიული (აზრის სურათებით გამოხატვა) წერით ხასიათდებ.ა სხვადასხვა სურათებისა და სიმბოლოების საფუძველზე ფორმირებული გამოსახვის საშუალებით განსაზღვრული ინფორმაციების მოცემა პირველად დამწერლობად ითვლება. ასეთი ინფორმაციების ნაწერებად გარდაქმნის ძირითადი მიზანი, მომხდარი მოვლენების დამახსოვრების აუცილებლობა იყო.




კლდეზე გამოსახულებები კობუსტანში

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ ძველ ნივთებზე, პირად ჭურჭელზე, ცხოველების, მცენარეებისა და ადამიანების სურათები ცოტა როდია. აზერბაიჯანში პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშები აღმოჩენილია კობუსტანში, ყაზახში, გედებეიში და ნახჩევანში. მხოლოდ კობუსტანში 720 კლდეზე შესრულებულ ნახატში 6 ათასზე მეტი გამოსახულებაა.

თქვენი აზრით, კობუსტანში არსებული გამოსახულებები შეიძლება ჩათვალოს დამწერლობის სახედ?

ძველი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლეობა ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლეულში ლურსმნულ დამწერლობას იცნობდა. ზივიეში ნაპოვნი ვერცხლის სინზე ამოკვეთილი ნიშნების უმრავლესობა მანაში ადგილობრივი მოსახლეობის დამწერლობის ტიპის არსებობას ადასტურებს. ეს ნიშნები იეროგლიფებად ითვლება მანას დამწერლობა.



მანას დამწერლობა

მიდიის ტერიტორიაზე ნაპოვნი იქნა ვერცხლის ჭურჭელი, რომლებზეც არის ლურსმნული დამწერლობა. ალბანელი მოსახლეობა იცნობდა ლათინურ ანბანს. ანტიკური ავტორები ჩვ.წ.აღ-მდე 65 წელს ალბანეთის მმართველის ოროესა და პომპეუსს შორის მიმოწერის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას.

რაზე მიანიშნებს აზერბაიჯანში ძველი დამწერლობის სისტემის არსებობა?

არქიტექტურა და ხელოვნება. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციათა რკალზე მდებარეობა, რეგიონში მომხდარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დიდ გავლენას ახდენს კულტურის განვითარებაზე.

სამხრეთ აზერბაიჯანში ამერიკული არქეოლოგის რობერტ დაისონის ხელმძღვანელობით ექსპედიციამ ირანელ არქეოლოგებთან ერთად 1956 წლიდან დაწყებული ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ურმიის ტბის სამხრეთ სანაპიროზე, ჰესენლი, მის ახლო ტერიტორიაზე კი ზივია საცხოვრებელი პუნქტი აღმოაჩინეს.

ჰესენლისა და ზივიეს აღმოჩენები მოწმობენ, რომ მანაში მეტალის დამუშავება მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ძველი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქსოველობა წამყვანი ხელობა იყო. ჰესენლიში აღმოჩენილი სხვადასხვა ქსოვილების ნარჩენები მოწმობს, რომ ქსოვის საქმეში ცხვრის მატყლი გამოიყენებოდა. მანელი მებრძოლები თავიანთი მქსოველების მიერ დამზადებულ გრძელ, მუხლებამდე მწდომ ტანსაცმელს ატარებდნენ.



რობერტ დაისონი ოქროს ჯამით

რა იყო აზერბაიჯანში მქსოველობისა და ხელოსნობის განვითარების მიზეზი?

აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონებში ორგანიზებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს ალბანური კულტურის ამსახველი საკმაო რაოდენობის მატერიალურ-კულტურული ნიმუშები გამოაშკარავდა. არქეოლოგიურ ექსპედიციებს შორის თავისი შედეგიანობით ყურადღება მიიპყრო მინგეჩაურის, შამახის, კებელესა და კახის ექსპედიციებმა. აზერბაიჯანული არქეოლოგების მხრიდან ყარაბაღში ქვისაგან აგებული 19 ადამიანის ძეგლი იქნა ნაპოვნი. ეს მოქანდაკეობრივი ძეგლები ადასტურებენ ძველ დროში ყარაბაღის მთისა და ვაკის ნაწილების ერთიან ეთნო-კულტურულ სივრცეში არსებობას.

ალბანეთში საცხოვრებელი სივრცეები, ძირითადად მდინარეების სანაპიროებზე, ნოყიერ მიწებზე, სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელ ქალაქებში მდებარეობდა. ზოგიერთი დასახლებები სპეციალურად გათხრილ ღრმა თხრილებში ჩანს და ინახება (კებელე, კალაგაჰ, შორთეფე) ქვისაგან აშენებული თავდაცვითი ზღუდეები (კირლარ) ან კიდევ მიწა კედლით ან თხრილით ბრუნავდა (შორთეფე). წვრილ ოთახებთან ერთად, ძველ აღმოსავლურ არქიტექტურაში არსებულ ფორმებში აგებული დიდი, სვეტოვანი სალონების მქონე სასახლის ტიპის ბინებიც იყო.


ჰესენლის ჯამი


ჰესენლი

მანელები ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. ლოცვისათვის აშენებულ სალოცავებში ღმერთების ძეგლები იდგმებოდა. სხვადასხვა ნივთებზე მანას ლეგენდებთან დაკავშირებული სცენები იყო გამოსახული. მანას მითებში სხვადასხვა ზღაპრული არსებებს (გრიფონი, ფრთიანი ყოჩი, ადამიანი სახიანი ხარი, ფრთიანი სფინქსი და სხვ) მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ჰესანლიში ნაპოვნი ოქროს ჯამის ზედაპირზე არსებული გამოსახულებები, მანელების რელიგიურ ხედვასთან იყო დაკავშირებული.



ჰესენლის ჯამის ღია ფორმა

როგორ წარმოედგინათ მანელებს ღმერთები? განსაზღვრეთ გამოსახულებებზე რომელი ღმერთებია მოცემული.

რას უჩვენებენ არქეოლოგიური გათხრების დროს ჰესენლიში და ზივიეში ნაპოვნ ნივთებზე მოცემული გამოსახულებები?

მდიდარი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მქონე ატროპატენას ტერიტორია ისტორიულად ადამიანის ფორმირებაში ქვეყანაში ერთ-ერთი პირველ დასახლებათაგანი იყო. ეს ტერიტორია საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდების ამსახველი ძეგლების ადგილსამყოფელია. ატროპატენელებმა ზოროასტრიზმი შექმნეს და ამ რელიგიას ეთაყვანებოდნენ. ამ რელიგიის წინასწარმეტყველებს მაკები ეწოდებოდათ.





ზოროასტრიზმის ატრიბიტები

ზოროასტრიზმის რელიგიის შესახებ. ისტორიული გადმოცემის თანახმად, ეს რელიგია ჩვ.წ.აღ-მდე VII საუკუნის მეორე ნახევარში - VI საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ზერდუშტის სახელთან არის დაკავშირებული. ეს რელიგია ადამიანებს ერთღმერთიანობისაკენ მოუწოდებს. ეს რელიგია ზერდუშტს შეუქმნია. მათი წმინდა წიგნია "ავესტა". ამ რელიგიას ირანში და შუა აზიაში ეთაყვანებოდნენ. ამ რელიგიაში ცეცხლს თაყვანს სცემდნენ, ამიტომ მას ცეცხლთაყვანისმცემლობა ეწოდება. თქმულების თანახმად „ავესტას" პირველი ვარიანტი ალექსანდრე მაკედონელის პერსოპოლში ეჰემენიების სასახლის გადაწვის დროს განადგურდა. ამ წმინდა წიგნის ჩვ.წ.აღ-მდელი ნაწილები ირანში სასანიების დროს კვლავ შეგროვდა. ფრანგი მეცნიერი ანკეტილ დუპერონი ინდოეთში ცხოვრებისას აქაური ადამიანების ზოგიერთების ხელში ავესტას ეგზემპლარებს ხედავდა.

მან აქ წიგნის რამდენიმე ნაწილი შეიძინა, ფრანგულ ენაზე გადათარგმნა და ევროპაში გამოსცა. ამ რელიგიაში ცეცხლი, წყალი და მიწა წმინდად ითვლებოდა. ამ რელიგიის თანახმად ხეირი და შარი ერთმანეთთან იბრძვიან, თუმცა ბოლოს ხეირი გამოდის გამარჯვებული. ამჟამად ამ რელიგიას 100 ათასზე მეტი მომხრე ჰყავს. ინდოეთში (სპარსებს) და ირანში (კებრებს) ამ რელიგიის უფრო მეტად სწამთ. ზოროასტრიზმის რელიგიის ცენტრი იყო სამხრეთ აზერბაიჯანში მდებარე ატროპატენას სახელმწიფოს დედაქალაქი, ქალაქი კაზაქა. აქ არსებული მთავარი სალოცავი ბიზანტიელებმა გაანადგურეს.

თქვენი აზრით, რა იყო ატროპატენაში ზოროასტრიზმის ფართოდ გავრცელების მიზეზი?

ამ დროს არსებობდა სასახლე, ცეცხლის ტაძარი და საოჯახო სკოლები. სასანიების მმართველობის დროს განათლების კერებს, ქვეყნის ეკონომიკურ-საზოგადოებრივ განვითარების შესაბამისად დაწყებითი სკოლები და განსაზღვრული პროფესიული სკოლები დაემატა.

ატროპატენას ტერიტორიაზე არსებული სალოცავი კერიფტო გარშემო მცხოვრები მოსახლეობის დღესასწაულების ჩატარების, რელიგიური რიტუალების აღსრულების, შეწირვისათვის (ყურბნისათვის) შეკრების ადგილად იქცა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი კერიფტოში ნაწერი ტექსტი მოწმობს, რომ აქ ერაკლემ თაყვანი სცა სალოცავს. მაშასადამე, ჩვენს წელთაღრიცხვემადე, ატროპატენას მოსახლეობა ბერძენი, ანუ ელინის კულტურას იცნობდა და მოსახლეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ბერძნულ ღმერთებსაც ეთაყვანებოდა.

ძველი ბერძენი მეცნიერის სტრაბონის ინფორმაციის თანახმად, ალბანელები ზევსს - ზეცის, ჰელიოს - მზის, სელენა - მთვარის ბერძნულ ღმერთებს ეთაყვანებოდნენ. ანტიკური ავტორის ნათქვამის თანახმად, ალბანები სელენას უპირატესობას ანიჭებდნენ.



კერიფტოს ტაძარი

როდის დაიწყო ძველ აზერბაიჯანში ელინის კულტურის გავრცელება?

1. რომელი ძველიდან ჩანს ელინის კულტურის გავლენა ატროპატენაზე?
2. რა განსხვავებებს ხედავთ ატროპატენელებისა და ალბანელების რელიგიურ რწმენას შორის?
3. ძველი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე რომელმა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა არქიტექტურის განვითარებაზე?
4. წყაროების საფუძველზე წარმოადგინეთ ძველი ხანის ადამიანების ცხოვრების წესში ცვლილებების კულტურაზე ასახვა.
5. შეავროვეთ ინფორმაცია ძველ აზერბაიჯანში გამოყენებული წერითი სისტემების შესახებ.



II. აზერბაიჯანი III-XI საუკუნეებში

ახალი ერის პირველ საუკუნეებში ევროპისა და ბევრი აღმოსავლეთის ქვეყნისაგან განსხვავებით აზერბაიჯანში მონათმფლობელურმა ურთიერთობებმა ღრმად ვერ გაიდგეს ფესვები. სამეურნეო საქმიანობაში, განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოებაში უპირატესად მონის შრომით კი არა, თავისუფალი სოფლელების შრომით უფრო მეტად სარგებლობდნენ. უკვე III-IV საუკუნეებიდან დაწყებული აქ სოფლელი–ფეოდალი (მესაკუთრე) ურთიერთობების გამოყენება დაიწყო. მართალია ამ დროს ალბანეთი დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, ატროპატენას სახელმწიფოებრიობა დაკარგული ჰქონდა და პარფიაზე და სასანთა სახელმწიფოებზე იყო დამოკიდებული.

ადრეულ შუა საუკუნეებში – III-XI საუკუნეებში აზერბაიჯანის ტერიტორია როგორც ადრე კვლავაც ხშირ–ხშირად უცხოურ შემოსევებს განიცდიდა. ჩრდილოეთის ტომების თავდასხმები იყო განუწყვეტელი. დასავლეთით კი რომი და მისი პოლიტიკური მემკვიდრე ბიზანტიის იმპერია, ასევე მათი მხარდამჭერი სხვა დამპყრობლები აზერბაიჯანს ავიწროვებდნენ. III საუკუნეში ისტორიის სცენაზე გამოსახული სასანთა იმპერიაც და ჩრდილოეთი კავკასიაც მათ შორის აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში ჩაებნენ. ჩრდილოეთის ტომების ალავმისათვის ცნობილი დერბენდის კედელი, სასანთა მხრიდან ალბანეთის ტერიტორიაზე აშენდა. ამ დროს ახალი რელიგია – ქრისტიანობა გავრცელდა კავკასიაში. ალბანეთში იგი სახელმწიფო რელიგიად იყო მიღებული. არაბული შემოსევების შემდეგ კი აზერბაიჯანში ფართოდ გავრცელდა ისლამის რელიგია, ქვეყანაში არსებულ რელიგიურ გაფანტულობას, დაპირისპირებებს ძირითადად ბოლო მოეღო.

IX საუკუნის პირველ ნახევარში ბაბექის მეთაურობით ხურამიების მოძრაობამ არაბთა ხალიფატების საყრდენები შეარყია. ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის ტრადიციები კვლავ აღდგენილ იქნა, გარკვეული დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეიქმნა. აზერბაიჯანის აღორძინების კულტურასაც ამ დროს ჩაეყარა საფუძველი.



8

აზერბაიჯანი სასანელთა ხანაში

III–VII საუკუნეებში აზერბაიჯანის ბედი იმ ხანის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოსთან სასანთა იმპერიასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ატროპატენა ერთ-ერთი მეორეხარისხოვანი პერიფერია იყო, მან სახელმწიფოს რელიგიური ცენტრის როლი შეასრულა. ალბანეთმა კი ნაწილობრივ თვითმმართველობის უფლება შეინარჩუნა.

(სასანები, კავარი, ნეჰენგი, ბერდა, ქრისტიანობა, ზოროასტრიზმი, მანის მოძღვრება, მეზდექი.)

ფეოდალურწყობიანი სასანელთა სახელმწიფო. საკმაოდ ბევრი სახელმწიფოს შუა საუკუნეების ისტორია, პირველ რიგში, ფეოდალურ წყობასთან არის დაკავშირებული. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფეოდალურმა საწარმოო ურთიერთობებმა მონათმფლობელობის ფართოდ გავრცელებულ ქვეყნებთან შედარებით უფრო ადრე, უკვე III საუკუნეში დაიწყო გავრცელება. ამ დროიდან დაწყებული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დაიწყო ადრეული შუა საუკუნეები. ფეოდალიზმის პირველ ხანებში აზერბაიჯანში სახელმწიფო საკუთრებას კერძო, ფეოდალის საკუთრებასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა. რაც უფრო ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობები, მიწები თანდათანობით ფეოდალური საგვარეულოს ხელში გადადიოდა. ამ დროს აზერბაიჯანში განვითარდა მიწათმოქმედება, მეცხოველეობა და ხელოსნობა, ახალ ქალაქებს ჩაეყარა საფუძველი, ძველი ქალაქები კი კიდევ უფრო აყვავდა.

ძირითადად რით განსხვავდებოდა ფეოდალური წყობილება მონათმფლობელური წყობილებისაგან?

226 წელს ირანში ხელისუფლებაში მოსულმა ერდეშირმა 651 წწ-მდე არსებულ სასანთა სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. სასანთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდში აზერბაიჯანის ტერიტორია ამა თუ იმ დონით ამ სახელმწიფოსთან იყო დაკავშირებული.

ალბანეთისა და ატროპატენას ტერიტორია. ამ ხანაში ალბანეთი ჩრდილოეთით კავკასიის მთებამდე, სამხრეთით-მდინარე არაქსამდე, დასავლეთით-იბერიიდან აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე ტერიტორიას მოიცავდა. ალბანეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით ოლქებად-კავარებად და პროვინციებად ნეჰენგებად იყოფოდა. ალბანეთის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული ტერიტორია 11 კავარისაგან შედგებოდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანები კებელე, შექი და ქამბისენა იყო. მარცხენა სანაპიროზე ალბანეთში ასევე ლპინა და ჩოლაც შედიოდა.




აზერბაიჯანი IV–VII საუკუნეებში

ალბანეთის მტკვრის მარჯვენა სანაპირო ნაწილი კი შედგებოდა ოთხი მსხვილი პროვინციისაგან: არსახი, უთი, ფაითაქარანი და სუნიქი. თითოეული მათგანი კავარებად (ოლქებად) იყოფოდა.

რუკაზე განსაზღვრეთ მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე არსებული ტერიტორიები.

ძველი ატროპატენას მიწები კი სასანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ პერიოდში მის შემადგენლობაში იყო და ადურბადაგან (სიტყვა–სიტყვით "ცეცხლის სადარაჯოზე მყოფი ქვეყანა") ეწოდა. ადრეულ სასანთა ხანაში ადურბადაგანის საზღვრები დიდი ალბათობით, პარფიის სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი ატროპატენას საზღვრებს ემთხვეოდა. სასანელთა სახელმწიფოში ადურბადაგანი ადრე სახელმწიფოს ერთ–ერთი შეჰრი[1] იყო.



ნეკში რუსტემის ეპიტაფიიდან

შაფურ I-ის (241–272) ხელისუფლების დროინდელ ნეკში–რუსტემში აღმოჩენილ ამოტვიფრულ წარწერაზე სასანელთა სახელმწიფოს შეჰრებს შორის ადურბადაგანისა და ალბანეთის სახელებიცაა მოხსენიებული. ამ დროს ადურბადაგანიც (სამხრეთი აზერბაიჯანი) იმპერიის სხვა ადგილებივით იმართებოდა. სასანელთა ხანაში ვილაიეთებს, ძირითადად, სასანის სასახლიდან დანიშნული მოხელეები მართავდნენ.

რა სახით იმყოფებოდა ატროპატენა პარფიის შემადგენლობაში?

სასანთა მეფე ხოსროვ I ენუშირევანის (531–579) მიერ VI საუკუნის შუა ხანებში გატარებული ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად ოთხი მსხვილი ჯანიში – ქუსტი (მხარე) შეიქმნა. ამ დროს როგორც ალბანეთი, ისე სამხრეთი აზერბაიჯანი "აზერბაიჯან ქუსტის", ანუ ჩრდილოეთი ჯანიშის შემადგენლობაში იყო.



ხოსროვ I ენუშირევანის მეტალის ფული

ალბანეთი სასანელთა ხანაში. ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დაწყებული ალბანეთში პერფიელი არშაკიების ერთი შტო ალბანელი არშაკიები იყვნენ ხელისუფლებაში. VII საუკუნის ალბანელი ისტორიკოსი მოისეი კალანკატი ამ დინასტიის ათ მმართველს ასახელებს. ალბანეთის I არშაკი ხელისუფალმა კოჩაკ ვაჩაკან I-მა ქვეყნის ყველა ოლქი შეაერთა და შექმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო. III-V საუკუნეებში ალბანეთი უკვე ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო იყო. ამ სახელმწიფოში ხელმწიფე იყო ქვეყნის კანონმდებელი, მთავარი მოსამართლე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

რა იგულისხმება ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს ცნებაში?

IV საუკუნის ბოლო მეოთხედში სამხრეთი კავკასია ბიზანტიასა და სასანთა სახელმწიფოს შორის გავლენის სფეროებად დაიყო. ამ დროს ალბანეთი სასანელთა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო. ალბანი მმართველი ურნაური (313–371) როგორც ირანის შაჰის შაპურ II-ის მოკავშირე მონაწილეობდა სასანელ–რომაელთა ომებში. 359 წელს ამიდისა და 371 წელს დზირავის ბრძოლებში სასანელთა მხარეს იბრძოდა.

კიდევ რა იცით ამიდისა და დზირავის ბრძოლების შესახებ?

[1] ***შეჰრი*** – ქვეყანას ან ოლქს ნიშნავს.

ალბანელი ისტორიკოსის თანახმად, ის "დიდ ომებში წინაპართა საპატიო სახელის ღირსეულ მემკვიდრედ გამოდიოდა. სომხეთში გამარჯვების დროშის აღმმართველი ვაჟკაცი" იყო.[2]

444 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ვაჩე II-მ ქალაქ ბერდას (პარტავი) ჩაუყარა საფუძველი, დედაქალაქი კებელიდან აქ გადმოიტანა. ვაჩე II–ის მმართველობა ირანის წინააღმდეგ ბრძოლით ხასიათდებოდა. ის თვითონ 457–463 წლებში მეთაურობდა გამანთავისუფლებელ მოძრაობას. ამ მოძრაობის ჩამხშობმა სასანიებმა ალბანეთს დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ჩამოართვეს მმართველის ყოლის უფლება. ამ პერიოდში ქვეყანა სასანი ჯანიშის – მერზბანის მიერ იმართებოდა.

487 წელს ალბანეთის ტახტზე ავიდა ალბანელი არშაკების დინასტიის ბოლო წარმომადგენელი წმინდა ვაჩაკან III. მისი ხელისუფლების პერიოდი ალბანეთის პოლიტიკური და კულტურულ–რელიგიური აყვავების ხანად შეიძლება დახასიათდეს. ის, ქვეყანაში ჯერ რელიგიური ერთიანობის მიღწევას შეეცადა და 488 წელს აგუენში[3] (ამჟამინდელი აღდამის რაიონის ტერიტორია) ეკლესიის კრება მოიწვია. ამ ეკლესიის კრებაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. აგუენის კრების გადაწყვეტილებები ადრეული შუა საუკუნეების ალბანეთის შესახებ დღემდე მოღწეული ერთადერთი ისტორიულ–სამართლებრივი დოკუმენტია. მის საფუძველზე სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების სოციალური და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ შესაძლებელია წარმოდგენის შექმნა. ვაჩაკან III-მ აგუენის მეჯლისი ალბანეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის დამოუკიდებელი ალბანური ეკლესიის საყრდენის გაძლიერების მიზნით მოიწვია. აგუენის კანონებმა ქრისტიანობის ფეოდალური საფუძვლები მოაწესრიგა, ამით ალბანთში ფეოდალური ურთიერ-თობების კიდევ უფრო განვითარებას შეუწყო ხელი.

ვაჩაკან III-ის შემდეგ 510 წლიდან დაწყებული ალბანეთი კვლავ სასანი მერზბანების მხრიდან იმართებოდა. ალბანელი არშაკიების ხანაში ალბანეთის პოლიტიკური წყობა შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო.

"აგვანი (ალბანი რედ.) მმართველი ვაჩაკანის დროს მორწმუნეებსა და ეპისკოპოსებს, სამღვდელოებასა და მათ დამხმარეებს, დაბალ ფენებს შორის გაჩნდა უკმაყოფილება. ასეთ ვითარებაში, მმართველს [ეკლესიის] შეკრების: დიდი თავყრილობის მოწვევის სურვილი გაუჩნდა".

მოისეი კალანკატი "ალბანეთის ისტორია"

წარმოდგენა ვაჩაკან III როგორ იცავდა ქრისტიანობას ალბანეთის სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით?



იესო ქრისტე და 12 მოციქული

რელიგიური შეხედულებები. ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ალბანეთში შეიქმნა პირველი ქრისტიანული საზოგადოებები. ამ დროს ქრისტიანობას კუდშიდან, სირიიდან მოსულები ავრცელებდნენ. ჰევარი (აპოსტოლის)[4] ხანის სახელით ცნობილი ეს პერიოდი IV საუკუნემდე გაგრძელდა. II (ელინოფილი) საფეხური 313 წელს ურნაირის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით იწყება. ურნაირი მონოთეისტი (ერთღმერთიანობა) რელიგიის – ქრისტიანობის დახმარებით ალბანეთის სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერებასა და ზოროასტრიზმის გავრცელების აღკვეთას ეცდებოდა. მისი მემკვიდრეებიც ამ პოლიტიკის გაგრძელებას ეცდებოდნენ. ასე, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობასთან ერთად, ზოროასტრიზმი, ბუდიზმი და სხვა რელიგიების მიმდევრებიც იყვნენ.

[2] ***აზერბაიჯანის ისტორია*** – 7 ტომად, ტომი II, გვ.54.

[3] ***ქალაქი აგუენი*** – შუა საუკუნეებში ბერდადან დებილში (დივში) მიმავალ სავაჭრო გზაზე, ამჟამინდელი აღდამის რაიონის სოფელ ბოიაჰმადლის სიახლოვეს საცხოვრებელი ადგილის – გოგურკალას ტერიტორიაზე მდებარეობდა.

[4] ***აპოსტოლი*** – ბერძნულად ელჩს ნიშნავს.

ზოგადად, ისლამის რელიგიის გაჩენამდე არსებულ რელიგიებს შორის სწორედ ქრისტიანობა მრავალი მორალური, ზნეობრივი და სხვ. მიდგომების თვლასაზრისით ისლამთან ახლოს მდგომ რელიგიად ითვლება. შემთხვევითი არ არის, რომ ისლამის რჯულს იუდეველებს, ქრისტიანებს „წმინდა წიგნად“ (ანუ ღმერთის მხრიდან გამოგზავნილი წმინდა წიგნებისა სჯერათ) მიაჩნიათ და მათ სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან შედარებისას უფრო მეტი პატივისცემით მოპყრობას უწევენ რეკომენდაციას. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქრისტიანული რელიგია გარკვეულწილად გავრცელდა და უფრო მეტიც ალბანეთი ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის დონეზე მიმღები ერთ-ერთი პირველი სახელმწიფოთაგანი იყო.





(შეკის რაიონი, სოფელ ქიშში არსებული ტაძარი)

განსაზღვრეთ ქრისტიანობისა და ისლამის მსგავსი და განმასხვავებელი თვისებები.

ატროპატენას ტერიტორიაზე იმ პერიოდში წამყვანი რელიგია ზოროასტრიზმი იყო. ცეცხლთაყვანისმცემლებისათვის წმინდა და ყველაზე საპატიო ცეცხლის ტაძრად მიჩნეული იყო ადურკუშნასპი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ამჟამინდელი ტექტი-სულეიმანის ადგილას მდებარეობდა. სასანი მეფეები ტრადიციის თანახმად ამ ტაძარს მოინახულებდნენ და მოილოცავდნენ ხოლმე. ეს ტაძარი იყო სახელმწიფოსა და რელიგიის ერთიანობის ატრიბუტი.

ატროპატენას ტერიტორია სასანელთა სახელმწიფოში რა თვალსაზრისით ასრულებდა ცენტრალურ როლს?

III საუკუნეში სასანელთა სახელმწიფოში პიროვნებამ, რომელსაც ერქვა მანი საფუძველი დაუდო მოძღვრებასა და მოძრაობას, რომელიც ფართოდ გავრცელდა. მანის სურდა, რომ ყველა რელიგია ერთი, ერთიანი რელიგიით შეეცვალა. იგი თავის მოძღვრებაში ცდილობდა ზოგიერთი რელიგიის ელემენტების შეერთებას. მანის მოძღვრებამ გარკვეულ რელიგიურ მიმდინარეობებზე, ამასთან V-VI საუკუნეებში გავრცელებულ მეზდექიების მოძრაობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა.

V საუკუნის ბოლოს მეზდექის მიერ საფუძველჩაყრილი მოძრაობა რომელიმე პიროვნების საკუთრების უარყოფაზე, თანასწორობის გამოყენებაზე იყო მიმართული. მაზდექიელების მანიელებისაგან განსხვავებით სწამდათ კეთილის ბოროტზე გამარჯვებისა.

1. თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს ფეოდალური წყობის, მონათმფლობელობასთან შედარებით პროგრესულობა?


2. რა შეგიძლიათ თქვათ ატროპატენას მნიშვნელობის შესახებ სასანელთა სახელმწიფოსათვის?

3. რა მნიშვნელობა ჰქონდა ალბანეთის სახელმწიფოსათვის აგუენის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს?

4. რა მხრივ ითვლება ქრისტიანობა ისლამთან შედარებით ახლოს მდგომ რელიგიად?

5. რომელი რელიგიები და რელიგიური მოძღვრებები იყო გავრცელებული ისლამის რელიგიამდე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე?

6. რუკას საფუძველზე შეადგინეთ ალბანეთის სხვადასხვა კავარებისა (ოლქების) და ნუჰეწყების (პროვინციების) შესახებ ცხრილი.



9

ᲒᲘᲠᲓᲘᲛᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ. ᲯᲐᲕᲐᲜᲨᲘᲠᲘ

*ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ **VII** ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲛ ᲯᲐᲕᲐᲜᲨᲘᲠᲛᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ – ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲕᲐᲜᲨᲘᲠᲛᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲛ ᲨᲔᲪᲕᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ.*

ᲛᲘᲰᲠᲐᲜᲘᲔᲑᲘ, ᲒᲘᲠᲓᲛᲐᲜᲘ, ᲕᲐᲠᲐᲖ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ, ᲯᲐᲕᲐᲜᲨᲘᲠᲘ

ᲛᲘᲰᲠᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ. ფეოდალი მიჰრანიების მოდგმამ ალბანეთში VI საუკუნის ბოლოს - VII საუკუნის დასაწყისში მიაღწიეს პოლიტიკურ უპირატესობას. მიჰრანიების მოდგმის მეთაური მიჰრი, მოისეი კალანკატის თანახმად პოლიტიკური დევნისაგან თავის დაღწევის მიზნით ირანიდან ალბანეთის გირდმანის ოლქში მოვიდა. მიჰრიმ და მისმა გამგრძელებლებმა თანდათანობით შეძლეს, რომ ალბანეთი დაემორჩილებინათ. ეს დინასტია ალბანეთის დამოუკიდებლობის პოლიტიკას ატარებდა. მიჰრამიები უკვე 630 წლიდან დაწყებული მოღვაწეობდნენ, როგორც ალბანეთის დიდი მთავრები.



სასან – ბიზანტიელთა ომი

ალბანეთი სასანი – ბიზანტიისა და სასანი – არაბების ომის დროს. 624-628 წლებში ალბანეთი სასანელ-ბიზანტიელთა ომის ბრძოლის მოედნად გადაიქცა. ამ დროს ალბანეთი ჯერ კიდევ სასანი მერზბანიების მიერ იმართებოდა.

გირდმანის მმართველმა ვარაზ გრიგორმა თავი ბიზანტიელი იმპერატორის ირაკლის ვასალად გამოაცხადა.

629 წელს ბიზანტიასთან დადებული ზავის თანახმად, მართალია ალბანეთი რჩებოდა სასანელთა გავლენის სფეროში, თუმცა 629-630 წლებში ხაზარებმა ალბანეთი დაიპყრეს. ცოტა ხნის შემდეგ ხაზარებს შორის შიგა დაპირისპირებამ ხაზარების ალბანეთზე ბატონობას ბოლო მოუღო. ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ დამოუკიდებლობას ბიზანტიასა და სასანიელთა შორის ომების წარმოების შედეგად სუსტებამაც შეუწყო ხელი. ალბანეთის ტახტი და გვირგვინი ვაზარ გრიგორის (630-642) ხელში გადავიდა.

629 წლის ზავის თანახმად, სასანიელთა გავლენის ქვეშ დარჩენის მიუხედავად, ალბანეთში ამ წლიდან დაწყებული სასანი მერზბანების მმართველობას რატომ მოეღო ბოლო?



ქადისიის ბრძოლა

არაბების სასანიელებზე პირველი შეტევების დროს ვაზარი გრიგორმა თავისი შვილი ჯავანშირი სასანების დასახმარებლად გააგზავნა. 636 წელს **ქადისიის ბრძოლაში** გამოჩენილი გმირობისათვის ჯავანშირი სასანი მეფის იეზდიგერდ III-ის მიერ დაჯილდოებულ იქნა. 637 წელს ალბანთა მთავარსარდალი 6 თვის განმავლობაში სასანელთა არაბთა მხრიდან ალყაშემორტყმული დედაქალაქის ქტესიფონის დაცვაში იღებდა მონაწილეობას. სასანელთა სახელმწიფოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჯავანშირი მიხვდა ამას და სამშობლოში დაბრუნდა.

რატომ არ იბრძოლა ჯავანშირმა არაბების წინააღმდეგ ბოლომდე და დაბრუნდა ალბანეთში?

იგი, ჯერ კიდევ ვაზარ გრიგორის სიცოცხლეშივე ალბანეთის პირველი დიდი იშხანი[1] გახდა. მოისეი კალანკატის თანახმად, "ირანის ომებიდან პატივით დაბრუნებული ჯავანშირი მბრძანებლის განკარგულებით ალბანეთის ყველა საქმეებს ხელმძღვანელობდა..." ის ქვეყანაზე შეტევის განმახორციელებელი სასანელთა ჯარების წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა.



ჯავანშირი

ალბანეთი ჯავანშირის მმართველობის პერიოდში. არაბების მიერ სასანთა სახელმწიფოს განადგურების შემდეგ ჯავანშირმა ბიზანტიასთან ურთიერთობები გააუმჯობესა. მოისეი კალანკატის მოცემული ინფორმაციის თანახმად, ის 654 წელს შეხვდა ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე II-ს და მისგან სამეფო ხალათი და "იესოს მაცოცხლებელი ჯვრის ერთი ნაწილი" მიიღო.

"სენეს, გირდმანის მმართველი და აგვანის კნიაზი... მმართველ ჯავანშირს, მხსნელი ჯვრის კეთილგანწყობას და პატიოსნებას და ჩვენი მმართველ – აუგუსტოს სახელით შენთვის გადმოცემული შერიგების სალამი გამოგიგზავნეთ... ჩვენ და ჩვენს შემდეგ მოსული ბიჭები შენ და შენი მოდგმის მემკვიდრეებს გულთბილად, ურღვევი სიყვარულით თაობიდან-თაობამდე ასწლეულების განმავლობაში დიდსულოვნებით მოვიდებთ."

ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინეს წერილი ჯავანშირს. მოისეი კალაკატი, ნაწარმოებიდან "ალბანეთის ისტორია."

რით ახსნით კონსტანტინეს ჯავანშირისადმი დადებით დამოკიდებულებას?

662 წელს ჯავანშირი ალბანეთს თავს დაესხა, მტკვარი გადალახა და ხაზარელები დაამარცხა. მოისეი კალანკატის ინფორმაციის თანახმად, ამ დროს მან ხაზარელთა მეთაურს უთხრა: "წადი, ჩოლას (ანუ დერბენდის) კარებიდან უკან დაბრუნდი და აქ აღარ მოხვიდე!" ამის მიუხედავად, ხაზარელების 664 წლის ლაშქრობის შემდეგ ჯავანშირმა ვასალობა მიიღო და მათთან ზავი დადო.

[1] ***იშხან*** – ადრეულ შუა საუკუნეებში ალბანეთში მმართველი იყო.

მან ხაზარელებთან ურთიერთკავშირის განმტკიცებისათვის ხაგანის ქალიშვილთან ოჯახი შექმნა.

ხალიფატთან ურთიერთობებშიც ჯავანშირი საკმაოდ მოქნილ პოლიტიკას ატარებდა, ემევიების დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგი ცდილობდა, რომ ბიზანტიას საკმაოდ დაშორებოდა და ხალიფატთან მოეწესრიგებინა ურთიერთობები. 667 და 670 წლებში ჯავანშირი ორჯერ ჩავიდა ხალიფატის დედაქალაქ დამასკოში და შეხვდა ხალიფა მუავის. მართალია, ალბანეთი ამ დროს ოფიციალურად ხალიფატის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყანად იყო გამოცხადებული, ჯავანშირმა ქვეყნის შიგა დამოუკიდებლობის შენარჩუნება და დაცვა შეძლო, მან ხალიფატის მმართველობის მიღებით ალბანეთის ხაზინის შემოსავლების 2/3 ნაწილის არაბებისათვის მიცემის საკითხშიც მოახერხა ცვლილებების შეტანა და ამ ბაჟის 1/3-მდე შემცირება შეძლო.




ბრინჯაოს ბუხურდანი[2] ჯავანშირის გამოსახულებით (სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმი)

ამრიგად, მეზობლებთან – იმ პერიოდის ძლიერ სახელმწიფოსთან, სასანელთა და ბიზანტიელთა იმპერიებთან, ხაზარის სახაგანოსთან და არაბთა სახალიფატოსთან ურთიერთობებში ჯავანშირმა ბრძნული და გაწონასწორებული პოლიტიკის გატარებით წარმატებით შეძლო დაეცვა სიწყნარე თავის სახელმწიფოში. უფრო პატარა სახელმწიფოს მეთაურმა ჯავანშირმა ამ სახელმწიფოების უშუალოდ მეთაურებთან შეხვედრა, მათთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება შეძლო.

? *რით შეიძლება აიხსნას ცვლილებები ჯავანშირის საგარეო პოლიტიკაში?*

თუმცა ბიზანტიის მომხრე ადგილობრივი მმართველების ერთმა ნაწილმა 681 წელს შეთქმულების შედეგად იგი მოკლეს. ალბანეთის ტახტზე ავიდა ჯავანშირის ძმის შვილი ვარაზ ტირიდატი. არაბთა ხალიფამ იგი ალბანეთის სამეფოს მბრძანებლად გამოაცხადა. 705 წელს ვარაზ ტირიდატის არაბების მხრიდან ჩამოცილების შემდეგ ალბანეთმა დაკარგა ვასალობაც და ალბანეთის სახელმწიფოს ბოლო მოეღო.



ჯავანშირის კოშკის გამოსახულება (ისმაილლის რაიონი)

? *1. რატომ ხდებოდა ვირდმანთა სამთავროს გაფიცვება ალბანეთის სახელმწიფოსთან?*

2. რომელ სახელმწიფოებთან იყო ჯავანშირი ჯერ მტრულ, შემდეგ მეგობრულ დამოკიდებულებაში?

3. თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო სწორედ ბიზანტიის მოშორე ადგილობრივი მმართველობის მხრიდან ჯავანშირის მოკვლის მიზეზი?

4. ალბანთა სახელმწიფომ გარკვეული წვლილებით, დაახლოებით რამდენი საუკუნე იარსება?

5. თქვენი აზრით, არაბთა ხალიფამ მუაგამ ჯავანშირი ადრე არაბების წინააღმდეგ ბრძოლების მიუხედავად, რატომ მიიღო მაღალ დონეზე?

6. შეადარეთ ჯავანშირის საგარეო პოლიტიკა თანამედროვე აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკას-თან. განსაზღვრეთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

[2] ***ბუხურდანი*** – ჭურჭელი, რომელშიც ხდება სასიამოვნო ეთეროვანი სუნის გამომშვები მცენარის დაწვა.



10

აზერბაიჯანის შესვლა არაბთა სახალიფატოს შემადგენლობაში

აზერბაიჯანი ისტორიაში შევიდა, როგორც არაბების შემდეგ ისლამის მიმღები ერთ-ერთი პირველი ქვეყანათაგანი. აზერბაიჯანელი ხალხი იქცა რა ისლამური ცივილიზაციის შემადგენელ ნაწილად, მისი წარმატებებით ისარგებლა და მასში თავისი წვლილი შეიტანა.

არაბთა სახალიფატო, ისკანდერ იბნ ფერუხზადი, ჯიზიე, "კარების კარები" "ხმლის მუსლიმანი"

სამხრეთი აზერბაიჯანის გადასვლა არაბების დაქვემდებარებაში. ხალიფა აბუ ბექრის ხელისუფლების დროს, 633 წელს არაბთა ჯარები შევიდნენ ერაყისა და შამის ტერიტორიებზე. არაბების მიზანი ახალი ქვეყნების თავის დაქვემდებარებაში მოქცევასთან ერთად, ისლამის რელიგიის გავრცელებაც იყო. ამრიგად, გარკვეული ხალხების, მათ შორის აზერბაიჯანელების ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებებს ჩაეყარა საფუძველი.

642 წელს ნეჰავენდისა და ჰემედანის ხელში აღებით არაბებს სასანელთა სახელმწიფოს კასპიის სანაპიროს ოლქებზე, მათ შორის აზერბაიჯანზე შეტევის შესაძლებლობა მიეცათ.

აზერბაიჯანის დამორჩილებამდე, რომელი სახელმწიფო წაშალეს არაბებმა ისტორიის სცენიდან?

ვალ-რუზად წოდებულ (ჰემედანსა და კეზვინს შორის) ადგილას, არაბების გამარჯვებულ ერთ-ერთ ბრძოლაში აზერბაიჯანელ მებრძოლეებს აზერბაიჯანის მერზბანი ისკანდერ იბნ ფერუხზადი ხელმძღვანელობდა. 643 წელს კი არაბთა ჯარები აზერბაიჯანში შემოვიდნენ. ერდებილის სიახლოვეს ჯემიდანის მთის ძირას ბრძოლაში არაბებმა გაიმარჯვეს. არაბების კიდევ ერთი გამარჯვების შემდეგ ისკანდერი იძულებული გახდა დაედო მათთან სამშვიდობო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად, აზერბაიჯანის მოსახლეობას "შესაძლებლობის ფარგლებში" უნდა გადაეხადა გადასახადი - ჯიზიე.

"ქალები და ბავშვები, ამასთან საცხოვრებელი საშუალების არ მქონე მძიმე ავადმყოფები, ქონების არ მქონე მწირები ამ გადასახადიდან თავისუფლდებიან..."

ეთ-თებერი "თარიხ ერ-რუსულ გე - ლ - მულქ"


არაბებმა აზერბაიჯანის მთელი მოსახლეობის, მის ბარში, მთებში, განაპირა მხარეებში, საზღვრებზე მაცხოვრებლების, მათი ქონების, რელიგიური საზოგადოების, კანონების წესების დაცვა თავისთავზე აიღეს.

644-645 წლებში აზერბაიჯანელები არაბების წინააღმდეგ. ხალიფა ოსმანის გამოგზავნილმა ჯარმა აზერბაიჯანის სამხრეთი ნაწილი დაიმორჩილა და ძველი ხელშეკრულება აღდგა.



დერბენდის ციხე-სიმაგრე

არაბების მიერ ჩრდილოეთი აზერბაიჯანის დამორჩილება. გერმიდანის ბრძოლამ არაბებს ჩრდილოეთით - ალბანეთისაკენ, კავკასიისაკენ გაუხსნა გზა. არაბები ბაბ ულ - ებვაბად ("კარების კარები") სახელდებულ, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის დერბენდზე იმავე წელს შეტევაზე გადავიდნენ. დერბენდის მმართველი და სასანელთა ჩრდილოეთი საზღვრების მერზბანი - შეჰრიარი უაზრო სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით არაბებთან მოლაპარაკებაში შევიდა. იგი გადასასვლელის დაცვაში მდგომი ადგილობრივი მოსახლეობის ხალიფატთა არმიაში მსახურობის გამო ჯიზიეს გადასახადისაგან გათავისუფლების პირობით არაბებს დაემორჩილა.



აზერბაიჯანი არაბთა ხალიფატის დროს
(VII საუკუნის I ნახევარი – IX საუკუნის II ნახევარი)

მუღანის მოსახლეობამ 644 წელს დადებული ხელშეკრულების თანახმად, არაბების მმართველობა მიიღო. ეთეებერი წერს, რომ ხელშეკრულების პირობების თანახმად "თითოეულმა სრულ წლოვანებას მიღწეულმა ერთი დინარი ან მისი ღირებულების ჯიზიე უნდა გადაიხადოს, მუსლიმანის წინაშე თავაზიანი იყოს, [ცთომილს] გზა უჩვენოს, ერთი დღე-ღამე სახლში უნდა შეინახოს. თუმცა ვინც პირს იბრუნებდა და ამას არ შეასრულებდა, მათ შეწყალება არ ექნებოდათ."

თქვენი აზრით, ვისგან იცრიბებოდა გადასახადები?

თუმცა არაბების აზერბაიჯანში 643-644 წლების პირველი ლაშქრობა, მათი ხაზარებთან მარცხით დამთავრდა. ამ შემოსევის შედეგად არაბებმა ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიის სამხრეთსა და ხაზარის დასავლეთი სანაპიროების მხოლოდ დერბენდამდე ნაწილის დაპყრობა შეძლეს. 644 წლიდან დაწყებული თიფლისიც სახალიფატოს შემადგენლობაში შევიდა და მუსლიმნების დაქვემდებარებაში გადავიდა.

"ხალიფა ალაჰს ეულისთვის, აზერბაიჯანის შესახებ თქვენი კაშკარება ავტორიტეტია და მოგონებები რა არის?
მრჩეველი: ეს თურქული მიწაა. ისინი ეს შეკრებილან, ერთმანეთთან ახლოსაც და ჩამოცილებულან".
იბნ ჰიშამი, VIII–IX საუკუნეების არაბულენოვანი ისტორიკოსი, ხალიფა მუავი I–ისა და მისი მრჩეველის ელ–ჯურჰუმის საუბრიდან.

თქვენი აზრით, რატომ აღნიშნავდა ვანსაკუთრებით მრჩეველი იმას, რომ აზერბაიჯანი თურქული მიწაა?

არაბები დერბენდამდე არსებული ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ 653 წელს ბელენჯერის სიახლოვეს ხაზარელებთან დამარცხდნენ. მიუხედავად ამისა, ათ წელიწადზე მეტი წინააღმდეგობების შემდეგ აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილიც არაბთა სახალიფატოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მთელი აზერბაიჯანის დამმორჩილებელი არაბები პირველ წლებში მხოლოდ გადასახადების მიღებით კმაყოფილდებოდნენ. ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ძალიან არ ერეოდნენ.



აზერბაიჯანელი მეომარი

ამრიგად, პირველი არაბული შემოსევების შემდეგ აზერბაიჯანის სამხრეთი - ადურბადაგანი უშუალოდ სახალიფატოს შემადგენლობაში შევიდა. ჩრდილოეთი-ალბანეთი კი საგარეო დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიუხედავად, სახალიფატოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

არაბების წარმატებების მიზეზები. ისლამის დოგმებმა არაბებს, როგორც ტერიტორიების დაპყრობაში, ასევე ახალი რელიგიის გავრცელებაში იარაღზე მეტი სამსახური გაუწიეს. ისლამის გავრცელების პირველ ხანებში მუსლიმანები დაპყრობილი ტერიტორიების მცხოვრებლების მიმართ საკმაოდ კარგ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ეს თვისებები მათ, შეიძლება ითქვას, რომ, ისტორიის ყველა დამპყრობელისაგან საკმაოდ განასხვავებდა.

ამიტომაც, არაბების პირველი შემოსევების დროს ისლამური დოგმებისადმი ერთგულება სხვადასხვა ქვეყნებთან ერთად აზერბაიჯანის მოსახლეობის მხრიდან მათ მიმართ შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გაწევის მიზეზად უნდა შეფასდეს.

1. თქვენი აზრით, შუა საუკუნეებში მცხოვრები ზოგიერთი ავტორის არა არაბად, არამედ არაბულენოვნად მოხსენიება რატომ არის უფრო გამართლებული?

2. შეადარეთ არაბთა ხალიფატის ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება თანამედროვე ტოლერანტობის პოლიტიკას.

3. განმარტეთ მუსლიმანების მიერ ისლამის გავრცელების პირველ სახელმწიფოებში წარმატებების მიზეზები.



11

ხალიფატის პოლიტიკა აზერბაიჯანში

სასანელთა იმპერიის ყველა ძალისხმევის მიუხედავად, ზოროასტრიზმი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში გაბატონებულ რელიგიად ვერ იქცა. აზერბაიჯანის ჩრდილოეთი და სამხრეთი მიწები პირველად ერთი რელიგიის გავლენის ქვეშ არაბთა ხალიფატის დროს შეერთდა.

არანი, ამილი, ამირი, ყაზი, საემირო, მაჰალი (მხარე) მენთეგე (პუნქტი)

არაბ–ხაზართა ომები. VIII საუკუნის დასაწყისი არაბთა ხალიფატის ყველაზე ძლიერი ხანა იყო. ამ დროს არაბებს აზერბაიჯანში განმტკიცებაში ხაზარელები სერიოზულად უშლიდნენ ხელს. არაბების ხაზარელებთან ომი ასევე აზერბაიჯანის მიწებზეც მიმდინარეობდა. ამ დროს წარმატება მათ შორის ხან ერთის, ხან მეორის მხარეს იყო. მაგალითად, 722 წელს არაბებმა ხაზარელთა ქალაქი ბელენჯერი დაიპყრეს, 731 წელს კი ხაზარელებმა ლაშქრობით სამხრეთ აზერბაიჯანში სავალანის მთის სიახლოვეს გამარჯვება მოიპოვეს. ხაზარელების აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთ საუკუნეზე მეტხანს უწყვეტი შემოსევები მხოლოდ VIII საუკუნის ბოლოს შეწყდა.

“ამბობენ რომ ხაზარელთა უფროსის [ხაგანის] მას ქვეყანაში მერვანთან (ერთად) შემავალი ადამიანების რაოდენობის მათი იარაღის, საშხედრო ძალის შესახებ ამბის მიღებისას მასი გული აღელდა და გაოცდა. ამიტომაც როცა მერვანი მასთან ახლოს იყო, მას ელჩი მოუგზავნა, ან ისლამის მიღება ან ომის არჩევა შესთავაზა, მან უპასუხა: “მე ვიღებ ისლამს, ჩემი მისკენ (ისლამისაკენ) მიმართულების მიმცემი ადამიანი გამომიგზავნე. [მერვანი] ასეც მოიქცა და [ხაგანმა] ისლამი მიიღო და მერვანს დაუმეგობრდა. მან [კი] ის თავის ოლქში მმართველად დატოვა”.

არაბულენოვანი ავტორი ელ–ბელაზური ნაწარმოებიდან *“ქვეყნის მონახობართა წიგნი”*

წყაროს თანახმად, განსაზღვრეთ არაბებმა რატომ არ მოულეს ბოლო ხაზარი სახაგანოს არსებობას.



ხალიფატის ჯარის ქვეითი და ცხენოსანი მებრძოლები (VIII საუკუნის შუა ხანები)



ხაზარი მებრძოლები

გამოთქვით მოსაზრება აზერბაიჯანის ისტორიაში არაბთა ხალიფატისა და ხაზარი სახაგანოს დაპირისპირების როლის შესახებ.

აზერბაიჯანის ხალიფატის დროინდელი ტერიტორია. არაბების კავკასიაზე შეტევების შედეგად იქ არსებული ქვეყნების მიუხედავად ისტორიულ-გეოგრაფიული ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა, მათი ადმინისტრაციული სახელები შეიცვალა. პირველ ხანებში ადურბადაგანი, ალბანეთი და მეზობელი მიწები ახლად შექმნილი არაბთა ხალიფატის ხუთი ოლქიდან ერთ-ერთს შეადგენდა. არაბებმა VIII საუკუნის დასაწყისში კავკასიაში თავიანთი ხელისუფლების განმტკიცებისას, ალბანეთი - როგორც მწყობრიდან გამოყვანილი ქვეყანა არანად წოდებულ ოლქად გადააქციეს. სასანელთა მმართველობის ბოლოსაკენ ალბანეთსა და ატროპატენასთან ერთად, სახელმწიფოს მთელი ჩრდილო ნაწილის მომცავი აზერბაიჯანის (ადურბადაგან) ტერიტორია არაბების ხელისუფლების დროს ჩრდილოეთით დერბენდიდან, სამხრეთით ზენჯანამდე მყოფი ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორია აღნიშნა. X საუკუნის ავტორი იბნ ჰავკელი თავის რუკაზე დერბენდიდან გილანამდე მყოფ ტერიტორიას აზერბაიჯანს უწოდებს. სხვა კიდევ ერთ რუკაზე იგი სამხრეთ აზერბაიჯანს - ადურბადაგანს არანისაგან - ალბანეთიდან მდინარე არაქსით გამოყოფს.

არაბების მოსვლამდე სამხრეთი აზერბაიჯანის ცენტრი ერდებილი, არაბ-ხაზართა ომების დაწყების შემდეგ მარაღა იყო. არანის მთავარი ქალაქი კი კავკასიაში არაბი მემკვიდრეების ახალი რეზიდენცია ბერდა იყო.

შეადარეთ VII საუკუნის აზერბაიჯანის ტერიტორია თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიასთან.

ხალიფატის მართვის სისტემა. არაბებში ამილის ტიტული გადასახადების შეგროვების მაკონტროლებელ მოხელეებს ეძლეოდათ. თუმცა არაბული დაპყრობების პირველ ხანებში დამორჩილებულ მიწებზე გადასახადების აკრეფას ვინაიდან ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ქონებრივი და სამხედრო ხელისუფლება ხშირად ერთი და იგივე ადამიანის ხელში იყრიდა თავს. ამ დროს ამილისა (გადასახადების მაკონტროლებელი) და ამირის (სამხედრო მეთაური) ტიტულებს ერთი სახის ვალის (ჯანიშინინაცვალი) ტიტული ცვლიდა. მომდევნო წლებში კი ამირის, ამილის, აგრეთვე ყაზის (მოსამართლე) თანამდებობები სხვადასხვა ადამიანებს ბარდებოდა.



არაბთა ხალიფატის 707–708 წლებში არანში მოჭრილი ვერცხლის დრაჰმა

არაბები უმრავლეს დაპყრობილ ადგილებში, მათ შორის აზერბაიჯანში ყოფილი ადგილობრივ მმართველების, სასულიერო პირების მიმართ საკმაოდ ლმობიერ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

"ყოფილი სასანელი ნაცვალი არაბებზე დამორჩილების შემდეგაც თავის ერდებილში მდებარე ყოფილ რეზიდენციას ინარჩუნებდა, შეკრებილ გადასახადებს კი ხალიფატის ხაზინაში აგზავნიდა".
არაბულენოვანი ავტორი ელ-ბელაზური ნაწარმოებიდან "ქვეყნის მონაპოვართა წიგნი"

გამოთქვით მოსაზრება არაბების მიერ მათზე ადრე მყოფი სახელმწიფო და რელიგიური მოხელეებისათვის მოსათმენი მდგომარეობის შექმნის მიზეზების შესახებ.

არაბები დაპყრობილ მსხვილ ქალაქებში, საზღვრის ზონებში, სამხედრო ნაწილების, გარნიზონების განთავსებასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მაგალითად, მათ დერბენდში ხაზარელებისაგან თავის დაზღვევის მიზნით ძლიერი გარნიზონი განათავსეს. სწორედ ამ დროს კასაკის (ყაზახი) მსგავსად შემდგომში ქალაქებად გადაიქცა და სამხედრო ბანაკებიც შეიქმნა.

ხალიფატის ჩრდილოეთის საზღვრების განმტკიცება არაბების აქტიური გადასახლების პოლიტიკის პარალელურად ხდებოდა. არაბების აზერბაიჯანში განხორციელებული გადასახლების პოლიტიკა IX საუკუნის I მეოთხედამდე გაგრძელდა. არაბების ამ პოლიტიკის ნაკვალევი თანამედროვე აზერბაიჯანში ზოგიერთი ადგილის დასახელებაში იჩენს თავს.

აზერბაიჯანის ადმინისტრაციული დაყოფა ხალიფატის დროს

საემირო → მხარე → უბანი → სოფელი

ყოველი საემირო **12 მხარედ**, თითო მხარე **12 უბნად** და თითოეული უბანი **12 მხარედ** იყოფოდა

? *არაბების გადასახლების პოლიტიკა პირველ რიგში რა მიზანს ემსახურებოდა?*

რელიგია აზერბაიჯანში. არაბები როგორც არაბეთში, ასევე სხვა ტერიტორიებზე, მათ შორის აზერბაიჯანში, ძირითადად ბუდისტების იძულებით მომუსლიმანებას ეცდებოდნენ. „წმინა წიგნად“ მიმჩნეველ ცეცხლთაყვანისმცემლებს თავის სარწმუნოების შენარჩუნების უფლება სასულიერო გადასახადი- ჯიზიეს გადახდის შემდეგ ეძლეოდათ.

? *რატომ ეცდებოდნენ არაბები სწორედ ბუდისტების მომუსლიმანებას?*

მკვლევარებს ასე მიაჩნდათ, რომ ახალი რელიგია ისლამი სასანელთა სახელმწიფოს არაირანელ მოსახლეობას შორის, მათ შორის აზერბაიჯანელებს შორისაც უფრო სწრაფად გავრცელდა. ელ-ბელაზური უჩვენებს, რომ სამხრეთი აზერბაიჯანის მოსახლეობას უკვე ხალიფა ელის დროს (656-661) ისლამი მიღებული ჰქონდათ და ”ყურანს“ კითხულობდნენ.



“ყურანი-ქერიმი”

? *1. არაბებამდე რომელი სახელმწიფოების შემადგენლობაში იყო აზერბაიჯანის მიწები?*
2. შეადგინეთ ცხრილი ხალიფატის მართვის სისტემასთან დაკავშირებით.
3. შეეცადეთ უჩვენოთ თანამედროვე აზერბაიჯანში არაბული წარმოშობის ადგილის სახელების ნიმუშები.
4. შეეცადეთ განმარტოთ ისლამის აზერბაიჯანელებს შორის საკმაოდ სწრაფი გავრცელება.



12

განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბაბექი

არაბთა ხალიფატი, რომელიც თავის დროის მსოფლიო ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო. მძლავრად შეარყია მოძრაობამ რომლის ცენტრსაც აზერბაიჯანი წარმოადგენდა. ეს მოძრაობა დაემთხვა ხალიფატის ხელმძღვანელობის საწყისი ისლამური ღირებულებებიდან დამორების პერიოდს.


განმათავისუფლებელი მოძრაობა, მგზავრი, ხურამიები, ბაბექი, ბეზი ჰუშტადსერი, აფშინი

ცვლილებები არაბების პოლიტიკაში. ხალიფატი ტერიტორიაზე ჯერ ემევიების შემდეგ კი აბასიების წინააღმდეგ მიმართულ განსაზღვრულ ოპოზიციურ მოწოდებებს აზერბაიჯანის მოსახლეობაც უერთდებოდა. ემევიები, ასევე აბასიების დინასტიიდან მყოფი ხალიფები ისლამის ღირებულებებისადმი ერთგულებას არ იჩენდნენ. არაბებამდე მმართველობაში მყოფი ძალაუფლებადაკარგული ადგილობრივი ფეოდალების მდგომარეობაც VIII საუკუნის დასაწყისიდან სხვადასხვა პროტესტების რაოდენობის გაზრდის მიზეზი გახდა. არაბი ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ მოსახლეობასა და არაბებს შორის განსხვავებული მიდგომა, განსაკუთრებით საგადასახადო პოლიტიკის თანდათანობით გამძაფრებამაც შეიძლება მნიშვნელოვან მიზეზად ჩაითვალოს.

VIII საუკუნის შუა ხანებში ემევიების წინააღმდეგ აზერბაიჯანში მოძრაობას ხელმძღვანელობდა ბეილეგანელი მუსაფირი. ხალიფატის ცენტრში ხელისუფლებისათვის რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლებით მოსარგებლე გარკვეულმა ადგილობრივმა ფეოდალებმა, მათ შორის მუსაფირმაც სცადეს არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლება.

რომელი ფაქტები მოწმობენ იმას, რომ ემევიები და აბასიები ჩამოშორდნენ ისლამურ ღირებულებებს?

ხურამიტელთა მოძრაობა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ხალიფატის წინააღმდეგ ყველაზე აქტიური ბრძოლა კი ხურამიტელთა, კერძოდ ბაბექის სახელთან არის დაკავშირებული. ხურამიტელთა იდეოლოგიაში ისლამურ ღირებულებებთან ერთად ზოროასტრიზმის ელემენტებიც შედიოდა. ხურამიტელთა ისლამის რელიგიის წინააღმდეგ გამოსვლების შესახებ



ბეზის ციხე-სამაგრე

მოსაზრების გამომთქმელ ავტორთა უმრავლესობა ხალიფატთა სასახლის ისტორიკოსები იყვნენ. სინამდვილეში, ეს მოძრაობა მიმართული იყო არა ისლამის, არამედ აბასიელთა აზერბაიჯანში გატარებული მძიმე საგადასახადო პოლიტიკისა და მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ. ხურამიტები იბრძოდნენ სამართლებრივი საზოგადოებისა და სოციალური თანასწორობის მიღწევისათვის. ეს იყო ხალხის საგანმათავისუფლებო მოძრაობა. ფეოდალური ტანჯვის წინააღმდეგ გამოსული ხურამიტები თანაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხურამიტების მოძრაობის მონაწილეები, ძირითადად სოფლელები იყვნენ, ქალაქის მოსახლეობა, ამასთან ადგილობრივი ფეოდალების ერთი ნაწილიც ამ ბრძოლას შეუერთდნენ.

ვისი და რის წინააღმდეგ იბრძოდნენ ხურამიტები უფრო მეტად?

წყაროებში "ელ-მუხამირე" (წითელსამოსიანები) სახელით წარმოდგენილი ხურამიტების 778 და 808 წლების გამოსვლები წარუმატებლად დასრულდა. მეთაურებს-ჯავიდანსა და ებუ იმრანს შორის ურთიერთგაუტანლობის პირობებში მყოფი ხურამიტები 816 წლამდე ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მხოლოდ პატარა გამოსვლებით იყვნენ ცნობილი. ამ წელს ორივე მმართველის სიკვდილის შემდეგ მოძრაობის სოფელ ბილალაბადში დაბადებული, ჯავიდანის ახლო თანამებრძოლი ბაბექი (ნამდვილი სახელი ჰასანი) ჩაუდგა სათავეში. ერდებილის ჩრდილო-დასავლეთით, ახლანდელი ყარადაღის ოლქში მდებარე ბეზის ციხე-სიმაგრე ხურამიტების რეზიდენცია იყო.



ბაბექი

ბაბექი. ბაბექის მეთაურობით დაწყებული აჯანყება ბეზის გარშემო მყოფ ტერიტორიაზე გავრცელდა. ხალიფატზე უკმაყოფილო ზოგიერთი ადგილობრივი ფეოდალიც ბაბექს შეუერთდა. მაზდაიზმზე დაფუძნებული ხურამიტების იდეოლოგიამ ბაბექის მეთაურობით ახალი პოლიტიკური შეფერილობა მიიღო და მკაცრი ბრძოლის ხაზს მიენიჭა უპირატესობა. მცირე დროში ბაბექის მებრძოლთა რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ მხოლოდ ცხენოსანთა რაოდენობამ 20 ათასს მიაღწია.

რით გამოირჩეოდა ბაბექი ხურამიტების წინა მეთაურებისაგან?

"...ხურამიტების წინააღმდეგ ყველაზე აქტიური, გადამწყვეტი და შეუპოვარი ადამიანი გაანეიტრალა, ის ფულით ძალით. ცხენოსანია და ქვეითთა რაზმებით მოამარაგე. თუ ხურამიტების წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდება, მაშინ მათთან ყველა მეგობართან და დამხმარესთან ერთად თვითონ წადი".

ხალიფა მეშუნის თავის მემკვიდრე მუთესიმისათვის მიცემული რჩევა. ეთ-თაბერი. "თარიხ ერ-რუსულ ვე-ლ-მულქ"

რამ აიძულა ხალიფა, რომ თავისი მემკვიდრისათვის მიეცა ასეთი რჩევა?

ზერბაიჯანის სამხრეთი ტერიტორიების უმრავლესობა არაბებისაგან გათავისუფლდა და აჯანყების გარშემო ტერიტორიებზეც გავრცელებით გადაიქცა თავისუფლებისათვის ბრძოლად. ჩრდილოეთი აზერბაიჯანი და თანამედროვე ირანის ოლქების უმრავლესობა აჯანყების ტალღაში გაეხვია. ამასთან ხალიფატის რამდენიმე ცნობილი მოღვაწეც, ბაბექის ძალის გათვალისწინებით, მისი მოკავშირე გახდა.

ხალიფა ელ-მემუნის 819 წლიდან დაწყებული ბაბექის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები ხშირად ხურამიტების მხრიდან დამარცხებას განიცდიდნენ: 829 წელს ჰეშტადსერის მთის სიახლოვეს 30 ათასამდე არაბის მოსპობით დასრულებული ბრძოლა ბაბექის განსაკუთრებულად ბრწყინვალე გამარჯვება იყო.

ხალიფა ელ-მოთესინის დროს მოძრაობამ უფრო ვრცელი ტერიტორიები მოიცვა. ახალმა ხალიფამ შესაძლებლობებს თავი მოუყარა და 833 წელს ხურამიტები ჰემედანის სიახლოვეს სასტიკად დაამარცხა. უფრო მეტიც, ბიზანტიასთან მიმდინარე ხანგრძლივი ომი ოთხი წლის განმავლობაში (833-837) გაიყინა და ხალიფატის მთელი ძალები ბაბექის წინააღმდეგ იყო მობილიზებული.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ არაბები ხურამიტებთან ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ?

ბაბექი შეიძლება შეფასდეს არა მხოლოდ როგორც აჯანყების მეთაური, არამედ როგორც პოლიტიკური მოღვაწე, უფრო მეტიც, როგორც სახელმწიფოს მეთაურიც. ასე რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებზე მისი ხელისუფლება ვრცელდებოდა. ამ დროს ეს მიწები, ბუნებრივია ბაბექისა და მის მიერ განსაზღვრული პირების მიერ იმართებოდა.

შეიძლება თუ არა ბაბექი შეფასდეს როგორც სახელმწიფოს მეთაური? მოისაზრება დაასაბუთეთ

ხურამიტებთან საბრძოლველად არაბთა საბრძოლო რაზმების 835 წელს მთავარსარდლად დანიშნულმა აბშინ ჰეიდარ იბნ კავუსმა სისტემური სახით დაიწყო მოძრაობა. მან აღადგინა ხურამიტების დანგრეული ციხე-სიმაგრეები.

განამტკიცა წესრიგი, ბაბექის ზოგიერთი ახლო თანამებრძოლი მოკვლევინების საშუალებით გზიდან ჩამოიცილა. ბევრმა მოკავშირემ თვითონ დაიწყო ბაბექთან დაშორება. მართალია, რომ 836 წელს ხურამიტებმა მთა ჰეშთადსერის სიახლოვეს კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, 837 წელს ბეზი არაბების მხრიდან აღებული იქნა. ომის სისატიკის შესახებ დიდი სელჯუკთა იმპერიის ვეზირი ნიზამულმულქი გვაწვდის ინფორმაციას, რომ ბეზის აღების დროს განადგურებული იქნა 80 ათასზე მეტი ხურამიტელი.

ბაბექი ბეზიდან გამოსვლისას ბიზანტიის მხარეს გაემართა. თუმცა ყოფილმა მომხრე ალბანეთის მთავარმა სეჰლ იბნ სუმბათმა იგი მოღალატეობრივად შეიპყრო და არაბებს გადასცა. 838 წელს სამირეში, ხალიფას თანდასწრებით სიკვდილით დასაჯეს. ბაბექმა ამ დროს არნახული სიმტკიცე და გამბლეობა გამოიჩინა.

ბაბექის მომხრეებმა 20 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არაბთა 225 ათასი მებრძოლისა და მრავალი სარდლის განადგურება შეძლეს და არაბთა სახელმწიფოს დაშლის პროცესი დააჩქარეს. ბაბექის მიმდევრები შემდგომში ხალიფატის წინააღმდეგ მომხდარი გამოსვლების მონაწილეები იყვნენ.

თქვენი აზრით, ბაბექი ღალატის შედეგად არაბების ხელში რომ არ აღმოჩენილიყო, როგორ შეძლებდა ბრძოლის გაგრძელებას?

“შენ რომ ჩემი გზით გევლო და საკუთარი დინასტიის (სანედას) მემკვიდრე ყოფილიყავი, მაშინ მემკვიდრეობა შეიძლება შენზე გადმოსულიყო, მაშინ რამდენიმე დღის წინ შენ, ნამდვილად, ჩემს შვილად ითვლებოდი.... იქნებ დღეს შემდეგ დიდხანს არ ვაცოცხლო, მაგრამ მე ხელმწიფის (მალიქი) სახელს ვატარებ და მე სადაც არ უნდა ვიყო, ან კიდევ ჩემს შესახებ სადაც არ უნდა და რაც არ უნდა თქვან – მე კვლავ ხელმწიფედ ვრჩები... შენ ჩემი შვილი არა ხარ, რადგან ორმოცი წელი საწყალ მონასავით საცოცხლის გატარებას, ერთი დღე აღასავით ცხოვრება უფრო სჯობია.”

ბაბექის პასუხი შვილს, რომელმაც შესთავაზა, რომ მას შეწყალება ეთხოვა არაბებისათვის.

ეთ-თებერი “თარიხ ერ-რუსულ გელ-ელ-მულქი”

ბაბექის რომელი თვისებები იძლევა შესაძლებლობას, რომ იგი ჩათვალოს გამოჩენილ პიროვნებად?

1. რატომ უნდა მივუდგეთ კრიტიკულად არაბულენოვან წყაროების ხურამიტების შესახებ მოცემულ ინფორმაციებს?

2. ბაბექის შეფასებისთვის გაცემული პასუხიდან მის შესახებ რომელი დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი?

3. თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი იმისა, რომ ატერბაიჯანი გახდა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ცენტრი.

4. გამოთქვით მოსაზრება ბაბექის სახელმწიფოს მეთაურად ჩათვლა – არ ჩათვლის შესახებ.



13

შირვანშაჰების სახელმწიფო. დერბენდის საემირო

IX საუკუნეში ხალიფატის უღლის ქვეშ მყოფ ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოვდა. განვითარდა ფეოდალური ურთიერთობები. მსხვილ ფეოდალებს აღარ სურდათ დამორჩილებოდნენ ცენტრალურ მმართველობას და დაიწყეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ასეთ პირობებში აბასიანთა ხალიფატის დაშლის შედეგად აზერბაიჯანშიც გარკვეული ადგილობრივი სახელმწიფოები შეიქმნა. მათ შორის ყველაზე დიდხანს იარსება შირვანშაჰების სახელმწიფომ. გარდა ამისა აზერბაიჯანში საკუთრების, სალარიდების, რეკადიდების, შედადიდების, დერბენდის საემირო და სხვა ფეოდალური სახელმწიფოებიც წარმოიშვა.

ბაბ ულ-ებვაბი, ჰაშემ იბნ სურაქა, იეზიდ იბნ მეზიედი, სლაკები, ხარკი, მელიქი (მმართველი), გალიეჰდი (ტახტის მემკვიდრე), ფერიბურზ I

შირვანშაჰების სახელმწიფო. შეიქმნა აზერბაიჯანის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ამ სახელმწიფოს არაბული წარმოშობის მაზდიანების დინასტია მართავდა. ისინი აქ თავის დროზე არაბი ხალიფების ჯანიშებად იყვნენ გამოგზავნილები. მაზდიანთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო იეზიდ იბნ მეზიედი. მას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, არანში დაარსა ნახევრად დამოუკიდებელი ფეოდალური სახელმწიფო - საემირო ცენტრით ბერდაში. მისმა შვილმა - მუჰამედმა 859 წელს რეზიდენცია განჯაში გადმოიტანა. ამან მაზდიანელთა ავტორიტეტი აამაღლა. ისინი აზერბაიჯანში განმტკიცდნენ. IX საუკუნის 60-იან წლებში ჰეისემ იბნ ხალიდმა თავი შირვანის დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა და ხალიფატის ცენტრალურ მმართველობასთან კავშირი შეწყვიტა. ამრიგად, 861 წელს შეიქმნა შირვანშაჰების სახელმწიფო.

"შირვანის მმართველი მაზდიანელთა დინასტიიდან ჰეისემ იბნ ხალიდი იყო. 861 წელს ხალიფა მუთვექქილის სიკვდილი ხალიფატში არეულობების მიზეზი გახდა. ამით ისარგებლა ჰეისემ იბნ ხალიდმა და 247-ე (861-862) წელს შირვანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და შირვანშაჰის ტიტული მიიღო".

ლუფულაჰ მუნეჯიმბაში, ნაწარმოებიდან "საზოგადოება - სახელმწიფო"

რისი შედეგი იყო IX საუკუნეში აზერბაიჯანში ფეოდალური სახელმწიფოების წარმოშობა?

შუა საუკუნეების წყაროები აზერბაიჯანის მშვენიერი კუთხის შირვანის მხარის კარგი კლიმატის, დიდი სიმდიდრის, ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობის შესახებ საინტერესო ინფორმაციებს გვაწვდიან. მისი ტერიტორია უძველესი დროიდან მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი იყო. შირვანის ტერიტორია ქარავნების სავაჭრო გზაზე მდებარეობის გამო ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი საშუალების როლს ასრულებდა. ეს ტერიტორია მნიშვნელოვანი იყო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც. შირვანის მიწები სიკვდილისა და უბედურების მომტანი უცხოელთა დამპყრობლური შემოსევების ქვეშ შედარებით ნაკლებად ექცეოდა. ბუნებრივია, ეს მეზობელ ოლქებთან შედარებისას შირვანში მეურნეობის გამოცოცხლებისა და ნაყოფიერი ძალების განვითარებაზე დადებით გავლენას ახდენდა. ამ თვალსაზრისით, როგორც ა. ბაქიხანოვი წერდა "სასიამოვნო ჰაერი, მდელოები, საძოვრები, მტკნარი წყლები და ყველა მხარეს გამავალი

მდინარეები... ზღვისა და მდინარე მტკვრის სანაპიროებზე ვრცელი ნაყოფიერი მინდვრებში უხვი ხორბლის ნათესების, ტყეების, ბაღების მქონე შირვანი“ აზერბაიჯანის სხვა მხარეებისაგან განსხვავდებოდა.

შირვანშაჰების სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც თითქმის შვიდი საუკუნე იარსება, აზერბაიჯანის სხვა ადგილებში ძველი სახელმწიფოების ტრადიციების აყვავებაზე ახდენდა გავლენას, ჩრდილოეთიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემომსევი უცხოელი დამპყრობლების შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლას ამსუბუქებდა. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო უცხოელთა შემოსევებს განიცდიდა, ამ სახელმწიფომ შეძლო საკუთარი თავის დაცვა - შენახვა. მართალია 910 წელს სლავთა (რუსი) რაზმებმა კუნძული სარი გაძარცვეს, მაგრამ შირვანშაჰების ძალების მხრიდან განადგურებული იყვნენ. X საუკუნეში ამ სახელმწიფომ თავისი ტერიტორია გააფართოვა. მოხდა შამახის, კებელეს, ბერდის, შაბრანის, დერბენდის საემიროს, შექისა და სენარიეს ტერიტორიების შირვანშაჰთა სახელმწიფოსთან მიერთება.



აზერბაიჯანი (X–XI საუკუნეებში)



თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის რომელი რაიონები მდებარეობს ყოფილი შირვან-შაჰების სახელმწიფოს ტერიტორიაზე?

უცხოელთა შემოსევები ქვეყანაში, თუმცა სლავებმა 1032-1033 წლებში ალანელებთან და სერირებთან[1] ერთად დედაქალაქი იეზიდიე (შამახი) გაძარცვეს, დერბენდის მმართველის მხრიდან დამარცხებულ იქნენ. XI საუკუნის შუა ხანებში სამხრეთი კავკასია თურქ-სელჯუკების მიერ იქნა დაპყრობილი. 1066 წელს ფერიბურზ I-მა (1063-1096) შიდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობით სელჯუკთა ვასალური პირობები მიიღო და ყოველ წელს სულთანის ხაზინაში 40 ათასი დინარი ხარკი უნდა გადაეხადა. ვასალურ მდგომარეობაში ჩავარდნის შემდეგ ”შირვანშაჰის“ ტიტული გაუქმდა. მის მმართველებს მელიქი ეწოდებოდა. სელჯუკების რეგრესის დროს XI საუკუნის ბოლოს შირვანშაჰების სახელმწიფო კვლავ დამოუკიდებელი გახდა.




განსაზღვრეთ შირვანშაჰების სახელმწიფოს ტერიტორიისათვის სლავთა და სელჯუკთა შემოსევების განსხვავებული შედეგები.

შირვანშაჰების სახელმწიფოს მართვა. შირვანშჰების ხელისუფლება აბსოლუტურად ითვლებოდა, მეფის ძალაუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა, მემკვიდრედ ჯერ უფროსი შვილი ითვლებოდა, თუ მეფეს შვილი არ ჰყავდა, მაშინ ძმა შეიძლება ჩათვლილიყო მემკვიდრედ. როგორც წესი მხარეებს უფლისწულები მართავდნენ. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებს ვეზირი განაგებდა. მეფობის მსგავსად ვეზირობაც ხშირად მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა. სასახლეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო ჰაჯიბი[2].

[1] *სერირები* – დაღესტანში მცხოვრები ხალხი.

[2] *ჰაჯიბი* – მოსამსახურე, მეკარე, შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სასახლეში ერთ-ერთი მაღალი თანამდებობათაგანი. მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სასახლის ღონისძიებების ორგანიზებაში..

ისინი სასახლის საქმეებს არეგულირებდნენ. გარკვეული სხვა ქვეყნების მსგავსად მაზდიანელებსაც ორი სახის ლაშქარი ჰყავდათ. ძირითადი ლაშქარი მეფის სპეციალური გვარდიისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, მსხვილ ფეო-დალებსა და ოლქის მმართველებს საკუთარი საბრძოლო რაზმები ჰყავდათ.



ქალაქ ბაქოს ხედი

ორივე სახის ლაშქრის ძირითად ნაწილს ცხენოსნები შეადგენდნენ. ცხენოსნების ცხენებით უზრუნველყოფისათვის მეფის ცხენების რემაში 40 ათასი ცხენი ინახებოდა. ლაშქარი ადგილობრივი ხელოსნების მიერ დამზადებული იარაღით მარაგდებოდა. ლაშქარი მხოლოდ ომის დროს შირვანშაჰის მითითებით ერთ ადგილას იკრიბებოდა. ბრძოლებში ლაშქარს ან თვითონ მეფე ან მეფისნაცვალი ხელმძღვანელობდა.

შეადგინეთ მართვის სქემა შირვანშაჰების სახელმწიფოში

დერბანდის საემირო. არაბები აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ დერბენდს ბაბ ულებვამს (კარიბჭეს) უწოდებდნენ. ხანგრძლივი დროის განმავლობასი ამ ქალაქს ხალიფას მიერ დანიშნული არაბი სარდლები მართავდნენ. მათი ძირითადი მოვალეობა ჩრდილოეთიდან შემოსევების მოგერიება იყო. IX საუკუნის შუა ხანებამდე ამ მოვალეობას ასრულებდნენ, თუმცა 869 წელს ხალიფატის ცენტრში თურქების ამბოხებით ისარგებლა ჰაშიმ იბნ სურაკამ და დერბენდის დამოუკიდებელ მართვას მიაღწია. მის სახელთან დაკავშირებით სახელმწიფოს მმართველებს ჰაშიმიდების დინასტია ეწოდა. მსხვილი ფეოდალებიც იცავდნენ დერბენდის მმართველს. ხელისუფლება მემკვიდრეობით გადადიოდა. მართალია 988 წელს დერბენდის საემირო შირვანშაჰების სახელმწიფოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, შიგა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. 1075 წელს შურვანშაჰ ფერიბურზ I-ის დროს დერბენდის საემირო მთლიანად შირვანშაჰების სახელმწიფოს შეუერთდა.



ნარიყალა, დერბანდი

რატომ უწოდებდნენ არაბები დერბენდს "კარიბჭეს"?

1. რა იყო უცხოელი დამპყრობლების შირვანში შემოსევების მიზეზი?
2. რა მნიშვნელობა ჰქონდა შირვანშაჰების სახელმწიფოს ხანგრძლივ არსებობას?
3. შეადარეთ თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და შირვანშაჰების სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობები.
4. შეადარეთ დერბენდის საემირო და შირვანშაჰების სახელმწიფო.



14

საჯის, სალარისა და რეჭვადის სახელმწიფოები

არაბთა ხალიფატის დაშლის პერიოდში მდინარე არაქსის სამხრეთით არსებულ აზერბაიჯანულ ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი ფეოდალური სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებიდან ორმა აზერბაიჯანი როგორც ერთიანი გააერთიანა. ამან კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროვრესს. X საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორიის გაერთიანებამ ბიძგი მისცა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას.

ებუ საჯ დივდადი, ერდებილი, კანუნნამე, მუბარექი, ებულჰიჯა, ეჰერ, ბერდა, ნაიბი.

საჯიელთა სახელმწიფოს შექმნა. IX საუკუნეში ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში აზერბაიჯანში წარმოშობილ ფეოდალურ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი საჯიების სახელმწიფო იყო. ახალი დინასტიის ფუძემდებელი ებუ საჯ დივდადი - სახელოვანი თურქი მხედართმთავარი იყო. ცენტრალური აზიდან მოსული ამ მოდგმის ცნობილი მხედართმთავრები აბშინის ტიტულს ატარებდნენ. ცნობილი მხედართმთავარი აბშინ ჰეიდარ იბნ კავუშიც ამ მოდგმისა იყო. ებუ საჯ დივდადმა არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში ბიზანტიის წინააღმდეგ ომში დიდი გმირობა გამოიჩინა, ამიტომაც ხალიფამ აზერბაიჯანი მფლობელობაში საჯიებს გადასცა.

"242 (856) და 244 (858) წელს ხალიფა მუთავექქილმა ებუ საჯ დივდადმა მექაში მიმავალ გზაზე მაკონტროლებლად დანიშნა. შესანიშნავი სამსახურის გაწევისათვის 251 წელს ხალიფამ იგი 5 კომპლექტი საპატიო სამოსით დაასაჩილდოვა. ქალაქ მედინაში აჯანყების ჩახშობისას ებუ საჯმა დიდი უნარი წარმოაჩინა. თავისი საბრძოლო უნარები ებუ საჯმა 251 (865) წელს მესოპოტამიაში ქალაქებს ვასითსა და ბაღდადს შორის მდებარე ქალაქ ჯარჯას სიახლოვეს მომხდარ ბრძოლაში წარმოაჩინა. ამ წელს ებუ საჯმა ხალიფატის წინააღმდეგ თურქი სამხედრო რაზმების მხრიდან დაწყებული აჯანყება ჩაახშო. მან აჯანყებულთა რაზმები გაანადგურა და წამქეზებლები დააპატიმრა".

ეთ-თაბარი, "თარიხ ერ-რუსულ ვე-ლ-მულუქ"

რისი მაჩვენებელია ის, რომ ხალიფები თურქი სარდლების მომსახურებით სარგებლობდნენ?

სამაგიეროდ საჯიები ხალიფატის ხაზინაში ყოველწლიურად 120 ათას დინარ ხარკს აგზავნიდნენ. ეს სახელმწიფო სავარაუდოდ შეიქმნა 879 წელს. საჯიებმა აზერბაიჯანის დასავლეთი მიწების ხელში ჩაგდების მცდელი სომეხი და ქართველი მბრძანებლები დაამარცხეს და დაიმორჩილეს. ებუ საჯ დივდადის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მისი შვილი მუჰამედ იბნ ებუ საჯი. მან 893 წელს მარაღის მმართველობა და დებილის სახელმწიფო შემოიერთა. საქართველოში წარმატებული ლაშქრობები განახორციელა. უკან დიდი ნადავლით დაბრუნდა. ამ გამარჯვებებმა მისი ავტორიტეტი გაზარდა, მეზობელ სახელმწიფოებს მისი რიდი გაუჩნდათ. 898-900 წლებში მუჰამედ იბნ ებუ საჯის სახელობის ფული იჭრებოდა.

მუჰამედის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში იუსუფ იბნ ებუ საჯი მოვიდა. მის პერიოდში სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა. მან, 912 წლიდან დაწყებული ხალიფატის ხაზინაში ხარკის გადახდა შეწყვიტა და სახელმწიფო სრულიად დამოუკიდებელი გახდა.

რა ნიშნები გააჩნია სახელმწიფოს დამოუკიდებლობას?

იუსუფ იბნ ებუ საჯმაც ძმასავით ქართველი მმართველების ჯარები დაამრცხა და კახეთი დაიპყრო. მის პერიოდში შირვანშაჰების სახელმწიფოც საჯიებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამრიგად, აზერბაიჯანის საჯიების სახელმწიფოს ტერიტორია X საუკუნის დასაწყისისათვის ზენჯანიდან დერბენდამდე მთელ აზერბაიჯანულ მიწებს მოიცავდა.



ბერდაში იუსუფ იბნ ებუ საჯის სახელზე მოჭრილი ფული

სახელმწიფოს საზღვრების განმტკიცებისათვის იუსუფმა დერბენდის გალავანი აღადგინა. ბერდაში, მარაღაში და ერდე-ბილში თავისი სახელობის ფული მოჭრა. ეს ფაქტორი საჯიების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის, აბასთა ხალიფატზე დამოუკიდებლობის მაჩვენებელი იყო.

აზერბაიჯანის მიწების ერთიანი სახელმწიფოს მდგომარეობაში შეერთებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები მეურნეობის გამოცოცხლების, საზღვრების, ხელოსნობის, ვაჭრობისა და კულტურის განვითარებისათვის. იუსუფ იბნ ებუ საჯის ფინანსებისა და გადასახადების სფეროში გატარებულმა პოლიტიკამ ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკურ აყვავებასა და მოსახლეობის ზრდას.

განმარტეთ აზერბაიჯანის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელობა.

ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანელი თურქი ხალხის ფორმირების პროცესის დაჩქარებაზე. იუსუფ იბნ ებუ საჯის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში შიდაფეოდალურ ომებში გაეხვია. შედეგად, აზერბაიჯანი კვლავ იქცა ომის მოედნად და სეჯიების სახელმწიფო დაიშალა.

სალარიების სახელმწიფოს შექმნა. აზერბაიჯანში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა სალარიების დინასტიის წარმომადგენელმა მერზბან იბნ მუჰამედმა, რომელმაც საჯიელთა ხელისუფლების ჩანაცვლებაში გაიმარჯვა. მან 941 წელს დაიპყრო საჯიების დედაქალაქი ერდებილი და ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი (941-981). შირვანშაჰების სახელმწიფოს თავის დაქვემდებარებაში მოქცევის შემდეგ ხელში ჩაიგდო დერბენდიც. დაიმორჩილა აღმოსავლეთი საქართველო. სახელმწიფოს საზღვრები ცოტაც გაფართოვა. დაიწყო კასპიის ზღვაზე სავაჭრო გემების მიმოსვლა. აზერბაიჯანის ტერიტორიები კვლავ ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორიად გაერთიანდა.

შეაფასეთ მერზბან იბნ მუჰამედის საქმიანობა იმ პერიოდის თვალსაზრისით.

კიდევ უფრო გაიზარდა აზერბაიჯანის ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური როლი ახლო და შუა აღმოსავლეთში. მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, ხელოსნობისა და ვაჭრობის წინსვლაზე, საგარეო სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებაზე დადებითი გავლენა მოახდინა. მერზბან იბნ მუჰამედმა კანუნნამე (კანონთა კრებული) მოამზადა, ცენტრალური ხელისუფლებისადმი ურჩი ფეოდალები დაიმორჩილა, დაამყარა წესრიგი საგადასახადო სისტემაში, მოაწესრიგა ოლქებიდან გადასახადების მიღება, კონტროლსა და ყურადღების ქვეშ მოაქცია ფინანსური საქმეები. მის სახელმწიფოში ძირითადად იკრიბებოდა შემდეგი გადასახადები:

- მიწისა და ქონების გადასახადი.
- დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების მმართველებისაგან მიღებული წლიური ხარკი.

სალარიელთა ლაშქარი შედგებოდა დაქირავებული ცხენოსანთა რაზმებისა და ქვეითი ნაწილებისაგან.

რა გავლენას ახდენდა "კანუნნამე" მოსახლეობის ცხოვრებაზე?

ბერდის ტრაგედია. 944 წელს სლავებმა ამჯერად უკვე შირვანსა და ხაზარის სანაპიროებს კი არა, არამედ დაბლობის ცენტრს ბერდას შეუტიეს. დამპყრობელთა მიერ ბერდის შერჩევა შემთხვევითი არ იყო. ბერდის შესახებ ინფორმაციის მომწოდებელი შუა საუკუნეების ავტორებს ბერდის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული განვითარების, ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის მშვენიერი კლიმატისა და წიაღისეულით სიმდიდრის მიხედვით IX-X საუკუნეებში არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთში ყველაზე მეტად განვითარებულ ქალაქად მიაჩნდათ. ამიტომაც ბერდის მდიდარი წიაღი უფრო მეტად იპყრობდა რუსების ყურადღებას.



აზერბაიჯანი X საუკუნეში

რუსებმა კასპიის ზღვით სამხრეთის მიმართულებით ცურვით მტკვრის შესართავამდე მიაღწიეს, მდინარის გავლით ბერდის ახლომდებარე სოფელ მუბარექში დაბანაკდნენ. გემები აქ გააჩერეს. ბერდას ალყა შემოარტყეს. სალარიების ხელმწიფის ბერდაში მყოფი ნაიბის განკარგულებაში მყოფმა 5600 კაცმა წინააღმდეგობა გაუწია უცხოელ დამპყრობლებს. რაოდენობის მხრივ უპირატესობის მქონე და კარგად შეიარაღებულმა რუსმა დრუჟინებმა ბრძოლაში გაიმარჯვეს და ქალაქის დაპყრობა შეძლეს. დაიწყეს მოსახლეობის შევიწროება და ძარცვა-გლეჯა. უმრავლესობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ქალაქი. მერზბან იბნ მუჰამედი შეკრებილი 30 ათასიანი ლაშქარით ბერდის გადასარჩენად მოვიდა. ქალაქის ბედის გადასაწყვეტ დროს, მერზბან იბნ მუჰამედამდე მოაღწია ამბავმა იმის შესახებ, რომ მოსულის მმართველი დაიძრა ქვეყნის სამხრეთისაკენ. ვინაიდან სახელმწიფოს დედაქალაქი საფრთხის ქვეშ ექცეოდა, იგი იძულებული გახდა უკან, სალმასის მიმართულებით დაეხია.

მოსახლეობამ კი რუსების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეწყვიტა. ხალხის მტკიცე განწყობამ მტერს იმედები გაუცრუა. მეორეს მხრივ, სლავთა შორის დაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობამ ბრძოლის ველზე გარდაცვლილთა რაოდენობაზე მეტი იყო. მოპოვებული ნადავლით დაკმაყოფილებული სლავები 945 წელს იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ იქაურობა. მაგრამ მათმა შემოსევამ ბერდის შემდგომ ბედზე მძიმე კვალი დატოვა. რადგან სალარის მმართველი ძირითადად ყურადღებას სახელმწიფოს დედაქალაქს ერდებილს აქცევდა. ბედის აღდგენაზე ველარ ზრუნავდა. მეორეს მხრივ, შედადიების სახელმწიფოს დედაქალაქი განჯა სავაჭრო და კულტურულ ცენტრად გადაქცევით პროგრესს განიცდიდა და ბერდას ჩრდილში ტოვებდა.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ არაბებიცა დასლავებიც ბერდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ?

სახელმწიფოს დაცემა. 957 წელს მერზბან იბნ მუჰამედი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ შვილებსა და ძმას ვეჰსუდანს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლების შედეგად სალარიელთა სახელმწიფო დასუსტდა და დანაწევრდა. მერზბანის შვილის იბრაჰიმის ხელისუფლების დროს (962-981) სამეფო ტახტის ძველი დიდების აღდგენის მცდელობებს შედეგი

არ მოჰყოლია. პირიქით, დროთა განმავლობაში სალარიელთა დაქვემდებარებაში მყოფი მხარეების უმრავლესობამ მათთვის გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადა. ხაზინაში შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. მაზდიანები, დერბედნი და განჯის ოლქი სალარიელთა სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოვიდა. ასეთ პირობებში ეჰერისა, მარაღასა და თებრიზის მმართველმა რევადიელთა შთამომავლობიდან მყოფმა ებულჰიჯამ X საუკუნის 80-იან წლებში სალარი იბრაჰიმი დაამარცხა, ტყვედ აიყვანა და დედაქალაქის ერდებილის დაპყრობით სახელმწიფო დაეცა.

განმარტეთ სალარიელთა სახელმწიფოს დაშლის მიზეზები

რევადიელთა სახელმწიფოს შექმნა. არაბების მმართველობის დროს ხალიფებმა აზერბაიჯანში ეთნიკური საყრდენის შექმნის მიზნით საკმაო რაოდენობით არაბული მოდგმები ჩამოასახლეს. ისინი ძირითადად მარაღას, თებრიზის, ყარადაღისა და ეჰერის მხარეებში ჩასახლდნენ. ჯერ კიდევ VIII საუკუნის ბოლოს ახალ მოსახლეობასთან ურთიერთობის შემდეგ აზერბაიჯანის სამხრეთში რევადთა საემირო შეიქმნა. 981 წელს სალარიელთა დამარცხების შემდეგ ებულჰიჯამ ძალაუფლება ხელში აიღო. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა რევადიელთა სახელმწიფოს. დროთა განმავლობაში სალარიელთა სახელმწიფოს ხელში არსებული აზერბაიჯანის სამხრეთი ტერიტორიები რევადიელთა მმართველობის ქვეშ გადავიდა. სახელმწიფოს დედაქალაქი ერდებელიდან აზერბაიჯანის უძველეს და მდიდარ ქალაქში თებრიზში გადავიდა. ამ დროს თებრიზს ერდებილთან შედარებით ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით საკმაოდ მიეღწია პროგრესისათვის. თებრიზის ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა დედაქალაქისათვის უფრო შესაბამისი იყო. რევადიელთა სახელმწიფოს ტერიტორია, ძირითადად ამჟამინდელ სამხრეთ აზერბაიჯანს მოიცავდა.

რაში მდგომარეობდა თებრიზის დედაქალაქობის მნიშვნელობა?

სახელმწიფოს განვითარება და დაცემა. სახელმწიფოს განვითარება და დაცემა. ებულჰიჯას მემკვიდრეებიდან მყოფი ვეჰსუდის დროს ქვეყნის შიგნით გარკვეული ღონისძიებები გატარდა. 1028 წელს სულთან მაჰმუდ კეზნევის მხრიდან დამარცხებული ოღუზებიდან 2000-მა ოჯახმა აზერბაიჯანში გადმოსვლა გადაწყვიტა. რევადიების ხელმწიფემ ისინი მეგობრულად მიიღო. ამით, სომეხი, ქართველი ფეოდალებისა დ ამათი წამქეზებელი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ აზერბაიჯანში თურქების პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა. 1042 წლის ოქტომბერში თებრიზში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. წყაროების ინფორმაციის თანახმად, მიწისძვრის შედეგად შენობათა და ციხე-სიმაგრეების უმრავლესობა დაინგრა, 40 ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ქალაქის თავდაცვის უნარი შესუსტდა, ქალაქის გარშემო გალავანი და კარიბჭე დაინგრა, ვეჰსუდანმა თებრიზი დატოვა, სხვა ციხე-სიმაგრეში გადავიდა. ქალაქის აღდგენის დაუსრულებლად სულთან თოღრულის მეთაურობით სელჩუკელი თურქები თებრიზს შემოესივნენ. ვეჰსუდანი ამ შემოსავისათვის არ იყო მზად და წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო. როგორც არაბი ისტორიკოსის იბნ ელ ესირის ნაწერებიდან ჩანს, სელჩუკი მმართველი სულთან თოღრულმა რამდენიმე გამარჯვების შემდეგ 1054 წელს თებრიზი დაიპყრო. ამით რევადიების სახელმწიფო დაიშალა.

რაში ხედავთ რევადიების ემეკვიდრეების მარცხის მიზეზებს?

1. რა მსგავსება არსებობს სავიელთა მოდგმის წარმომადგენელთა შორის?
2. რა გავლენას ახდენს ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემაა სახელმწიფოს მომავალზე?
*3. რატომაა, რომ **IX–XI** საუკუნეებში აზერბაიჯანის ისტორიაში აღინიშნება, როგორც ფეოდალური ამაღლების ხანა?*
4. რუკების საფუძველზე შეადარეთ საჯის, სალარისა და რევადის სახელმწიფოების ტერიტორიები.
5. ვენის დიაგრამით შეადარეთ საჯიებისა და სალარიების სახელმწიფოები.



15

შედადიების სახელმწიფო. თიფლისის მუსლიმანთა საემირო

არაბთა ხალიფატის დაშლის პერიოდში სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი იყო შედადების სახელმწიფო. შედადებმა თიფლისის მუსლიმანთა საემიროსთან ერთად აზერბაიჯანის აღმოსავლეთი ტერიტორიების ქრისტიანული ბლოკის სახელმწიფოებისაგან დაცვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. ქალაქი განჯა კი ისლამურ სამყაროსა და ქრისტიანულ სამყაროს შორის სტრატეგიულ ციხე-სიმაგრედ იქცა.

ლაშქარი, ფეხლ იბნ მუჰამედი, ხუდაფერის ხიდი, დიდგორი, სეფერიები, თიფლისი

შედადების სახელმწიფოს შექმნა. X საუკუნის II ნახევარში აზერბაიჯანში წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ერთ-ერთი იყო შედადების სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო განჯა. სინამდვილეში შედადების სახელმწიფო სალარიების დროსა და მათ ტერიტორიაზე გაჩნდა. სალართა მბრძანებლის მერზბან იბნ მუჰამედის მემკვიდრეებს შორის ძალაუფლე-ბისათვის ბრძოლის გამწვავების პირობებში სახელმწიფო საკმაოდ დასუსტდა. მის დაქვემდებარებაში მყოფ ფეოდალ წარჩინებულებს შორის დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილებები ძლიერდებოდა. ასეთ ფეოდალებს შორის იყო მუჰამედ იბნ შედადი. მან ისარგებლა შემთხვევით 951 წელს დაიპყრო დებილი და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. თუმცა მან აქ თავი ვერ დაიმკვიდრა. მისი სიკვდილის შემდეგ უფროსი შვილი ლაშქარი განჯაში მოვიდა და 971 წელს სალარიების მბრძანებელი იბრაჰიმის განჯაში მყოფი ნაიბის გაძევების შემდეგ აქ ძალაუფლება ხელში აიღო და შედადების სახელმწიფოს ჩაეყარა საფუძველი. ლაშქარმა მცირე დროში ბერდა და შამქირიც თავის სახელმწიფოს შემოუერთა.



აზერბაიჯანი X საუკუნის ბოლოს – XI საუკუნის პირველ ნახევარში

რუკაზე უჩვენეთ დებილის საემიროს ტერიტორია და განსაზღვრეთ ამ ტერიტორიაზე ამჟამად რომელი სახელმწიფო მდებარეობს.

სახელმწიფოს გაძლიერება. ფეზლ იბნ მუჰამედის (985-1030) ხელისუფლების დროს შედადების სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა. მან განჯის გარშემო ფეოდალური სამფლობელოები გააუქმა. ბეილაგანი შედადების სახელმწიფოს შემოუერთა და ცენტრალური ხელისუფლება განამტკიცა. ქართველებისა და ხაზარელების წინააღმდეგ წარმატებული ომები აწარმოა. ფეზლ იბნ მუჰამედი შირვანების სახელმწიფოსთან ნათესაურ ურთიერთობას, ხოლო აზერბაიჯანის სამხრეთით მმართველ რევადიებთან და თიფლისის მუსლიმანთა საემიროსთან კი მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ის, წარმატებულ საგარეო პოლიტიკასთან ერთად, ქვეყნის საშინაო საქმეების მიხედვასაც არ ივიწყებდა, ზრუნავდა ხელოსნობის, ვაჭრობის და კულტურის განვითარებაზე. სავაჭრო და სამხედრო მიზნით მდინარე არაქსზე ხუდაფერინის ხიდის აგებაც (1027) მის სახელთან იყო დაკავშირებული. დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელი შედადი მბრძანებელი განჯაში თავის სახელზე ფულს ჭრიდა.

განმარტეთ ხუდაფერის ხიდის აგების მნიშვნელობა და უჩვენეთ რუკაზე.

XI საუკუნის 30-იან წლებში არაქსის ჩრდილოეთით მდებარე აზერბაიჯანის მიწებზე ოღუზთა დამკვიდრებამ შედადების სახელმწიფოს სამხედრო სიმტკიცე კიდევ უფრო გაზარდა. ბიზანტიელი, სომეხი და ქართველი ფეოდალების აზერბაიჯანის დაპყრობის გეგმები ფუჭი გამოდგა. შედადების გამოჩენილი მბრძანებლის ებულესვარ შავურის დროს (1049-1067) სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა. შავურმა ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჯარში სასარგებლო რეფორმების გატარებით საქართველოსთან და შირვანშაჰებთან ომები აწარმოა. მან 1062 წელს ალანების შემოსევებისაგან თავდაცვის მიზნით განჯის გარშემო თხრილი გაათხრევინა და გალავანი შემოარტყმევინა. მისი დავალებით მჭედელმა იბრაჰიმმა განჯის ციხე-სიმაგრის კარები დაამზადა. თუმცა პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლასთან დაკავშირებით შავურის ხელისუფლების ბოლოს იძულებული გახდა მიეღო სელჯუკთა სახელმწიფოს ვასალობა.



განჯის ციხე-სიმაგრის კარები

როგორ აფასებთ ებულესვარ შავურის როლს შედადების სახელმწიფოს ისტორიაში?

სახელმწიფოს დაშლა. შედადების სახელმწიფოს უკანასკნელი ემირის ფეზლინ III-ის დროს (1074-1088) სელჯუკთა სახელმწიფოსთან ურთიერთობები დაიძაბა. თურქ-სელჯუკებს შედადების შიგა დამოუკიდებლობას თავისთვის საფრთხედ მიიჩნევდნენ. ამიტომაც სელჯუკთა სულთანმა მელიქშაჰ I-მა სარდალი ბუღა ლაშქარით განჯაში გააგზავნა. ბუღამ 1088 წელს განჯა დაიპყრო და შედადების სახელმწიფოს ისტორია დასრულდა. მელიქშაჰ I-მა საკუთარი ემირი მმართველად დანიშნა. მცირე ხანში შედადების მთელი ტერიტორია ხელში აიღეს.



ძველი განჯა



ახალი განჯა

თიფლისის მუსლიმანთა საქმირო. ისლამის რელიგიის რეგიონში მოსვლიდან ეხლანდელი საქართველოს ტერიტორიებზეც დაიწყო გავრცელება. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბების მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქალაქი თიფლისი სამეფისნაცვლე ცენტრად იქცა.



მუსლიმანური აბანო და მეჩეთი თიფლისში

პირველ ხანებში მთელი აღმოსავლეთი საქართველო თბილისის ემირს ემორჩილებოდა. შემდგომში არაბთა ხალიფატის დასუსტების შედეგად ეს ტერიტორია თიფლისის მუსლიმანთა საემიროთი შემოიზღუდა. IX საუკუნის დასაწყისიდან კი მხოლოდ ქართლი, XI საუკუნეში კი მხოლოდ თიფლისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები დარჩა ემირის მმართველობის ქვეშ. IX საუკუნიდან დაწყებული მიმდინარეობდა ბრძოლა საემიროს დამოუკიდებლობისათვის და 80-იან წლებში მათ ამას მიაღწიეს. 1121 წელს მომხდარი დიდგორის ბრძოლის შედეგად, 1122 წელს თიფლისის მუსლიმანთა საემირო გაუქმდა და საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობას შეუერთდა. თიფლისის საემიროს ხანაში ხელისუფლება მიმდევრობით 3 დინასტიას - შუეიდიების, შეიბენიების და ჯუფერიების მემკვიდრეების ხელში იყო.

როგორ შეიქმნა თიფლისის მუსლიმანთა საემირო?

არაბი გეოგრაფიათმცოდნე ელ-ისტეხრი აღნიშნავს, რომ „ვაკეზე ბერდაზე, ბაბ ულ-ებვაბზე და თიფლისზე დიდი“ ქალაქი არ არის. თიფლისი ვაკის ქალაქად ითვლებოდა. ის მიუხედავად იმისა, რომ ბერდასავით და დერბენდივით დიდი არ არის „ ძალიან მოსავლიანი, ხილიანი და დიდი მარცვლეულის ნაერთების მქონე ადგილია“.

როგორ შეაფასებდით არაბი გეოგრაფიათმცოდნის გამონათქვამებს ქალაქ თიფლისის შესახებ?



ქალაქ თიფლისის ხედი

“ძმები (ლაშქარი და ფეზლი–რედ.) თვალცრემლიანები გადაეხვივნენ ერთმანეთს. ახლა შენ ჯანმრთელი ხარ, – უთხრა ლაშქარმა ძმას, – მაშ რომელმა უჭკუომ გირჩია შენ ჩემი გულის ასეთი ტკენაა? ფეზლიმ უპასუხა: ქალაქის მაცხოვრებლები ერთ ახრზე მოსვლისა და ჩვენთვის დამორჩილებისათვის არიან მზად . ლაშქარმა ფეზლს უპასუხა, რომ ძმაო, მამა დებილში როგორც მოიქცა კარგად იცი. ჩვენ უკვე ოცი წელია ქვეყნად დავდივართ და არსად ჩვენ არ გვიღებენ, ვერ გვმაყოფილდებით. ჩვენ თუ ამ ქვეყანაში წავალთ, მას მმართველს უნდა შევუერთდეთ, მაშინ კი ჩვენ ალყაში მოგვაქცევენ და გაგვანადგურებენ, რადგან ჩვენი რაზმი მცირერიცხოვანია. მაშინ ვინ შეძლებს ჩვენს დახსნას? ასეთ პირობებში შებრძოლების უმეტესობა შეიძლება ფუჭი აღმოჩნდეს. მიღებული გამოცდილებები საკმარისია. ფეზლიმ უპასუხა: ადამიანმა, მალალი მიზნებისათვის თავი უნდა გაწიროს. თუ ამ მიზანს მიაღწევს, მისი სურვილები სრულდება. ხოლო თუ მიზანს ვერ აღწევს, მაშინ დანაღვლიანება არ არის საჭირო“. ლაშქარმა ფეზლის სიტყვები მოიწონა და მან ძმის შემოთავაზება მიიღო. ფეზლი განჯაში დაბრუნდა, უხუცესები ქალაქის კარიბჭესთან შეკრიბა და ისინი აძულა, რომ ფიცი დაედოთ. იმ დროს ქალაქის თავი გაჭარი იუსუფ ალი–კეზაზი იყო. ფეზლიმ მასთან და მის მომხრეებთან ხელშეკრულება დადო. განჯელებმა ფიცი დადეს, რომ თუ ფეზლი და მისი ძმა განჯაში დარჩებიან, კარებს მათ გაუღებენ. სალარიების ჯანაშს კი დაუპატიმრებენ და მათ გადასცემენ. ამის შემდეგ იუსუფ ალი–კეზაზმა შეკრიბა გმირების ერთი რაზმი, შეიარაღა. მათთან ერთად ჯანაშის სასახლეში შეიჭრა, ჯანაში დაუპატიმრა. შემდეგ ქალაქის კარები გახსნეს და ლაშქარი იბნ მუჰამედი ქალაქში შემოვიდა და ემირის ტახტზე ავიდა.

ლუთფულაჰ მუნეჯიმბაში, ნაწარმოებიდან “ჯემი ეთ–დოვალ“

წყაროს საფუძველზე განმარტეთ ძმების დიალოგი

1. *რა ნაბიჯები გადადგა ფეზლ იბნ მუჰამედმა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის?*
2. *რატომ აღნიშნავენ ქალაქ თიფლისს დაბლობის ქალაქებს შორის?*
3. *განმარტეთ ოღუზთა და სელჯუკთა შედადების სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოსვლის მნიშვნელობა.*
4. *შეადარეთ შედადების სახელმწიფო სალარიებისა და შირვანშაჰების სახელმწიფოებთან.*



16

სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება ადრეულ შუა საუკუნეებში

აზერბაიჯანის ხელსაყრელი კლიმატი, ბუნებრივი შესაძლებლობები და მშრომელი მოსახლეობა სოფლის მეურნეობის კარგად განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. ახალი სარწყავი არხების გაყვანა და მშრალ კლიმატურ პირობებში უფრო მეტი მოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა.

ტექნიკური კულტურები, გუგული, მულჩა, ოვმა, დიყანი, ხალისე, გეზით, ხარკი, ხერავდა, ჯიზიე, ხუმშა, ზექათი.

სოფლის ცხოვრება. III-XI საუკუნეებში მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მებაღეობა. მიწათმოქმედების მოსავლებიდან შედარებით ფართოდ იყო გავრცელებული ხორბალი, ქერი, ბრინჯი, შვრია და სხვა. ხორბალს მსხვილ თიხის ჭურჭელში და სპეციალურ სხვა საცავებში ინახავდნენ. არაბი გეოგრაფიათმცოდნეები ებუ დულეფი და ელ ისთეჰრი აღიარებდნენ, ბაღებში მომწიფებული გემრიელი ხილის უმრავლესობას (*ბალი, ბროწეული, კომში, ლეღვი, ზეითუნი, თუთა და სხვ.*) მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვერ წააწყდები.




მებამბეობა

ტექნიკური კულტურებიდან ბამბა და სელი მოჰყავდათ. მილში, მულიანში, შირვანში და სამხრეთის რეგიონებში უფრო მეტად ბამბა მოჰყავდათ. შექიში , შირვანში, ბერდაში აბრეშუმის ნედლეულსა და მისგან ქსოვილების დამზადებას დიდი ყურადღება ექცეოდა. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი განვითარებული სფერო იყო მესაქონლეობა. მწვანე ტყეების, მტკნარ წყლიანი მდინარეებისა და გრილი წყაროების და უხვბალახიანი საძოვრების არსებობა მსხვილი, წვრილი რქოსანი საქონლის, ცხენების, აქლემების, ჯორებისა და სხვათა შენახვის შესაძლებლობას იძლეოდა. ერთ-ერთ წყაროში აღნიშნულია, რომ შირვანშაჰ ფერიბურზუნ I-ის ცხენების რემაში 4000 ცხენი იყო. აზერბაიჯანის ზღვისა და მდინარის სანაპირო ტერიტორიების მოსახლეობა მეთევზეობითაც იყო დაკავებული. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მეფუტკრეობის განვითარებას.

რომელია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების ბიძგის მიმცემი ძირითადი ფაქტორები?

ქალაქის ცხოვრება. ადრეულ შუა საუკუნეებში ხელოსნებისა და ვაჭრობის განვითარებით ქალაქები მრავლდებოდა და იზრდებოდა. აზერბაიჯანში თითოეულში 10 ათასამდე მაცხოვრებლიანი ქალაქები იყო: ერდებილი, სერაბ, მიანე, თებრიზი, მარაღა, ნახჩევანი, განჯა, ბაქო, დერბენდი, შექი და სხვა. ქალაქის მოსახლეობა ხელოსნობასა და ვაჭრობასთან ერთად, მიწათმოქმედებასა და მებაღჩეობასაც მისდევდა. ნაკლები რაოდენობით საქონელსაც ინახავდა. აზერბაიჯანის შუა საუკუნეების ყველა ქალაქი გარეგნობით ჰგავდა ერთმანეთს და გალავნით იყო გარშემორტყმული.

ქალაქების გარშემო გალავნები შენდებოდა, თხრილები გაივლებოდა. ციხე-სიმაგრის კედლები ძირითადად ქვისაგან ან გამოუწვავი აგურისაგან აიგებოდა. ყველა მუსლიმანური ქალაქების მსგავსად აზერბაიჯანის ქალაქებშიც ბაზრის მოედანი და მის სიახლოვეს მეჩეთი შენდებოდა. იმ ხანის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა ქალაქმა ბერდამ სლავების ძარცვის შემდეგ ძველი დიდება და პოზიციები დათმო. შედადების სახელმწიფოს დედაქალაქი განჯა კი კავკასიის მსხვილ სავაჭრო და კულტურულ ცენტრად იქცა. აქ აშენდა ლამაზი სასახლეები, დიდებული მეჩეთები, ქარვასარაიები, აბანოები, ზარაფხანა, იმ დროის სხვა ლამაზი კულტურული ძეგლები. აზერბაიჯანის დასავ-ლეთის მიწებზე საქართველოსა და შავი ზღვის სანაპიროებამდე მიმავალი სავაჭრო გზა განჯაზე გადიოდა. განჯელი ხელოსნების დამზადებული ნაწარმი, ლამაზი აბრეშუმის ქსოვილი, ხალიჩები სელჯუკი სულთანების სასახლეების მორთვასთან ერთად, მსოფლიო ბაზარზეც გაიტანებოდა. ყველაზე დიდი საპორტო ქალაქი იყო დერბენდი.



ქალაქ ბერდის მაკეტი, VII–IX საუკუნეები

შუა საუკუნეებში რასთან იყო დაკავშირებული ქალაქების განვითარება?

ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის მთავარი საქმიანობა ხელოსნობა და ვაჭრობა იყო. ხელოსნები მატყლის, სელის და აბრეშუმის გამოყენებით სხვადასხვა ქსოვილებს ამზადებდნენ. აბრეშუმის წარმოებაც ფართოდ იყო გავრცელებული. აზერბაიჯანი შუა საუკუნეების მსოფლიოში მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ქალაქი ბერდა, როგორც მეაბრეშუმეობის ცენტრი უფრო მეტად გამოირჩეოდა. დერბენდში წარმოებული სელის ქსოვილი მეზობელ ქვეყნებში გაჰქონდათ.

აზერბაიჯანი ფლობდა მდიდარ სასარგებლო წიაღისეულს, ხელოსნები რკინის, ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და სხვა მეტალებისაგან სხვადასხვა ნივთებს ამზადებდნენ. სხვადასხვა სახის თიხისა და მინის ჭურჭელი მზადდებოდა. ასევე მზადდებოდა სამკაულები.



ბაზრის მოედანი შუა საუკუნეების მუსლიმანურ ქალაქში

ადრეულ შუა საუკუნეებში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაზე რომელი ფაქტორები ახდენდნენ გავლენას?

სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი სავაჭრო გზები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადიოდა. ვაჭრობა ხორციელდებოდა როგორც სახმელეთო ასევე საზღვაო გზებით. ხალიფატის დროს ქალაქი ბერდა არაბების ჩრდილოეთით ტრანზიტული ვაჭრობის ცენტრად იქცა. აქ ცნობილი ქურქის ბაზარი იყო გახსნილი. საზღვარგარეთის ქვეყნიდან ვაჭრობაში განსაკუთრებით გამოიჩეოდა ინდოეთი და ჩინეთი. რადგან ძველი აბრეშუმის გზის აზერბაიჯანზე გამავალი ნაწილი უფრო დატვირთული იყო. მსოფლიო ბაზარზე აბრეშუმის და ბამბის ქსოვილი, საღებავი ნივთიერებები, ნავთობი, ახალი და გამხმარი ხილი, თევზი და სხვა გაიტანებოდა.

შეადარეთ ადრეულ შუა საუკუნეებში მსოფლიო ბაზარზე გატანილი აზერბაიჯანის პროდუქცია და თანამედროვე პერიოდის საექსპორტო პროდუქცია.

ფეოდალური მიწის საკუთრების ფორმები. შუა საუკუნეებში აზერბაიჯანში, ისევე როგორც მსოფლიოს მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობების არსებობასთან დაკავშირებით, მიწა წარმოების ძირითადი საშუალების როლს ასრულებდა. ამიტომაც ფეოდალური ურთიერთობების განვითარების კვალობაზე მიწის საკუთრების ფორმები უფრო სხვადასხვა ხასიათს იძენდნენ. სასანიების ხანაში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ფეოდალური მიწის საკუთრების ორი ძირითადი ფორმა არსებობდა:

1. დასტაქერდ – საგვარეულო, სამემკვიდრეო.

2. ხოსტაკ–შერტი: სასანი ხოსროვ I–ის ენუშირევანის (531–579) დროს დაუმუშავებელი მიწების ხარჯზე პირობითი მიწის ქონებრივი ფორმა დაწესდა.

ზოროასტრიტ წინასწარმეტყველებს სასანთა სახელმწიფოში საკუთარი ადგილი ეკავათ, ამიტომ მათ განკარგულებაში მიწა ეძლეოდათ.

ხალიფატის დროს მიწის საკუთრების 5 ფორმა არსებობდა:

1. მიწების ერთი ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამ სახის მიწებს ***დივანი*** *ერქვა. ამ მიწებიდან მიღებული შემოსავალი ხაზინაში შედიოდა.*

2. ქვეყანაში მსხვილი ფეოდალებისა და მათ ვასალების განკარგვაში მყოფ მიწებს ***მულქი*** *(ქონება) ერქვა. ხალიფატის დროს ასეთი მულქის მფლობელებს მალიქი ეწოდებოდა და მიწით როგორც მოისურვებდნენ ისე შეეძლოთ ესარგებლათ.*

3. სახელმწიფოს წინაშე განწეული სამსახურისათვის მიცემულ მიწას ***იკთა*** *ეწოდებოდა პირობით ხასიათს ატარებდა. დივანის მიწებიდან გაიცემოდა.*

4. მეჩეთების, წმინდა ადგილების, რელიგიური სამყოფელების, საქველმოქმედო საზოგადოებისათვის კუთვნილ მიწებს ***ვაკფი*** *ეწოდებოდა. ის შრომლობ იჯარით შეიძლება გაცემულიყო.*

5. ერთ–ერთი ქონებრივი ფორმა იყო ***იჯმა.*** *სინამდვილეში სოფლის თემს თავისი მიწა არ ჰქონდა. ეს სახელმწიფოს მიწა იყო. IX–XI საუკუნეებში მიწის საკუთრების ფორმებში მცირე ცვლილებები მოხდა. სახელმწიფო მიწები: დივანი – სახელმწიფოს კუთვნილი, შემოსავლების ერთბაშად ხაზინაში შემომტან მიწებად და ხალისე (ხასს) – სხვადასხვა მბრძანებლებისა და დინასტიების განკარგულებაში მყოფ მიწებად დაიყო. ხალიფატის დროს მიწის საკუთრების სხვა ფორმებს არ შეეხნენ.*

შეადარეთ სასანთა ხანის, ხალიფატის ხანის და IX–XI საუკუნეებში არსებული მიწის ქონებრივი ფორმები თანამედროვე პერიოდში აზერბაიჯანში არსებულ მიწაზე საკუთრების ფორმებთან.

გადასახადები. თანამედროვე პერიოდში გადასახადები განსაზღვრულია როგორც კანონის ფარგლებში სამეურნეო სუბიექტებიდან და მოსახლეობიდან სახელმწიფოს მხრიდან მიღებული სავალდებულო გადასახადები. მათი შეგროვების ძირითადი მიზანი სახელმწიფოს ხარჯების დაფარვა იყო. ამიტომაც გადასახადები, შეიძლება ითქვას, პირველი სახელმწიფო წარმონაქმნების გაჩენისთანავე დაარსდა. შუა საუკუნეებში, სახელმწიფოს მართვის განვითრების კვალობაზე შესაგროვებელი გადასახადების ფორმები, რაოდენობა შიგა და გარე პირობებზე დამოკიდებულებით იცვლებოდა.



სასანების ფული (დრაჰმა)

სასანიების დროს აზერბაიჯანში 2 ძირითადი გადასახადი იყო: **ხარაკი** - მიწის გადასახადი იყო - მოსავლით აიღებოდა. მიწის გადასახადი აიღებოდა იმის მიხედვით, თუ ნათესი ფართობი ქალაქიდან ახლოს იყო თუ შორს, როგორი ნაყოფიერებისა იყო იგი. **გეზით** - სულადობრივი გადასახადი იყო. იგი იკრიბებოდა ყველა გადასახადის გადამხდელი მოსახლეობისაგან წელიწადში ერთხელ.

ხალიფატის დროს საგადასახადო სისტემა სასანიების სისტემას შეესაბამებოდა, თუმცა ცალკეული ადამიანებისაგან კი არა, მთელი იჯმიდან აიღებოდა. ძირითადი გადასახადი **ხარაჯი** - მიწის გადასახადი იყო. ის მიწის მფლობელებისაგან ნატურით აიღებდა. **ჯიზიე** - სულადობრივი გადასახადი იყო. არამუსლიმანი მამაკაცებისაგან ჯარში სამსახურის გაუწევლობისათვის ფულადი სახით იკრიბებოდა. ხალიფატის დროს არსებობდა რელიგიური

გადასახადებიც. **ხუმსი** - მოძრავი ქონებიდან სხვადასხვა ქონებრივი და ნადავლის სახეებიდან მიღებული გადასახადი იყო. **ზაქათი** (სედედე) - მიიღებოდა მეცხოველეობიდან, ვაჭრობიდან და ხელოსნობიდან, მიწათმოქმედებიდან და ხილიდან. ინვალიდების, ხელმოკლეების მოთხოვნილება ზაქათიდან დაიფარებოდა. **ფითრა** კი - ოჯახის თითოეული ასაკოვანი წევრისაგან რამაზანის თვეში ბაირამის დღეს აიღებოდა და განაწილდებოდა. ამ სახის გადასახადი მხოლოდ მდიდარი ქალაქებისაგან გროვდებოდა. IX-XI საუკუნეებში მიწით სარგებლობის სანაცვლოდ სოფლელებისაგან მიღებულ გადასახადს **უშრი** (ერთი მეათედი) ეწოდებოდა.



აბასიელთა ოქროს ფული (1 დინარი)

*შეადგინეთ **III-XI** საუკუნეებში არსებული გადასახადების სახეების ცხრილი და შეადარეთ ისინი თანამედროვე პერიოდში არსებულ გადასახადებს.*

ელ-ისტეხრი აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონებზე თხრობისას გვაწვდის ინფორმაციას მისი ბუნების, მათ შორის მდინარეების, ტბებისა და მთების შესახებაც. ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული მდინარეებიდან ოთხის – მტკვრის (ელ-ქურ), არაქსის (ერ-რას), სეფიდრუდისა და სამურის სახელებს ახსენებს. ელ-ისტეხრი მიუთითებს, რომ ამ მდინარეებიდან მხოლოდ ორი – მტკვარი და არაქსი გამდგება გემების სამოძრაოდ. ავტორი სწერს, რომ ორივე მდინარის წყალი მტკნარია. მდინარე არაქსი შეკავშირდება მდინარე მტკვართან და ერთად ზღვაში ჩაედინება. ის წერს, რომ ერდებელისა და ზენჯანის შორის მდებარე სეფიდრუდი გემებისათვის გამოუსადეგარია და მცირეა.

ელ-ისტეხრი, ნაწარმოებიდან "ელ-მასალიქ ვა-ლ-მემალიქ"

განმარტეთ ელ-ისტეხრის მოცემული ინფორმაცია.

1. თქვენი აზრით, რასთან არის დაკავშირებული ის, რომ მარცვლოვანი კულტურები უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე ტექნიკური კულტურები?

2. რა თავისებურებები ახასიათებდა აზერბაიჯანის ქალაქების შუა საუკუნეების არქიტექტურას? შეადარეთ ისინი ევროპის ქალაქების იმდროინდელ არქიტექტურას.

3. შეადარეთ შუა საუკუნეების აზერბაიჯანის ქალაქებში მოსახლეობის ცხოვრების წესი თანამედროვე პერიოდთან.



17

კულტურა

ფეოდალიზმის ჩამოყალიბებასთან ერთად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კულტურის განვითარების ახალ ეტაპს ჩაეყარა საფუძველი. აზერბაიჯანში კულტურის განვითარებაზე ისტორიულად ტერიტორიაზე მომხდარი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენები, ამავდროულად აზერბაიჯანის აღმოსავლეთისა და დასავლეთის გადაკვეთაზე მდებარეობა ახდენდა გავლენას. სასანებისა და არაბების დროს ერთიანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთიანი კულტურა ჩამოყალიბდა. შემდგომში შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხანაშიც ეს ტრადიცია გაგრძელდა.


ალბანური ანბანი, დერბენდის გალავანი. "წიგნი – დედე კორკუდ", ჯავანშირის ციხე-სიმაგრე.

დამწერლობა. დამწერლობა. ატროპატენაში სასანების სახელმწიფოში გამოიყენებოდა ფეჰლევის დამწერლობის სისტემა. III საუკუნეში აზერბაიჯანიდან რომში გაგზავნილი დოკუმენტი და V საუკუნის ბრძანება გვატყობინებს, რომ ალბანელებს გააჩნდათ დამწერლობის კულტურა. V საუკუნის დასაწყისში ალბანელებს გააჩნდათ 52 ასოსგან შემდგარი ანბანი. ალბანელი ისტორიკოსი მოისეი კალანკატლი დამწერლობის მქონე ხალხებს შორის განსაკუთრებით აღნიშნავდა მიდიელებსა და ალბანელებს. "დამწერლობის მქონე ხალხები ესენია: იუდაელები, რომაელები (მათი დამწერლობით ბიზანტიელებიც სარგებლობენ). ესპანელები, ბერძნები, მიდიელები და ალბანები". ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეცნიერული, მხატვრული, პუბლიცისტური ნაწარმოებები, საქმის წარმოების დოკუმენტები ალბანურ ენაზე იწერებოდა.



მინგეჩაურში აღმოჩენილი ალბანური წარწერებიანი ქვის ძეგლი

არაბებმა სასანების სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ, ამ ტერიტორიებზე ახალი დამწერლობის გამოყენება დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ არაბული ანბანი თურქული ენებისათვის სრულყოფილი არ იყო XX საუკუნის დასაწყისამდე აზერბაიჯანში ამ ანბანით ფართოდ სარგებლობდნენ.



ნეკში-რუსტემზე წარწერა-ფეჰლევის ენაზე

დამწერლობის რომელი სახეები გამოიყენებოდა ალბანეთში?

არქიტექტურა. არაბული დაპყრობების შემდეგ აზერბაიჯანში ისლამის რელიგიის გავრცელებასთან დაკავშირებით არქიტექტურამაც განვითარების მიმართულება შეიცვალა. არქიტექტურაში ახალი ტიპის შენობების - მეჩეთის, მედრესას თურბეს, ქარვანსარაის და ა. შ. აშენება ძირითადი მიმართულება გახდა. ამ პერიოდში ისლამის რელიგიასთან დაკავშირებულ მშენებლობებთან ერთად, კავკასიის ალბანეთის ზოგიერთ მხარეში ქრისტიანული ტაძრები, თავდაცვითი ნაგებობები შენდებოდა. მათ შორის ამჟმინდელი ისმაილლის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ჯავანშირის ციხე-სიმაგრისა და ყაზახის რაიონის სოფელ ზემო ესკიპარის სიახლოვეს არსებული ციხე-სიმაგრე კომპლექსი იქცევს ყურადღებას.

ზოგადად ისლამის წინა და შემდგომ ხანებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შექმნილმა ალბანურმა ნაგებობებმა მნიშვნელოვანის როლი შეასრულეს არქიტექტურის განვითარებაში. აზერბაიჯანის ჩრდილოეთში - ალბანეთში ადრეულ შუა საუკუნეებში შირვანისა და სამურის

ადრეულ შუა საუკუნეებში ალბანური არქიტექტურის ძეგლები

- დერბენდის გალავანი
- მდინარე ალაზნის სანაპიროზე თორფაღკალა
- ისმაილის ტერტორიაზე ჯავანშირის ციხესიმაგრე
- აღდამის ტერიტო-რიაზე გო-გურკალა
- აღდერის ტერტორიაზე ჩარაბქერდის კოშკი
- ხოჯავენდის ტერიტორია-ზე ამარასის მონასტერი
- ლაჩინის ტე-რიტორიაზე აღოღლანის აკლდამა
- შაბრანის ტერი-ტორიაზე ჩირაგგალა

? *თქვენი აზრით, რა მიზნით აშენდა შირვანისა და დერბენდის კედელი?*

VII–X საუკუნეების აზერბაიჯანული არქიტექტურის ნიმუშები:

- 920 წელს შამახის სო-ფელ სუნდში აშენებუ-ლი გუმბათოვანი მეჩეთი
- ლერიქში ოღლანკალა)
- ნახჩევანში ელინჯაკალა (IX საუკუნე
- ბერდაში მდინარე თეთრ-თერზე აშენებული ხიდი

? *შუა საუკუნეების შესწავლაში რა როლს ასრულებენ ამ პერიოდის არქიტექტურის ნიმუშები?*

არაბთა ხალიფატის აღზევების ხანაში აზერბაიჯანული არქიტექტურის განვითარების ცენ-ტრი იყო ქალაქი ბერდა. წყაროებში„ ამ ადგილების ბაღდადად“ წოდებულ ბერდაში ფარტო სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, მრავალი მეჩეთი და სხვა რელიგიური შენობები, ქარვანის ბაზარი, აბანო და სხვა შენდებოდა.

? *შეადარეთ ქალაქი ბერდა ბაღდადთან. რატომ უწოდებდნენ ბერდას "ამ ადგილების ბაღდადს" გამოთქვით მოსაზრება.*

მეხალიჩეობა. 2010 წლის ნოემბრის თვეში UNESCO-ს "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის" სიაში შეტანილ აზერბაიჯანულ ხალიჩას უძველესი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ VII საუკუნეში ალბანელი ისტორიკოსი მოისეი კალანკატლი ალბანეთში ხალიჩის ქსოვისა და შეძლებულთა ყოფაცხოვრებაში მათი გამოყენების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. VII საუკუნის ჩინელი მოგზაური ხუან-თეს-ანკი აზერბაიჯანის ხალიჩის წარმოების მსხვილ ცენტრს უწოდებდა. ამას არქიტექტურული გამოკვლევებიც ადასტურებენ. ჩვენს ქვეყანაში VII საუკუნის საქსოვი დაზგა, აბრეშუმის ძაფის ნარჩენები, ხალიჩის შრომის ინსტრუმენტები, ნაბადი. ხალიჩისა და ფარდაგის ფრაგმენტები იქნა აღმოჩენილი. შაჰინშაჰ ხოსროვ I-ის (531-579) კუთვნილი ხალიჩა „ხოსროვის გაზაფხული“ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მკვლევარს შეუსწავლია. არც ის არის შემთხვევითი, რომ ეს სიუჟეტი შემდეგ საუკუნეებშიც განვითარდა და თავისი განვითარება ***“ოთხი სეზონი”*** სახელწოდებით მრავალრიცხოვან



ხალიჩა “ოთხი სეზონი”

თებრიზის ხალიჩებში ჰპოვა. შუა საუკუნეების წყაროებში მოთხრობილია აზერბაიჯანული ხალიჩების თავისებურებებისა და ტიპების შესახებაც.

IX-XI საუკუნეების არაბი ისტორიკოსი თაბარი გვაწვდის ინფორმაციას აზერბაიჯანული ხალიჩების მაღალი ხარისხის შესახებ. X საუკუნის შესახებ უცნობი ავტორი წყაროში „ჰუდუდ ელ-ალემი“ აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის ქალაქებში მერენდში, განჯაში, შამქირში მაღალხარისხიანი მატყლის ნაწარმი მზადდებოდა: ნახიჩევანში, ხოიში, მუღანში, სალმასში და ერდებილში მოქსოვილმა ხალიჩებმა და ფარდაგებმა დიდი სახელი მოიხვეჭეს.

არაბი მოგზაური ელ-მასუდი წერდა, რომ მარანდში, თებრიზში ერდებილში იწარმოება ხალიჩები, რომელსაც ჰქვია „მეხფური“. სხვა არაბი ავტორი ელ-მუკადდესი გვაწვდის ინფორმაციას ლამაზი ყარაბაღის ხალიჩების, განსაკუთრებით „არნახული„ ბერდის ხალიჩების შესახებ.

არაბი ავტორი ელ-ისტეჰრი ბერდიდან ინდოეთში გატანილი წითელი საღებავი ნივთიერების (საღებავი ბალახი-მარენა) შესახებ, სხვა ავტორები ელ-მუკადდესი, გოვჰელი კი მუქი წითელი საღებავის მისაღები მასალის ევროპაშიც კი მიწოდების შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას.

რელიგია. III-VII საუკუნეებში სამხრეთ აზერბაიჯანში ცეცხლთაყვანისმცემლობა, ჩრდილოეთში კი მრავალღმერთიანობა, ალბანელ თურქებს შორის კი ღმერთისადმი თაყვანისცემა, ასევე ქრისტიანობა აღინიშნებოდა. შაპურ I-ის ხანიდან დაწყებული სასანი მეფეები ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას ეცდებოდნენ.

სასანების რელიგიური პოლიტიკა ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებასთან ერთად მიმართული იყო ქრისტიანობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლასა და დამონებული ხალხების მორჩილებაში ყოფნაზე. ჯერ კიდევ I საუკუნეში დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება ალბანეთის ტერიტორიაზე და IV საუკუნეში იგი ოფიციალური გახდა.

VII-VIII საუკუნეებში კავკასიის არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში შესვლით კი აზერბაიჯანში დაიწყო ისლამის რელიგიის გავრცელება. ისლამის გავრცელება აქ ისლამური კულტურის გავრცელების მიზეზი გახდა.



ათეშგახი



ეკლესია



მეჩეთი

რას მოწმობს თანამედროვე აზერბაიჯანში სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის არსებობა?

აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბება. აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრები, უძველესი ხანიდან ვრცელი მიწების მომცავ დიდ **ერთიან ტერიტორიაზე** ცხოვრობდნენ. ამ ტერიტორიის საზღვრები სამხრეთით მდინარე კიზილუზენიდან იწყებოდა, ჩრდილოეთით დერბენდის ჩათვლით კავკასიის მთებამდე გრძელდებოდა.

აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბება

მსოფლიოს სხვა ხალხების მსგავსად, აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებისათვის ოთხი ძირითადი პირობა აუცილებლად ითვლება.

- ტერიტორიული მთლიანობა
- რელიგიური ერთიანობა
- ერთიანი კულტურა
- ტერიტორიალური ეკონომიკური ურთიერთობების არსებობა

რა თქმა უნდა ზემოთ მოცემული პირობების მომწიფებისათვის საუკუნოობით დრო გახდა საჭირო.

რომელი პირობებია საჭირო ხალხის ფორმირებისათვის?

1300 წლის წინათ თურქების საცხოვრებელ ყველა ტერიტორიაზე გავრცელებული ეპოსი "წიგნი დედა-კორკუდი" ჩვენი ხალხის მთავარი შემაკავშირებელი იყო.

ეპოსში "წიგნი დედა კორკუდი" მიმდინარე მოვლენები ისტორიული აზერბაიჯანის მიწებზე მომხდარა. თქმულების თანახმად ოღუზელი თურქისათვის სამშობლო, მამული ყველაზე წმინდა ცნება იყო. თქმულება მისი გავრცელების ვრცელ ტერიტორიაზე ერთიან ენაზე - თურქულ ენაზე მოლაპარაკე ერთი დიდი ხალხის ცხოვრებას ადასტურებს.

ცბიერებით გამარჯვება, შეწყალების მთხოვნელთა მოკვლა, გაქცეულის დადევნება ოღუზელი თურქისათვის უცხო იყო. ნამუსი, სინდისი ოღუზელი ქალებისათვის ძალიან წმინდად ითვლებოდა.

დედა-კორკუდი "წიგნი დედა კორკუდის" ვატიკანის ეგზემპლარი "წიგნი დედა კორკუდის" გერმანიაში დრეზდენის ბობლიოთეკის ეგზემპლარი.



დედა-კორკუდი



"ქითაბი დედა კორკუდ"ის ვატიკანის ეგზემპლიარი



"ქითაბი დედა კორკუდ"ის დრეზდენის ეგზემპლიარი

"თქმულება წიგნი-დედა" კორკუდი რომელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული? დააძტკიცეთ, რომ ეს თქმულება აზერბაიჯანის შეეხებოდა.

საერთო კულტურის ჩამოყალიბებაში კი ისლამის რელიგიის გავრცელებამ შეუდარებელი როლი ითამაშა. ისლამის რელიგიამ თურქი და არა თურქი ეთნოსების ერთიან ხალხად ფორმირებისა და საერთო კულტურული ღირებულებების საფუძველზე შეერთების ნიადაგი მოამზადა.

III–IX საუკუნეებში აზერბაიჯანული მიწების ერთიანი სახით ჯერ სასანთა სახელმწიფოს, შემდგომში კი არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში შესვლა, ამასთან აქ საქარავნო გზების გაჭრა მთელ ქვეყანაში საერთო ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების მიზეზი გახდა.

XI საუკუნეში ოღუზელი თურქების აზერბაიჯანში მასობრივი შემოდინების შედეგად დასრულდა ჩვენი ხალხის ფორმირების პროცესი.

1. VII საუკუნეში გავრცელებულმა ისლამის რელიგიამ რა გავლენა მოახდინა ხალხის ცხოვრების წესზე? გამოთქვით მოსაზრება თქმულებაზე დაყრდნობით.

2. თქმულების "წიგნი-დედა კორკუდი" რომელ გმირებს იცნობთ?

3. შეადარეთ ალბანური ანბანი, არაბული ანბანი და ლათინურ გრაფიკიანი აზერბაიჯანული ანბანი: განსაზღვრეთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

4. გაანალიზებით შეაფასეთ III–XI საუკუნეებში აზერბაიჯანის კულტურის განვითარებაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები.

5. III–XI საუკუნეების კულტურა პერიოდებად დაყოფით შეაფასეთ, როგორც თურქულ-ისლამური კულტურის შემადგენელი ნაწილი.

6. რეფერატის მომზადებით VII საუკუნიდან დაწყებული აზერბაიჯანული კულტურა წარმოადგინეთ, როგორც თურქულ-ისლამური კულტურის შემადგენელი ნაწილი.

7. მოამზადეთ წარდგინება "რელიგია III–XI საუკუნეების აზერბაიჯანში".



III. აზერბაიჯანი XI-XV საუკუნეებში

XI საუკუნის შუა ხანებში თურქ-სელჯუკების ცენტრალური აზიიდან კავკასიისა და წინა აზიის მიმართულებით ლაშქრობებმა შეცვალა ამ რეგიონების პოლიტიკური რუკა, ევროპელი ჯვაროსნების აღმოსავლეთის ქვეყნებზე შემოსევის გეგმები თავდაყირა დააყენა. რევადებისა და შედადების სახელმწიფოების დაშლით, შირვანშაჰების სახელმწიფოს დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩენით აზერბაიჯანიც დიდი სელჯუკთა იმპერიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. თუმცა ამ იმპერიის არსებობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა და მისი დაშლის შედეგად სხვადასხვა ფეოდალური სახელმწიფოები - საათაბეგოები შეიქმნა. აზერბაიჯანის ათაბეგების (ელდენიზების) სახელმწიფომ მათ შორის დაიწყო განსაკუთრებით გამორჩევა და მალე ვრცელი ტერიტორიები მოიცვა. ამ პერიოდში აზერბაიჯანში მეურნეობა და კულტურა გამოცოცხლდა.

XIII საუკუნის 20-იან წლებში დაწყებულმა მონღოლურმა შემოსევებმა აღორძინების პერიოდში მყოფი აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მძიმე დარტყმა მიაყენა. აყვავებული შუა საუკუნეების ჩვენი ქალაქების, სოფლების უმრავლესობამ რეგრესი განიცადა, მოსახლეობის სასმელი წყლით მომმარაგებელი არხები მოიშალა. მხოლოდ ჰულაქი მბრძანებლის კაზან ხანის რეფორმების შემდეგ ქვეყანაში გარკვეული აღორძინება მოხდა. ამ სახელმწიფოს დაშლის შემდეგ მდგომარეობა კვლავ გაუარესდა: აზერბაიჯანი ჩრდილოეთიდან ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშის, სამხრეთიდან ემირ თემურის, სამხრეთ-დასავლეთიდან კი ჯელაის მმართველების ლაშქრობების ქვეშ აღმოჩნდა. ასეთ რთულ ვითარებაში შირვანშაჰ იბრაჰიმ I-მა ჭკვიანი, შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გატარებით ქვეყანა განადგურებისაგან, მოსახლეობა კი გაწყვეტისაგან იხსნა.

XV საუკუნე აზერბაიჯანის ისტორიაში ხასიათდება, როგორც შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოების შექმნისა და აღზევების ხანა. თუმცა

შიდა ომებმა და შიდა არეულობებმა ამ ძლიერ აზერბაიჯანულ სახელმწიფოებს არ მისცეს საშუალება, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩენილიყვნენ ისტორიის სცენაზე და ქცეულიყვნენ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებად.



18

აზერბაიჯანი და სელჩუკები

აზერბაიჯანში აზიიდან ევროპამდე ვრცელი ტერიტორიების ერთად შემაერთებელ სელჩუკთა იმპერიისათვის დამორჩილების შემდეგ დასრულდა ერთიანი ხალხის ფორმირების პროცესი. სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის განმავლობაში აზერბაიჯანი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

თოღრულ ბეგი, ნიშაპური, გეჰსუდანი, ებულესყარ შავური.

აზერბაიჯანის შესვლა სელჩუკთა დიდი იმპერიის შემადგენლობაში. აზერბაიჯანი უძველესი დროიდან თურქების, მათ შორის ოღუზელების დედა სამშობლო იყო. თურქული მოდგმების მესამე შემოსვლის - სელჩუკების მოსვლით აზერბაიჯანელი ხალხის გახდა სამხრეთ კავკასიაში მთავარი ეთნიკური და პოლიტიკური ფაქტორი.

XI საუკუნის შუა ხანებში ცენტრალური აზიიდან ხმელთაშუა ზღვამდე, დერბენდის გადასასვლელიდან სპარსეთის ყურემდე ვრცელ ტერიტორიაზე შეიქმნა დიდი სელჩუკთა იმპერია. სელჩუკების სახელი ოღუზელი თურქების კინიკის მოდგმიდან მყოფი და X საუკუნეში ისლამის რჯულის მიმღები თურქი სარდალის სელჩუკის სახელთანაა დაკავშირებული.



სელჩუკთა სახელმწიფოს გერბი



სელჩუკთა დიდი იმპერია *ბიზანტიის იმპერია*



თოღრულ I (1038–1063)

მინიატურის საფუძველზე გამოთქვით მოსაზრება სელჩუკების ჩაცმულობისა და შეიარაღების შესახებ.

კაზნელიების მხრიდან შევიწროვებული სელჩუკები XI საუკუნეში იძულებული გახდნენ დასავლეთისაკენ აეღოთ გეზი. ამ დროს მათი მთავარი სამიზნე ბიზანტია იყო. სელჩუკების მეთაურის თორღულ ბეგის 1015 წელს გაცემული ბრძანებით მისი ძმა ჩაღრი ბეგი გამოვიდა დაზვერვითი ხასიათის ლაშქრობაზე და დაამარცხა ბიზანტიელთა ლაშქარი. ამ გამარჯვების შედეგად ვანის ტბის აუზი, ნახჩევანი და გარშემო მყოფი აზერბაიჯანული მიწები მათ დაქვემდებარებაში მოიქცია. ხორასანში დასახლებულმა სელჩუკებმა 1038 წელს შექმნეს პირველი სელჩუკთა სახელმწიფო(დედაქალაქი ნიშაპური). თორღულ I (1038-1063)- 1040 წელს სულთანად გამოცხადდა. ამავე წელს ჩატარებულ მერვის ყრილობაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით ახალი სამხედრო ლაშქრობების დაწყების შესახებ. სელჩუკებმა სახელმწიფოს დედაქალაქი 1043 წელს ნიშაპურიდან რეიში გადაიტანეს.



დენდანეკანის ბრძოლა. 1040 წლის 23 მაისს მერვის სიახლოვეს სელჩუკებსა და კაზნელიებს შორის მომხდარი ბრძოლა

აზერბაიჯანის ტერიტორია სელჩუკების შემოსევის ერთ-ერთი მიმართულება გახდა. იბრაჰიმ ინალის მეთაურობით აზერბაიჯანის ზოგიერთი ნაწილის დასავლეთ ირანთან ერთად დამპყრობი სელჩუკთა ლაშქარი მდინარე დეჯლეს სანაპიროებზე გავიდა. კასპიის სამხრეთის დამპყრობი ქუთალმიშის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა სელჩუკთა ლაშქარმა კი გადალახა მდინარე არაქსი და არანში შევიდა. ამის შემდეგ შედადებთან გაერთიანებულმა ქუთალმიშმა ბიზანტიის ჯარების წინააღმდეგ წარმატებული ოპერაცია დაიწყო.

რუკაზე უჩვენეთ სელჩუკების აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ლაშქრობის მიმართულებები.

1048 წელს სელჩუკ-აზერბაიჯანელთა ლაშქარმა აღმოსავლეთ ანადოლუში წარმატებული ოპერაციის ჩატარებით ბიზანტიელებს ძლიერი დარტყმა მიაყენა.

რევანდთა მბრძანებელი ვეჰსუდი გარკვეული დროის განმავლობაში სელჩუკებს წინააღმდეგობას უწევდა. თუმცა მან, დაინახა რა რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, 1054 წელს დაემორჩილა სელჩუკებს. სელჩუკების დაუმორჩილებელი სხვა აზერბაიჯანული ქალაქების ხოისა და სალმასის მოსახლეობის წინააღმდეგობამაც არავითარი შედეგი არ გამოიღო. შედადთა ხელმწიფემ ებულესვარ შავურმა მათთან შეთანხმება დადო. სელჩუკებსა და შედადებს შორის შეთანხმების პირობების თანახმად, მათ ერთად უნდა ეწარმოებინათ ბრძოლები ბიზანტიელი და სომეხ-ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ.




ალპ არსლანის ხანის ოქროს ფული, დინარი

აზერბაიჯანის ტერიტორიების სელჩუკების მხრიდან ადვილად დაპყრობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, აზერბაიჯანში მცხოვრები მოსახლეობა, სელჩუკების მსგავსად თურქები იყვნენ. გარდა ამისა, სელჩუკელი თურქების აზერბაიჯანში შემოსვლის დროს აქ არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო. ადგილობრივი მოსახლეობა ბიზანტიელი - სომეხი - ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში სელჩუკებში ძლიერ მოკავშირეს ხედავდა.

გაარჩიეთ სელჩუკებსა და შედადებს შორის ხელმოწერილი შეთანხმების შედეგები.

რომელ აზერბაიჯანულ სახელმწიფოსთან ფყვნენ კავშირში სელჩუკები?



სელჩუკთა მხედართმთავარი კარათექინი ლაშქრობისას

რევადებისა და შედადების სელჩუკთა მიერ დამორჩილების შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გამტარებელი ერთადერთი სახელმწიფო შირვანშაჰები იყო.

სელჩუკთა მხედართმთავარმა კარათექინმა 1066 წელს შირვანშაჰებს შეუტია და ფერიბურზუ I დაიმორჩილა, მას შირვანშაჰის ტიტულის ტარების უფლება ჩამოერთვა. ამით აზერ-ბაიჯანი მთლიანად სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობას შეუერთდა.


"მელიქშაჰი ძალიან რელიგიური. მეცნიერებისათვის პატივის მცემელი, უქორწილოთა განმცთხავი, ხალხისათვის სამართლიანად მომპყრობი მმართველია".

ნაზამულმულქი, ნაწარმოებიდან "სიასათნამე"

წყაროს საფუძველზე შეადარეთ მელიქშაჰ I მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვა მმართველებთან.

აღმოსავლეთის ტერიტორიების დაყრობის მიზნით XI საუკუნიდან დაწყებული, ევროპელი ჯვაროსნების ორგანიზებული ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მათთვის გამანადგურებელი დარტყმების მიმყენებელმა სელჩუკელმა თურქებმა ახლო და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის, დასავლეთი ევროპის სურვილის შესაბამისი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა.

სელჩუკელი თურქების სამხრეთ კავკასიაში მოსვლამ ამ მიწებზე ბიზანტიელთა განმტკიცება აღკვეთა. ბიზანტიაზე დაიმედებული აზერბაიჯანის დასავლეთი მიწების დაყრობის მცდელი ქართველებისა და სომხების გეგმები ჩაიშალა. ამით თურქებისა და ისლამის ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში მათ შორის აზერბაიჯანში მნიშვნელოვნად განმტკიცდა.



სელჩუკების ჯვაროსნებთან ბრძოლა

ერთხელ ალპ არსლანის ლოცვის დროს წინ ხელმოუწერელი საჩივრის წერილი გადმოაგდეს. წერილის შინაარსს გაცნობილმა სულთანმა ხაჯენა გამოიძახა და ასე უთხრა: "თუ მართალს ლაპარაკობენ, ქცევა გამოასწორე, ხოლო თუ ცრუ ბრალდებაა, მათ აპატიე და იმისათვის რომ ამგვარი რადაცეებისათვის დრო ვერ იპოვო, მნიშვნელოვანი საქმეებით დაკავდი."

ნაზამულმულქი, ნაწარმოებიდან "სიასათნამე"

ალპ არსლანის ხასიათის რომელმა თვისებამ ჰპოვა ასახვა ამ წყაროში?

1. რომელი სახელმწიფოები არსებობდა აზერბაიჯანში სელჩუკების შემოსევის დროს?
2. აზერბაიჯანში რომელი სახელმწიფოები არ ემორჩილებოდნენ სელჩუკებსა და უწევდნენ წინააღმდეგობას?
3. რა შედეგი ჰქონდა სელჩუკების შემოსევებს აზერბაიჯანისათვის?
4. რომელი ქალაქები იყო სელჩუკთა სახელმწიფოს დედაქალაქი?
5. როდის მიდიან სელჩუკებმა ისლამი?
6. განსაზღვრეთ სელჩუკთა შემოსევების მნიშვნელობა აზერბაიჯანისათვის.

7. ჩამოთვალეთ აზერბაიჯანის სახელმწიფოების დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლის მიმდევრობა.



აზერბაიჯანის ათაბეგების (ელდენიზების) სახელმწიფო

სელჩუკთა იმპერიის დაშლის პერიოდში გაჩენილი დამოუკიდებელი სასულთნოები თავის მხრივ ახალი სახელმწიფოების შექმნის მიზეზი გახდა. ამ სახელმწიფოების შემქმნელები სელჩუკი სულთნების ყოფილი მოხამხახურეები იყვნენ. ამ სახელმწიფოების მმართველები, როგორც წესი სელჩუკების მემკვიდრე უფლისწულების (მელიქების) აღმზრდელები იყვნენ. მათაც ("ათაბეგებს") უწოდებდნენ.

ათაბეგი. შამსედინ ელდენიზი, ჰავიბი, "დიდი ათაბეგი," ერაყის სელჩუკთა სასულთნო.

ელდენიზების სახელმწიფოს შექმნა. ელდენიზების სახელმწიფოს შექმნა აზერბაიჯანელი ათაბეგის შამსედინ ელდენიზის სახელთან არის დაკავშირებული. ის ახალგაზრდობაში ერაყის სელჩუკთა სასულთნოს მმართველის თორღულ II-ის სასახლეში მსახურობდა. ელდენიზი არასოდეს სასახლის ინტრიგებში არ იყო გარეული, მუდამ იყო მმართველის ერთგული და ამიტომაც შეძლო ამირის წოდებადმე ამაღლება. სწორედ ამ დროს ის სულთან თორღულ II-ის მცირეწლოვანი შვილის არსლანშაჰის ათაბეგად დაინიშნა. 1136 წელს სულთან მესუდმა არანი, როგორც იკთა ათაბეგ-შამსედინ ელდენიზს გადასცა. რეზიდენციის ბერდაში მქონე ელდენიზმა ადგილობრივი ემირები გადაიბირა. თვითონაც სულთანზე დამოკიდებულებიდან გამოვიდა. თანდათანობით ის შეიძლება ითქვას, რომ მთელ აზერბაიჯანს დაეუფლა და წვრილი მმართველები დაიმორჩილა.



აზერბაიჯანის ათაბეგების (ელდენიზების) სახელმწიფო (1136–1225 წლები)

გამოსახეთ შამსედინ ელდენიზის ხელისუფლებაში მიმავალი გზა.

1160 წელს ერაყის სელჩუკთა სასულთნოში ემირთა შეთქმულების შედეგად სულთანის ჩამოგდება, მკვლელობის შემდეგ მის ტახტ-გვირგვინს ელდენიზის მცდელობის შედეგად მისი მფარველობის ქვეშ მყოფი შვილობილი არსლანშაჰი დაეუფლა. ათაბეგი შამსედინ ელდენიზი ერაყის სასულთნოს ტახტის ნამდვილი მფლობელი გახდა. ამ დროიდან დაწყებული „ დიდ ათაბეგად" წოდებულმა შამსედინმა ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ავტორიტეტის განმტკიცება დაიწყო.



შამსედინ ელდენიზი

XII საუკუნის ავტორი სადრადინ ელ-ჰუსეინი აღნიშნავდა, :ნამდვილი მმართველი ათაბეგი ელდენიზი იყო. სულთან არსლანშაჰინს კი მხოლოდ მმართველის სახელი ერქვა“.

თქვენი აზრით რატომ შეარქვეს ელდენიზს “დიდი ათაბეგი” ?

XII საუკუნის 60-იან წლებში შამსედინ ელდენიზს ვრცელი ტერიტორიები, მათ შორის კეზვანი, სპარსი, ერდებილი, ნიშაპური, ჰემედანი, გილანი, მაზანდარანი, ისპაჰანი, რეი, მოსილი, დიარბაქარი, შირვანი, ქირმანი და ხუზისტანი ემორჩილებოდა. ზოგადად, მან კავკასიის მთებიდან სპარსეთის ყურემდე გადაშლილი ვრცელი ტერიტორია თავისი ხელისუფლების ქვეშ მოიქცია. ელ-ჰუსეინის ინფორმაციის თანახმად, მისი სამფლობელო „ტიფლისის კარებიდან მექრანამდე გაგრძელდა“.



ათაბეგ ელდენიზის სახელზე მოჭრილი სპილენძის ფული

1161 წლის აგვისტოში ქართველთა ლაშქარი მეფე გიორგი III-ის მეთაურობით, პირველად ელდენიზების მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ დროს არანის შემადგენლობაში მყოფი ქალაქი ანის დამპყრობი ქართული ლაშქარი 1163 წელს ელდენიზის მიერ დამარცხებული იქნა.

რუკაზე განსაზღვრეთ შამსედინ ელდენიზის სათაბეგოს სახელმწიფოს შემოერთებული ტერიტორიები.

ელდენიზი შევიდა საქართველოში. ერთითვის შემდეგ მის ხელში გადავიდა ქალაქი დებილი და გიორგი III-მ მძიმე დამარცხება იწვნია. 1175 წლის აგვისტოში ელდენიზის ბრძანებით მისმა საბრძოლო ნაწილებმა ჯაჰან ფეჰლევანის მეთაურობით ქართველების წინააღმდეგ კიდევ ერთხელ გაილაშქრეს. შედეგად ქართველები დამარცხდნენ. ამ დამარცხების შემდეგ მათ ანიზე, ასევე ელდენიზების დაქვემდებარებაში მყოფ სხვა ტერიტორიებზე პრეტენზიებისაგან ხელი აიღეს.

მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანის მმართველობის ხანა (1175–1186). ელდენიზის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში უფროსი შვილი მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანი მოვიდა. ჯაჰან ფეჰლევანის ხელისუფლების დროს ელდენიზების სახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით კიდევ უფრო განმტკიცდა. ჯაჰან ფეჰლევანი ბოლო სელჩუკი სულთანის თორღულ III-ის (1176-1194) ათაბეგი იყო. თორღულ III ჯაჰან ფეჰლევანის მფარველობის ქვეშ ნახჩევანში ცხოვრობდა. ჯაჰან ფეჰლევანმა აზერბაიჯანის მართვა ძმას კიზილ არსლანს ჩააბარა და შვილის ებუ ბექრის ათაბეგად დანიშნა.



მუჰამედ ჰაჯან ფეჰლევანის სახელზე მოჭრილი სპილენძის ფული

როდესაც სახელმწიფოს დედაქალაქი ჰემედანი იყო, თებრიზი კიზილ არსლანის რეზიდენცია იყო. ჯაჰან ფეჰლევანი, შემდგომში კი კიზილ არსლანი ელდენიზების სახელმწიფოს პოლიტიკური საყრდენის გაძლიერების მიზნით სელჩუკი სულთანების გაცემულ იკთა მიწებს მომხრე ფეოდალებს შორის ანაწილებდნენ. ჯაჰან ფეჰლევანმა ახალი იკთა მიწების მიმღები ამ ემირების დახმარებით 50 ათასიანი ძლიერი ცხენოსანთა ლაშქარი შექმნა.

რა ღონისძიებები განახორციელა მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანმა ხელისუფლების განმტკიცებისათვის?

"ათაბეგ ჯაჰან ფეჰლევანის ადმინისტრირების უნარისა და მკაცრი მომთხოვნელობის შედეგად სახელმწიფოს მართვის მთელი ქედი მტკიცე წესრიგს დაექვემდებარა. ათაბეგის ათწლიანი მმართველობის განმავლობაში ქვეყანას საზღვარგარეთიდან არც ერთი ზეწოლა არ განუცდია. სწორედ მისი მმართველობის დროს ქართველებმა მიიღეს მისი მოთხოვნები, მასთან ზავი დადეს"

ზაია ბუნიადოვი, წიგნიდან *"აზერბაიჯანის ათაბეგების სახელმწიფო"*

"ეპოქის მმართველმა ათაბეგ დიდმა შეწყვეთა ქვეყნად წვალების ფესვი".

ნიზამი განჯევი პოემიდან "ხოსროვი და შირინი"

მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანის შესახებ.

წყაროების საფუძველზე განსაზღვრეთ მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანის როგორც ხელმწიფოს მართველის მახასიათებელი თავისებურებები.

ჯაჰან ფეჰლევანმა რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო. ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის მმართველმა ელდენიზების სახელმწიფოს ნომინალური ხელისუფლება მიიღო და ჯაჰან ფეჰლევანის სახელზე ლოცვა აღავლინეს. უფრო მეტიც, მელიქებმა თავიანთ მონეტებში ელდენიზების სახელებიც მოიხსენიეს. ჯაჰან ფეჰლევანმა სხვადასხვა ოლქების მართვა შვილებს შორის გაანაწილა. ჯაჰან ფეჰლევანის მმართველობის ხანაში ელდენიზების სახელმწიფო ვაჭრობა, ხელოსნობა, მეცნიერება და კულტურა კიდევ უფრო განვითარდა.

კიზილ არსლანის ხელისუფლების პერიოდი (1186–1191). მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლება ძმაზე კიზილ არსლანზე გადავიდა. კიზილ არსლანი ცენტრალური ხელისუფლებისათვის ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლებს აწარმოებდა. სელჩუკთა სულთანის - თოღრულ III-ის მუდმივი ყურადღების ცენტრში ყოფნის პირობებში კიზილ არსლანი სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართავდა. 1190 წელს ჰამადანის სიახლოვეს ბრძოლაში კიზილ არსლანმა დაამარცხა თოღრულ III, მისი ქონება და იკთა ადგილები თავის მომხრეებს დაურიგა.



კიზილ არსლანი

შირვანშაჰებმა სცადეს ესარგებლათ შექმნილი დაპირისპირებით რათა მიეღწიათ დამოუკიდებლობისათვის. იმისათვის, რომ ეს არ მომხდარიყო, კიზილ არსლანმა შირვანს შეუტია და შამახი დაიპყრო. შირვანშაჰი ახსითან I იძულებული გახდა ხელახლა მიეღო ელდენიზების სახელმწიფოს ვასალობა.

1191 წელს კიზილ არსლანმა ხალიფას თანხმობით თავი სულთნად გამოაცხადა. დამორჩილებიდან გასული ოლქები ხელისუფლებას დაუმორჩილა.

რისი მაჩვენებელი იყო ის, რომ კიზილ არსლანმა მიიღო სულთანის ტიტული?


ელდენიზების სახელმწიფო მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას დერბენდიდან ისპაჰანამდე. კიზილ არსლანის ხელისუფლების დროს სახელმწიფოს პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. თუმცა ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იკთა მიწების ჩამორთმევით უკმაყოფილო სელჩუკი ემირების მიერ კიზილ არსლანი მოკლული იქნა.

ებუ ბექრისა (1191–1210) და უზბექის (1210–1225) მმართველობის ხანა. კიზილ არსლანის სიკვდილის შემდეგ მმართველობა ჯაჰან ფეჰლევანის შვილზე ებუ ბექირზე გადავიდა. ებუ ბექირის დროს ფეოდალური ურთიერთშუღლის პირობებში დაიწყო ელდენიზების სახელმწიფოს დასუსტება. 1194 წელს ხვარაზმშაჰ თექეშმა შეტევის შედეგად დაიკავა ხორასანის, რეისა და ჰემედანის ოლქები. 1197 წელს ჰემედანისათვის ბრძოლაში ებუ ბექირმა ხვარაზმშაჰები დაამარცხა და იქ ძმა უზბექი მმართველად დანიშნა. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ებუ ბექირის მმართველობის დროს ფეოდალებს შორის უერთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა.


ებუ ბექირის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებაში ძმა უზბეკი მოვიდა. უზბეკის მმართველობის დროს ელდენიზების სახელმწიფოს დაცემის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. ფეოდალური კონკლაობის გაგრძელებამ, ომებმა, ცენტრალური ხელისუფლების თანდათანობითმა შესუსტებამ მძიმე კვალი დატოვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მნიშვნელოვნად შესუსტდა მისი თავდაცვითუნარიანობა. ასეთ პირობებში მონღოლების აზერბაიჯანში პირველი შემოსევის შედეგად კიდევ უფრო შესუსტებული ელდენიზების სახელმწიფო 1225 წელს ხვარაზმშაჰის შვილის ჯალალედინის მიერ თებრიზის დაკავებით დაიშალა.

რა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა სახელმწიფოს დაშლაზე?

დაასრულეთ XII XIII საუკუნეებში ელდენიზების სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებული სქემა.



დაასრულეთ ელდენიზების სახელმწიფოსთან დაკავშირებული დიაგრამა.



1. შეაფასეთ XII საუკუნის 30-იან წლებში ათაბეგების სახელმწიფოს გეოპოლიტიკური პოზიცია.
2. განსაზღვრეთ XII საუკუნის 60-იან წლებში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გავლენა ათაბეგების სახელმწიფოს განვითარებაზე.
3. შეაფასეთ ათაბეგების სახელმწიფოს განვითარებაში XII საუკუნის 70-იანი წლების თავისებურებები.
4. ათაბეგი შამსედინ ელდენიზი შეადარეთ თოღრული I-თან და შეაფასეთ ორი.
5. მოამზადეთ რეფერატი მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანის შესახებ თქვენს მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.



20

შირვანშაჰები XI-XIV საუკუნეებში

აზერბაიჯანში უძველესი სახელმწიფოებრიობის ტრადიციების შენახვა – შენარჩუნებაში შირვანშაჰებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. XI საუკუნეში ხელისუფლებაში მოსული და XIV საუკუნემდე შირვანშაჰების სახელმწიფოს მმართველი ქესრანების დინასტიის მმართველობა ისტორიული მოვლენებით მდიდარი აღმოჩნდა. აღნიშნულ ხანაში მრავალრიცხოვანი უცხოელების შემოსევების გადატანის მიუხედავად, შირვანშაჰ მბრძანებლების მაღალმა მმართველობითმა უნარებმა სახელმწიფოს ხანგრძლივად არსებობის პირობები შექმნა.

ფერიბურზ I, დავით IV, თამარი, ჯებე, ახსითან I

შირვანშაჰები ახალი დინასტიის მმართველობის ხანაში. XI საუკუნის დასაწყისში მაზდიანელების დინასტიის ქესრანებით ჩანაცვლების შემდეგ ქვეყნის მმართველობაში სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა. ამ საუკუნიდან დაწყებული შირვანშაჰების ტერიტორიაზე უფრო მეტი უცხოელის შემოსევები და ლაშქრობები დაიწყო.

1030 წელს შირვანშაჰების სახელმწიფოზე ზღვიდან მოხდა რუსების შემოტევები. მენუჩოჰრ I მათ ბაქოს სიახლოვეს დაუხვდა. რუსებთან ბრძოლაში უამრავი შირვანელი დაიღუპა. შემდეგ რუსებმა მტკვარზე აღმა ცურვით არაქსამდე მიაღწიეს. მენუჩოჰრმა რუსების მოძრაობის შეჩერება სცადა და ამისათვის არაქსი გადაკეტა და რუსების არაქსით წინსვლა შეაჩერა.

რა დროს დაემთხვა რუსების აზერბაიჯანში პირველი შემოსევები?

სელჩუკებმა 1066 წელს შირვანის დამორჩილებით აზერბაიჯანის დაპყრობა დაასრულეს. ფერიბურზ I-ს შირვანშაჰის ტიტული ჩამოერთვა. თუმცა თურქ-სელჩუკების ხელისუფლების დროსაც აზერბაიჯანის სახელმწიფოებრიობის ტრადიციები არ მოსპობილა. მცირე ხანში შირვანშაჰების სახელმწიფო კვლავ აღორძინდა.

ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში. XI საუკუნის II ნახევრიდან მიუხედავად სელჩუკებზე დაქვემდებარებისა XII საუკუნის დასაწყისში მანუჩოჰრ II და აფრიდუნ I სახელმწიფოს დამოუკიდებლად მართავდნენ. თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები შირვანშაჰებთან დაახლოებას ცდილობდნენ. ამ მიზნით ქართველთა მეფე დავით IV ბიზანტიის იმპერატორ ალექსეი კომნინთან და ყივჩაღი თურქების მმართველ ათრაქ ხანთან კავშირში შევიდა. ქართველები სელჩუკების წინააღმდეგ შირვანშაჰების გამოყენებით ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკები გაეყვანათ სამხრეთი კავკასიიდან, რათა მომავალში აზერბაიჯანის დასავლეთი მიწების დაპრობის მიზნების განხორციელებაში მათთვის რაიმე ძალას ხელი არ შეეშალა. ქართველებს აზერბაიჯანის ისტორიული დასავლეთის მიწების დაპყრობის გეგმებში სომეხი ფეოდალებიც უჭერდნენ მხარს. ქართველ და სომეხ ფეოდალებს XI სუკუნეში ევროპაში დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობაც აიმედებდათ. ასე, რომ



მანუჩოჰრ III

ბიზანტიამ ევროპის კარების გაღებით მიაღწია ჯვაროსნების სელჩუკებთან შეჯახებას. თუმცა თურქ-სელჩუკების ადგილობრივ თურქებთან შერევა-შედუღაბებამ ხელი შეუშალა მათი ამ მიზნების განხორციელებას.

შირვანშაჰების ხელმწიფის აფრიდუნ I-ის სელჩუკებთან კავშირის დაურღვევლობის მომიზეზებით ქართველთა მეფე დავით IV 1120 წელს დიდი ლაშქრით შემოესია შირვანის ტერიტორიას, დაიპყრო კებელე და უძველესი აზერბაიჯანული ქალაქი გაძარცვა.

სამხრეთ კავკასიაში დიდი ავტორიტეტის მქონე თურქ-სელჩუკები 1121 წელს თიფლისიდან 40 კილომეტრის დაშორებით დიდგორად წოდებულ ადგილას ბრძოლაში შევიდნენ ქართველების, ყივჩაღი-თურქების, ოსებისა და დასავლეთ ევროპელი ჯვაროსნების გაერთიანებულ ძალებთან. XI საუკუნის II ნახევრიდან ქართველი მეფეები იძულებული იყვნენ გადაეხადათ გადასახადი მათზე ძლიერი სელჩუკთა სახელმწიფოსათვის. მათ სურდათ ამ ბრძოლით ბოლო მოეღოთ დამოკიდებულებისათვის. ქართველი თავადი დავით IV სელჩუკების საქართველოდან განდევნისა და VIII საუკუნიდან თიფლისის გარშემო ტერიტორიების მმართავი მუსლიმანთა საემიროს გაუქმებისათვის ერთმანეთის მიყოლებით სტრატეგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა. დიდგორის ბძოლა თურქ-სელჩუკების დამარცხებით დასრულდა და ამ დამარცხებამ თიფლისის ბედი გადაწყვიტა. ასე, რომ VIII საუკუნის 30-იან წლებში შექმნილი თიფლისის მუსლიმანთა საემირო 1122 წელს გაუქმდა და ქართველების ხელში გადავიდა. XII საუკუნის 20-იან წლებში შირვან-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაზე შირვანშაჰ მანუჩოჰრ III-ის მეუღლის თამარის გარდა თურქ სელჩუკების დასუსტებამაც მოახდინა გავლენა. ქართველებთან როგორც ნათესაობაზე ისე მოკავშირეობაზე დაყრდნობით მანუჩოჰრ III-მ 1066 წლიდან თურქ-სელჩუკებს უარი განუცხადათ წლიური ბაჯის გადახდაზე.

? *თქვენი აზრით, სწორი ნაბიჯი იყო შირვანშაჰების მიერ სელჩუკებთან ტრადიციული კავშირის დარღვევა?*

მისი ეს ნაბიჯი ერაყელი სელჩუკი მმართველის სულთან მაჰმუდის შირვანში ლაშქრობით დასრულდა. 1123 წელს მომხდარი ეს ლაშქრობა წარუმატებელი იყო. შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით ისარგებლა დავით IV-მ და 1124 წელს აზერბაიჯანის ტერიტორიები კვლავ დალაშქრა. ქართველთა ხელმწიფემ შამახი აიღო, თავისი გარნიზონი აქ დატოვა და უკან დაბრუნდა. თუმცა 1125 წელს მისი სიკვდილი ქართველთა გარნიზონის მიერ შირვანის დატოვებით დასრულდა. ამის შემდეგ მანუჩოჰრ III-მ შირვანის ტერიტორიაზე თავისი მმართველობის აღდგენა შესძლო.

შირვანშაჰების კავკასიის ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცევა. XII საუკუნის შუა ხანებში აზერბაიჯანის შირვანშაჰების სახელმწიფო სამხრეთი კავკასიის უძლიერეს პოლიტიკურ ფაქტორად იქცა.

1160 წელს მანუჩოჰრ III-ის სიკვდილის შემდეგ, მის შვილებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის. ელდენიზების დახმარებით ხელისუფ-ლებაში მოსული ახსითან I-მა (1160-1196) აღკვეთა თამარის მცდელობა, რომ შირვანი საქართველოსთვის მიეერთებინა. მან თურქ-სელჩუკებთან მეგობრული ურთიერთობები აღადგინა. საქართველოს სამეფოსთან მეგობრული ურთიერთობები გააგრძელა.

1173 წელს შირვანშაჰის სამხედრო ძალები ცენტრალური ხელი-სუფლების წინააღმდეგ აჯანყების ჩახშობაში ქართველ მეფეს გიორგი III-ს მიეხმარნენ.

1175 წელს შირვანშაჰების სახელმწიფოზე მოხდა სლავების შემოსევა. ამ შემოსევის მოგერიებაში გიორგი III-ის ქართულმა ლაშქარმა შირვანშაჰებს დიდი დახმარება აღმოუჩინა.

1192 წელს ძლიერი მიწისძვრის შედეგად შამახი დაინგრა. ამ მოვლენის შემდეგ დედაქალაქი ბაქოში გადავიდა.

"შირვანშაჰი და ემირი მირმანი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ასე რომ შირვანის ქვეყანას იმჟამად ალაპის გარისხებით უბედურება ეწვია. მიწისძვრის შედეგად ქალაქი შამახის კედლები და ციხე-კოშკები დაინგრა. ყველაფერი განადგურდა, ასევე შირვანშაჰის მეუღლე და ბავშვებიც დაიღუპნენ. როცა მათ ეს შეიტყვეს ტიროდნენ, სახეს იხოკავდნენ. გარშემო შეხედვისას ალაპის გარდა სხვა დამხმარე და მხსნელი ვერ დაინახეს".

აშურბეილი სარა, "შირვანშაჰების სახელმწიფო (VI–XVI საუკუნეები)"

რა გავლენა მოახდინა მიწისძვრამ შამახის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე?

უცხოელების შემოსევები შირვანშაჰებზე. XIII საუკუნის 20-იან წლებში აზერბაიჯანმა ახალი დამპყრობლების - მონღოლების შემოსევები განიცადა. 1221 წელს თებრიზის, სერაბის, ბეილაგანის, განჯისა და ტიფლისის ქალაქებზე შეტევის შემდეგ მონღოლების მორიგი მიზანი შირვანი და მისი ცენტრი ქალაქი შამახი გახდა. მონღოლებმა შამახის დაკავებისა და გაძარცვის შემდეგ დერბენდის გადასასვლელზე გავლით მონღოლეთში დაბრუნება მოისურვეს. თუმცა დერბენდი იმდენად იყო გამაგრებული, რომ მათ ამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. მაშინ მონღოლმა სარდლებმა ეშმაკურ ხერხს მიმართეს, დერბენდის გვერდის ავლით მთებში გზა იპოვეს და აზერბაიჯანი დატოვეს.

მონღოლების შირვანში პირველი შემოსევის დროს შამახის მოსახლეობას უთქვამს: "ისედაც ხმალს ვერ გადავურჩებით, ასევ ის სჯობია მედგრად დავხვდეთ, და ღირსეულად დავიღუპოთ".

აზედინ იბნ ელ-ესირი "ელ-ქამილ ფი-თ თარიხ" ნაწარმოებიდან"

წყაროს მიხედვით, განმარტეთ 1221 წელს მონღოლების შამახზე შემოსევა.



მინიატურა მონღოლების შემოსევის შესახებ

1225 წელს ხვარაზმშაჰ ჯალალედინმა დიდი ლაშქრით შეუტია სამხრეთ კავკასიას. მან სამოცდაათი ათასიანი ძლიერი ჯარით გაანადგურა და გაძარცვა ქვეყნები. შემდეგ ის აზერბაიჯანში შემოვიდა და განჯა დაიპყრო. ჯერ კიდევ ახსითან I-ის დროიდან ხვარაზმშაჰების მზარდი ძლიერების მნახველი შირვანშაჰები ეცდებოდნენ მათთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ. შირვანშაჰმა გუშოესბ I-მა იცოდა რა, რომ ჯალალედინი შირვანს შეუტევდა, დაიწყო დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა. ხვარაზმშაჰ ჯალალედინის 1227 წელს შირვანში შემოსევის დროს შირვანშაჰ ფერიბურზ III-მ წარმატებული დიპლომატიური პოლიტიკით ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლო. 1231 წელს მოხდა აზერბაიჯანში მონღოლების მეორე შემოსევა.

შეადარეთ შირვანშაჰების მმართველების ფერიბურზ I-და ფერიბურზ III-ის მმართველობის პერიოდები.

1239 წელს შირვანის დაპყრობა დასრულდა. 1258 წელს შექმნილმა ჰულაქების სახელმწიფომ მოკლე დროში მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა. ახთისან II-მ მორჩილების ჩვენებით შირვანი განადგურებისაგან იხსნა. შირვანშაჰები მმართველობას ახორციელებდნენ როგორც ჰულაქების ვასალები, მართალია, თავიანთი სახელით ისინი ფულის მოჭრას აგრძელებდნენ, უკვე საზეიმოდ ტიტულებს აღარ აჩვენებდნენ, პირველ რიგში მონღოლთა ხანის სახელს ახსენებდნენ. შირვანშაჰები ჰულაქი მბრძანებლების ყველა მობილიზაციის დროს ორგანიზებული საბრძოლო რაზმებით მონაწილეობდნენ.

XIV საუკუნის 30-იან წლებში ჰულაქების სახელმწიფოს დასუსტებით ისარგებლეს შირვანშაჰებმა და შიდა დამოუკიდებლობა აღადგინეს. 1345 წელს ხელისუფლებაში მოსული ქავუს იბნ ქეიქუბადი ჰულაქების დაშლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა. მისი თებრიზში ლაშქრობები ჩელაირ შეიხ უვეისის შეშფოთების მიზეზი გახდა.

"შირვანშაჰ კავუსი სულთან უვეისს მასზე მაღალ მმართველად არ ცნობდა და მას ხარკს არ უხდიდა".
აშურბეილი სარა, "შირვანშაჰების სახელმწიფო (VI–XVI საუკუნეები)"

1367 წელს შირვანზე შემოსევით შეიხ უვეისმა შირვანშაჰები დაიმორჩილა. კავუსის შემდეგ ტახტზე ასულმა ჰუშენგმა (1372-1382) სახელმწიფოს განმტკიცების გზაზე გადადგა გარკვეული ნაბიჯები. მუღანის ტერიტორია შირვანშაჰებს დაემორჩილა, თუმცა მმართველობის ბოლო პერიოდში ჰუშენგის მოსახლეობის წინააღმდეგ უმოწყალო ქცევა, წვრილი ფეოდალებისა და სოფლელების უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

1. განსაზღვრეთ რა როლი ითამაშა შირვანშაჰების სახელმწიფომ აზერბაიჯანის ისტორიაში.
2. მოამზადეთ რეფერატი შირვანშაჰების სამინათ და საგარეო პოლიტიკის შესახებ.
*3. გამოიკვლიეთ შირვანშაჰების რეზიდენციაში არსებული პოლიტიკური პოზიციები **XI–XIII** საუკუნეებში.*
*4. მოამზადეთ ქრონოლოგიური ცხრილი **XI–XIII** საუკუნეებში შირვანშაჰების ტერიტორიაზე მოძრავი შემოსევების შესახებ.*
*5. შეადგინეთ გრაფიკები და დიაგრამები **XI–XIII** საუკუნეებში შირვანშაჰების გეოპოლიტიკური პოზიციების შესახებ.*




21

აღორძინების კულტურა

ევროპაში XIV–XV საუკუნეებში მომხდარი აღორძინება აზერბაიჯანში რამდენიმე საუკუნით ადრე მოხდა. ასე რომ XI–XII საუკუნეებში მმართველების მფარველობით პოეტებმა და არქიტექტორებმა მსოფლიო კულტურის შედევრების რიგში მყოფი ღირებული ნაწარმოებები შექმნეს.

ბეჰმენიარი, ხეთიბ თებრიზი, ნიზამი გენჯევი, ხემსე "ხუდაფერინის" ხიდი, ეჯემი ემუბექრ ოღლუ



ბეჰმენიარი

მეცნიერება. XI-XII საუკუნეებში კულტურის აღორძინებამ ბიძგი მისცა მეცნიერებისა და განათლების მაღალ დონეზე მიღწევას. ქვეყანაში მსოფლიოს მოწინავე მეცნიერები მოღვაწეობდნენ. აღორძინების ხანაში აზერბაიჯანში ცხოვრობდნენ ისეთი მეცნიერები, როგორიცაა მექი ელ-ბერდეი, იბნ სინანის მოწაფე ბეჰმენიარი და რელიგიური შეხედულებების გამო 32 წლის ასაკში სასულიერო პირების მიერ მოკლული ფილოსოფოსი ეინელკუზათ მიანეჩი.

რაში ხედავთ იმის მიზეზებს, რომ აზერბაიჯანში აღორძინება მოხდა უფრო ადრე ვიდრე ევროპაში?

ერთხელ იბნ სინას სამჭედლოში ყოფნისას ბეჰმენიარი იქ მისულა ცეცხლი მოუთხოვია. მჭედელს უთქვამს: "მოიტანე ჭურჭელი, შიგ ცეცხლს ჩავდებ და წაიღე". ბეჰმენიარს მუჭაში ცოტაოდენი მიწა ჩაუყრია და უთქვამს: "ცეცხლი ამ ჭურჭელში ჩადე". ბეჰმენიარის საზრიანობის მნახველმა იბნ სინამ იგი თავის მოწაფედ აიყვანა."

ელ-ხანსარი, ნაწარმოებიდან "რაჰათ ელ-ჯენნათ ფიլ-ეჰვალ ელ-ულემა გა-ს-სადათ"

იბნ სინა ბეჰმენიარის შესახებ წერდა: „ მე ის შვილზე მეტად მიყვარს. მე მას სწავლა-განათლება მივეცი და ამ დონემდე მივიყვანე".

გამოიკვლიეთ რა წვლილი შეიტანეს იბნ სინამ და ბეჰმენიარიმ მეცნიერების განვითარებაში



მემარ ეჯემი

ცნობილმა ენათმცოდნემ ხეთიბ თებრიზმა განათლება სირიაში მიიღო, შემდეგ ბაღდადში ცნობილი ნიზამიეს მედრესაში 40 წლის განმავლობაში ასწავლიდა. იგი იყო მთელი ისლამური სამყაროს ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების სფეროს ენციკლოპედიური მცოდნე ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერთაგანი. ფაზილ ფერიდინ შირვანი XII საუკუნის ცნობილი ასტრონომი იყო.



იბნ სინა

არქიტექტურა. ნახჩევანის არქიტექტურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელის მემარ ეჯემის აგებული ძეგლები აღორძინების ხანის არქიტექტურის უმშვენიერესი ნიმუშებია. XII საუკუნეში მემარ ეჯემის გარდა ცხოვრობდა ისეთი არქიტექტორიც, როგორიცაა მესუდ დავუდოღლუ.

XI საუკუნის ძეგლები

1027-წელს აგებული ხუდაფერინის ხიდი





1063-წელს აბრაჰამ ოსმანოღლუს მიერ დამზადებული განჯას ჭიშკარი


? *რა სტრატეგიული და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ხუდაფერინის ხიდს?*

M *მუმინე ხათუნის აკლდამაში სწერია: ... ეს განსასვენებელი მსოფლიო მეცნიერების, სამართლიანი მმართველის, დიდი გამარჯვებულის შამშედინ ნურართ მთელი ისლამისა და მუსლიმანთა მუჰამედ ჯაჰან ფეჰლევანმა, ჯაჰან ფეჰლევანის ათაბეგი ებუ სეფერ მუჰამედ ილდენიზმა... მსოფლიოსა და რელიგიის, ისლამისა და მუსლიმანების ნამუსის მუმინე ხათუნის სხოვნისათვის აგება ბრძანა...*


ჯეფერ კიასი ნაწარმოებიდან "ნიზამის ხანის არქიტექტურული ძეგლები"

"ინჟინრების შეიხად" წოდებული ეჯემი ებუბექრ ოღლუს მიერ ნახჩევანში აგებული ძეგლები.

ოუსუფ იბნ ქუსეირის აკლდამა



მუმინე ხათუნის აკლდამა



წყვილი მინარეთი



ჯუმა მეჩეთი



დარულმულქი

გამოსახულება არ არის დარჩენილი

? *რა არის ნახჩევანში XII საუკუნის არქიტექტურული ძეგლების სიმრავლის მიზეზი?*

XII საუკუნეში აგებული თავდაცვითი ნაგებობები.

მდინარე აღსუს სანაპიროზე ბუღურდის კოშკი



ბაქოში მერდექანის კოშკი



ბაქოში არქიტექტორ მესუდ დავუდოღლუს მიერ აგებული ქალწულის კოშკი



გულუსტანის კოშკი შამახიში




? *რა მიზეზით ენიჭებოდა უპირატესობა XII საუკუნეში თავდაცვითი კოშკების მშენებლობას?*

XII საუკუნის ნახჩევანის არქიტექტურის სტილში მარაღაში ცისფერი გუმბათოვანი აკლდამა, ურმიაში სამი გუმბათოვანი აკლდამა. ჯულფაში მიწისქვეშა აკლდამა აიგო.



ცისფერი გუმბათოვანი აკლდამა



მარაღა ელინჯერაი ხანეგაჰი




ჯულფა სამი გუმბათოვანი აკლდამა, ურმია

ლიტერატურა. XI-XII საუკუნეებში ლიტერატურაში მოხდა აღორძინება. ამ დროის ლიტერატურის უმაღლესი მწვერვალი ნიზამი გენჯევის (1141-1209) შემოქმედებაა იყო. ნიზამი გენჯევი გენჯაში დაიბადა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში იქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

რაში გამოიხატებოდა ნიზამი გენჯევის შემოქმედების კავშირი ისტორიულ პროცესებთან?

ნიზამი გენჯევიმ განათლება გენჯაში მედრესაში მიიღო, ხოლო შემდეგ თვითგანათლებით იმ დროის მეცნიერებები სრულყოფილად შეისწავლა. განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთის ხალხების ზეპირ და წერილობით ლიტერატურას ახლოდან გაეცნო. დედა ენის გარდა არაბული და სპარსული ენების სრულყოფილად მცოდნე პოეტი, როგორც მისი ნაწარმოებებიდან ირკვევა იცნობდა ბერძნულ ენასაც, ამასთან კარგად ჰქონდა ათვისებული ძველი ბერძნული ისტორია და ფილოსოფია, ასტრონომიის, მედიცინისა და გეომეტრიის მეცნიერებები. ათაბეგმა მმართველმა კიზილ არსლანმა ნიზამი გენჯევის აჩუქა სოფელი, რომელსაც ერქვა ჰემდუნია.



ნიზამი გენჯევი

რა იყო იმის მიზეზი, რომ კიზილ არსლანი ნიზამი გენჯევის აქცევდა ყურადღებას?

აღორძინების ხანის ცნობილი პოეტები იყვნენ ებულ-ულა გენჯევი, მუჯირედინ ბეილეგანლი, ფელექი შირვანი, იზედინ შირვანი, კივამი გენჯევი, კეთრან თებრიზი, მეჰსეთი გენჯევი, ხაგანი შირვანი და სხვები. აღორძინების ხანის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წარმატება თურქული ენის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი ურთიერთობის საშუალებად ქცევა იყო.




კათრან თებრიზი

ხუთეული ნიზამი განჯევი


საიდუმლოებათა ხაზინა (1174–1175)	ხოსროვი და შირინი (1180)	ლეილი და მეჯნუნი (1188)	შვიდი მზეთუნახავი (1197)	ისკანდერნამე (1200–1203)





















გამოიკვლიეთ ნაწარმოებში შვიდი მზეთუნახავი რომელი ქვეყნის ლამაზები იყვნენ?

1. რა მნიშვნელობა ჰქონდა გენჯის კარიბჭეს და როგორია მისი კავშირი ჩვენი კულტურის ისტორიასთან?
2. რომელ ლიტერატურის მოღვაწეებს იცნობთ XI–XII საუკუნეებთან დაკავშირებით?
3. შეადარეთ XI–XII საუკუნეების აზერბაიჯანის კულტურა ევროპის კულტურასთან.
4. განსაკუთრებით ნიზამის შემდეგსაში მეცნიერებათა სწავლების უპირატესობა და ეს უპირატესობა შეაფასეთ როგორც კულტურის განვითარებაში მომხდარი პროცესი.
5. მოამზადეთ რეფერატი მეჯარ ეჯების შესახებ შეგროვებული მასალების საფუძველზე.
6. მოამზადეთ წარდგენა აღორძინების კულტურის თურქულ-ისლამური კულტურის შემადგენელ ნაწილად შეფასების შესახებ.



22

აზერბაიჯანი მონღოლთა შემოსევების დროს

***XIII** საუკუნეში აზერბაიჯანმა იმ პერიოდის დიდი დამპყრობლის ჩინგიზ ხანის შემოსევები გადაიტანა. მომთაბარე ბუდისტმა მონღოლებმა მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში განვითარებულ ცივილიზაციას დიდი ზიანი მიაყენეს, მისი გავლენით ისლამის სარწმუნოების მიღებით თანდათანობით გათურქდნენ.*

ჯებე, სუბუთაი, აღსუნკურიები, ჯალალედინი, უსტა ბერდერი, იარლიყი, ნოინი

აზერბაიჯანი მონღოლთა შემოსევების წინ. XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლთა შემოსევების წინ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო არ არსებობდა. ქვეყანაში ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა იდგა. აზერბაიჯანში ელდენიზების ათაბეგების სახელმწიფო და შირვანშაჰების სახელმწიფო არსებობდა. მარაღაში რევადების მოდგმის ადგილობრივი აღსუნკურების დინასტია (1108-1227) აგრძელებდა მმართველობას. ქალაქები ეჰერი, მეშქინი და სერაბი კი ეჰერი მმართველობის მიერ განიკარგებოდა.

XII საუკუნის ბოლოს ელდენიზების სახელმწიფომ თავისი ძლიერება დაკარგა. ელდენიზების დინასტიის წევრებს შორის მიმდინარე ბრძოლებმა სახელმწიფოს საფუძვლები შეარყია. ბოლო ათაბეგი უზბეკი (1210-1225) ფეოდალების ჯგუფების ხელში სათამაშოდ იყო ქცეული. სახელმწიფო საქმეები, შეიძლება ითქვას, რომ მისი მონაწილეობის გარეშე წყდებოდა.

განსაზღვრეთ ცენტრალიზებული სახელმწიფოს ნაშრები.



მონღოლების დაზვერვითი ლაშქრობები. მინიატურა

მონღოლების პირველი შემოსევა აზერბაიჯანში. ისარგებლეს რა შექმნილი მდგომარეობით, მონღოლები პირველად აზერბაიჯანს 1220 წელს შემოესივნენ. ზენჯანის, ერდებილის, სერაბისა და სხვა ქალაქების მმართველი მონღოლი მხედართმთავრები ჯებე და სუბუთაი თებრიზს მიუახლოვდნენ. მონღოლებმა იცოდნენ რომ ქალაქს ძლიერი გალავანი ერტყა გარშემო, მისი ძალით აღება ძნელი იქნებოდა, ამიტომ მონღოლებმა საჭიროდ ჩათვალეს მოლაპარაკებების წარმოება. ელდენიზ უზბეკმა, რომელიც არ იყო დარწმუნებული ქალაქის დაცვისუნარიანობაში, მონღოლებთან შეთანხმებას მიანიჭა უპირატესობა. მან ჯებესადა სუბუთაისთან ელჩი გააგზავნა. მათ უამრავი სურსათი, ტანსაცმელი, პირუტყვი და ოქრო მისცა. დიდი გადასახადის მიღების შემდეგ მონღოლები გამოსაზამთრებლად მუღანისკენ გაემართნენ. თუმცა საქართველოს მეფე გიორგი IV-სა და ათაბეგ უზბეკს შორის სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიმღებმა ჯებემ და სუბუთაიმ მუღანიდან საქართველო დალაშქრეს. ამრიგად, მონღოლებმა მოკავშირეებს აჯობეს და ისინი ცალკ-ცალკე დაამარცხეს. მონღოლები 1221 წლის დასაწყისში საქართველოდან ისევ თებრიზისაკენ დაიძრნენ. ქალაქის მმართველმა შემსედინ თუღრაიმ გადასახადის გადახდით კვლავ გადაარჩინა ქალაქი ძარცვა-გლეჯვისაგან. მონღოლებმა მოულოდნელად მარაღას შეუტიეს, ქალაქი ხელში აიღეს და მათთვის ძლიერი წინააღმდეგობის გამწევი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტვა მოაწყვეს. მონღოლების მესამეჯერ თებრიზთან მიახლოებისას უზბეკი ნახჩევანში გაიქცა. შემსედინ თუღრაიმ თებრიზელებს ბრძოლისაკენ მოუწოდა მონღოლი სარდლები ქალაქის დამცველებთან ღია ბრძოლაში აღარ ჩაებნენ, კიდევ ერთხელ გადასახადის მიღებით დაკმაყოფილდნენ.

რატომ ანიჭებდნენ მონღოლები ქალაქ თებრიზის ხელში აღებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას?

ბეილეგანის მოსახლეობა უმოწყალო ბრძოლების შემდეგ დანებდა. მათ არნახული ტანჯვა გადაიტანეს. მონღოლებმა აქედან განჯისკენ იბრუნეს პირი, თუმცა ქალაქის მოსახლეობისაგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ. გადასახადების მიღებით დაკმაყოფილდნენ და საქართველოში წავიდნენ. საქართველოდან შირვანში შესული მონღოლები მალე იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ აზერბაიჯანის ტერიტორია. მათ 1222 წელს დერბენდზე გადასვლით ჩრდილოეთის მიმართულებით უკან დაბრუნების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება. თუმცა მონღოლებმა შეიტყვეს რა, რომ ქალაქი ძალიან იყო გამაგრებული, მიმართეს ეშმაკურ ხერხს. შირვანშაჰს შეატყობინეს, რომ მათთან ზავის დადება სურდათ. შირვანშაჰმა ეს პირობა მიიღო და მოლაპარაკებისათვის ათკაციანი ელჩთა საბჭო გააგზავნა. მონღოლებმა ერთ-ერთი ელჩი მოკლეს და დანარჩენები აიძულეს, რომ მათ ისინი საიდუმლო გზით დერბენდიდან ჩრდილოეთით გადაეყვანათ. ამრიგად, მონღოლებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს და მონღოლეთში დაბრუნდნენ. მონღოლების პირველი შემოსევა დაზვერვით ხასიათს ატარებდა და მომავალი დაპყრობებისათვის ნიადაგს ამზადებდა.

რა შედეგები ჰქონდა მონღოლების პირველ შემოსევას აზერბაიჯანისათვის?

ხვარაზმშაჰ ჯალალედინის შემოსევა აზერბაიჯანში. 1225 წელს აზერბაიჯანში მოხდა ხვარაზმშაჰ მუჰამედის შვილის ჯალალედინის შემოსევები. ჯალალედინი სამხრეთიდან გადმოვიდა შეტევაზე, დაიკავა ქალაქი მარაღა და გარკვეული დროის განმავლობაში ქალაქში აღდგენითი სამუშაოების წარმოების შემდეგ თებრიზს შეესია, უზბეკი ოჯახთან ერთად ჯერ განჯაში, შემდეგ კი ელინჯეს ციხე-სიმაგრეში გაიქცა და იქ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებით (1225 წელი) აზერბაიჯანში ელდენიზების სახელმწიფო დაიშალა. თებრიზელები მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ.



ხვარაზმშაჰ ჯალალედინი


ისინი 7 დღე მამაცურად იბრძოდნენ, თუმცა ჯალალედინი ქალაქის მაღალ ფენებთან მოლაპარაკებაში შევიდა და ქალაქი დაიკავა. განჯა ბეილეკანი, ბერდა, შამქირი და სხვა ქალაქებიც დაიპყრო. მარაღას დაპყრობის შედეგად 1227 წელს აღსუნკურიების სახელმწიფო დაიშალა. შირვანშაჰები კი ყოველწლიურად ასი ათასი დინარის გადასახადის მიცემის პირობით იძულებულნი იყვნენ ჯალალედინის მმართველობა მიეღოთ.

შეადარეთ აზერბაიჯანში ხვარაზმშაჰ ჯალალედინის შემოსევის წინა და შემოსევის შემდგომ დროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა.

აზერბაიჯანის მართვას ჯალალედინის ვეზირი შერეფ-ელ-მულქი განკარგავდა. მის მიერ თებრიზში უკანონო გადასახადების შეგროვება ქალაქის მოსახლეობის აჯანყების მიზეზი გახდა. თუმცა აჯანყება ჩახშობილი იქნა. ჯალალედინის წინააღმდეგ მომხდარი 1231 წლის განჯის აჯანყება სახალხო მოძრაობის უმაღლესი მწვერვალი გახდა. ხელოსანი ბენდერის მეთაურობით განჯელებმა ქალაქის მმართველის სასახლე დაანგრიეს, სახელმწიფოს მოხელეებსა და მოსამსახურეებს შორის რამდენიმე მოკლეს, ქალაქში არსებული ხვარაზმის გარნიზონი მოსპეს. ჯალალედინმა აჯანყება დიდი გაჭირვებით ჩაახშო. აზერბაიჯანის ხოის, მერენდის, ნახჩევანისა და სხვა ქალაქების მოსახლეობაშიც თავისუფლების მოძრაობამ ფართო გაქანება მიიღო. აზერბაიჯანში მომხდარმა აჯანყებებმა უჩვენეს, რომ ჯალალედინის შექმნილ სახელმწიფოს მტკიცე საფუძველი არ ჰქონდა. ამით ისარგებლეს მონღოლებმა და კვლავ აზერბაიჯანში შემოიჭრნენ.

აზერბაიჯანში მომხდარი აჯანყებების საფუძველზე გამოთქვით მოსაზრება ჯალალედინის შექმნილი სახელმწიფოს შესახებ.

მონღოლების მეორე შემოსევა აზერბაიჯანში. ჯორმოღონ ნოინის მეთაურობით მონღოლთა ლაშქარი ქალაქების რეისა და ჰემედანის დაპყრობის შემდეგ 1231 წელს მეორედ შემოიჭრნენ აზერბაიჯანში.



მონღოლთა შემოსევები აზერბაიჯანში

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში შექმნილი მდგომარეობა მტრისათვის დიდი წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას არ იძლეოდა, ცალკეულ ქალაქებში დამპყრობლების წინააღმდეგ წვავე ბრძოლები ხდებოდა. თებრიზის დამმორჩილებელმა მონღოლებმა ბევრი ცნობილი ხელოსანი თავიანთ დედაქალაქში კარაკორუმში გააგზავნეს. მონღოლებმა თებრიზიდან გეზი განჯისაკენ აიღს. ისინი დიდხანს იბრძოდნენ ქალაქის მოსახლეობის წინააღმდეგ და მხოლოდ 1235 წელს შეძლეს ქალაქის დაკავება დიდი ნგრევები გამოიწვიეს. განჯა 4 წლის განმავლობაში გაპარტახებულ მდგომარეობაში დარჩა.



მონღოლი მებრძოლის სამოსი

ქალაქი შემქორი გადაიწვა. დიდი იყო მსხვერპლი. ცოტა ხნის შემდეგ ბაქო, თოვუზი და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებიც მონღოლების მიერ იქნა დაპყრობილი. 1239 წელს ქალაქ დერბენდის დაკავებით აზერბაიჯანის დაპყრობა დასრულდა. პირველი შემოსევებისაგან განსხვავებით მონღოლების მეორე შემოსევისას ძირითადი მიზანი დაპყრობილ ქვეყნებში განმტკიცება იყო. ასე რომ ისინი გამარჯვების მოპოვების შემდეგ მონღოლეთში აღარ დაბრუნდნენ და ახალ ტერიტორიებზე დამკვიდრდნენ.


რატომ შეძლეს მონღოლებმა მეორე შემოსევის დროს აზერბაიჯანის დაპყრობის დასრულება? მოსაზრება დაასაბუთეთ.

აზერბაიჯანისა და ასევე წინა კავკასიის ტერიტორია 1239-1256 წლებში უმაღლესი მონღოლური სახაგანოს მიერ დანიშნული ჯანიშების მიერ იმართებოდა. მონღოლი ჯანიშების, განსაკუთრებით არკუნ აღას აზერბაიჯანში ცხოვრებაში გატარებული პოლიტიკის ძირითადი არსი ადგილობრივი ფეოდალების - ვასალების მომთაბარე მონღოლ ზედაფენებზე დამოკიდებულების გაძლიერებისაგან შედგებოდა. ადგილობრივი ფეოდალები მონღოლებს გადასახადს უხდიდნენ და ძვირფას საჩუქრებს ჩუქნიდნენ. ისინი უმაღლესი მონღოლი მმართველების ტახტზე ასვლისა და გვირგვინის დადგმის ღონისძიებებში იღებდნენ მონაწილეობას. ყოველ ჯერზე უმაღლესი მონღოლი მბრძანებლის არჩევისას ადგილობრივ ფეოდალებს თავიანთი მალიქების მართვისათვის იარლიყი[1] ეძლეოდათ.

შეადარეთ სასანი მერზბანები და მონღოლი ჯანიშანები.

1. რაში მდგომარეობდა ჯალალედდინის წინააღმდეგ მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზები?
2. რა განსხვავება იყო მონღოლთა და არაბთა შემოსევებს შორის?
3. რა მოისახურება უნდა გაუწიათ ვასალებს თავის მფლობელებისათვის?
4. შეადარეთ მონღოლების პირველი შემოსევა და ხვარაზმშაჰ ჯალალედდინის შემოსევა.
5. სურათზე დაყრდნობით შეადარეთ მონღოლი და VII საუკუნის აზერბაიჯანელი მებრძოლის იარაღები.

[1] ***იარლიყი*** – (თურქულ-მონღოლურად განკარგულება, ბრძანება) ხანების გაცემული წერილობითი ბრძანებულება. იარლიყები ძირითადად ხელშეკრულებისა და პრივილეგიების შესახებ ბრძანებულებებია.



23

აზერბაიჯანი ჰულაქების სახელმწიფოს შემადგენლობაში

პირველი შემოსევების შემდეგ მონღოლების მიერ აზერბაიჯანში შექმნილმა მართვის სისტემამ დიდხანს გერ იარსება. დამპყრობლები დაკავებული ტერიტორიების მართვისათვის ბრძოლას ავრძელებდნენ. კავკასიაში და წინა აზიაში ახალი შემოსევები დაიწყო.

იუშმუთი, ჰულაქუ ხანი, ჯუჩი იამი, ბაიდარათი

მიწების მართვის სურვილმა უმაღლეს მონღოლ ხაგანებს რა შესაძლებლობები შეუქმნა? რა კვალი დატოვეს ისტორიაში ამ შემოსევების შედეგებმა?

მონღოლების მესამე შემოსევა აზერბაიჯანში, წინა აზიაში, კავკასიაში და მცირე აზიაში ჯერ კიდევ დამოუკიდებლად მოქმედი მსხვილი ფეოდალური სამფლობელოების წინააღმდეგ უმაღლესი მონღოლური ხაგანების მხრიდან საბრძოლველად გაგზავნილმა მონღოლმა სარდალმა ჰულაქუ ხანმა (1258-1265 წლები) 1256 წელს აზერბაიჯანი, 1258 წელს ბაღდადი დაიპყრო. 500 წელზე მეტხანს არსებული აბასების ხალიფატი დაიშალა. ამრიგად, ახლად დაპყრობილი ტერიტორიების ხარჯზე მე-5 მონღოლთა ულუ-ჰულაქების (ელხანიების) სახელმწიფო შეიქმნა. ამ სახელმწიფომ აზერბაიჯანში ერთი საუკუნემდე-1357 წლამდე იარსება. აზერბაიჯანი ჰულაქების სახელმწიფოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა. სხვადასხვა პერიოდებში ქვეყნის დედაქალაქი იყო ქალაქები მარაღა, თებრიზი და სულთანიე. არანისა და მუღანის ოლქები ელხანების სახელმწიფოს ზამთრის, ხოლო ყარაბაღი კი ზაფხულის საძოვრები იყო.

გაარკვიეთ რა იყო ულუსი.

ჰულაქუ ხანმა ვრცელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მომთაბარე თავადებზე დაყრდნობით სახელმწიფოს უმაღლესი მმართველობის ორგანოები, სამხედრო-პოლიტიკური სამმართველოები და ოლქები უფლისწულებსა და ცნობილ ემირებს შორის გაანაწილა. აზერბაიჯანში მომთაბარე მონღოლმა ფეოდალებმა დაიწყეს მართვა. უფლისწული იუშმუთი არანის მმართველად დაინიშნა. აზერბაიჯანის ტერიტორიების დიდ ნაწილზე, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ ნაწილში მონღოლების ძლიერი სამხედრო შენაერთები დაბანაკდნენ. ეს სამხედრო ძალები ოქროს ურდოს ხანების ჰულაქების სახელმწიფოზე ჩრდილოეთიდან დროგამოშვებით შემოსევების აღკვეთასა და საზღვრების განმტკიცებას ემსახურებოდა. არამომთაბარე მოსახლეობის ექსპლუატაციისა და ადგილობრივი ფეოდალების შევიწროების შედეგად ჰულაქუ ხანმა მალე ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი და ცენტრალიზებული სახელმწიფო შექმნა.

რა მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანის ჰულაქების სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნას?



ჰულაქუ ხანი და მისი მეუღლე დოკუზ ხათუნი

თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. ჰულაქუ ხანის გარდაცვალების შემდეგ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა. მეორე მხრივ, ქვეყნის საგარეო მდგომარეობაც არ იყო წყნარი. ჰულაქების სახელმწიფოს შექმნის დაწყებიდან აზერბაიჯანის ტერიტორიისათვის მასთან ერთად სხვა მონღოლური სახელმწიფოს, ჯუჩის მოდგმის ოქროს ურდოებს (ჩრდილოეთით) შორის მიმდინარე ომებმა ქვეყნის მდგომარეობა შეარყიეს. აზერბაიჯანის დაპყრობის დიდი სურვილის მქონე ოქროს ურდოს ხანებმა არა ერთგზის სამხრეთი დალაშქრეს, ქვეყანაში დამანგრეველი ქმედებების შემდეგ უკან დაბრუნდნენ. აშლილობის ხანა 1295 წელს კაზან ხანის (1295-1304) ჰულაქების სახელმწიფოს მართვაში მოსვლამდე გაგრძელდა. კაზან ხანი ადგილობრივ ფეოდალებზე დაყრდნობით მომთაბარე ფეოდალების სიმტკიცის და ეკონომიკური ძლიერების შესუსტების პოლიტიკას ატარებდა. მომთაბარე ემირები კაზან ხანის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. თუმცა კაზან ხანმა შეძლო ამ გამოსვლების ჩახშობა და ცენტრალური სახელმწიფო გაძლიერდა.

? *რატომ ხდებოდა აზერბაიჯანში კაზან ხანის წინააღმდეგ აჯანყებები და თავდასხმის მცდელობები?*

კაზან ხანის რეფორმები

- რელიგია
- გადასახადი
- კავშირგაბმულობა
- სასამართლო
- მიწა
- ვაჭრობა

რელიგია. ჰულაქების სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის კაზან ხანმა გადადგა მტკიცე ნაბიჯები. კაზან ხანმა იმისათვის რომ თავის მხარეს გადაებირებინა არამომთაბარე ფეოდალები მუსლიმანური რელიგიური მოღვაწეები, ისლამის რჯული მიიღო. სახელად მაჰმუდი დაირქვა. როგორც ის თვითონ აღიარებდა „ მთელი მოსახლეობის მუსლიმანობაზე დათანხმება და ბუდიზმიდან პირის შებრუნება მოგონილი არ არის“. ეს ძლიერ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. შემდეგ კაზან ხანმა მთელი რიგი რეფორმები გაატარა. ამ საქმეში გამოჩენილმა მეცნიერმა, ექიმმა, ვეზირმა ფეზლულაჰ რეშიდადმა დიდი როლი შეასრულა. კაზან ხანი რეფორმების გატარებით მიზნად ისახავდა მოსახლეობის ექსპლუატაციის მოწესრიგებასა და სახელმწიფო შემოსავლების უწყვეტი შემოდინების უზრუნველყოფას, ამ საქმეში მონღოლი ზედაფენელების თვითნებობის აღკვეთასა და ასევე რიგითი მონღოლებისათვის მიწის ნაკვეთების მიცემით მათი ცხოვრებისათვის პირობების შექმნას.

განმარტეთ კაზან ხანის რელიგიური რეფორმის მნიშვნელობა.

გადასახადი. კაზან ხანმა გადასახადების სახე, რაოდენობა, შეკრების ხერხის და დროის შესახებ ზუსტი წესრიგი შექმნა. იწერებოდა გადასახადის გადამხდელთა სიები, თითოეული სოფლის, ქალაქის გადასახადის თანხა დიდ დაფებზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკვრებოდა. აიკრძალა არაკანონიერი გადასახადების შეგროვება. გადასახადების შეგროვება მთავარი დივანის განკარგულებაში გადავიდა და ოლქის მმართველებს ამ საქმეში ჩარევა აეკრძალათ. გადასახადების შეგროვება 3 წლის ვადით იჯარით გაიცა. გადასახადების რეფორმა მწვავე ბრძოლების პირობებში გატარდა ცხოვრებაში.



კაზან ხანის ბუდიზმიდან ისლამზე მობრუნება

შეადარეთ კაზან ხანის საგადასახადო რეფორმა და არაბების საგადასახადო პოლიტიკა.

კავშირგაბმულობა. კაზან ხანის კავშირგაბმულობის სფეროში ცხოვრებაში გატარებული ღონისძიებები ქვეყანაში ერთიანი კავშირის სისტემის შექმნის მიზეზი გახდა. კაზან ხანის ბრძანების თანახმად, ყველა მთავარ გზაზე ყოველ 3 ფერსენგის (21 კმ) მანძილზე ერთი კავშირის გაჩერება – ”იამ“ – ები შეიქმნა. იამებისათვის ემირები დაინიშნა და ისინი საჭირო რაოდენობის მოსამსახურეებითა და ცხენებით მომარაგდნენ. ელჩებისა და იამის თანამშრომლებისათვის ადგილობრივი მოსახლეობისაგან სამუალების აღება სასტიკად აკრძალული იყო. მნიშვნელოვანი სახელმწიფო დოკუმენტები და წერილები ერთი იამიდან მეორეზე გადაცემით მისამართზე აღწევდა. გზებზე ქარვანსარაიები აშენდა და მგზავრების ქვეშევრდომთა სახლში დარჩენა აიკრძალა.



ჰულაქუ მოხელე გადაწყვეტილების მიღებისას

სასამართლო. ქვეყანაში არსებული სამართლებრივი უკანონობის გათვალისწინებით ჯაზან ხანმა მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით გაატარა სასამართლო რეფორმა. ძირითადად ყურადღება მიმართული იყო ყაზის თანამდებობაზე ღირსეული სასულიერო პირების დანიშვნაზე. სასამართლოებში უკანონობის აღმოფხვრაზე, ყიდვა–გაყიდვის საქმეებში წესრიგის დამყარებაზე. 30 წლის განმავლობაში მოქმედი კანონები ძალადაკარგულად გამოცხადდა. ქალაქის, მაჰალის, სოფლის ყაზიების უფლებები გაფართოვდა. სასამართლოს თავჯდომარის – ყაზის თანამდებობაზე დანიშნულებიდან კანონის მტკიცედ შესრულების შესახებ ქვითარის აღების წესი იქნა გამოყენებული.

რაში მდგომარეობდა სასამართლოსა და კავშირგაბმულობის რეფორმების პროგრესული თვისებები?

მიწა. კაზან ხანის მიწის რეფორმის ძირითად ნაწილს მონღოლთა ლაშქრებისათვის იკთა მიწის ფართობების გადაცემა შეადგენდა. მიწის ფართობებთან ერთად ამ ტერიტორიებზე არსებული სოფლები, სარწყავი ქსელები და სხვა იკთას მიმღებთა განკარგულებაში გადავიდა. კაზან ხანის 1303 წელს გაცემული ბრძანებით სოფლელებიც თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დამკვიდრდნენ და მათ ერთი ადგილიდან სხვაგან გადასვლა აეკრძალათ. იკთა მიწების ყიდვა–გაყიდვა, გაჩუქება და რაიმე სხვა გზით გასხვისება არ შეიძლებოდა. მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს შეეძლოთ იკთას აღება. იკთა იკთის ამღების გარდაცვალების შემდეგ მისი სამხედრო საქმის გამგრძელებელზე გადაიცემოდა.

განმარტეთ მიწის რეფორმის ძირითადი შედეგები

ვაჭრობა. კაზან ხანმა ვაჭრობის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნა ერთიანი ფულადი სისტემა, დააზუსტა წონისა და ზომის ერთეულები. სავაჭრო გზებსა და ბაზრებში ბაჟის შეგროვება, ქარავნების, გზებისა და სავაჭრო ცენტრების დაცვისათვის საფუძვლიანი ღონისძიებები გაატარა. საბაჟო გადასახადის შეგროვების სფეროშიც წესრიგი დამყარდა.

ჰულაქების სახელმწიფოს დაშლა. კაზან ხანის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა მუჰამედ ოლჯაითუ. მის დროს სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდა. მისი სიკვდილის შემდეგ გახშირდა ფეოდალური შიდა ომები. 12 წლის ებუ სეიდის სახელმწიფო საქმეების დამოუკიდებლად მართვის შეუძლებლობამ ამ პროცესს ბიძგი მისცა. ელხანების სახელმწიფოს დაქუცმაცებისა და დაშლის სხვა მიზეზები ქვეყანაში არსებული რელიგიური განსხვავებულობა და მონღოლთა მხრიდან დაპყრობილი ხალხების ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. ებუ სეიდის ხანაში (1316–1335) ელხანების სახელმწიფოს ერთ ხანს ემირ ჩობანი მართავდა. ეს ფეოდალების დიდი უკმაყოფილების მიზეზი გახდა. 1335 წელს ებუ სეიდის სიკვდილმა სახელმწიფოს დაშლა კიდევ უფრო დააჩქარა. მა-ლაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლაში ჯელაირები, ჩობანიები და შირვანშაჰები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს ჩობანიებმა.



კაზან ხანის სახელზე მოჭრილი ვერცხლის დირჰემი. (თებრიზი) მასზე აწერია

მიუთითეთ ჰულაქების სახელმწიფოს დაშლის მიზეზები.

1. რით დასრულდა ჰულაქებისა და ოქროს ურდოს სახელმწიფოებს შორის ომები XIII საუკუნეში?

2. რა მიზნებს ისახავდა კაზან ხანი რეფორმების გატარებისას

3. კიდევ რომელმა მმართველებმა გაატარეს რეფორმები ადრეულ შუა საუკუნეებში?

4. შეადარეთ მონღოლების მეორე და მესამე შემოსევა.

5. გვ. 95 ზე მოცემული რუკის საფუძველზე განსაზღვრეთ ჰულაქებისა და ოქროს ურდოს სახელმწიფოების დაპირისპირების მიმართულებები.



24

აზერბაიჯანი ჯალაირებისა და თემურელების მმართველობის პერიოდში

XIV საუკუნეში აზერბაიჯანისათვის ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არ არსებობის გამო აზერბაიჯანი უცხოელთა ყურადღების ქვეშ ექცეოდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული ემირი თემური გამოვიდა.

ჩობანიები, სულდუზი, მელიქ აშრაფი, შეიხ უვეისი, ემირ თემური, ელინჯეს კოშკი.

ჩობანიების მმართველობა აზერბაიჯანში. ჰულაქების სახელმწიფოს დაშლის პერიოდში აზერბაიჯანში მმართველობისათვის ბრძოლაში ჩაბმულ ყველაზე ძლიერ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ერთ–ერთი სულდუზთა მოდგმის |ჩობანიები იყო. ემირ ჩობანის შვილიშვილმა შეიხ ჰასან ჩობანიმ ჯალაირებზე გაიმარჯვა. მუჰამედ ოლჯაითუნუს ქალიშვილი სათიბეი ხათუნი მეფედ გამოაცხადა და დაიწყო სახელმწიფოს მისი სახელით მართვა. ამრიგად, აზერბაიჯანში და მის მეზობელ ტერიტორიებზე დაიწყო ჩობანის ფეოდალური ჯგუფის ბატონობა. ჩობანი მელიქ აშრაფის დროს, 1344 წელს ჩობანის ტანჯვა–წამების ქვეშ მყოფი თებრიზის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყება დიდი ძალისხმევით ჩახშვეს.

ჰულაქების სახელმწიფოს დაშლის დროს რომელი დინასტიები მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში?


ჩობანიელმა ემირებმა თავი დამოუკიდებლად არ გამოაცხადეს, ამიტომაც მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან ოფიციალურად არ მოხდა მათი ცნობა. მათ სახელზე ხუთბე არ იქნა წაკი|თხული, მონეტა არ მოიჭრა. სახელმწიფო ბრძანებებს კი ელხანი მმართველების სახელით გასცემდნენ. ჩობანის ტანჯვიდან გადარჩენის გზა მოსახლეობამ ოქროს ურდოს ხანისათვის მიმართვაში დაინახა. 1357 წელს ჯანი ბეგის თებრიზში მოსვლით ჩობანიების მმართველობას ბოლო მოეღო. ჰულაქების სახელმწიფო დაიშალა. მელიქ აშრაფის ჩამოხრჩობით კი ჩობანიების „ჰულაქების სახელმწიფოს დაცვისათვის“ წარმოებულ ბრძოლას წერტილი დაესვა.

ჯალაირების მმართველობა აზერბაიჯანში. აზერბაიჯანში მმართველობის ხელში აღების შემდეგ ჯანიბეგის შვილმა ბერდი ბეგმა თებრიზი დატოვა და ოქროს ურდოში დაბრუნდა, თუმცა, ცოტა ხანში ბერდი ბეგი მამის სიკვდილთან დაკავშირებით უკან მიბრუნდა. ამით ისარგებლა ჯალაირ შეიხ უვეისმა და 1359 წელს ქალაქი თებრიზი დაიპყრო. აზერბაიჯანი ჯალაირების სახელმწიფოს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. თებრიზი სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. 1367 წელს შირვანის ტერიტორიაც დაპყრობილ იქნა. შეიხ უვეისის დროს ცენტრალური მმართველობის სისტემა განმტკიცდა, ეკონომიკასა და მეურნეობაში გარკვეული გამოცოცხლება მოხდა. შეიხ უვეისის გარდაცვალების შემდეგ მმართველობისათვის ბრძოლა გამწვავდა. 1410 წელს სულთან ეჰმედის დროს შავბატკნიანთა მოდგმებმა აზერბაიჯანში ჯალაირების მმართველობას ბოლო მოუღეს.

როგორ დაახასიათებდით აზერბაიჯანში მმართველობის პერიოდს?

თემურელების მმართველობა აზერბაიჯანში. აზერბაიჯანისა და მეზობელი ქვეყნების XIV საუკუნის 80-90-იანი წლების ისტორია ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშისა და ემირ თემურის დამპყრობლური ლაშქრობების წინააღმდეგ ხალხის მასების წარმოებული მწვავე ბრძოლებით იქცევს ყურადღებას. ოქროს ურდოს ხანი თოხთამიში 1385 წელს 90 ათასიანი არმიით დერბენდიდან აზერბაიჯანში შემოიჭრა და თებრიზს მიუახლოვდა. თებრიზელები აღდგნენ ქალაქის დასაცავად, ქალაქში ღრმა თხრილები გაითხარა. ქუჩებში სანგრები გამზადდა. თოხთამიში იძულებული გახდა მოლაპარაკებებზე წასულიყო, მხარეები შეთანხმდნენ. ქალაქის ზედაფენელებმა დაიწყეს თოხთამიშისათვის მისაცემი გადასახადის შეგროვება, მოსახლეობამ კი ირწმუნა მშვიდობა და იარაღზე ხელი აიღო. ამით ისარგებლა თოხთამიშის ლაშქარმა და ქალაქში შეიჭრა. თებრიზელებმა 8 დღეს გაუძლეს დამპყრობლების წამებას, ქალაქი ნანგრევებად იქცა, ხდებოდა ძარცვა-გლეჯები. ქალები, ბავშვები ფეხშიშველი და თავშიშველი ქუჩებში, თოვლში დარჩნენ. თოხთამიშის ლაშქარი თებრიზიდან მარაღაში წავიდა, ქალაქის დაპყრობის შემდეგ ორ ნაწილად გაყოფილი ლაშქრის ერთი რაზმი მერენდისა და ნახჩევანის მხარეს გაემართა, მეორე რაზმი კი ეჰერის გზით მიიწევდა წინ. დამპყრობლები ამ ქალაქებისა და მიმდებარე ტეროტორიების დაპყრობის შემდეგ ყარაბაღში მოვიდნენ, იქ შეერთდნენ და ოქროს ურდოში წავიდნენ. აზერბაიჯანიდან დიდძალი ნადავლი წაიღეს და ტყვეები წაიყვანეს.

1386 წლის გაზაფხულზე მოხდა ემირ თემურის შემოსევა, თემურმა „სამწლიანი ლაშქრობის“ სახელით ცნობილ ამ ლაშქრობის დროს დაიპყრო თებრიზი. ჯალაირი ემირების ერთი ნაწილი ელინჯეს კოშკში, მეორე ნაწილი კი ბაღდადში წავიდა. ემირ თემურმა თებრიზიდან ნახჩევანისაკენ აიღო გეზი და გარკვეულ ხანს ელინჯეს ციხე-სიმაგრის გარშემო ბრძოლების შემდეგ გამოსაზამთრებლად ყარაბაღში მოვიდა.



თოხთამიშ ხანისა და ემირ თემურის შემოსევები აზერბაიჯანში

რუკის საფუძველზე ააგეთ ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშის აზერბაიჯანში შემოსევის სქემა

ლაშქარი ბაღდადიდან მობრუნების დროს ემირი თებრიზის მიმართულებით გაემართა. თებრიზში ყოფნის პერიოდში ღატაკებისა და სუსტების მდგომარეობას გაეცნო. გაჭირვებულების უფლებების დესპოტებისაგან დაცვისა და ყველა ფენაში მყოფი ადამიანების შეწყალების საქმეში ჩაძირვის შემდეგ, ხშლის კვლავ მტრის სახსლით შეღებვა და მათი სამშობლოდან განდევნა მოისურვა.
ემირს სიმშვიდის უზრუნველყოფის, ისლამის ავტორიტეტის სამშობლოში ამაღლებისა და უღმერთობის სრულიად აღმოფხვრის გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული.

ნიზამედინ შამი, ნაწარმოებიდან "ზეფერ – ნამე"

წყაროს თანახმად განსაზღვრეთ ემირ თემურმა ვისი ტანჯვისაგან გაათავისუფლა ქალაქი თებრიზი.

ის, 1387 წელს თოხთამიშის ქალაქებზე ბუხარასა და სამარყანდზე შეტევის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა აზერბაიჯანი, თუმცა ქვეყნის უკვე ემირ თემურის ჯანიშინების მხრიდან მართვა დაწყებული იყო. მან შვილი მირანშაჰი დაპყრობილი ტერიტორიების მმართველად დასვა. აზერბაიჯანში მმართველობის ხელში აღების მცდელი ფეოდალები ერთის მხრივ, ემირ თემურის ჯანიშინების წინააღმდეგ იბრძოდნენ, მეორის მხრივ კი ურთიერთშორის აწარმოებდნენ ბრძოლებს. ვინაიდან ქალაქი თებრიზი აზერბაიჯანის გასაღებად ითვლებოდა მისი ხელში ჩაგდება როგორც თემურის ემირების, ისე ადგილობრივი ფეოდალების ძირითადი მიზანი იყო. ადგილობრივი ფეოდალები ძირითადი ძალების ემირ თემურის წინააღმდეგ საბრძოლველად მობილიზაციის ნაცვლად ერთმანეთთან იბრძოდნენ და ძალებს აქუცმაცებდნენ. ამის შედეგად ემირ თემური 1392 წელს აზერბაიჯანში მოვიდა და თებრიზი დაიკავა. ძალაუფლებისათვის მებრძოლმა ფეოდალებმა თავიანთ ოლქებში დაიხიეს.



ემირ თემური

რისგან შედგებოდა ემურ თემურის აზერბაიჯანში პირველი შემოსევის შედეგები?

ჯალაირი ემირები ელინჯეს ციხე-სიმაგრეში იყვნენ და ემირ თემურს არ ემორჩილებოდნენ. მისი დაცვა სულთან ეჰმედის შვილის სულთან თაჰირის მეთაურობით ხდებოდა. ციხე-სიმაგრეში ჯალაირების 300-ზე მეტი მებრძოლი იყო. ემირ თემურმა თებრიზიდან ბაღდადს შეუტია, იქაურობა გაძარცვა, უკან დაბრუნდა და ელინჯეში რაზმი გაგზავნა, მაგრამ ციხე-სიმაგრის აღება ამჯერადაც არ იყო შესაძლებელი. იგი საქართველოს შეესია, იქაურობა ნანგრევებად აქცია, შემდეგ შექის ოლქში შეიჭრა და ადგილობრივი მმართველი სეიდი ელი დაამარცხა, 1395 წელს დერბენდიდან ემირ თემურმა ოქროს ურდოს შეუტია, სამარყანდში დაბრუნდა და ინდოეთს ეწვია. ელინჯეს ციხე-სიმაგრის გამოკლებით მთელი აზერბაიჯანი თემურელების განკარგულებაში იყო. ემირი თემური ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1399 წლის სექტემბერში თავისი ლაშქრით აზერბაიჯანში მოვიდა და ყარაბაღში დაბანაკდა. აზერბაიჯანისა და წინა კავკასიის ცალკეული ოლქების მმართველებმა, მათ შორის შექის მმართველმა სეიდი ეჰმედმა შირვანშაჰ იბრაჰიმის მეშვეობით თემურის მხარე დაიჭირეს და მასთან კავშირი შეკრეს. ემირ თემურის შემოსევების დროს დიდი ხნის განმავლობაში (14 წელი) თავდადებით დაცვაში მყოფი ელინჯეს ციხე-სიმაგრე 1400 წელს დანებდა. ემირ თემური ამის შემდეგ წინა კავკასიის სხვა ტერიტორიებსა და ბაღდადს ლაშქრავდა. შედეგად სულთან ეჰმედი იძულებული გახდა თავის მოკავშირე კარა იუსიფთან ერთად ეგვიპტეში გაქცეულიყო.

ცოტა ხნის შემდეგ სამარყანდიდან დაბრუნებული ემირი ჩინეთში ვიზიტის დროს გარდაიცვალა. აზერბაიჯანი ამ პერიოდში მირანშაჰის შვილის მირზა ომერის მიერ იმართებოდა. შირვანი კი შეიხ იბრაჰიმის მმართველობის ქვეშ იყო.



ელიანჯეს ციხე-სიმაგრე. ნახჩევანი.

1. რატომ ვერ შეძლეს ჩობანიებმა აზერბაიჯანში ცალკე სახელმწიფოს შექმნა?

2. რომელი აზერბაიჯანული სახელმწიფოების დედაქალაქი იყო ქალაქი თებრიზი?

3. შეადარეთ ემირი თემურა და ოქროს ურდოს მმართველი თოხთამიში ხანი.

4. გაამზადეთ ქრონოლოგიური ცხრილი XIV საუკუნეში აზერბაიჯანში უცხოელების შემოსევების შესახებ.



25

შავბატკნიანთა სახელმწიფო

დიდი სელჩუკთა იმპერიის დაშლის შემდეგ, პოლიტიკური ცენტრების დამკვიდრება ოღუზელები მონღოლური შემოსევების შედეგად დასავლეთის მიმართულებით – ანადოლუში შეღწიდნენ, თუმცა მონღოლთა მმართველობის შესუსტების, ამასთან ერთ – თემურის თურქულ-მუსლიმანური სამყაროს გაერთიანების პოლიტიკის, მისი სიკვდილის შემდგომმა კრახმა აზერბაიჯანიდან ანადოლუმდე, ერაყიდან სირიამდე გაფანტული ოღუზელი თურქების ახალი პოლიტიკური აყვავების პირობები შექმნა.

შავბატკნიანები, ყარა იუსუფი, თემურლენი, ჯალაირები, ჯაჰანშაჰი, შიდა აშლილობები, დაშლა

შავბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნა. ყარა იუსუფი აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზისში ახლოდან მონაწილე შავბატკნიანთა მოდგმის ერთიანობაში მომცავი თურქმენი შტოების აზერბაიჯანში დამკვიდრება ჯერ კიდევ VII საუკუნეში დაიწყო. შავბატკნიანთა ერთიანობაში შემავალი აღაჯერიები კი V საუკუნიდან აზერბაიჯანში დამკვიდრდნენ. მონღოლური შემოსევების წინ ხალხალის რეგიონის მმართველი აღაჯერიები შემდგომში სხვა ოღუზი შტოების მსგავსად იძულებული იყვნენ დასავლეთის მიმართულებით დაწეულიყვნენ. სედლიები ნახჩევანში და სურმელიში დამკვიდრდნენ. შავბატკნიანთა მოდგმის ერთიანობის და სახელმწიფოს შექმნაში კი ბაჰარლის მოდგმას განსაკუთრებული როლი ეკუთვნის.


შავი ზღვა
საქართველო
შირვანშაჰების სახელმწიფო
ბათუმი
ტრაპიზონი
ერზერუმი
ყარსი
ნახჩევანი
ერევანი
განჯა
ბაქო
შამახი
დერბენდი
ნარინ-ყალა
ალათაღი
ბაილაყანი
ბაქო
ნახჩევანი
ერევანი
განჯა
შამახი
ბარდა
ურმია
ხოი
ტავრიზი
ურმია
მარდინი
ბიტლისი
ვანი
ხელათი
ერზინჯანი
სივასი
ქემახი
ბაიბურტი
ამასია
ანკარა
ყასტამონი
ბოლუ
ნიკეა
ბურსა
ყუთახია
ეშკიშეჰირი
ესკიშეჰირი
ანკარა
ყასტამონი
ბოლუ
ნიკეა
ბურსა
ყუთახია
ეშკიშეჰირი
ალეპო
ალეპო
ტრიპოლი
ჰომსი
ჰამა
ბაალბეკი
დამასკო
ბაალბეკი
დამასკო
ბაღდადი
ქერბალა
ნეჯაფი
ბასრა
ქუვეიტი
ქუვეიტი
ალ-ჰასა
ალ-ჰასა
ალ-ქატიფი
ალ-ქატიფი
ალ-ბაჰრეინი
ალ-ბაჰრეინი
ალ-ჰუფუფი
ალ-ჰუფუფი
ალ-ბურეიმი
ალ-ბურეიმი
ალ-ჯაუფი
ალ-ჯაუფი
ალ-ჰაიელი
ალ-ჰაიელი
ალ-მადინა
ალ-მადინა
ალ-ჰიჯრი
ალ-ჰიჯრი
ალ-ჯუბაილი
ალ-ჯუბაილი
ალ-ვაჯჰი
ალ-ვაჯჰი
ალ-ულა
ალ-ულა
ალ-ბადი
ალ-ბადი
ალ-ჰაურა
ალ-ჰაურა
ალ-ვეჯჰი
ალ-ვეჯჰი
ალ-ლითი
ალ-ლითი
ალ-ქუნფუდა
ალ-ქუნფუდა
ალ-ლუქი
ალ-ლუქ

ჯელაირი სულთანი შეიხ უვეისის თებრიზის სასახლეში ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ემირმა ბაირამ ხოჯა ბაჰარლიმ XIV საუკუნის ბოლოს ვანში ცენტრით შავბატკნიანთა საბეგოს ჩაუყარა საფუძველი და მმართველობა ერზინჯანის, სივასას, აღმოსავლეთ ანადოლუს ერთ ნაწილზე გაავრცელა. მისი შვილის ყარა მუჰამედის ჯალაირ სულთან ეჰმედთან ნათესაური კავშირების დამყარება კი საბეგოს განმტკიცებას უწყობდა ხელს, თუმცა, მიუხედავად ყოველივე ამისა აზერბაიჯანის და თებრიზისათვის ბრძოლაში მონაწილე ყარა მუჰამედმა ემირ თემურის შემოსევების გამო მნიშვნელოვანი წარმატებები ვერ მოიპოვა.


? *რა მიზეზებმა განაპირობა ოღუზთა შტოების დიდ ტერიტორიებზე გავრცელება?*

შავბატკნიანთა (ყარა კოინლუ) სახელმწიფოს შექმნა და გაძლიერება ყარა მუჰამედის შვილის ყარა იუსიფის (1389-1420) პერიოდს დაემთხვა. ყარა იუსიფის აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში ძირითადი მოწინააღმდეგე თემურიები, ამასთან თეთრბატკნიანები (აღ კოინლუ) და ჯალაირები იყვნენ. ყარა იუსაიფი მიხვდა, რომ თემურიელების წინააღმდეგ მარტო ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა, მან კავშირი შექმნა სულთან ეჰმედთან. თეთრბატკნიანელი ყარა იულაუკ ოსმან ბეგი კი მის აზრიან მოთხოვნას არ იღებდა. ყარა იუსიფი ოსმანელ სულთან ილდირიმ ბეიაზიდთანაც ინარჩუნებდა მეგობრულ ურთიერთობას. შემთხვევითი არ იყო, რომ თემურელებთან ბაღდადის ბრძოლაში (1394) დამარცხების შემდეგ ილდირიმ ბეიაზიდმა მასთან თავშეფარებული ყარა იუსაფი ემირ თემურის მოთხოვნის მიუხედავად, იგი თემურელებს არ გადასცა. ეგვიპტის სულთანთან თავშეფარებული ყარა იუსიფი და მოკავშირე სულთან ეჰმედ ჯალაირი ემირ თემურის მოთხოვნით დააპატიმრეს. თუმცა ემირ თემურის სიკვდილმა პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობა შეცვალა. თემურელთა სახელმწიფოში მმართველობისათვის დაწყებულმა ბრძოლამ ყარა იუსიფისა და მისი მოკავშირის სულთან ეჰმედის პატიმრობიდან განთავისუფლების პირობები შექმნა. აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში ხელახლა ჩართულმა ყარა იუსიფმა თემურელი ებუ ბექირი პირველად 1406 წელს ნახჩევანის სიახლოვეს მდინარე არაქსის მიდამოებში მომხდარ ბრძოლაში, მეორედ კი 1408 წელს თებრიზის სიახლოვეს სერდრუდის ველზე დაამარცხა. სერდრუდის ბრძოლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ***ამით თემურელების აზერბაიჯანის საძრეთ ტერიტორიებზე მმართველობას ბოლო მოეღო და მმართველობა შავბატკნიანთა ხელში გადავიდა.***



ყარა იუსუფი ბრძოლაში

ყარა იუსიფის თემურელებზე გამარჯვებებმა, მოსახლეობაში ავტორიტეტის ზრდამ მყუდროება დაურღვია სულთან ეჰმედს. ამასთან მან უარი განაცხადა სულთან ეჰმედის მოთხოვნაზე, რომ მისთვის გადაეცა ჰემედანის საძოვრები. ყოველივე ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა ჯალაირებსა და შავბატკნიანებს შორის. ამის შედეგად1410 წელს ყოფილი მოკავშირეები თებრიზის სიახლოვეს დაბა ესედის პირას დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბრძოლა ყარა იუსიფის გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვების შემდეგ აზერბაიჯანისა და არაბული ერაყის ყველა ხელისუფალმა ყარა იუსიფის მართველობა მიიღეს. ***ამრიგად, დასრულდა დედაქალაქი თებრიზის მქონე აზერბაიჯანის შავბატკიანთა სახელმწიფოს ფორმირების პროცესი.*** აზერბაიჯანის მტკვრის სამხრეთით მდებარე მიწები, ანადოლუს აღმოსავლეთი ოლქები და არაბული ერაყი ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო.



შავბატკნიანთ დროშა

ყარა იუსუფმა შვილი პირბუდაღი აზერბაიჯანის ზედაფენელების, შავბატკნიანთა ემირების მეჯლისში „სულთანად“გამოაცხადა, ძალაუფლება თავის ხელში დაიტოვა. ***ამ სახელმწიფოს შექმნით კვლავ აღსდგა ოღუზელების პოლიტიკური მმართველობა აზერბაიჯანში და მეზობელ ტერიტორიებზე.***

თქვენი აზრით, რაში მდგომარეობდა ყარა იუსიფის გამარჯვების მიზეზი?
რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა შავბატკნიანთა სახელმწიფოში შემავალ ტერიტორიებს ქვეყნისათვის?

თუმცა შირვანშაჰ იბრაჰიმ I არ დაემორჩილა ყარა იუსიფს. ყოველთვის წინდახედული ნაბიჯებით გამორჩეულმა შირვანელმა მმართველმა სწორედ ვერ შეაფასა შავბატკნიანთა პოლიტიკური ძალა. მან ჯერ სულთანი ეჰმედი დაიცვა. ამ მიზნით თებრიზის სიახლოვეს ბრძოლის წინ შვილი ქეიუმერსი მის დასახმარებლად გაგზავნა, შემდეგ კი ყარა იუსიფის შემორიგებისა და დამორჩილების მოთხოვნაზე უარის თქმით დიდი შეცდომა დაუშვა. 1412 წლის შემოდგომაზე მდინარე მტკვრის სანაპიროზე მომხდარ ბრძოლაში იბრაჰიმ I-ისა და მისი მოკავშირეების, შექის მმართველის სეიდ ეჰმედისა და ქართველთა მეფის კონსტანტინეს ძალები შავბატკნიანთა მიერ განადგურებულ იქნა, ტყვედ ჩავარდნილმა იბრაჰიმ I-მა შავბატკნიანთა სახელმწიფოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა მიიღო. ამრიგად, ყარა იუსიფმა თავისი მმართველობა აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ტერიტორიებზეც გაავრცელა.

შეაფასეთ ყარა იუსიფის შირვანშაჰელებზე გამარჯვების მნიშვნელობა.

“ყარა იუსიფი ბრძოლის მოყვარეებზე სასწლისწმელი ლომი, ხოლო ვასართით მეჯლისებში კი მაყვის მფრქვევი ღრუბელი იყო. სამართლიანობითა და გულმოწყალებით ცნობილი, ზნეობის გზაზე კი ყველასი მჯობნი იყო იგი მზაგვრელებს სჯიდა, დაჩაგრულთა უზრუნველყოფას ეცდებოდა, მეურნეობის გაუთავებას აქცევდა ყურადღებას, მებრძოლებს ხელფასითა და სურსათით სასტიკატურად ამარაგებდა. მის ბეჭდის თვალზე ეწერა: სამართლიანი მოქმედებით მმართველი, სჯული ტანჯვით კი მცდარი იწერება.”

თ. ნეკეფლი ნაწარმოებიდან “აზერბაიჯანის შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოები” წყაროს მიხედვით

განსაზღვრეთ ყარა იუსიფის როგორც მმართველის დადებითი თვისებები.

“აზერბაიჯანული ლაშქრის დუღილი მხოლოდ ბაჰადირების შეტევას შეუძლია ჩაახშოს”. შავბატკნიანთა სახელმწიფოს აღზევება თემურელ მმართველს შაჰრუხს მოსვენებას აკარგვინებდა. ყარა იუსიფის მიერ თემურიელებისგან მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტების სულთანიესა და კეზნავის უკან დაბრუნებასთან შეურიგებელმა შაჰრუხმა მასთან რამდენჯერმე გაიბრძოლა, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწია. მაგრამ არა იუსიფის სიკვდილმა პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობა შეცვალა. მის შემდეგ მმართველობაში მოსული ყარა ისკანდერი 1421 წელს ალაშქრდის სიახლოვეს მომხდარ ბრძოლაში რაოდენობრივად უმრავლესობის მქონე თემურელ რაზმებთა დამარცხდა. შემდგომშიც შავბატკნიანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შირვანშაჰებისა და თეთრბატკნიანების ერთობლივი ქმედებით შაჰრუხი ცდილობდა აზერბაიჯანზე თავის მმართველობის განხორციელებას და ამას გარკვეულწილად მიაღწია. თუმცა შაჰრუხმა აქ ჯარი არ დატოვა, მხოლოდ თავისი მმართველობის ადგილობრივ მმართველთა მხრიდან ცნობით დაკმაყოფილდა.

შავბატკნიანთა სახელმწიფო ჯაჰანშაჰის მმართველობის პერიოდში. „არაბი და აჯამი ხაგანიების სულთანი, თურქი და დეილემი სულთნების განმკარგავი“ ასე იწოდებოდა ოსმანელი სულთანი მეჰმედ II ჯაჰანშაჰი. ისკანდერის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასული ჯაჰანშაჰი (1438–1467) თემურელი შაჰრუხის სიკვდილამდე მასზე დამოკიდებულ მდგომარეობაში მართავდა სახელმწიფოს, თუმცა შაჰრუხის საკვდილმა (1447) და მმართველო-

ბისათვის თემურელთა სახელმწიფოში მომხდარმა აშლილობებმა შექმნეს ჯაჰანშაჰის გააქტიურების პირობები.

უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკის გამტარებელმა ჯაჰანშაჰმა სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების აღდგენისათვის გაატარა ღონისძიებები. მან ოსმანთა სახელმწიფოსთან ჯერ კიდევ მამის, ყარა იუსიფის დროს დამყარებული მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო განავითარა. ჯაჰანშაჰმა სამხედრო რეფორმის გატარებით ჯარი გააძლიერა. მართალია, მცირე აზიაში თავიანთ ძირითადი მოწინააღმდეგემ თეთრბატკნიანთა ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ XV საუკუნის 50–იან წლებში ეჯემის ერაყი, ქალაქები ისპაჰანი და კუმი, იეზდი და ქირმანი დაიკავა. თემურელთა სახელმწიფოში არსებული შიდა აშლილობებით ისარგებლა აზერბაიჯანელმა მმართველმა 1458 წელს ჰერათში შევიდა, თემურელების ტახტი დაიკავა, თუმცა შეიტყო რა, შვილების, თებრიზში ჰასანალისა და ბაღდათში ფირბუდაღის აჯანყების დაწყების ამბავი, ჯაჰანშაჰი იძულებული გახდა 1459 წელს თემურელ ებუ სეიდთან დაედო სამშვიდობო ხელშეკრულება და კონტრიბუციის აღებით დაეტოვებინა ჰერათი ხშირ–ხშირად მომხდარმა შეთქმულებებმა, შიდა აშლილობებმა, მოსახლეობის ცხოვრების გაუარესებამ სახელმწიფო დაასუსტა. ამით ოსტატურად ისარგებლეს თეთრბატკნიანელებმა 1467 წელს მომხდარ მუშის ბრძოლაში ჯაჰანშაჰი თეთრბატკნიანელი უზუნ ჰასანის ბაიანდურის მიერ დამარცხებული და მოკლული იქნა. მუშის დამარცხებამ დააჩქარა შავბატკნიანთა სახელმწიფოს დაშლა. 1468 წელს შავბატკნიანთა სახელმწიფო დაიშალა.



ფრაგმენტი ჯაჰანშაჰის მმართველობის პერიოდში წარმოებული ცისფერი მეჩეთიდან, თებრიზი, 1465

1. რომელ თურქულ შტოს ეკუთვნოდა წამყვანი როლი შავბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნაში?

2. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა ჰქონდა შავბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნას?

3. რომელ ძალებთან უხდებოდა თუსიფს შეტაკება აზერბაიჯანისათვის ბრძოლებში?

4. რაში მდგომარეობდა შავბატკნიანთა სახელმწიფოს დასუსტების მიზეზები?

5. მოამზადეთ რეფერატი აზერბაიჯანის ისტორიაში შავბატკნიანთა სახელმწიფოს როლის შესახებ.

6. განმარტეთ აზერბაიჯანის გეოგრაფიული სტრატეგიული პოზიციის დამოკიდებულება XIV საუკუნის ბოლოს XV საუკუნეში რეგიონში მომხდარ მოვლენებთან.

7. მოამზადეთ წარდგენა ყარა იუსიფის პიროვნებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

8. შეადარეთ შავბატკნიანთა სახელმწიფო მანამდე არსებულ შუა საუკუნეების აზერბაიჯანულ სახელმწიფოებთან, გაარკვიეთ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები.

9. დასრულებით ცხრილი

1408	1410	1412	1467



26

თეთრბატკნიანთა სახელმწიფო

ხანგრძლივად მიმდინარე ომები, შიდა აშლილობები და ეკონომიკური დაცემა შაგბატკნიანთა სახელმწიფოს დაშლის მიზეზი გახდა. ახალი ძლიერი მმართველობის აუცილებლობა კიდევ ერთი ოღუზური სახელმწიფოს შექმნით დასრულდა. პოლიტიკურ სცენაზე გამოვიდა თეთრბატკნიანთა სახელმწიფო. ბაჰარიელთა მოდგმის მართველობით უკმაყოფილო შტოების კიდევ ერთი ნაწილი ბაიანდურების მმართველობის ქვეშ გაერთიანდნენ.

ბაიანდურები, უზუნ ჰასანი, სარაი ხათუნი, დიპლომატია, სულთან იაკუბი

თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნა. უზუნ ჰასანი. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან აზერბაიჯანის მიწებზე დასახლებული თეთრბატკნიან ოღუზთა თურქმენული შტოები შემდგომში მდინარეების დეჯლასა და ფერატის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთ ანადოლუშიც გაიფანტნენ. XIV საუკუნეში ვანის ტბის დასავლეთით მდებარე ტერიტორიებზე შეიქმნა თეთრბატკნიან ტომთა კავშირი. ტომთა კავშირს საფუძველი ჩაუყარა ბაიანდურების საგვარეულოს წარმომადგენელმა ფაჰლავან ბეგმა. ბაიანდურების სხვა ცნობილმა წარმომადგენელმა ყარა ოსმან ბეგმა კი ცენტრად აირჩია დიარბექი. თავის სახელზე ფული მოჭრა. პოლიტიკური ავტორიტეტის გაფართოებით თეთრბატკნიანთა საბეგოს შექმნა. თეთრბატკნიანთა საბეგოს ავტორიტეტის გაზრდით მოსვენება დაკარგული ოსმანელი სულთანი ილდირიმ ბეიაზიდი ყარა ოსმანის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას. ყარა ოსმანი კი ემირ თემურთან დაახლოებით ძირითადი მოწინააღმდეგეების ოსმანთა სახელმწიფოსა და შავბატკნიანების წინააღმდეგ ძლიერ მოკავშირეს იძენს. ემირ თემურის ოსმანებზე გამარჯვებამ მას თეთრბატკნიანთა საბეგოს ტერიტორიის გაფართოების შესაძლებლობა მისცა.


შავი ზღვა
ჯავახეთის ზეგანი
თემურლენგის სახელმწიფო
ოსმალეთის სახელმწიფო
ყარა ოსმანის სახელმწიფო
ყარა ყოიუნლუ
ყარა ყოიუნლუ
ყარა ყოიუნლუ



უზუნ ჰასანი

თანამედროვეების მიერ ტანშადრევან, ფიზიკურად ძლიერ პიროვნებად წარმოჩენილი ჰასან ბეგი იყო კარგად განათლებული, იმ პერიოდის პოლიტიკური მოვლენებიდან სწორი პოლიტიკური დასკვნების გამომტანი სახელმწიფო მოღვაწე. თურქული საშუალო ხელობის სპეციფიკურობის ღრმად ამთვისებელი ჰასან-ბეგი გამჭრახი მზვერთმეთაური იყო. ხალხის წინაშე სამართლიანი და გულმოწყალე ქცევის გამო ყველა წყაროში მოხსენიებული როგორც სამართლიანი სულთანი. ის ლაშქრობის დროს დატყვევებულებს ათავისუფლებდა, მათ სამართლიანად ექცეოდა. უზუნ ჰასანი დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა იმასაც, რომ ბაიანდურების ოფიცალური ნიშანი მათ მიერ მოჭრილ მონეტებზე, ასევე ოფიცალურ წერილებზე და დროშებზე ყოფილიყო თურქულ (აზერბაიჯანულ) ენაზე.. მისი ბრძანებით მუსლიმანების წმინდა წიგნი ყურანი თურქულ ენაზე თარგმნილა. ამგვარად ამ ყურანის ერთი ეგზემპლარი ქალაქ მეშჰედის ამაგ რზას შეხვედრია.

თეთრბატკნიანთა საბეგოს უფრო გაძლიერება და ვრცელი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბება დაკავშირებული არის ისტორიაში უზუნ ჰასანად ცნობილ ჰასან ბეგ ბაიანდურის სახელთან.

1453 წელს ძმა ჯაჰანგირთან ძალაუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებულმა ჰასან ბეგ ბაიანდურმა თეთრბატკნიანთა სამეფოს მმართველობა ხელში აიღო. დასავლეთით ოსმანთა იმპერიასთან, აღმოსავლეთით კი შავბატკნიანთა სახელმწიფოსთან მოსაზღვრე თეთრბატკნიანთა საბეგოს მართვა და ქონების დაცვა განსაკუთრებულ პოლიტიკურ გამჭრიახობას მოითხოვდა. ჰასან ბეგმა აღმოსავლეთში დიპლომატი ქალის პატივმოპოვებული დედის სარაი ხათუნის ახლო დახმარებით ამ რთულ მოვალეობას ოსტატურად გაართვა თავი.

აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში შავბატკნიანელი ჯაჰანშაჰის დამმარცხებელმა ჰასან ბეგ ბაიანდურმა 1468 წელს შავბატკნიანთა ბოლო მმართველი ჰასანალიც დაამარცხა და თებრიზი დაიკავა. **ამრიგად, შეიქმნა აზერბაიჯანის თეთრბატკნიანთა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქიც იყო თებრიზი. დიარბექირიდან ხორაშანამდე, მტკვარიდან სპარსეთის ყურემდე ტერიტორიები ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.** სამეზობლოში ახალი სახელმწიფოს შექმნასთან შეურიგებელი თემურელი ებუ სეიდის ძალები მუღანთან ალყაშემორტყმული და განადგურებული იქნა. ამის შემდეგ ძირითადი მოწინააღმდეგე ოსმანთა იმპერია იყო.

? *რატომ ითვლებოდა ოსმანთა იმპერია თეთრბატკნიანთა ძირითად მოწინააღმდეგედ?*

თეთრბატკნიან ოსმანთა ურთიერთობების გამწვავება. ჰასან ბეგ ბაიანდური ვაჭრობის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტრაბზონის სამეფოსთან ნათესაური ურთიერთობების დამყარებით მოკავშირე შეიძინა. ეს თეთრბატკნიანთა ვაჭრებს პირდაპირ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარების საშუალებას აძლევდა. თუმცა XV საუკუნის შუა ხანებში ოსმანთა სულთანმა მეჰმეთ II–მ კონსტანტინოპოლის დამორჩილებით მცირე აზიაში ძალთა თანაფარდობაზე და ტრადიციულ სავაჭრო კავშირებზე დიდი გავლენა მოახდინა – მცირე აზიაში ქრისტიანული მიწათფლობის გაუქმებითა და აღმოსავლეთიდან მომავალი სავაჭრო გზების გაკონტროლების მსურველმა მეჰმეთ II–მ ამჯერად თეთრბატკნიანთა ვაჭრების შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი გასასვლელი პუნქტი – ტრაბზონი ამოიღო მიზანში. ტრაბზონის საკითხმა თეტრბატკნიან- ოსმანთა ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოკავშირეების დაცვის მიზნით კოილუჰისარში ოსმანთა მოწინავე რაზმებთან ბრძოლაში შესულმა ჰასან ბეი ბაიანდურიმ გაიმარჯვა, სწორად შეაფასა რა შექმნილი სიტუაცია შერიგების გადაწყვეტილება მიიღო. მან დედა სარაი ხათუნი ზავის დადებისა და მეჰმედ II–ის მიერ ტრაბზონის დალაშქრის გადაფიქრებინების მიზნით მის ბანაკში გააგზავნა. ზავზე თანხმობის მიცემის მიუხედავად მეჰმედ II ტრაბზონის დალაშქრას ფიქრიდან ვერ იშორებდა. 1461 წელს ბიზანტიის იმპერიის ბოლო ნაშთი ტრაბზონის სამეფო დაიშალა. ნათესაური ურთიერთობების საფუძველზე სარაი ხათუნმა შეძლო ტრაბზონის ხაზინის ერთი ნაწილი მიეღო მეჰმეთ II–საგან.

ტრაბზონის დაპყრობამ მძიმე დარტყმა მიაყენა თეთრბატკნიან ევროპელთა სავაჭრო ურთიერთობებს. თეთრბატკნიანებმა დაკარგეს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე. მეჰმეთ II ის სამშვიდობო ხელშეკრულებამ თეთრბატკნიან ოსმანთა ურთიერთობებს მხოლოდ დროებითი სიწყნარე მოუტანა.

ევროპის იმედის ადგილი. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობები თეთრბატკნიანებსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის. ძლიერი თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შექმნა ევროპის სახელმწიფოების ინიციატივით დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობების გაფართოების მიზეზი გახდა. აღმოსავლეთიდან მომავალი სავაჭრო გზები ამ სახელმწიფოზე გადიოდა. ოსმალეთის სახელმწიფოს ევრაზიასთან ტრანზიტული ვაჭრობისათვის მძიმე დარტყმების მიმყენებელი საბაჟო პოლიტიკა თეთრბატკნიანთა მმართველს მეფე ჰასანს მოსვენებას აკარგვინებდა. ვენეციამ, პოლონეთმა, უნგრეთმა, ნეაპოლის სამეფომ, კიპროსმა და სხვა ევროპულმა სახელმწიფოებმა ოსმალეთის წინააღმდეგ, თეთრბატკნიანთა სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს. თეთრბატკნიანთა სახელმწიფო ევროპის სახელმწიფოების იმედის ადგილად იქცა.



სარაი ხათუნი

სარაი ხათუნი სასახლეში და ოფიციალურ მიღებებზე თურქულ ენაზე საუბრობდა. თურქული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში დიდი ღვაწლის მქონე პოეტები, პროზაიკოსები და მოღვაწე მეცნიერები მასზად დაცვას გრძნობდნენ. სარაი ხათუნმა ანადოლუში და აზერბაიჯანში მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლების შექმნას შეუწყო ხელი. მის მიერ აგებული ძეგლებიდან ზოგიერთმა დღემდე მოაღწია. ანადოლუს ქალაქ ჰარპუტში ბუდადის მეჩეთი და ჯუმუშდის აბანო სარაი ხათუნის სახელს ატარებს. ზაფუზე გკეთებულია წარწერაც "სარაი ხათუნი მშობელი უზუნ ჰასანის".

სარაი ხათუნი ევრობის სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში იყო. გენუეცის, უნგრეთის, იტალიის ელჩები ჯერ კიდევ მას ხვდებოდნენ, ხოლო შემდეგ უზუნ ჰასანთან მიდიოდნენ შეხვედრაზე. სარაი ხათუნის თანხმობის გარეშე უზუნ ჰასანთან რაიმე საკითხის განხილვა არ ხდებოდა. ამიტომ ევროპელი მეფეები თავიანთ ელჩებს აძლევდნენ რეკომენდაციას, რომ "სარაი ხათუნისადმი გამოიჩინონ პატივისცემა და მოექცნენ" ისე, როგორც აზერბაიჯანშია მიღებული.

თეთრბატკნიანთა და ოსმანთა სახელმწიფოების შორის ურთიერთობის გამწვავების რომელი მიზეზების დასახელება შეგიძლიათ?

ვენეციასთან მოლაპარაკებები 1472 წელს ოსმანების წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შექმნით დასრულდა. ვენეციას თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალისტები უნდა გამოეგზავნა. დადებული შეთანხმების შესაბამისად იმავე წელს თეთრბატკნიანთა 20 ათასიანი ლაშქარი კარამანის საბეგოს ტერიტორიიდან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავიდა. თუმცა ვენეციელები მიცემული სიტყვის ერთგულნი არ აღმოჩნდნენ, იარაღი არ მოიტანეს. უკან მობრუნებული თეთრბატკნიანთა ლაშქარი ბეიშეჰირის სიახლოვეს ოსმანთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის მიერ დამარცხებული იქნა. 1461 წელს ზავი დაირღვა, დაიწყო თეთრბატკნიან- ოსმანთა ომების მორიგი ეტაპი. პირველი დიდი ბრძოლა დაიწყო 1473 წლის 1 აგვისტოს მდინარე ფერატის სანაპირებზე. მალათიას სიახლოვეს მომხდარ ამ ბრძოლაში კიდევ ერთხელ გამოვლინდა უზუნ ჰასანის მთავარსარდლური ნიჭი. ოსმანთა ჯარის დამრტყმელი ძალის მოტყუებით მარცხენა სანაპიროზე გადაყვანის შემდეგ ჰასან მეფემ ოსმანების 12 ათასიანი რაზმი სრულიად გაანადგურა. სულიერად განადგურებული ოსმანები უკან იხევდნენ, თეთრბატკნიანები კვალდაკვალ მისდევდნენ. ისინი ოთლუკბელად წოდებულ ადგილას კვლავ შევიდნენ ომში. თუმცა ამ ბრძოლაში სადაც ცეცხლსასროლი იარაღი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ოსმანებმა იმარჯვეს. მიუხედავად ამისა მეჰმეთ II-მ სამხედრო ოპერაციების გაგრძელება ვეღარ შესძლო. მისი აზერბაიჯანის დაპყრობის გეგმები ფუჭი აღმოჩნდა. ამ გამარჯვების შემდეგ ოსმანთა სახელმწიფომ ძირითადი ყურადღება ვენეციასთან და ევროპის სახელმწიფოებთან ბრძოლაზე მიმართა. ოსმან-თეთრბატკნიანთა ურთიერთობები მეფე ჰასანის სიკვდილამდე დაძაბული რჩებოდა.

ვენეციამ თეთრბატკნიანებთან სამხედრო კავშირის დადების მიუხედავად, რატომ არ შეასრულა შეძლებისამებრ?

მმართველობის ბოლოსაკენ ფადიშაჰ ჰასანმა საქართველოც დალაშქრა. 1477 წელს ქართველთა მეფე ვახტანგ VI-თან დადებული ზავის თანახმად, აღმოსავლეთი საქართველო თიფლისის ჩათვლით თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს შეუერთდა.

უძრაობის პერიოდი. მეფე ჰასანის სიკვდილის შემდეგ (1478) ხელისუფლებაში მოვიდა მეფე იაკუბი. მისი 12 წლიანი მმართველობის ხანა შეიძლება შეფასდეს როგორც თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს უძრაობის ხანა. აჯანყებებისა და გამოსვლების ჩამხშობი იაკუბი თავს არიდებდა ოსმანთა სახელმწიფოსთან შეტაკებას. ოსმანთა სულთან ბეიაზიდ II-სთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებით, ძირითად ყურადღებას შიდა სიწყნარის დაცვა-შენარჩუნებაზე მიმართავდა. მეფე ჰასანის დროს სეფიანთა საგვარეულოსთან დამყარებული კარგი ურთიერთობები, მეფე იაკუბის დროს მოიშალა. სეფეველთა ავტორიტეტის მოსახლეობაში გაზრდითა და შეიხ ჰეიდარის დროს ერდებილის მმართველობის გაძლიერებით აფორიაქებულმა იაკუბმა იგი დასაჯა. ერდებილის მმართველობის კუთვნილი მიწების კონფისკაცია მოახდინა.

შეაფასეთ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში უძრაობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

თუ არ არის ერთიანობა, არც გამოცოცხლება არ იქნება. იაკუბის გარდაცვალების შემდეგ თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში სიმშვიდე დაირღვა. XV საუკუნის ბოლოს თეთრბატკნიანთა უფლისწულებს შორის მმართველობისათვის დაწყებულმა კინკლაობამ სახელმწიფო დაასუსტა. ცოტა ხნით ხელისუფლებაში მყოფი გოდექ ეჰმედის (1497) სახელმწიფოს გადარჩენის ინიციატივები, მისი მოკვლის გამო დარჩა დაუსრულებელი. თეთრბატკნიანთა უფლისწულებს შორის შიდა ბრძოლები დასრულდა 1500 წელს ელვენდ მირზასა და სულთან მურადს შორის ხელმოწერილი ეზერის ზავით. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს ამ ორმა უფლისწულმა ურთიერთშორის განაწილებული სახელმწიფოს დანაწილება ოფიციალურად გააფორმეს. XVI საუკუნის დასაწყისში სეფეველთა დარტყმის ქვეშ თეთრბატკნიანთა ორივე შტო მოექცა და დაიშალა.




თეთრბატკნიანთა დროშა

"თუ ადამიანს ხალხი უყვარს, მის ენას, ისტორიულ ტრადიციებს აფასებს, ეს მისი ხალხისადმი დამოკიდებულებით და ძლიერი პატრიოტული თვისებებიდან მოდის. ხალხის სიყვარული, მისი კულტურის დაფასება კეთილშობილების უმაღლესი გამოვლინებაა. უზუნ ჰასანი ამაყობდა იმით, რომ იყო ოღუზელთა შთამომავალი და ბაიანდურთა შტოს ეკუთვნოდა. მისი თანამედროვე ოსმანელი სულთანების პაპებიც ოღუზელები იყვნენ. თუმცა არც ერთი ღიად არ საუბრობდა თურქული წარმოშობის შესახებ."

ფარუქ სუმერი, ნაწარმოებიდან "თეთრბატკნიანელები"

რომელი ქმედება ადასტურებს იმას, რომ უზუნ ჰასანი ამაყობდა თურქული წარმოშობით?

სახელმწიფოს მმართველობის სისტემა XV საუკუნეში, არმიის სტრუქტურა. შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოების შექმნაში რადგან გადამწყვეტი როლი ოღუზ-თურქმანულ შტოებს ეკუთვნოდათ, სახელმწიფოს მართვაც სელჩუკთა იმპერიის ხანაში ფორმირებულ ტრადიციულ სისტემაზე იყო აგებული. ჰულაქების პერიოდში ამ სისტემას მონღოლური სახელმწიფოებრიობის ელემენტებიც დაემატა და მოხდა სრულყოფა..



ორივე სახელმწიფოში მმართველები „ფადშაჰ“ (მეფის) ტიტულს ატარებდნენ, თუმცა ზოგიერთ მმართველს „სულთანის“ ტიტულიც მიღებული ჰქონდა. მეფე და სულთანი შეუზღუდავ ძალაუფლებას ფლობდნენ.



თეთრბატკნიანელთა მებრძოლის აბჯარი

ემირ ულ-უმარა, როგორც წესი დინასტიის წარმომადგენლებისაგან ან ნახევრადმომთაბარე თურქული ზედაფენებისაგან ინიშნებოდა. ისინი ხელმწიფის შემდეგ სახელმწიფოში მნიშვნელოვანი პოზიციების მქონე ლაშქრის მეთაურები იყვნენ. ემირ ულ-უმარის ტიტული ხელმწიფის მხრიდან პირადად გაიცემოდა. მისი გადაწყვეტილებები ემირებისა და სხვა სამხედრო ჩინოსანი მოხელეებისათვის კანონი იყო.

სედრ-ეზემი (მთავარი სედრი) - მუსლიმანთა სულიერი მეთაური იყო. ვეკფის ქონებისა და სულიერი სამმართველოების ხელმძღვანელი სედრ-ეზემი თან ვეკფიდან მიღებულ შემოსავლებს აკონტროლებდა.

მთავარი ვეზირი სახელმწიფოს შემოსავლებსა და ფინანსურ სისტემას მართავდა. გარდა ამისა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობებიც მთავრი ვეზირის უფლებამოსილებაში შედიოდა. მთავარი ვეზირი უმაღლეს დივანსაც ხელმძღვანელობდა ამიტომ საჰიბი-დივანიც (მფლობელი) ეწოდებოდა.

უმაღლესი დივანი ხელმწიფესთან არსებული სასახლის თანამდებობების დამკვებელ ზედაფენელებისაგან შემდგარი მრჩეველი ორგანო იყო.

ქურვაში დინასტიის წარმომადგენლებისაგან და ემირებისაგან შემდგარი დახურული რჩევითი ორგანო იყო. აქ წყდებოდა ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხები, როგორიცაა: ომისა და მშვიდობის საკითხები, ტახტ-გვირგვინის მემკვიდრეობა და სხვა.

შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სასახლეებში იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესი, მეკარე, ხაზინადარი და რიგი სხვა შედარებით დაბალი რანგის მოხელეები. ოლქებში სამართლისა და რელიგიის საქმეებს ყაზი განაგებდა. სასამართლოები შარიათის კანონებს ეყრდნობოდა.


? *რა როლს ასრულებდა სახელმწიფოს მართვის გამოყენებული სისტემა სახელმწიფოს მართვის საქმეში?*

შავბატკნიანელი კარა იუსუფისა და თეთრბატკნიანელი მეფე ჰასანის მცდელობების მიუხედავად ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა ვერ მოხერხდა. ამის შემაფერხებელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი იყო ის, რომ ოლქებში ნახევრად მომთაბარე წესით მცხოვრები ხალხის გაკონტროლება სრულად შეუძლებელი იყო. მეორე მიზეზი კი თვით არსებული სისტემა იყო. სახელმწიფოს ძალა უფრო მეტად მმართველის ავტორიტეტზე და მის სამხედრო წარმატებებზე იყო დამოკიდებული.

? *თქვენი აზრით, რა ნიშნები უნდა ახასიათებდეს ცენტრალიზებულ სახელმწიფოს? აქამდე ისტორიაში მიღებული ცოდნის საფუძველზე მოსაზრებები.*


შავბატკნიანებისა და თეთრბატკნიანების სახელმწიფოებში ჯარის საფუძველს ხალხიდან შეკრებილი მებრძოლები შეადგენენ. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში ჯარი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მოსახლეობისაგან შეკრებილი ლაშქარი და მუდმივი ჯარი. მოსახლეობიდან ომების დროს შეკრებილი ლაშქარი ჯარის რაოდენობრივად დიდ ნაწილს შეადგენდა, მხოლოდ სამხედრო ოპერაციების დროს სახელმწიფოსაგან ხელფასს იღებდნენ. მათ ემირები მეთაურობდნენ. თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში „ თვისობრივ ჯარად“ წოდებულ მუდმივ ჯარს წლიური ხელფასი ეძლეოდა. ეს ჯარი მთელი ლაშქრის ხერხემალი იყო. დაზვერვის საქმეს „ყარაულად“ წოდებული სპეციალური რამები ახორციელებდნენ. ომის წინ ოლქებში რაზმების შემგროვებელ და მათი რაოდენობის დამზუსტებელ მოხელეს „თევაჩი“ ეწოდებოდა.

სამხედრო ლაშქრობების დროს ჯარს მუსიკოსთა რაზმებიც თან ახლდნენ. შეტევების დროს გერენაიები (გრძელი ზურნები), გამარჯვების დროს კი ბუკი და ნაღარა უკრავდა.



თეთრბატკნიანების ჯარის ლაშქრობისას

რა შედეგი გამოიღო შავბატკნიანებისა და თეთრბატკნიანების სახელმწიფოებში ჯარის გატარებულმა რეფორმებმა?



თეთრბატკნიანელი ცხენოსანი

XV საუკუნეში აზერბაიჯანელი მებრძოლები ძირითადად შეიარაღებული იყვნენ ხმლით, ხანჯლით, ჯოხით, ქამანდით. მებრძოლები ტყავსა და რკინის რგოლებისაგან დამზადებულ სპეციალურ აბჯარს ისხამდნენ. ცხენოსნები ცხენებს რკინის სპეციალური აბჯრით იცავდნენ. ძველი თურქული ტრადიციების შესაბამისად ლაშქრობაში წასულ მებრძოლებს ხშირად მათი ოჯახები და მოსამსახურეებიც თან ახლდნენ.

რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სამხედრო ლაშქრობაში გასულ მებრძოლებს ოჯახები თან ახლდნენ?

1. რა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თეთრბატკნიანთა სახელმწიფომ აზერბაიჯანის ისტორიაში?
2. რა გავლენა მოახდინა მისახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე თეთრბატკნიან – ოსმალთა დამოკიდებულებებმა?
3. მოამზადეთ წარდგენა სარაი ხათუნის სახელმწიფო მმართველობაში გაწეული როლის შესახებ.
4. ეპოქის თვალსაზრისით შეაფასეთ თეთრბატკნიანთა საბეგოს შექმნა.
5. გეოგრაფიაში მიღებული ცოდნის საფუძველზე დაყრდნობით განსაზღვრეთ, თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში შემავალ ტერიტორიებზე ამჟამად რომელი სახელმწიფოები მდებარეობენ.
6. შეადარეთ ჰასან შუღისა და ყარა იუსუფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

7. ცხრილი დაასრულეთ.

1453	1461	1468	1472	1473	1500



27

შირვანშაჰების სახელმწიფო XIV საუკუნის ბოლოს - XV საუკუნის დასაწყისში

XIV საუკუნის შუა წლებში ჰულაქების სახელმწიფოს დაშლა რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლის მიზეზი გახდა. ქესრანიების მართვის ქვეშ მყოფი შირვანშაჰების სახელმწიფო მკაცრი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. საგარეო საკითხების გაზრდის ფონზე შიგა აშლილობების გაძლიერებაც სახელმწიფოს არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა. სწორედ ასეთ მდგომარეობაში შირვანში მოხდა დინასტიების ცვლილება. დაიწყო შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის დერბენდის მმართველობის წლები.

იბრაჰიმ I, დამპყრობელი, ცხრიანი, მეჰთერი, დერბენდიები

დერბენდიელთა დინასტიის მმართველობაში მოსვლა. XIV საუკუნის 80-იან წლებში შირვანშჰების სახელმწიფოში ფეოდალური აშლილობები კიდევ უფრო გაძლიერდა. ქესრანელთა დინასტიიდან მყოფი შირვანშაჰ ჰუშენგის დროს მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. მისი პოლიტიკით არა მხოლოდ უბრალო ხალხი, არამედ ფეოდალების მნიშვნელოვანი ნაწილიც უკმაყოფილო იყო. ამის შედეგად 1382 წელს შირვანში დაიწყო აჯანყება. ჰუშენგი მოკლული იქნა. შირვანელმა ფეოდალებმა მმართველობაში მოიყვანეს შეიხ იბრაჰიმი (1382-1417). შეიხ იბრაჰიმ I იყო გაღარიბებულ დიდგვაროვანთა შთამომავალი. იმ დროს, ის შექის მხარეში წვრილი მიწის მესაკუთრე იყო. მისი მამა-პაპები თავის დროზე დერბენდის მმართველები ყოფილან. ამიტომაც ამ გვარს დერბენდიელთა დინასტიას (1382-1538) უწოდებენ. შირვანშაჰ იბრაჰიმ I იყო შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე და უნარიანი დიპლომატი. იგი ცდილობდა შირვანი უცხოელი დამპყრობლების მხრივ დანგრევისა და დაშლისაგან ეხსნა და მოეხდინა სახელმწიფოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.



შირვანშაჰ იბრაჰიმ I

შირვანშაჰების მოღვაწეობა XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში უშუალოდ იყო დაკავშირებული ემირ თემურთან და ოქროს ურდოს ხან თოხთამიშთან. ორმხრივი საფრთხის წინაშე აღმოჩენილმა შირვანშაჰ იბრაჰიმ I-მა ოსტატური პოლიტიკა გაატარა. ის არა მხოლოდ ორივე მხარის წინააღმდეგ, არამედ ერთის წინააღმდეგაც ბრძოლის წარმოების გარეშე სიძნელეებსა და უშედეგობებს კარგად აცნობიერებდა. ამიტომაც იბრაჰიმ I-მა გადაწყვიტა ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ გამოეყენებინა. იბრაჰიმ I-მა კარგად იცოდა, რომ შირვანი ოქროს ურდოს სახელმწიფოს თანამისაზღვრეა და თუ ეს ტერიტორია თოხთამიშის მიერ დაკავებული იქნება, ეს შირვანშაჰების მმართველობის დასრულების ტოლფასი იქნება. ემირ თემური კი შირვანში ძალიან შორიდან იყო მოსული და წარმატების მიღწევის შემთხვევაშიც კი ტერიტორიაზე დამკვიდრება არცთუ ისე გაუადვილდება.

გაიხსენეთ ის მმართველები, რომლებიც ატარებდნენ შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის მსგავს პოლიტიკას, როცა დამპყრობლებიდან ერთს იყენებენ მეორის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თემურ–შირვანელთა ურთიერთობები. სწორედ ამის გამო იბრაჰიმ I-მა თემურელებთან დაახლოებას უპირატესობა მიანიჭა. ის 1386 წელს ემირ თემურის აზერბაიჯანში პირველი ლაშქრობის დროს მძირფასი საჩუქრებით ყარაბაღში წავიდა და დამპყრობელთან კავშირი დაამყარა.

*ემირ თემურის ისტორიკოსი შერეფუდინ ელ–იეზდი ამის შესახებ წერდა: შირვანის ტერიტორიის მფლობელი შეიხ იბრაჰიმი დამპყრობლის წინაშე ღირსეული საჩუქრებით და სათანადო **ცხრაანებით** წარსდგა. რვა მონა წარადგინა. ემირ თემურის ბანაკში იბრაჰიმის ქარავანიდან ტყვეთის მიმღებ მეკითხავს[1] უკითხავს, რომ წესის თანახმად საჩუქრად ზედ ცხრა მონას იძლევიან, შენ რვა რატომ მოიყვანე? იბრაჰიმს უპასუხნია: მეცხრე მონა მე თვითონ ვარ. ეს მოვლენა ემირ თემურს მოეწონა.*

*თქვენი აზრით, ის რომ იბრაჰიმ **I**–მა თოხთამიშთან კი არა, არამედ ემირ თემურთან დაამყარა კავშირი შეიძლება თუ არა შეფასდეს პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობად?*



ემირ თემური

ემირ თემურთან ჩატარებული მოლაპარაკებების შედეგად იბრაჰიმი შირვანის მმართველად ცნობილ იქნა, ჩრდილოეთი საზღვრების უსაფრთხოება მას ჩაბარდა. ემირ თემურმა იბრაჰიმ I-ის სახით ოქროს ურდოს ხანის თოხთამიშის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგული მოკავშირე დაინახა. იბრაჰიმ I-მა ემირ თემურთან დამყარებული ურთიერთობებით ოსტატურად ისარგებლა და შეძლო შირვანის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერება. იბრაჰიმ I-მა თავისი ლაშქრით 1395 წელს ემირ თემურის ოქროს ურდოს სახელმწიფოზე გალაშქრებაში ახლოდან მიიღო მონაწილეობა. ემირი თემური ამ ლაშქრობიდან გამარჯვებული დაბრუნდა.


*რა შედეგი ჰქონდა ემირ თემურის ოქროს ურდოზე გამარჯვებებს? რატომ ანიჭებდა ემირი თემური შირვანშაჰ იბრაჰიმ **I**–თან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას?*

იბრაჰიმ I-მა ისარგებლა ემირ თემურისა და ოქროს ურდოს ხანს თოხთამიშს შორის არსებული შუღლით და იხსნა შირვანი მტრების შემოსევებისაგან. შირვანი შინაგანად დამოუკიდებელი დარჩა. შირვანშაჰი თავის გავლენას ყარაბაღზე, შექიზე, დერბენდზე და კებელეზე ავრცელებდა. ემირ თემურმა დერბენდის დაცვის კედლები აღადგინა და უსაფრთხოება გააძლიერა. იბრაჰიმ I-მა თემურიდან აიღო ნებართვა, რომ შექის ოლქის მმართველად სეიდ ელის შვილი სეიდ ეჰმედი დაბრუნებულიყო. იბრაჰიმ I-ის საშუალებით საქართველოს მეფე გიორგი VII-მ თემურთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო განმტკიცდა. ამ დროიდან დაწყებული საქართველო და შექის მმართველობა შირვანშაჰების სახელმწიფოს მოკავშირეებად გამოდიოდნენ. ისტორიაც იბრაჰიმ I-ის პოლიტიკის სისწორეს ადასტურებს. ემირ თემურის სიკვდილთან ერთად (1405 წელს) მისი იმპერიაც დაიშალა. თემურელები მალე იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ შირვანსა და აზერბაიჯანზე.

*რა მოიპოვა იბრაჰიმ **I**–მა ემირ თემურის მიმართ გამოჩენილი დამოკიდებულებით?*

შირვანშაჰ იბრაჰიმ I–ის გამაერთიანებელი პოლიტიკა. 1405 - 1410 წლებში იყო აზერბაიჯანის ისტორიის ერთ-ერთი დაძაბული ხანა. აზერბაიჯანში შირვანშაჰების გარდა ჯელაირები, შავბატკნიანელები მმართველობაში დამკვიდრებისათვის, ხოლო თემურელები კი მმართველობის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. ამრიგად, აზრბაიჯანი აღნიშნულ პერიოდში ოთხი მხრიდან წარმოებული ბრძოლის მოედნად იქცა. თემურელთა იმპერიის შემადგენლობაში მმართველობისათვის ბრძოლის პირობებში აზერბაიჯანის უმრავლეს ადგილებში (განჯა, შექი, ყარაბაღი, თებრიზი, ერდებილი, მარაღა და სხვ.) ხალხმა აჯანყებები დაიწყო. შექმნილი სიტუაციით ისარგებლა იბრაჰიმ I-მა განჯისა და ყარაბაღის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა. 1405 წლის ზაფხულში ქართველი მეფის კონსტანტინეს,

[1] *მეკითხავე* – ცხენის მომვლელი პირი



აზერბაიჯანი XV საუკუნეში

შექელი სეიდ ეჰმედისა და შირვანშაჰელი იბრაჰიმ I-ის გაერთიანებული ჯარებსა და თემურ ომერის ჯარებს შორის მოხდა ბრძოლა მდინარე მტკვრის სანაპიროზე. თემურ ომერის ჯარი დამარცხების შემდეგ თებრიზში დაბრუნდა. 1406 წელს თებრიზში თემურელების წინააღმდეგ აჯანყება მოხდა. თებრიზელებმა დახმარებისათვის მიმართეს შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ს. იბრაჰიმ I 1406 წლის მაისში თებრიზში შევიდა. მოსახლეობა იბრაჰიმ I-ს სიხარულით შეხვდა და იგი თავის მმართველად ცნეს. მან მოსახლეობიდან გადასახადების აკრეფა მოაწესრიგა. ამრიგად, მცირე დროით მაინც შირვანშაჰ იბრაჰიმ I-მა აზერბაიჯანის დიდი ნაწილი თავისი მმართველობის ქვეშ გაერთიანა. თუმცა მან თებრიზში განმტკიცება ვერ შეძლო, რადგან მალე ჯელაირი სულთან ეჰმედი და მისი მოკავშირე შავბატკნიანელთა სამხედრო ძალები ქალაქს მიუახლოვდნენ. იბრაჰიმ I იძულებული იყო დაეტოვებინა თებრიზი.

თქვენი აზრით, თებრიზის მოსახლეობის დახმარებისათვის შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ისათვის მიმართვა რისი მაჩვენებელია?

1. *რომორ შეაფასებდით იბრაჰიმ I-ისა და ემირ თემურის ურთიერთობებს?*
2. *რუკის საფუძველზე უჩვენეთ შირვანშაჰებისათვის შემოერთებული ტერიტორიები.*
3. *შეაფასეთ შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის მოღვაწეობა პერიოდის თვალსაზრისით.*
4. *შეადარეთ შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ისა და ემირ თემურის პოლიტიკა.*



28

შექის მმართველობა. სეფიანთა ერდებილის მმართველობა

ყველა განვითარებული ფეოდალური სახელმწიფოს მსგავსად აზერბაიჯანშაც გადაიტანა ფეოდალური დაქუცმაცებულობის ხანა. მის ჩრდილოეთში და სამხრეთში არსებულმა ცალკეულმა ფეოდალურმა სახელმწიფოებრივმა წარმონაქმნებმა სპეციფიკური განვითარების გზები განვლეს. მათგან ზოგიერთები რაც არ უნდა ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო, შედეგად ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობას შეუერთდა, ერთი კი ცენტრალიზებული სახელმწიფოს აკვანად იქცა.

ვალი, ერდებილი, განდეგილი, დერვიში, მიმდევარი, ყიზილბაში, ორდები, სეფევიე, ისმაილი, ყაზი

შექის მმართველობა. ისტორიულად თავისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლების მწარმოებელი შექის მდგომარეობა XIII-XIV საუკუნეებში სხვა ფეოდალური სამფლობელოებისაგან რამდენადმე განსხვავებული იყო. იმდროინდელი ისტორიკოსი შეჰაბედინ ნესევი წერდა, რომ 1229 წელს შირვანის ქალაქებს შექისა და კებელეს ცალკე ვეზირი და ვალი[1] დაენიშნათ. ისინი ერთად მართავდნენ ამ ქალაქებს. შექი ამის შემდეგ XIII-XIV საუკუნეების განმავლობაში როგორც ჰულაქების ისე ჯალაირების ხანაში, აზერბაიჯანის შემადგენელ ნაწილებად რჩებოდა, ძირითადად შირვანის სულადობრივ წრეს მიეკუთვნებოდა. ფეზლულაჰ რეშიდედინის ნაწერების თანახმად ამ საუკუნეების გასაყარზე შექი, ყარაბაღი, მუღანი და არანი მისი შვილის ჯელალის მიერ იმართებოდა.

რა ინფორმაციებს გვაწვდიან იმდროინდელი ისტორიკოსები შექის შესახებ?

XIV საუკუნის 30-იან წლებში ჰულაქების სახელმწიფოს დაშლისა და დანაწევრების შედეგად გაჩნდა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო. აზერბაიჯანის ჩრდილოეთში შირვანშაჰების სახელმწიფოს გვერდით, შექის ფეოდალებმაც შიგა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. შექის მმართველობაში ოირათების საგვარეულო მოვიდა. ამ დროიდან დაწყებული შექის მმართველები აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვერბაში ახლოდან იღებდნენ მონაწილეობას და იბრძოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

შექის მმართველობა ემირ თემურის პირისპირ. ემირ თემურის ახალი შემოსევის დროს შექის ტერიტორიამ თემურელთა აგრესია განიცადა. ქართულ ძალებთან კავშირის დამამყარებელმა შექის მმართველმა სეიდი ელიმ ელიწჯეს ციხეს შეუტია და დიდი ხნის განმავლობაში ტყვეობაში მყოფი ჯალარი სულთანს - თაჰირს მიეხმარა. თემურელებთან ბრძოლაში სეიდი ელი დაიღუპა. მის ადგილას მოვიდა მისი შვილი სეიდი ეჰმედი. სეიდი ეჰმედი შირვანშაჰ იბრაჰიმ I-ის შუამავლობით, ემირ თემურს ეახლა. მას თან ჰქონდა ძვირფასი საჩუქრები და 6000 ცხენიც მისცა. ემირ თემურმა სეიდი ეჰმედი ცნო შექის მმართველად. შექის მმართველები XV საუკუნის აზერბაიჯანის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახლოდან მონაწილეობდნენ და დამოუკიდებლობის უსაფრთხოების მიზნით ბრძოლებს აწარმოებდნენ.

დაახასიათეთ თემურ-შექის ურთიერთობები.

[1] ***ვალი*** - ისლამური ქვეყნების მართვის სისტემაში მხარის ან სხვა ადმინისტრაციული ერთეულის ჯანიშის შესაბამისი თანამდებობა.



შეიხ სეფიედინის განსასვენებელი. ერდებილი

სეფიანთა ერდებილის მმართველობა. სეფევიების დინასტიის აღზევება მონღოლ დამპყრობელთა ხანას დაემთხვა. XIII საუკუნეში მონღოლების დაპყრობილ ტერიტორიაზე განდეგილ - დევრიშთა საზოგადოება (ორდენი ანუ სკოლა) შეიქმნა და მალე ხელოსანთა და სოფლელთა შორის ფართოდ გავრცელდა. XIII საუკუნის ბოლოს ერთი ასეთი დერვიშული ორდენიც აზერბაიჯანის ქალაქ ერდებილში შეიქმნა. ორდენისა და შეიხების დინასტიის სახელი დაკავშირებული იყო XIII-XIV საუკუნეებში მცხოვრებ შეიხ სეფიედინ ისჰაკ ელ-მუსევი ელ-ერდებილის სახელთან. ერდებილის მთელი მოსახლეობა შეიხის მიმდევრებად ითვლებოდნენ და მითითებებს ასრულებდნენ. შიიველთა საზოგადოების კუთვნილ სეფიანთა წარმატებების მიზეზი იყო ის, რომ ერდებილის შეიხების წამოწყებული მოძრაობა ქვეყნის არამომთაბარე მოსახლეობის მოთხოვნილების შესრულება იყო.


? *რატომ მოიპოვეს ხალხში მაღალი ავტორიტეტი ერდებილელმა შეიხებმა?*

შემდგომში სეფიანთა ამ საზოგადოებას შეიხ ჯუნეიდი (1447-1460), შეიხ ჰეიდარი (1460-1488), შეიხ სულთანელი (1488-1494) და შეიხ ისმაილი (1494-1501) მეთაურობდა.



შეიხ ჯუნეიდის აკლდამა. კუსარი

XV საუკუნის შუა ხანებიდან დაწყებული სეფევიებმა წარმატებული ლაშქრობების ჩატარებით დიდი ნადავლი იგდეს ხელთ და თან-დათანობით ერდებილში თავიანთი პოზიციები განიმტკიცეს. ამ დროს აზერბაიჯანის სამხრეთში შავბატკნიანელი ჯაჰანშაჰი მმართველობდა. მისი მოთხოვნით შეიხ ჯუნეიდმა 1449 წელს ერდებილი დატოვა. ის ეგვიპტის, სირიისა და მესოპოტამიის შემოვლის შემდეგ დიარბაკარში დაბრუნდა. შავბატკნიანთა მოწინააღმდეგე თეთრბატკნიანელმა ჰასან ბეგ ბაიანდურმა (უზუნ ჰასანი) მას ძმური დახვედრა მოუწყო და მასთან ნათესაური კავშირიც დაამყარა.



შეიხ ჰეიდარის განსასვენებელი. მეშქინშეჰრი

? *რა მიზნით დაუნათესავდა თეთრბატკნიანელი ჰასან ბეგი შეიხ ჯუნეიდს?*

1460 წელს შეიხმა ჰუნეიდმა დაღისტანი და შირვანი დალაშქრა. შირვანშაჰ ხელილულაჰ I შავბატკნიანელ ჯაჰანშაჰთან კავშირში შევიდა. მდინარე სამურის სანაპიროზე სეფევიები დამარცხდნენ. შეიხ ჯუნეიდი მოკლული იქნა. ჯუნეიდის შვილმა შეიხ ჰეიდარმა მამის პოლიტიკა გააგრძელა. ის ბიძის (დედის მხრიდან) ჰასან ბეგის ქალიშვილზე ალემშაჰ ბეგზე დაქორწინდა და თეთრბატკნიანელებთან ნათესაური ურთიერთობები კიდევ უფრო გა-აძლიერა.

1470 წლის დასაწყისში შაჰ ჰასანი ერდებილში მოვიდა და შეიხი ჰეიდარი ზარზეიმით ორდენის სამემკვიდრეო ტახტზე დასვა. შეიხ ჰეიდარის დროს ყაზის, სეფიების რაზმების ორგანიზება სამხედრო წესით ხდებოდა. ისინი თორმეტი იმამის პატივსაცემად თავზე თორმეტ წითელზოლიან ჩალმას იდგამდნენ. ამიტომაც მათ ყიზილბაშებს უწოდებდნენ.

? *რა ცვლილებები გაატარა შეიხ ჰეიდარმა ჯარში?*


XV საუკუნის 80-იან წლებში შეიხ ჰეიდარმა წარმატებული ლაშქრობები განახორციელა დაღესტანში და შირვანში. ამან თეთრბატკნიანთა შაჰ იაკუბი შეაშინა. ამიტომაც ის შეიხ ჰეიდარის მიერ 1488 წელს შირვანის დალაშქვრის დროს შირვანშაჰ ფერუხ იაშარს მიეხმარა. შაჰდაღის კალთებზე შირვანშაჰისა და თეთრბატკნიანელების გაერთიანებულ ძალებსა და ყიზილბაშებს შორის მოხდა სისხლიანი ბრძოლა. ორივე მხარეს მნიშვნელოვანი დანაკარგი ჰქონდა. შეიხი ჰეიდარი მოკლეს. შაჰ იაკუბმა დაიპყრო ერდებილი, შეიხ ჰეიდარის შვილები:



ყიზილბაშების ლაშქარი

სულთანელი, იბრაჰიმი და ჯერ კიდევ ორწელ შეუსრულებელი ისმაილი ტყვედ აიყვანა. ისინი შირაზის ახლოს ისტეხრის კოშკში ოთხ ნახევარი წლის განმავლობაში ჰყავდა დატყვევებული.

1492 წელს ხელისუფლებაში მოსულმა თეთრბატკნიანელმა რუსტემ მირზამ ისინი ტყვეობიდან გაანთავისუფლა. სულთანელი ერდებილში დააბრუნა და იგი დამოუკიდებელ მმართველად ცნო. თუმცა სულთანელის ავტორიტეტის ზრდამ რუსტემ მირზა შეაშინა და მის წინააღმდეგ 5000 კაციანი ჯარი გააგზავნა. 1494 წელს სულთანელი ერდებილის მისადგომებთან შემესად წოდებულ ადგილას თეთრბატკნიანელთა რუსტემ მეფის ლაშქართან ბრძოლისას მოკლეს. თეთრბატკნიანელებმა კვლავ დაიპყრეს ერდებილი.



ქალაქ ერდებილის ხედი.
გერმანელი გეოგრაფმცოდნის იოჰან ბაპტისტ ჰომანის შესრულებული ნახატი

რასთან აკავშირებთ ერდებილის მმართველებისა და თეთრბატკნიანელთა ურთიერთობების დარღვევისას?

სულთანელის მიერ ყიზილბაშების ერდებილის ახლოს მდებარე შემესად წოდებულ ადგილას განადგურების შემდეგ, ერთგული სუფიები შეიხ ჰეიდარის შვილებს ისმაილსა და იბრაჰიმს ერდებილში გადაშალვაში მიეხმარნენ. ეიუბ სულთანს მიღებული ჰქონდა დავალება, ყველა საშუალება გამოეყენებინა ჰეიდარის შვილების დაკავებისა და განადგურებისათვის. ეიუბ სულთანის რაზმები ქალაქში შევიდნენ. ეიუბ სულთანის რაზმების ქმედებების დეტალების შესახებ ანონიმური მემატიანის თანახმად ერდებილის მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში იჩენდნენ ძალადობას, დაიწყეს მათი ხოცვა და ძარცვა-გლეჯვა. ისმაილმა და დედამისმა ალემშაჰ ბეგმა თავდაპირველი სამალავი – შეიხ სეფიედდინის აკლდამა დატოვეს. ყაზი ეჰშედ კაკულის სახელობის სეფეტელი მომდევრებიდან ერთ-ერთის სახლში გადავიდნენ და სამი დღის განმავლობაში აქ დარჩნენ.

მეოთხე დღეს ისმაილის რაზმი რეშდეს მიმართულებით დაიძრა. ისმაილის მოძრეებმა რეშდის მმართველის მოწვევის მიუხედავად თეთრ მეჩეთად წოდებულ ადგილას დაბანაკებას მიანიჭეს უპირატესობა. რეშდში ყოფნის დროს ისმაილს მუდმივად მეჩეთის მეზობლად მდებარე საეუველირო დუქნის პატრონი, ადგილობრივი მოსახლე ემინ ნევაში ემსახურებოდა.

ერთგული მომხრეები მიიჩნევდნენ, რომ რეშტაში უსაფრთხო მდგომარეობა არ იყო და მეეხმარენ ისმაილს ლაჰიჯანში, გილანის ბეეფიმ ოლქის მმართველის ქარქია მირზა ელის სასახლეში გადასვლაში. ლაჰიჯანში ისმაილსა და მის თანმხლებ პირებს სიხარულით შეხვდნენ და ქეი ეფრიდუნის მეფრესის პირდაპირ ბინაში მოათავსეს. ქარქია მირზა ელი თავის პატივცემულ სტუმრებს ყველანაირ ყურადღებას აქცევდა. ცნობილი ერთ-ერთი ადგილობრივი მეცნიერი შემსედან ლაჰიჯი არაბული და სპარსული ენების შესწავლისა და ყურანის წაკითხვისათვის ისმაილისა და მისი ძმის აღმზრდელად დაანიშნა.

ოქტაი ეფენდიევი, ნაწარმოებიდან "აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფო"

ისმაილი 6 წელი ლაჰიჯანში დარჩა. მისი სრულწლოვნების მიღწევამდე ყველა საკითხს ყიზილბაში ემირები წყვეტდნენ.

რატომ იცავდნენ ყიზილბაშები შეიხ ისმაილს?

1. *შექის მმართველობის დროს აზერბაიჯანში რომელი სახელმწიფოები არსებობდა?*
2. *რატომ ცნო შექის მმართველად ემირ თემურმა სეიდიელის შვილი სეიდი ეჰმედი?*
3. *რატომ დაიწყეს ბრძოლა შავბატკნიანელებმა ერდებილელი შეიხების წინააღმდეგ?*
4. *რა მსგავსებაა თეთრბატკნიანელი ბაკუბ მეფისა და რუსტემ მირზას ერდებილის მმართველებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში?*
5. *შეადარეთ ერდებილის მმართველები შირვანისა და შექის მმართველებს, განსაზღვრეთ განსხვავებული ნაშრები მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.*



29


კულტურა XIII-XV საუკუნეებში

უცხოელთა შემოსევების ინტენსიური ხასიათის დროს აზერბაიჯანის ტერიტორიის გაერთიანების მიუღწეველობამ თავისი უარყოფითი კვალი დააჩნია კულტურის განვითარებაზეც. უცხოელთა შემოსევების დროს ხალხის მიერ ათასწლეულების მანძილზე შექმნილი მატერიალურ–კულტურული ნიმუშები ინგრეოდა, გამოუსადეგარ მდგომარეობაში ვარდებოდა. მიუხედავად ყოველივე ამისა, აღორძინების პერიოდში საფუძველჩაყრილი მეცნიერება, არქიტექტურა და ლიტერატურა ვითარდებოდა.

ნასრედინ თუსი, მარაღის ობსერვატორია, უბიზის უნივერსიტეტი, ბერდის მავზოლეუმი, შირვან–შაჰების სასახლე

მეცნიერება, განათლება. იმ პერიოდში მსოფლიო პატივის მქონე აზერბაიჯანელი მეცნიერის ნასრედინ თუსის ხელმძღვანელობით 1259 წელს მარაღაში და XIV საუკუნის დასაწყისში შამ-კაზანში აშენებული ობსერვატორიები აღმოსავლეთში ასტრონომიის მეცნიერების ცენტრად იქცა.

თანამედროვე ეპოქის რომელ ობსერვატორიებს იცნობთ?



მარაღის ობსერვატორია

მარაღის ობსერვატორიის საქმიანობაში შეუცვლელი როლის მქონე ნ. თუსი ჰულაქი ხანის მრჩეველი, აბაკა ხანისა კი ვეზირი იყო. მან "ზიჯ ელხანი" ("ელხანის ცხრილები"). "ეხლაგი-ნასირი", "თეჰრირი ოკლიდის" ("ევკლიდეს განმარტებები") ნაწარმოებების სახით მეცნიერებას დიდი საგანძური დაუტოვა. დიდი მეცნიერის საფლავზე აწერია სიტყვები: "მეცნიერული სამყაროს მეფე".



ნასრედინ თუსი

თქვენი აზრით რასთან იყო დაკავშირებული ის, რომ ნასრედინ თუსი მეცნიერების სხვადასხვა სფეროების შესახებ წერდა ნაწარმოებებს?

ცნობილ აზერბაიჯანელ მეცნიერს მუჰამედ ნახჩივანის იბნ სინასავით მიაჩნდა რა ჯანმრთელობა ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარების საფუძვლად, ქვეყანაში სამკურნალო სახლების - "დარ ულ-შეფა"-ების არსებობის შესახებ გვაწვდიდა ვრცელ ინფორმაციას. აზერბაიჯანის მხოლოდ სამხრეთ ტერიტორიებზე 67 გამოსაჯანმრთელებელი სახლი იყო. ქვეყანაში ასევე მოქმედებდნენ დარუხანებიც (აფთიაქები).

ჰულაქების სახელმწიფოს მთავარი ვეზირის ფეზულაჰ რეშიდედის ცნობილ "ჯამე ეთ-თევარიხ" ("ისტორიების კრებული") ნაწარმოებში მსოფლიო და აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ საინტერესო ინფორმაციებია მოცემული. იმ ხანის სხვა ისტორიკოსების ჰემდულაჰ კეზვინის, შერაფედინ ელი-ეზიდის და სხვათა ნაწარმოებებში აზერბაიჯანის ისტორიას განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი.

რომელი პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი ნაწარმოები "ჯამი ეთ-თევარიხი"?

თებრიზის რები რეშიდის ზონაში XIV საუკუნის დასაწყისში ფ. რეშიდედის მიერ დაარსებული მედრესა ბაღდადში არსებული ნიზამიეს მედრესას შემდეგ აღმოსავლეთში მეორე უმაღლესი განათლების კერა იყო. თებრიზის უმაღლეს მედრესაში - უნივერსიტეტში 500-მდე მეცნიერი ასწავლიდა, 7000-მდე სტუდენტი სწავლობდა. სტუდენტებიდან 6 ათასი მოსული იყო სხვადასხვა მუსლიმანური ქვეყნებიდან. უნივერსიტეტის შენობასთან ერთად ასევე არსებობდა მეცნიერთა და სტუდენტთა კვარტლები და 60 ათას წიგნიანი ბიბლიოთეკა რები რეშიდის კვარტალში.

რომელი უნივერსიტეტები არსებობდა ევროპაში თებრიზის უნივერსიტეტის დაარსების საუკუნეში?

გეოგრაფიის სფეროში საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ზექარიე კეზვინის, ჰემდულაჰ კეზვინის და ებდურეშიდ ბაკუვის ნაწარმოებები.

გამოიკვლიეთ, რომელი ძველი მსოფლიო გეოგრაფის მიერ არის მოწვდილი აზერბაიჯანის შესახებ პირველი ინფორმაცია.

ესრედინ ენდელუსის "თურქული ენის აღქმის წიგნი" 2300 სიტყვის მომცველი თურქულ-არაბული ლექსიკონი ენის თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ატარებდა.


რა მსგავსებები არსებობდა მაჰმუდ ქაშღარლისა და ესირედინ ენდელუსის საქმიანობაში?

თებრიზელი ფეზულაჰ ნეიმი ჰურუფილიის დამფუძნებელი იყო. მის ნაწარმოებში "ჯავიდანნამე" ასახულია ჰურუფილიის თეორიის საფუძვლები. სინამდვილეში ეს ნაწარმოები ჰურუფილიის პროგრამა იყო. ჰურუფილია იყო თემურელების მმართველობის წინააღმდეგ მიმართული მორალურ-პოლიტიკური მოძრაობა. მისი ერთ-ერთი გამოჩენილი გამგრძელებელთაგანი იყო XV საუკუნის დიდი ფილოსოფოსი და პოეტი იმამედინ ნესიმი.



იმამედინ ნასიმი

არქიტექტურა, ხელოვნება. მონღოლების მეორე შემოსევის შედეგად დანგრეულმა ქალაქმა განჯამ 1239 წლიდან დაიწყო აღდგენა. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე დაარსდა ქალაქები სულთანიე და მაჰმუდაბადი. თებრიზში ელხანი ვეზირის თაჯედინ ელი შაჰის აშენებული „ელიშაჰის მეჩეთი“ შემდგომში ერქის ციხე-სიმაგრის სახელითაა ცნობილი.



ერქის ციხე-სიმაგრე

შეაგროვეთ ინფორმაცია ერქის ციხე-სიმაგრის თანამედროვე ბედის შესახებ და მოამზადეთ რეფერატი.



მოხატული თასი

თებრიზელი ოსტატის იუსუფ იბნ ეჰმედის მიერ 1319 წელს დამზადებული, მხატვრულად მოხატული თასი ლონდონში ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმში, ხოლო ებდულეზიზ იბნ შერაფედინის მიერ ემირ თემურის შეკვეთით 1399 წელს დამზადებული თიანი (დიდი ქვაბი) კი სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის მუზეუმში ინახება.

ლიტერატურა. XIV ასწლეულში სული ფეკიჰისა და მუსტაფა ზერირის მსგავსად აზერბაიჯანელმა პოეტებმაც ყურანის მოტივების საფუძველზე აგებული „ იუსიფისა და ზულეიხას“ თემაზე დედა ენაზე ნაწარმოებები შექმნეს. სწორედ ამ დროის ოსტატის იუსიფ მედდაჰის პოემა „ვერკა და გულშა“ დედაენოვანი ეპიკური ლექსის ერთ-ერთ ლამაზ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.



თიანი

XIV საუკუნის პოეტისა და ხელისუფალის კაზი ბურჰანედინის შემოქმედებას ინგლისელმა აღმოსავლეთმცოდნემ ედუარდ ბრაუნმა თურქულ ლიტერატურაში მსოფლიო პოეზიის პირველ ნიმუშად გამოცხადებით მაღალი შეფასება მისცა. ამ პერიოდში ლიტერატურაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში ფორმირებული ჰუმანიზმის პრინციპებმა, განსაკუთრებით სეიდ იმამედინ ნესიმის შემოქმედებაში თავის მწვერვალს მიაღწია. XV საუკუნის აზერბაიჯანულ ლიტერატურაში აქამდე სხვა თურქ ხალხებთან მრავალი ნიშნის მიხედვით ერთიანი სალიტერატურო ენის მქონე აზერბაიჯანული სალიტერატურო ენა თავის განმასხვავებელ თავისებურებებს იძენს.

მეხალიჩეობა. XIV-XV საუკუნეებში დაიწყო აზერბაიჯანიდან დახვეწილი მოხატულობების მქონე ხალიჩის ნაწარმის ევროპაში გატანა. მათ მოკლე დროში ნაზი ორნამენტებით ევროპელი მხატვრების ყურადღება მიიპყრეს და მათ შემოქმედებით ნაწარმოებებშიც თავისი ასახვა ჰპოვეს. ამიტომაც შუა საუკუნეების იტალიელი, ნიდერლანდელი და გერმანელი მხატვრების ნაწარმოებებში აღმოსავლურ ხალიჩებს შეხვდებით. ამგვარი ნაწარმოებებიდან ქვემოთ მოცემულების დასახელება შეიძლება:



ყაზახური მეხალიჩეობის სკოლის შესახებ ბორჩალოს ხალიჩა კარლო კრიველინის მხატვრულ ნაწარმოებში "ამბავი ზეცადან"



კუბის მეხალიჩეობის სკოლის შესახებ ზეიფეს ხალიჩა (მადონას ფეხქვეშ) იან ვან ეიკენის ნაწარმოებიდან მადონა



ყარაბაღის მეხალიჩეობის სკოლის შესახებ ჩილი ხალიჩა ჰანს მემლინგის ნაწარმოებიდან თაიგული



მერდექანდის წრიული კოშკი



ნახჩევანის გულუსტანის აკლდამა



ნარდარანის ციხე-სიმაგრე




რამანას ციხე-სიმაგრე

XIII–XIV საუკუნის აზერბაიჯანის არქიტექტურული ძეგლები

ბერდეს აკლდამა



სულთანიეში ოლჯაითუ ხუდაბენდეს აკლდამა



სოფელ ყარაბაღლებში არქიტექტურული კომპლექსის აკლდამა (გუმბათოვანი ძეგლი)



ბაილის კოშკი



XV საუკუნის აზერბაიჯანის არქიტექტურული ძეგლები

იაკუბ მეფის ბრძანებით თებრიზში აშენებული ჰეშტ ბეჰიშტის სასახლე



ბაქოს შირვანშაჰების სასახლის კომპლექსი




ჯაჰანშაჰის ბრძანებით თებრიზში აშენებული ლურჯი მეჩეთი



თებრიზში ჰასან მეფის მეჩეთი



თებრიზში კეისერიეს ბაზარი



1. შირვანშაჰების სახელმწიფოსთან დაკავშირებულ რომელ არქიტექტურულ ძეგლებს იცნობთ?
2. თქვენი აზრით, რასთან არის დაკავშირებული ევროპელი მხატვრების ნაწარმოებებში აზერბაიჯანული ხალიჩების ნიმუშების მოცემა?
3. შეადარეთ XIV და XV საუკუნის არქიტექტურის ძეგლები.
4. მოამზადეთ წარდგენა ნ. თუსის შემოქმედების შესახებ



IV. აზერბაიჯანი XVI-XVIII საუკუნეებში

XVI საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანის ისტორიაში ახალი სასიხარულო გვერდი გადაიშალა – შაჰ ისმაილ I–მა აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. მოკლე დროში არაბუ–ლი ერაყიდან და დიარბაკარიდან ხორაშანამდე ძალიან ვრცელი ტერიტორიები სეფიანთა მმართვე–ლობის ქვეშ გაერთიანდა.

შაჰ ისმაილ I–მა ოსმანთა სულთანთან ბეიაზიდ II–სთან მეგობრული ურთიერთობები დაამყარა. თუმცა სულთან სელიმ I–ის ხელისუფლებაში მოსვლით ეს ურთიერთობები დაირღვა. დაიწყო ხანგრძლივი სეფიან–ოსმანთა ომები. ამ ომებმა ორივე მხარის სამხედრო ძალები შეასუსტა, ეკონომი–კურ მდგომარეობას მძიმე დარტყმა მიაყენა. ოსმანების აღმოსავლეთის მიმართულებით წარმატებუ–ლი ლაშქრობები ჩაწყნარდა. სეფეველთა სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრებისათვის საფრთხე გაიზარდა. ამ ორ თურქულ–მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის მიმდინარე სისხლიან ომს არ შეეძლე–ბა, რომ არ გაეხარებინა მათი მტრები. შემდგომში შაჰ–აბას I–ის მიერ გატარებული ღონისძიებების, რეფორმების შედეგად სეფევიელებმა დაკარგული ტერიტორიები უკან დაიბრუნეს და თავისი ავტო–რიტეტის აღდგენა შეძლეს.

XVIII საუკუნის დასაწყისში სეფიანთა იმპერია სახალხო გამოსვლებში და აჯანყებებში გაეხვია. დაიწყო რუსების კასპიისპირა ოლქებზე თავდასხმები, ავღანები შემოესივნენ და დედაქალაქი ისფაჰა–ნი დაიპყრეს. მხოლოდ ნადირ ხან ეფშარის გადამწყვეტი ქმედებების შემდეგ შესაძლებელი გახდა სეფიანთა სახელმწიფოს დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება. 1736 წელს ნადირმა სეფიანთა დინასტიის მმართველობას ბოლო მოუღო და თავი შაჰად გამოაცხადა. მისი მმართველობის წლებში იყო უწყვეტი ომები, მძიმე გადასახადებმა ხალხი აიჯანყა, აზერბაიჯანი აჯანყებებში გაეხვია. ნა–დირ–შაჰის 1747 წლის შეთქმულების შედეგად მოკვლასთან ერთად, მისი ავებული იმპერიაც დაიშა–ლა.

ნადირშაჰის სიკვდილის შემდეგ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 20–მდე სხვადასხვა ფეოდალური სახელმწიფო – სახანოები გაჩნდა. სამხედრო–პოლიტიკური თვალსაზრისით უფრო ძლიერი კუბის, შექის, ყარაბაღისა და ურმიის სახანოების მცდელობას, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიები ერთიან სახელმწიფოდ გაეერთიანებინათ, შედეგი არ მოჰყოლია.



30

სეფიანთა სახლემწიფოს შექმნა და გაძლიერება

XIII *საუკუნეში ბაღდადის დაკავებით აბასელთა ხალიფატი დაიშალა. რელიგიური ლიდერის არ არსებობამ ისლამური სახოვადოება მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა. მონღოლების მიერ პირველ ხანებში ისლამის რელიგიის შევიწროება, მუსლიმანურ სახოვადოებებში მრავალრიცხოვანი თემებისა და მიმდინარეობების შექმნის მიზეზი გახდა. ერდებილში მიიზმის მაპროპაგანდირებელი სეფიანთა სექტის შექმნამაც სწორედ ამ დროს დაიწყო ფორმირება. შემდგომში ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებმა ახალ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი.*

ერდებილის მმართველობა, ერზინჯანის თათბირი, ისმაილი, ყიზილბაშების ლაშქრობები, ცენტრალიზებული სახელმწიფო, შაჰი



სეფიანთა სახელმწიფო შაჰ ისმაილ I-ის დროს

სექტიდან სახელმწიფოსკენ. XV საუკუნეში სეფიანთა სექტა ძლიერ პოლიტიკურ ძალად იქცა. შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში სიწყნარის დაუსადგურებლობამ, ხელისუფლებისათვის შეხლა-შემოხლებმა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც უარყოფითი გავლენა მოახდინეს. მოსახლეობის ცხოვრება გაუარესდა. XV საუკუნის ბოლო ხანებში ცენტრალური ხელისუფლების კიდევ უფრო დასუსტებამ უბრალო ხალხს შორის სეფიანთა ავტორიტეტის ამაღლების ხელსაყრელი პირობები შექმნა. 1499 წელს ერდებილის შეიხების მემკვიდრე ისმაილმა ლაჰიჯანიდან ერდებილის მიმართულებით დაიწყო მოძრაობა. ყიზილბაში ემირების რჩევით მოძრაობაზე გადასული ისმაილის ძირითადი მოვალეობა "სეფევიეს" მიმდევართა მცირე დროში ერთად შეკრება, აზერბაიჯანში

პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება იყო. ისმაილმა ერდებილში გამაგრება ვერ შეძლო და გეზი ერზინჯანისაკენ აიღო. გზის გავლის კვალობაზე ყიზილბაშების ლაშქრის რაოდენობა განუხრელად იზრდებოდა.



ბრძოლა ფარუხ იაშარსა და ისმაილს შორის. მინიატურა

ერზინჯანიდან შირვანისაკენ. ყიზილბაშების ძირითადი მოწინააღმდეგეები თეთრბატკნიანელები და შირვანშაჰები იყვნენ. 1500 წელს ერზიჯანში ყიზილბაშების თათბირი შედგა. თათბირზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პირველი დარტყმა შირვანშაჰ ფერუნ იაშარზე განხორციელდა. იმავე წლის ბოლოს ყიზილბაშების ჯარი ისმაილის მეთაურობით გულუსტანის ციხე-სიმაგრის კალთებთან ჩაბანის ველზე შირვანშაჰის ძალებთან ბრძოლაში ჩაება. რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად ყიზილბაშებმა შირვანის ძალები გაანადგურეს, ფერუხ იაშარი კი დაიღუპა. 1501 წლის გაზაფხულზე სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ ბაქოს ციხე-სიმაგრეც დაიკავეს.

? *თქვენი აზრით, რა მიზეზები ჰქონდა ისმაილის პირველ ლაშქრობას შირვანშაჰების წინააღმდეგ?*

ისმაილის წარმატებებმა მყუდროება დაურვიეს თეთრბატკნიანელ ელვენდ მირზას. მისი შირვანში დაბრუნებისა და იქ მართვით დაკმაყოფილების მოთხოვნის ისმაილის მიერ უარყოფით, ომი გარდაუვალი გახდა. 1501 წლის შუა ხანებში შერურის ველზე მომხდარ ბრძოლაში ყიზილბაშებმა მათზე გაცილებით ჭარბი თეთრბატკნიანელთა ძალები დაამარცხეს. ისმაილმა ამ ბრძოლაში პირადი გმირობა და დიდი მხედართმთავრული ნიჭი გამოიჩინა. ყიზილბაშების გამარკვების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ მიმდევრები თავიანთ შეიხების გზაზე სიკვდილისათვისაც მზად იყვნენ, სულიერად მტკიცე და უდრეკნი იყვნენ. ყველა ბრძოლაში პირადად მონაწილე ახალგაზრდა ისმაილი კი ყიზილბაშების რწმენის წყაროდ იქცა.



შაჰ ისმაილ I

თეთრბატკნიანელთა პირველი ფრთის მოშლით დასრულებული ბრძოლიდან გარკვეული დროის შემდეგ ისმაილი თებრიზში შევიდა და თავი შაჰად გამოაცხადა. საფუძველი ჩაეყარა აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფოს. 1503 წელს კი სპარსი და ეჯემი ერაყის მმართველი თეთრბატკნიანელი სულთან მურადი ალმაბულაღად წოდებულ ადგილას დამარცხებული იქნა. ამრიგად, თეთრბატკნიანელთა სახელმწიფოს ბოლო მოეღო. ისმაილი თვლიდა რა, თავს პაპის - შაჰ ჰასან ბაინდურის პოლიტიკურ მემკვიდრედ, ეცდებოდა შექმნილი სახელმწიფო თეთრბატკნიანთა საზღვრების შემადგენლობაში აღედგინა. მცირე დროის განმავლობაში არაბული ერაყიდან და დიარბაქარიდან ხორაშანამდე არსებული ოლქები ახალი სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. 1510 წელს მერვის ბრძოლაში შეიბანი ხანის დამარცხების შემდეგ შაჰ ისმაილ I-მა ამურდარიამდე მთელი ხორაშანი თავისი მმართველობის ქვეშ მოაქცია. სეფიანთა სახელმწიფო ვრცელი ტერიტორიის მქონე იმპერიად იქცა.

? *რა მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა სეფიანთა სახელმწიფოს შექმნას?*

სეფიან–ოსმანთა ურთიერთობები. შაჰ ისმაილ I-ის წარმატებები მისი ოსმანთა სულთანის მხრიდან მმართველად ცნობით დასრულდა. ბეიაზიდინ II-ის დროს შექმნილი მეგობრული ურთიერთობები სულთან სელიმ I-ის ხელისუფლებაში მოსვლით დაირღვა.

სულთან სელიმ I-ის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვრების აღმოსავლეთით ანადოლუმდე გაფართოება და აზერბაიჯანზე გამავალი სავაჭრო გზების გაკონტროლების სურვილი სეფევიელ-ოსმანთა ომების დაწყების მიზეზი გახდა. სელიმ I-მა ომის წინ უნგრეთიდან და ვენეციასთან დადო ხელშეკრულება, შეიბანიების მხრიდან დახმარების პირობა მიიღო. შაჰ ისმაილ I-მაც სათადარიგო ღონისძიებები გაატარა, დაიწყო ევროპის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. თეთრბატკნიანელი ჰასან მეფის პოლიტიკის გამაგრძელებელი სეფიანთა შაჰი დიპლომატიურ ურთიერთობებში ძირითად ყურადღებას ცეცხლსასროლი იარაღის შეძენასა და სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებისაკენ მიმართავდა. ამ მიზნით პორტუგალიელებთან მოლაპარაკების მწარმოებელმა სეფიანთა შაჰმა მათ ჰორმუზში განმტკიცებაზეც დახუჭა თვალი.

თქვენი აზრით რატომ ორივე ძლიერი თურქულ-მუსლიმანური სახელმწიფო ომის წინ ეცდებოდა ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობების მოწესრიგებას?



შაჰ ისმაილ I ჩალდირანის ბრძოლის

თუმცა მიუხედავად ყოველივე ამისა, ოსმანებთან ომის წინ სეფიანთა ცეცხლსასროლი იარაღის მოპოვების მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. სელიმ I-ის მითითების შესაბამისად ულემების[1] ყიზილბაშების წინააღმდეგ წმინდა ბრძოლის - ჯიჰადის გამოცხადებით ომში რელიგია ჩაერთო როგორც ფაქტორი. ამრიგად, შუა საუკუნეების ორ ძლიერ თურქულ სახელმწიფოს შორის შესვენებებით ორასი წლის განმავლობაში მიმდინარე ომი დაიწყო.

მხარეებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1514 წლის 23 აგვისტოს მაქუს ახლოს მდებარე ჩალდირანის ველზე. ყიზილბაშების თავდადებული მცდელობისა და შაჰ ისმაილ I-ის პირადი მამაცობის მიუხედავად, რაოდენობრივი მრავალრიცხოვნებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ხარჯზე ოსმალთა არმიამ გამარჯვება მოიპოვა.

M "იანიჩრებმა და მეზარბაზნეებმა ცეცხლის გახსნა დაიწყეს. ზარბაზნებისა და თოფების სროლისაგან ნათელი დღე დაბნელდა. ყიზილბაშთა ლაშქრის (რაზმების -რედ.) გმირების უმრავლესობის უშიშრად ბრძოლის გაგრძელების მიუხედავად, თოფის ცეცხლის წინაშე გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. თავის ცხოვრების კალო დაწვეს".

ა. მუნში. ნაწარმოებიდან "მსოფლიოს დამამშვენებელი აბასის ისტორია"

? *ჩერბაიჯანელი მებრძოლების რომელ თვისებაზე მიანიშნებს ზემოთ მოცემული წყარო?*

თებრიზის დაკავების მიუხედავად სელიმ I-მა აქ განმტკიცება ვერ შეძლო. ჯარისკაცებს შორის აგორდა უკმაყოფილების ტალღა, ამასთან ყიზილბაშების ძალისაგან სიფრთხილის მიზნით ოსმანთა სულთანი იძულებული გახდა უკან მიბრუნებულიყო. მიუხედავად ამისა მოსულამდე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ანადოლუს ტერიტორიები ოსმანთა ხელში გადავიდა.

M *ჩვენმა ფანატიკოსმა ულემებმა ჩვენ არ გაგვაფრთხილეს.... მუსლიმანების მოკვლისაკენ ჩვენ გვიბიძგებდნენ.... სიმართლე არის ის, რომ ჩვენ ირანელებთან (აზერბაიჯანელებთან) არ ვიომებთ".*

იანიჩრა მეომრების სელიმ I-ისადმი გაგზავნილი განცხადებიდან

განმარტეთ წყარო.

ჩალდირანის ბრძოლაში უახლოესი თანამებრძოლების დაკარგვით შეძრწუნებული შაჰ ისმაილ I-კიდევ ერთხელ ოსმანებთან ბრძოლაში აღარ შევიდა. ამაზე გავლენა მოახდინა სულთან სელიმ I-ის სიკვდილმა და მას შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სულთან სულეიმანის უპირატესად დასავლეთის ქვეყნებთან ომების წარმოებამ.

[1] *ულემა* – მუსლიმანური რელიგიის მოღვაწეები



სეფიანთა სახელმწიფო შაჰ თეჰმასიბ I-ის დროს

ერთიანი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შექმნის პროცესის დასრულება. თეჰმასიბ I. შაჰ ისმაილ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1524) ხელისუფლებაში მისი შვილი თეჰმასიბი მოვიდა. მისი მცირეწლოვანება ხელისუფლების პირველ წლებში ყიზილბაშ ემირებს შორის შეხლა-შემოხლის შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა სრულწლოვანების შემდეგ შაჰ თეჰმასიბ I-მა სახელმწიფოს მართვა მთლიანად თავის ხელში აიღო და თავი გამოიჩინა, როგორც ორგანიზებულმა და შორსმჭვრეტელმა მმართველმა.

"ის ცხოვრება, რაც აქამდე იყო წავიდა. ეხლა იცოდეთ, რა გზას უნდა დაადგეთ... ემირების სიშაცრემ და ძალამ ძალისმიერმა ქმედებებმა ზიანის გარდა არაფის არაფერი არ მოუტანა. ამრიგად, ღვთის ნების გათვალისწინებით დავრდომილთა და უქონელთა განკითხვა უფრო მნიშვნელოვანია."

შაჰ თეჰმასიბის თეზქირედან [2]

რა დასკვნის გაკეთება შეგიძლიათ შაჰ თეჰმასიბის ამ სიტყვებიდან?

ამის შემდეგ, ყურადღების ჩრდილოეთით მიმპყრობმა შაჰ თეჰმასიბ I-მა ხალილულაჰ II-ის სიკვდილის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, ესარგებლა შირვანშაჰების სახელმწიფოში შექმნილი არეულობებითა და თვითნებობებით. 1538 წელს -ჯერ ძმა ელკას მირზა 20 ათასიანი ლაშქრით შირვანში გააგზავნა. ბუღურდის ციხე-სიმაგრის ალყაში მოქცევის ხანგრძლივობის შესახებ ამბის შეტყობის შემდეგ თეჰმასიბ I თვითონაც შირვანში მიდის. ბუღურდის ციხე-სიმაგრის დამცველები ზარბაზნების ცეცხლის შემდეგ დანებდნენ. აქ შენახული შირვანშაჰების ხაზინა ხელში ჩაიგდო, წარჩინებულთა ხელში სათამაშოდ ქცეული შირვანის ბოლო მმართველი შარუხი თებრიზში მოიყვანა და სიკვდილით დასაჯა. შირვანშაჰების სახელმწიფოს

[2] ***თეზქირა*** (არაბულად გახსენებას ნიშნავს) – გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებია

არსებობის ბოლო მოეღო. ელკას მირზა კი ბეგლარბეგად დაინიშნა. 1551 წელს კი შექის მმართველობის დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო. 1548 წელს შირვანში აჯანყებისას ელკას მირზას დამცავი შექის მმართველი დერვიშ მუჰამედი მოკლეს, თოიღუნ ბეგ ყაჯარი კი შექის პირველი ყიზილბაში მმართველი გახდა. ამრიგად, შაჰ თეჰმასიბ I-ის წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად აზერბაიჯანის მთელი ტერიტორიები ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანდნენ. ***ქვეყნის ოლქების ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანება აზერბაიჯანის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითი გავლენის მოხდენასთან ერთად გაძლიერდა კულტურული და ეთნიკური ერთიანობაც.***



შაჰ თეჰმასიბ I

თქვენი აზრით, კიდევ რა უპირატესობები გააჩნია ერთიანი სახელმწიფოს შექმნას?

მამების დაწყებული და შვილების გაგრძელებული სისხლიანი ომი. სელიმ I-სა და შაჰ ისმაილ I-ს შორის დაწყებული ომი, სამხედრო ოპერაციების შეწყვეტის მიუხედავად, სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით არ დასრულებულა. 1534 წელს თეჰმასიბ I-ის ხორასანში უზბეკებთან ომის წარმოებით ისარგებლა ოსმანთა სულთანმა სულეიმან I-მა და აზერბაიჯანზე შეტევა დაიწყო. ოსმანთა ძალებმა თებრიზი ხელში აიღეს, მაგრამ აქ ვერ გამაგრდნენ. ზამთრის მოახლეობამ, სურსათის ნაკლებობამ, მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობამ აიძულა სულეიმან I, რომ დაეტოვებინა აზერბაიჯანი. უკან მობრუნებული ოსმალთა ლაშქარი ბაღდადში შევიდა. ამრიგად, სეფევიებმა არაბთა ერაყი დაკარგეს. აქ გამოზამთრების შემდეგ ოსმანთა ძალები მომდევნო წელს კვლავ შეიჭრნენ აზერბაიჯანში. თეჰმასიბ I-მა რაოდენობრივი უპირატესობის მქონე და ძლიერი ოსმანთა ძალების წინააღმდეგ საინტერესო ტაქტიკა მოამზადა. მოსახლეობა დედაქალაქიდან გადახვეწა, მარცვლეულისა და სხვა ნათესები გადაწვა, სარწყავი არხები და ჭები მიწით გადაავსო. მართალია, სულთან სულეიმან I-მა თებრიზი მეორედ დაიკავა, მაგრამ ოსმალების აღმოსავლეთით წინსვლის შეფერხება სულთანიეში მოხერხდა. უსურსათოდ დარჩენილი და ჯარში გავრცელებული შავი ჭირის მიზეზით ოსმანთა ძალები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ აზერბაიჯანი.



სულთან სულეიმან კანუნი

ომის გაგრძელების კვალობაზე ორივე მხარეს, ერთ სახელმწიფოდან მეორეში გაქცეული უკმაყოფილო პიროვნებების რაოდენობა იზრდებოდა. ისინი ხელმწიფეებს სამხედრო ოპერაციების გაგრძელებისაკენ აქეზებდნენ. შირვანში აჯანყების წამომწყები და დამარცხების შემდეგ სულთან სულეიმან I-თან გაქცეული ელკას მირზაც ერთ-ერთი იმათთაგანი იყო. ოსმანებმა სეფევიელებზე 1548 წლის შემოსევა სწორედ მისი წაქეზებით დაიწყეს. თუმცა, ოსმანებმა ვერც ამჯერად მიაღწიეს წარმატებას. ელკას მირზა კი ტყვედ ჩავარდა და ჩამოახრჩვეს. სულთან სულეიმან I-ის 1554 წლის ლაშქრობის დროს ოსმანთა ძალები ბუღურდის ციხე-სიმაგრის სიახლოვეს დაამარცხეს. ვინაიდან გამარჯვების მოპოვება ვერ

შესძლო, სულთანი იძულებული გახდა ზავი დაედო. 1555 წლის 29 მაისს ამასიაში დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, სეფევიებმა მთელი აზერბაიჯანი და აღმოსავლეთი საქართველო შეინარჩუნეს, დასავლეთი საქართველო კი ოსმალეთს გადაეცა, ბაღდადის ჩათვლით არაბული ერაყი ოსმალებს დარჩათ. **ამრიგად, სეფევიელ–ოსმანთა ომების პირველი ეტაპი დასრულდა. ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერების ხანაშიც კი აზერბაიჯანის ტერიტორიების დაცვა და მშვიდობის მოპოვება იყო თეჰმასიბ I–ის ერთ–ერთი უდიდესი წარმატებათაგანი.**

თქვენი აზრით, შეიძლებოდა ამ ომის უფრო ადრე შეჩერება? გამოთქვით მოსაზრება.

“დიდებულმა ხელმწიფემ გამოცდილი ადამიანების გავზავნით მოწინააღმდეგის (ოსმალების –რედ.) გამოსაგლელი გზები თებრიზიდან რუმის საზღვრებამდე გადაწვა, ბალახისა და ხორბლის ნასახიც არ დატოვა. თებრიზის მოსახლეობამ ჭები ისე ამოავსო რომ არც სასმელი წყალი და არც სხვა სურსათი არ იპოვნებოდა”.


ა. მუნში , ნაწარმოებიდან "მსოფლიოს დამამშვენებელი აბასის ისტორია"

წყაროზე დაყრდნობით, გამოთქვით თქვენი მოსაზრება თეჰმასიბ I–ის ამ ღონისძიებებისადმი.

თებრიზის ოსმანთა ძალების მიერ რამდენჯერმე დაკავების გამო თეჰმასიბ I იძულებული იყო შეეცვალა დედაქალაქი. ამასიის ზავის დადებისთანავე დედაქალაქი ოსმალეთის საზღვრებიდან შორს მდებარე კაზვინში გადავიდა.

სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა. მართვის სისტემა და სამხედრო ძალები. სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკური წყობა შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოების ტრადიციებს ეფუძნებოდა. თუმცა ამ სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სეფიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო შეიქმნა იმავდროულად ეს სახელმწიფო თეოკრატიული[3] თავისებურებებითაც განსხვავდებოდა. სახელმწიფოს სათავეში რელიგიური და ქვეყნის ხელისუფლების ერთ ხელში თავმომყრელი შაჰი იდგა. შაჰთან არსებობდა და საქმიანობას ეწეოდა 12 კაციანი მაღალი პოზიციების დამკავებელი, ავტორიტეტული ემირებისაგან შემდგარი რჩევითი ორგანო - *უმაღლესი მეჯლისი*. შაჰის შემდეგ ქვეყანაში მეორე ავტორიტეტულ პიროვნებად ვექილი ითვლებოდა. ის რელიგიისა და ქვეყნის მართვის საკითხებში შაჰის სრულუფლებიანი მოადგილე იყო. სეფიანთა ჯარს მეთაუროობდა *ემირ ულ–უმერა*. სახელმწიფო სტრუქტურებსა და ჯარში ძირითად როლს აზერბაიჯანელი ყიზილბაშები ასრულებდნენ, ამიტომაც ეს თანამდებობაც აზერბაიჯანელი თურქების მიერ იყო მონოპოლიზებული. ქონებრივ საქმეებს, ძირითადად ფინანსურ საკითხებს *გეზირი* მეთაუროობდა. სახელმწიფო ხაზინის კონტროლიც მის ხელთ იყო. ვეკფის საქმეებსა და მისი ქონების მართვას *სედრი* აკონტროლებდა.

სეფიანთა სახელმწიფოს მართვის სისტემა



[3] ***თეოკრატიული მმართველობა*** – რელიგიურ კანონებზე დაფუძნებული მართვის ფორმაა.

სეფიანთა ხანაში აზერბაიჯანის ტერიტორია საბეგლარბეგოებად იყოფოდა. პირველ ხანებში აზერბაიჯანში ორი საბეგლარბეგოს (ყარაბაღისა და აზერბაიჯანის სამხრეთის მომცავი თებრიზისსაბეგლარბეგოს შექმნის მიუხედავად, შირვანშაჰების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ შირვანთა საბეგლარბეგოც დაარსდა. როგორც წესი საბეგლარბეგოს შაჰის სასახლესთან ახლოს მყოფი პიროვნებები ბეგლარბეგები მართავდნენ. ისინი მოსახლეობისაგან შეგროვილ გადასახადებს ცენტრალურ ხაზინაში აგზავნიდნენ, განსაზღვრული რაოდენობით ჯარს ინახავდნენ. ბეგლარბეგები შაჰის ბრძანების თანახმად, ლაშქრობების დროს ვალდებულნი იყვნენ, რომ თავიანთი ლაშქრის სათავეში ყოფილიყვნენ. საბეგლარბეგოები მაჰალებად, მაჰალები კი სოფლებად იყოფოდა. მაჰალებს ნაიბები, სოფლებს ქენდხუდები, ქალაქებს ქელენთერები მართავდნენ. ქალაქში წესრიგს ქელენთარზე დაქვემდებარებაში მყოფი დარღა იცავდა. სეფიანთა ჯარის სისტემაც შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში არსებულ ტრადიციებს ეფუძნებოდა. ჯარის საფუძველს აზერბაიჯანული ტომებისაგან შეგროვებული ყიზილბაშთა ლაშქარი - ჩერიქი შეადგენდა. ჯარის საერთო ხელმძღვანელობა ემირ ულ-უმარის უფლებებში შედიოდა. შაჰის ყიზილბაშებისაგან შემდგარ სპეციალურ დაცვის რაზმს კი კორჩუბაში მეთაურობდა.

“მეცნიერების, კეთილშობილების, მართლწერის... ადათ-წესების კანონების ცოდნაში ბადალის არ მყოლი კაზი ჯაჰან კეზნევი გეზირად და საჰიბი – დივნად დაგსვი... მაღალი მდგომარეობის გამო დიდი რაოდენობის თანხა (ფული, საშუალება- რედ.) გროვდებოდა, ოვი გარკვეული მოთხოვნილებებისა და მოთხოვნილების მქონე პირთა საჭიროებებზე უნდა დახარჯულიყო... მე თვითონ ყოველთვის შეშოსავლებსა და გასავლებს ვაკონტროლებდი, ღმერთმა არა ქნას... ერთ პატარა შეცდომის დაშვებით დაშნაშაგეები თუ იქნებიან მკაცრად დაისაჯონ”.

შაჰ თეჰმასიბ I-ის თეზქირედან

წყაროს საფუძველზე გაარკვიეთ შაჰ თეჰმასიბ I-ის მმართველობის ხერხები.

1. სახელმწიფო მშენებლობის გზაზე ვინ იყვნენ ისმაილის ძირითადი მოწინააღმდეგეები?
2. პოლიტიკური აგებულების მიხედვით სეფიანთა სახელმწიფოს რომელ სახელმწიფოსთან შედარება შეგიძლიათ?
3. თქვენი აზრით, რომელი ნიშნები განასხვავებენ სეფიანთა სახელმწიფოს შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებისაგან?
4. სულთან სულეიმან I-ის ლაშქრობების დროს თეჰმასიბ I რატომ არიდებდა თავს ისმაილთა ლაშქართან პირისპირ შებმას?
5. გაანალიზეთ შაჰ ისმაილ I-ის მოღვაწეობა და შეადარეთ მანამდე არსებულ აზერბაიჯანის მმართველებთან.
6. მოამზადეთ რეფერატი შაჰ თეჰმასიბ I-ის შესახებ.
7. განსაზღვრეთ სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობის მნიშვნელობა.
8. გამოიკვლიეთ XVI საუკუნის პირველ ნახევარში სეფევიელ-ოსმანთა ომის მიზეზები.



31

სეფიანთა სახელმწიფო XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში

შაჰ თეჰმასიბ I-ის გარდაცვალების შემდეგ შვილებს ჰეიდარ მირზასა და ისმაილს შორის მმართველობისათვის დაწყებული განხეთქილება მმართველობის დასუსტების მიზეზი გახდა. თეჰმასიბ I-ის ხანაში შექმნილი სამწყსარე გამოუცდელი ხელმძღვანელობის გამო დაირღვა. ოსმალების სეფევიელებთან ომის დაწყებამ სახელმწიფო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

შიგა აშლილობები, ისმაილ II, მუჰამედ ხუდაბენდე, ჩალდირის ბრძოლა, ისტამბულის ზავი

ტახტ-გვირგვინისათვის კინკლაობა სახელმწიფოს ასუსტებს. უსტაჯლიელების მიერ დაცული ჰეიდარ მირზა კეზვინში ისმაილის მომხრეების მიერ მოკლული იქნა. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, სიცოცხლის 20 წლის საპყრობილეში გატარებული ისმაილი გათავისუფლებული იქნა და შაჰად გამოცხადდა. ისმაილ II-ის სახელმწიფოს გაძლიერებისათვის გატარებული მასობრივი დამსჯელი ღონისძიებებით წარჩინებული ყიზილბაშები უკმაყოფილონი იყვნენ და შაჰი შეთქმულების შედეგად მოკლეს. 1578 წელს ხელისუფლებაში ყიზილბაში ემირების მიერ დაცული მუჰამედ ხუდაბენდე მოვიდა. მისი ხელისუფლების დროს (1578-1587) ხაზინა დაცარიელდა, ცენტრალური ხელი-სუფლება კიდევ უფრო შესუსტდა, ყიზილბაში ემირების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებები გაძლიერდა. თანაც, შაჰის ვექილმა ცოლმა მეჰტი ულიანის შირაზის დიდგვაროვანის მირზა სალმანის გავლენით მოსამართლის თანამდებობაზე „ტაჯიკებისა“ (სპარსელების) მყვანა ყიზილბაში წარჩინებულების უკმაყოფილების მიზეზი გახდა.



შაჰ მუჰამედ ხუდაბენდე

თქვენი აზრით, რატომ იცავდნენ ყიზილბაში ემირები მუჰამედ ხუდაბენდეს?

“ისკანდარის სახელოვანმა წარმომადგენელმა (მუჰამედ ხუდაბენდე- რედ.) ... გამოიჩინა დიდი ხელგაშლილობა, ხაზინის კარები აღარ დახურა და დიდძალი ფული დახარჯა. სახელმწიფო მოხელეთა გულის მოსაგებად და მათ ცდუნების მიზნით სხვადასხვა ტერიტორიებზე გაგზავნილ ყველა გამოჩენილ ემირს შაჰის ხაზინიდან დასახარჯად და მათთვისაც მოულოდნელად ერთი წლისა და ორი წლის ხელფასებს აძლევდნენ... გარკვეული ადამიანების წინაშე დიდვანის მოშგებიანი კარები გაიღო და შექრთამეობა გამოცოცხლდა. ყიზილბაშების მოდგმიდან თითოეული თავის მიზნების ცხოვრებაში გატარებით იყო დაკავებული და ამიტომ რელიგიისა და სახელმწიფოს საქმეებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. შედეგად, მცირე ხნის განმავლობაში მეფის ხაზინები დაცარიელდა. მოდგმების თვითნებობისა და სამყაროს გამო ურთიერთობა აირია, ჯარში ორი მოპირდაპირე დაჯგუფება შეიქმნა”.

ისკანდერ ბეგ მუნში, ნაწარმოებიდან "მსოფლიოს დამამშვენებელი აბასის ისტორია"

წყაროს საფუძველზე განსაზღვრეთ სახელმწიფოს დამასუსტებელი მიზეზები.

ოსმალმა სულთანმა მურად III-მ გადაწყვიტა ესარგებლა შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობით. ოსმალი სამხედრო ძალების ვანის მმართველის ხოსროვ ფაშას წაქეზებით აჯანყების წამომწყებ ქურთებთან ერთად ხოიზე შეტევა ამასიის ზავის დარღვევას ნიშნავდა. ამ მოვლენით დაიწყო სეფევიელ-ოსმანთა ომების მეორე ეტაპი. (1578-1590) მუსტაფა ლელე ფაშას მეთაურობით 100 ათასიანი ოსმალების არმია საქართველოს მიმართულებით იქნა გაგზავნილი. სეფიანთა და ოსმანთა ძალები ჩილდირის ტბის მიდამოებში დაუ-პირისპირდნენ ერთმანეთს. რაოდენობრივი უპირატესობა და ყიზილბაშ ემირებს შორის ერთიანობის არ არსებობა ამ ბრძოლაში ოსმალთა გამარჯვების მიზეზი გახდა. შედეგად აღმოსავლეთი საქართველო დაკარგული იქნა, ოსმალეთის ჯარები შირვანში შევიდნენ. შირვანში მომხდარმა აჯანყებამ ოსმალების საქმე კიდევ უფრო გაამარტივა. მოკლე ხანში მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე აზერბაიჯანის ტერიტორიები ოსმალეთის მმართველობის ქვეშ გადავიდა. ოსმალი სულთანების მოთხოვნით ყირიმის ხანებიც ჩრდილოეთიდან შირვანში შემოვიდნენ. თუმცა ყირიმის ხანის ადილ გერაის ძალები 1578 წლის ნოემბერში მდინარე აღსუს სიახლოვეს მოლაჰასანად წოდებულ ადგილას დამარცხებული იქნა, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა. დერბენდის გარდა მთელი შირვანის ტერიტორიები გათავისუფლდა. ეს სეფიანთა ძალების დიდი გამარჯვება იყო.

? *რატომ მონაწილეობდნენ ყირიმის ხანები ოსმალთა ლაშქრობებში?*

სეფიანთა 1583 წლის ნიაზაბადის ბრძოლაში გამარჯვების მიუხედავად, ყიზილბაშ წარჩინებულთა შორის შუღლი, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე, ხაზინის სიცარიელე სეფევიელებს ომში გამარჯვების საშუალებას არ აძლევდა. XVI საუკუნის 80-იან წლებში მომხდარი სამხედრო ოპერაციების შედეგად ჩუხურსეედის ოლქიც დაიკარგა. 1585 წელს ოსმალთა ძალებმა სეფიანის ბრძოლაში სეფეველი უფლისწულის ჰემზე მირზას ძალებზე გამარჯვების შემდეგ თებრიზზე დაიწყეს შტევა. ქალაქის მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობამ ოსმან ფაშა განარისხა და მან თებრიზის დაკავების შემდეგ ჯარისკაცებს ქალაქის განადგურების ბრძანება მისცა. ქალაქი თებრიზი განადგურებული იქნა, ცნობილი „კეისერიეს“ ბაზარი გადაიწვა. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ჰემზე მირზამ თებრიზის გათავისუფლება შეძლო. ომის გაგრძელება სეფევიელებისათვის ძნელი იყო. 1586 წელს ჰემზე მირზამ ოსმალებთან დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკება. თუმცა მისი შეთქმულების შედეგად მოკვლის შემდეგ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. შეწყდა სამშვიდობო მოლაპარაკებები, სამხედრო ოპერაციების დამწყებმა ოსმალთა ძალებმა შიძლება ითქვას, რომ მთელი აზერბაიჯანი დაიპყრეს.

? *რომელი ფაქტორები განაპირობებდნენ ოსმალთა ჯარების გამარჯვებას?*

შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს უზბეკმა მმართველებმაც და ხორასანი დაიპყრეს. ყიზილბაშმა ემირებმა სუსტი ხასიათის მეჰმედ ხუდაბენდისაგან პირი იბრუნეს. ის ტახტიდან



შაჰ–აბას I

ჩამოაცილეს. მისი შვილი აბას მირზა შაჰად გამოაცხადეს. შაჰ-აბას I-ს ესმოდა, რომ ოსმალებთან ომი კიდევ უფრო მეტი მსხვერპლის მომტანი იქნებოდა. სახელმწიფოს ქონების დაცვისა და დროის მოგებისათვის იგი ზავზე დათანხმდა. 1590 წლის სტამბულის ზავის თანახმად ყარადაღის, ერდებილის, ხალხალისა და ლენქორანის ტერიტორიების გამოკლებით აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი საქართველო ამასთან ირანის ზოგიერთი აღმოსავლეთი ტერიტორიები ოსმალეთს გადაეცა.



აზერბაიჯანის სეფევიების სახელმწიფო შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს დროს

1. თქვენი აზრით რა გზით შეიძლებოდა შაჰ თეჰმასიბ I-ის სიკვდილის შემდეგ ტახტისათვის დაწყებული შახლა-შემოხლის თავიდან აცილება?

2. რაში მდგომარეობდა ყიზილბაში ემირების თვითნებობის მიზეზები XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში?

3. რომელმა მოვლენამ კიდევ უფრო დააჩქარა სეფევიელთა აზერბაიჯანის ტერიტორიების დაკარგვა?

4. რა მსგავსი ნიშნები გააჩნდათ ჰეიზე მირზასა და შაჰ-აბას I-ს მოღვაწეობაში?

5. რუკის საფუძველზე განსაზღვრეთ სეფიანთა მიერ XVI საუკუნის ბოლო მეოთხედში დაკარგული ტერიტორიები.

6. გააშუქეთ რეფერატი თემაზე: სეფიანთა სახელმწიფო შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს დროს.

7. მოახდინეთ შედარებები სეფიანთა სახელმწიფოს XVI საუკუნის წინა ისტორიასა და თეთრბატკნიანთა XV საუკუნის ბოლოსკენ მდგომარეობებს შორის. განსაზღვრეთ მსგავსი და განსხვავებული ნიშნები.

8. განსაზღვრეთ შაჰ-აბას I-ის ოსმალებთან მძიმე პირობებიანი ზავის დადების მნიშვნელოვანი ფაქტორები.



32

სეფიანთა სახელმწიფო შაჰ-აბას I- მმართველობის წლებში

16 წლის ასაკში ხელისუფლებაში მოსულ შაჰ–აბას I–ს ცარიელი ხაზინა, მოშლილი სახელმწიფო აპარატი, ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილებდაკარგული სახელმწიფო, უწესრიგო ჯარი და ომებისაგან გაჩანაგებული მეურნეობა ერგო მემკვიდრეობად. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ძალიან უიმედოდ გამოიყურებოდა, ახალგაზრდა ხელმწიფის ნების და სიმტკიცის ხარჯზე სახელმწიფომ კვლავ დაიწყო აყვავება.

კრიტიკული, რეფორმები, მონები, მეთოფეები, სანიკის ხიდის ბრძოლა, შერაბის ზავი, მერენდის ზავი, ბრძოლა არაბული ერაყისათვის

ძლიერი მმართველი – ძლიერი სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის ზავის პირობები სეფევიელებისათვის მძიმე იყო, მან შაჰ-აბას I-ს ქვეყნის შიგნით მომხდარი აჯანყებების ჩახშობის, დანგრეული მეურნეობის აღდგენისა და ცენტრალური მმართველობის განმტკიცების შესაძლებლობა მისცა. გარდა ამისა, სეფიანთა სახელმწიფო ერთდროულად ორ სახელმწიფოსთან (ოსმალებთან და შეიბენიებთან) ომის წარმოების სირთულესაც გადაურჩა, ანუ შაჰმა შეძლო შექმნილი მდგომარეობით ჭკვიანურად ესარგებლა.

ადმინისტრაციული რეფორმა. შაჰ-აბას I-ს მოსვენებას არ აძლევდა მოსაზრება აზერბაიჯანული მიწების სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე. მან 1593 წელს შექმნა აზერბაიჯანის საბეგლარბეგო, რომლის ცენტრიც იყო ერდებილი. სტამბოლის ზავის თანახმად, სეფევიელებისაკენ დარჩენილი აზერბაიჯანული ტერიტორიები ამ საბეგლარბეგოში გაერთიანდნენ. ახალი ადმინისტრაციული ერთეულის პირველ მმართველად ზულფუკარ ბეგ კარამანლი დაინიშნა. 1598 წელს კი დედაქალაქი აჯანყებისა და გამოსვლებისაგან შორს მყოფ ისფაჰანში იქნა გადატანილი. ამ ნაბიჯმა სეფიანთა სასახლეში ირანული ელემენტების გაძლიერების პირობები შექმნა. შაჰმა დედაქალაქის გადატანით უკმაყოფილოდ დარჩენილი კეზნევის მოსახლეობის გულის მოსაგებად ისფაჰანში დაარსა სპეციალური, თურქებისაგან შემდგარ მაჰალე "აბასაბადი"



შაჰ–აბას I ბრძოლის დროს (მარჯვნივ). მინიატურა

სამხედრო რეფორმა. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის, პირველ რიგში ჯარი უნდა გაძლიერებულიყო. ამ მიზნით შაჰ-აბას I-მა ჯარის აღმშენებლობა დაიწყო. 1578-1590 წლების სეფევიელ-ოსმანთა ომის დროს დამარცხების გამომწვევი გვართა შორის განხეთქილებებისათვის ბოლოს მოღების მიზნით, მათი მეთაურობის მემკვიდრეობითობის პრინციპი გაუქმდა. ამის შემდეგ ამ თანამდებობის დაკავება მხოლოდ მეფის ნდობით აღჭურვილ პირს შეეძლო. ამით სამხედრო გაერთიანებების ფორმირებაში ნათესაობით პრინციპს მნიშვნელოვნად შეერყა საფუძველი. ჯარის ორგანიზება

გვართა სხვადასხვაობის პრინციპის საფუძველზე ხდებოდა ყიზილბაშებს თვითნებურად იარაღის ტარება აეკრძალათ. შაჰ-აბას I-ის დროს სეფიანთა ჯარი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: მოწესრიგებული სამხედრო ნაწილები, რომლებიც შედგებოდა მუდმივი სამხედრო მოსამსახურეებისაგან და ომების დროს ოლქებიდან შეგროვებული ტრადიციული ყიზილბაშური ჯარები. ახლად შექმნილი და უმუალოდ შაჰის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები იყო შემდეგი:

კულამები იანიჩარის სახის რაზმები იყო. არა მუსლიმანი მოსახლეობიდან ბავშვობის ასაკში შერჩეული შაჰისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ყმები მეფის არმიის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ.

მეთოფეები მოსახლეობის ქვედა ფენებიდან შეკრებილი და რაოდენობით 12 ათასამდე ქვეითი მებრძოლების რაზმი იყო.

მეზარბაზნეები სამხედრო გაერთიანებაში 500 ზარბაზნისაგან შემდგარი ცეცხლსასროლი იარაღის რეზერვი არსებობდა. ზარბაზნები ბრძოლებში, განსაკუთრებით კი ციხე-ქალაქების აღებისას გამოიყენებოდა.

რაოდენობრივად უმრავლესობის შემდგენი და ძირითადად, აზერბაიჯანული ტომებისაგან შეკრებილი ცხენოსან ყიზილბაშთა რაზმი, კვლავაც სეფიანთა ძირითად სამხედრო ძალას შეადგენდა. შაჰ-აბას I-ის სამხედრო რეფორმები, ასევე ყიზილბაში ემირების თვითნებობის აღკვეთის, ჯარში წესრიგის განმტკიცებისაკენ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, რეფორმების შემდეგაც სეფიანთა ჯარში, ასევე სახელმწიფოს მართვაში წამყვანი პოზიციები ყიზილბაშებს რჩებოდათ.



სეფიანი მხროლელი



სეფიანი მეთოფე

? *რა ძირითადი მიზანი ჰქონდა შაჰ-აბას I-ის სამხედრო-პოლიტიკური რეფორმების გატარებას?*

M *“მთლიანობაში ირანში, განსაკუთრებით სასახლეში, უფროსებსა და წარჩინებულთა შორის უფრო მეტი თურქულად ლაპარაკობს, ვიდრე სპარსულად.... თურქულად ლაპარაკის მიზეზი კი არ არის, რომ ირანელები მას სპარსულზე უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მთელი ლაშქარი წარმოშობით თურქი ყიზილბაშებისაგან შედგებოდა. შაჰის სხვადასხვა ტომებიდან მყოფი კულამების უმრავლესობაც თურქულად საუბრობს და სპარსული არ იცის. ამიტომაც არა მხოლოდ ემირებს ლაშქრის შესახებ მასალები თურქულად მიეწოდება, არამედ დროის დიდი ნაწილის ჯარისკაცებთან ყოფნაში გამტარებელი შაჰის, იმისათვის რომ ნათქვამი გასაგები იყოს, თურქულად საუბრობს, ამის შედეგად ეს ენა მთელ სასახლეში, ქალებსა და სხვათა შორისაც ფართოდ გავრცელდა”.*

იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალენის 1617 წლის 16 დეკემბერს ისფაჰანიდან მეგობრის მარიო ესკიპანოსადმი მიწერილი წერილიდან


გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება წყაროს მიმართ.

შაჰ-აბას I-მა ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლების მიზნითაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები. ზოგიერთ ადგილებში მოსახლეობის გადასახადები შემცირდა, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვაჭრობის საკითხები მოწესრიგდა. ხაზინის შემოსავლები გაიზარდა. ამრიგად, აბას I-ის ღონისძიებების შედეგად სეფიანთა ყოფილი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება აღდგა.

ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანის ტერიტორიები. ოსმალებს დაპყრობილ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობა ჰქონდათ შექმნილი. ქვეყანა ოლქებად (ვილაიეთი) და საბეგლარბეგოებად, ისინი კი თავის მხრივ სანჯაკებად იყოფოდა. მოსახლეობა და მიწები იყო აღწერილი, ანუ გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოყენება დაწყებული იყო. ტერიტორიების მიხედვით შედგენილი იყო სპეციალური საგადასახადო დავთრები. ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების გაწყვეტით, დამანგრეველი ომების აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენის მოხდენით, მოსახლეობა ხშირად ამ გადასახადებს ვერ იხდიდა. ოსმალეთის მმართველობის ქვეშ ცხოვრების არამსურველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან გავიდა, საცხოვრებელი პუნქტები დაცარიელდა. ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმე, ოსმალების საგადასახადო პოლიტიკა ცალკეულ ადგილებში აჯანყებების მიზეზი ხდებოდა. ოსმალეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ჯელალიების მოძრაობა აზერბაიჯანსაც მოედო. ამ მოძრაობის წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანაში იყო სახალხო გმირი ქოროღლუ. XVII საუკუნის დასაწყისში ოსმალების წინააღმდეგ ომის დამწყებმა აბას I-მა ჯელალიების მოძრაობაც გამოიყენა.

საგარეო პოლიტიკა. შაჰ-აბას I-ის დროს სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა სამი ძირითადი მიმართულებით იყო აგებული:

1. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი აზერბაიჯანული ტერიტორიების განთავისუფლება.
2. ხორასანის შეიბანიელებისაგან უკან დაბრუნება.
3. ჰორმუზის პორტუგალიელებისაგან გასუფთავება.



დიდი მოღოლთა ელჩის მიღება

პირველი დარტყმა შეიბანიელებზე იქნა განხორციელებული და ხორასანი გათავისუფლდა. ოსმალების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყების წინ აბას I-მაც წინამორბედების მსგავსად ევროპის სახელმწიფოებთან ფართო დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. გერმანიისა დ ესპანეთის სახელმწიფოები, მოსკოვის სამთავრო თავის ელჩების სეფიანთა სასახლეში გამოგზავნისას, შაჰის ოსმალეთთან ომისაკენ უბიძგებდნენ. უფრო მეტიც, ესპანეთის მეფე ფილიპ II-ს ამის საწინააღმდეგოდ, სპარსეთის ყურეში პორტუგალიელებთან ბრძოლისას სეფიანთა დახმარებაზე პირობა ჰქონდა დადებული. ინგლისთანაც ურთიერთობები იყო დამყარებული. სწორედ ინგლისის ფლოტის დახმარებით შაჰ-აბას I-მა 1622 წელს შეძლო პორტუგალიელების ჰორმუზიდან და ყურიდან გაყვანა. შაჰ-აბასის დროს დიდი მოღოლთა სახელმწიფოსთანაც მეგობრული ურთიერთობები იყო შენარჩუნებული.

რა მსგავსებები იყო შაჰ-აბას I-ისა და თეთრბატკნიანელი მმართველის ჰასან ფადიშაჰის საგარეო პოლიტიკაში?

სეფიან-ოსმალთა ომის მორიგი ეტაპი. XVII საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის სახელმწიფო აჯანყებებში გაეხვია. შაჰ-აბას I-მა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა ხელსაყრელად ჩათვალა და ოსმალებთან ომი დაიწყო. 1603 წელს დაწყებული სამხედრო ოპერაციები სეფევიელებისათვის წარმატებით დასრულდა. ჯერ თებრიზი, შემდეგ კი ორდუბადი და ნახჩევანი დაიბრუნეს. ვინაიდან ორდუბადის მოსახლეობამ ქალაქის გათავისუფლებაში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა, შაჰის ისინი გადასახადებისაგან გაათავისუფლა. 1604 წელს ირევანის ციხე-სიმაგრეში არსებული ოსმალთა გარნიზონიც დანებდა, ცოტა ხანში მთელი ჩუხურსეედის ოლქში სეფეველთა მმართველობა აღდგენილი იქნა. შაჰ-აბას I-მა ტყვედ აყვანილ ჯარისკაცებს გათავისუფლებისას ყარსში წასვლის ნებართვა მისცა. 1606-1607 წლებში მომხდარი სამხედრო ოპერაციების შედეგად ყარაბაღისა და შირვანის ტერიტორიებიც გაიწმინდა ოსმალებისაგან. 100 ათასიანი ოსმალთა ლაშქრის შემოსევის შესახებ შეტყობინებების მიმღებმა აბას I-მა მათ წინააღმდეგ ტრადიციული „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკა გამოიყენა. ოსმალეთის საზღვრების ახლო ზონებში სურსათის რესურსების განადგურებით არ დაკმაყოფილდა შაჰი და ამასთან ერთად აქ მაცხოვრებელი მოსახლეობაც სახელმწიფოს შიგა რეგიონებში გადაასახლა. ეს პოლიტიკა ისტორიაში „დიდი გადასახლების“ სახელითაა ცნობილი. ოსმალთა ლაშქარი რამდენჯერმე აზერბაიჯანში შემოვიდა. გამარჯვება ვერ მოიპოვა და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ბოლოს, 1612 წელს ორ სახელმწიფოს შორის სერაბის (II სტამბული) ზავი დაიდო. შეთანხმების მიხედვით, 1555 წლის ამასიის ზავის პირობები აღდგა, ოსმალები თუ მიიღებდნენ სულთნის ბრძანებას რუსების მიერ აგებული თერგის ციხის დანგრევის შესახებ, შაჰი ამ საქმეში ხელს არ შეუშლიდა - ეს პირობაც ხელშეკრულებაში ჩაიწერა, თუმცა ეს ზავი მალე დაირღვა. შაჰ-აბას I-ის აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობებით უკმაყოფილო ოსმალებმა კვლავ დაიწყეს სამხედრო ოპერაციები.

როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ ევროპის ქვეყნების როლი სეფიან-ოსმანთა ურთიერთობებში?



შაჰ სეფი

გადამწყვეტი ბრძოლა 1618 წელს სერაბის სიახლოვეს სინიღ ქერფად (ჩატეხილი ხიდი) წოდებულ ადგილას მოხდა. ოსმალთა ძალები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. ამავე წელს დადებული მერენდის ხელშეკრულების თანახმად, სერაბის ზავის პირობები აღდგენილი იქნა. ამრიგად, სეფიანთა მმართველმა აზერბაიჯანის ტერიტორიისა და სხვა სეფიანთა ტერიტორიების გათავისუფლების ოსმალთა მხრიდან ცნობას მიაღწია. შაჰ-აბას I 1622 წლამდე ამ ხელშეკრულების ერთგული დარჩა, ოსმალეთის სულთან ოსმან II-თან მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა. თუმცა ოსმან II-ის მოკვლითა და ბაღდადის მმართველი ოსმალის სეფიანებისადმი მიმართვამ მდგომარეობა შეცვალა. 1622-1623 წლებში სეფიანთა ძალებმა ბაღდადი, ქერბელა, ნეჯეფი, მოსული და ქერქუქი ხელში აიღეს. ისევ დაიწყო ომი ოსმალეთთან. აბას I-ის გარდაცვალებისას (1629) მთელი აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი საქართველო, არაბული ერაყი ბაღდადის ჩათვლით სეფიანთა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ იყო გაერთიანებული. ძლიერმა სეფიანთა შაჰმა ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით მართული ქვეყნის ავტორიტეტის ზრდასა და ტერიტორიის გაფართოებას მიაღწია.



აზერბაიჯანი შაჰ აბას I-ის დროს

ომის შეჯამება. შაჰ-აბას I-ის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა შვილი-შვილმა შაჰ სეფიმ ამ წარმატების შენარჩუნება ვერ შეძლო. XVII საუკუნის 30-იან წლებში ოსმალებმა შეძლეს ბაღდადის დაბრუნება. მხარეებს შორის მოლაპარაკება 1639 წელს კესრი-შირინის ზავით დასრულდა. ზავის პირობების თანახმად, სეფიანებმა ბაღდადის ჩათვლით არაბული ერაყი ოსმალთა სახელმწიფოს დაუბრუნეს, ზენჯირის ციხე-სიმაგრის აღმოსავ-ლეთით მდებარე ტერიტორიები კი სეფიანებს გადაეცათ.

ოსმალებმა სეფიანებისაგან ასევე მიიღეს გარანტია, რომ არ მოხდებოდა ვანის, ყარსისა და ახალციხის ციხე-სიმაგრეზე შეტევააძროვად, შესვენებებით ას წელზე მეტ ხანს გაგრძელებული სეფიან-ოსმალთა ომები შეწყდა. დიდი ნგრევებისა და ადამიანების მსხვერპლის გამომწვევმა უმოწყალო ომებმა ორივე თურქულ-მუსლი-მანური ქვეყანა დაასუსტა, ახლო და შუა აღმოსავლეთში დაიწყო ევროპის სახელ-მწიფოების ავტორიტეტის გაზრდა, ვისაიდან სამხედრო ოპერაციები ძირითადად აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ამ ომებისაგან ყველაზე მეტი ზარა-ლის მნახველი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა იყო.

1. *რითომ შეიძლებათ შეაფასოთ სერაბის ზავის მნიშვნელობა სეფიანებისათვის?*
2. *რომელი სახელმწიფოს მმართველებთან შეიძლება შაჰ-აბას I-ის მოღვაწეობის შედარება?*
3. *თქვენი აზრით, სახელმწიფოს ძლიერებისათვის რომელ თვისებებს უნდა ფლობდეს მისი მმართველი?*
4. *რა განსხვავებები იყო შაჰ-აბას I-სა და მის მამას შუა ხუდაბენდის შორის?*
5. *შეადარეთ სეფიანთა და თეიმურიდთა ჯარები, იპოვეთ მსგავსი და განსხვავებული ნიშნები.*
6. *განსაზღვრეთ XVI საუკუნის 70-იან წლებში სეფიანთა წარუმატებლობის მიზეზები.*
7. *რუკის საფუძველზე შეადარეთ შაჰ ისმაილ I-ის დროინდელი საზღვრები შაჰ-აბას I-ის დროინ-დელთან.*
8. *მოამზადეთ რეფერატი, რომელიც ასახავს აბას I-ის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.*




33

სეფიანთა სახელმწიფო XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის დასაწყისში

შაჰ-აბას I-ის სიკვდილის შემდეგ მის მემკვიდრეებს სახელმწიფოს სიმტკიცის შენახვა-შენარჩუნება გაუჭირდათ. ერთის მხრივ, შიდა მმართველობაში დაშვებულ შეცდომებს, მეორის მხრივ, საერთაშორისო მდგომარეობის შეცვლას და ევროპის სახელმწიფოების აღმოსავლეთში დაპყრობითი პოლიტიკის გაძლიერებას სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის გარეშე არ ჩაუვლია.

შაჰ-აბას II, სტაბილურობა, ჩუხურსედის საბეგლარბეგო, სასაზღვრო კონფლიქტი, შაჰ სულეიმანი, კაზაკთა თავდასხმები, აბრეშუმის გზის რევრესი, ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზა



ქალაქი თებრიზი 1690 წელს, ჟან პიტერსის ნახატი


სეფიანთა სახელმწიფო XVII საუკუნეში. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება და მართვა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრება და მართვა. კესრი-შირინის ზავმა მანამდე დადებული სეფიან-ოსმალთა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობებში ხანგრძლივად უზრუნველყო სტაბილურობა. შექმნილი სტაბილურობა აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაზღვრული გამოცოცხლების მიზეზი გახდა. ომების დროს მეზობელ ტერიტორიებზე იძულებით მიმოფანტული მოსახლეობა თანდათანობით თავის ადგილს დაუბრუნდა, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება აღორძინდა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენამ დადებითი გავლენა მოახდინა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაზე, ეს კი, თავის მხრივ, ქალაქის ცხოვრების გამოცოცხლების მიზეზი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი თებრიზი ომების შედეგად დაინგრა, XVII საუკუნეში პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების მხრივ იმპერიის მეორე ქალაქად ითვლებოდა. თებრიზის მმართველები ამ საუკუნის ბოლომდე სეფიანთა ჯარის მთავარსარდლის მოვალეობასაც ასრულებდნენ.

თქვენი აზრით, რასთან იყო დაკავშირებული ის, რომ თებრიზის მმართველები მთავარსარდლის მოვალეობას ასრულებდნენ?

თებრიზი ასევე ცნობილი იყო, როგორც ხელოსნობის და ვაჭრობის ცენტრი. აღადგინეს ახლო და შუა აღმოსავლეთის უდიდესი ბაზარი - კეისარიე. საერთაშორისო სავაჭრო გზების გადაკვეთაზე თებრიზი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ვაჭრებისათვის ხელსაყრელი პუნქტი იყო.

გეოგრაფიისა და ისტორიის ცოდნაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ აზერბაიჯანზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზების მიმართულებები.

XVII საუკუნეში აზერბაიჯანი ადმინისტრაციული თვალსაზრისით ოთხ საბეგლარბეგოდ იყოფოდა: ყარაბაღის (ცენტრი განჯა), შირვანის (ცენტრი შამახი), ჩუხურსედის (ცენტრი ირევანი) და სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიების მომცველი თებრიზის საბეილარბეგოები. საბეილარბეგოებში შემავალ მაჰალებს კოლბეგი მართავდა. უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულების მმართველები სულთანის ტიტულს ატარებდნენ. ისინი კოლბეგებს ემორჩილებოდნენ. უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული პოზიციების მქონე პირებს ხანები ეწოდებოდათ.


დედაქალაქი
კოშკი
ბრძოლის ადგილი
დაღესტანი
ბაქო
განჯა (ყარაბაღი)
შამახი
შირვანი
ყარაბაღი
მუღანი
ყარაბაღის სტეპი
ალდამი
ბერდა
ბარდა
ბელეკანი
ბარსანი
სალიანი
ბაბირეგანი
ბარხენდი
ლენქორანი
ასტარა
ერდებილი
ზარაბი
ურმია
მარაღა
მიანე
ყაზახი
ლორი
ქართლი
ერესი
ყაბელა
ნიაზაბადი
ხაჩმაზი
ლაჰიჯანი
ალდაში
ბაბადაგი
მაჰმუდაბადი
ირევანი
დვინი
ნახჭევანი
ორდუბადი
ჯულფა
ზუნუზი
მერენდი
ოსუჯი
თებრიზი
სალმასი
ურმიის ტბა
უშნუ
საინკალა
ალინჯა
ჩუხურსედი
ქარაქოისუ
ქვემო ქართლი
ალაზანი
მტკვარი
არაქსი
ერასხეთი
ბაბადაგი
ბაბადაგის ქედი
ბაბადაგის ქედი
ბაბადაგის ქედ

რუსეთის მოქმედებები ჩრდილოეთ კავკასიაში სეფიანთა სასახლეში შეშფოთების მიზეზი გახდა. შაჰ-აბას II-ისაგან რუსების აგებული კოშკების დანგრევის შესახებ ბრძანების მიღების შემდეგ შირვანის ბეილარბეგის ხოსროვის ძალებმა რუსებთან ბრძოლა დაიწყეს. 1653 წელს მომხდარმა შეიარაღებულმა შეტაკებებმა მოსკოვის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩი აიძულა სეფიანებთან ეწარმოებინა მოლაპარაკება. საკმარისი რაოდენობით სამხედრო ძალის არ მქონე რუსები სეფიანებთან სამხედრო დაპირისპირებებს ერიდებოდნენ. ვინაიდან ომი არც მოსკოვის სამეფოს ეკონომიკურ ინტერესებს არ შეესაბამებოდა ისფაჰანში გაიგზავნა რუსი ელჩები და კონფლიქტი 1662 წელს მშვიდობიანად გადაწყდა.

თქვენი აზრით, რომელმა ფაქტორებმა შექმნეს მოსკოვის სამთავროს ჩრდილოეთ კავკასიაში განმტკიცების პირობები?

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ისტორიულმა აბრეშუმის გზამ თავისი დანიშნულება დაკარგა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ დაწყებულმა ამ პროცესმა აბრეშუმის გზაზე მდებარე აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. სეფიანთა სახელმწიფომაც დიდი ფინანსური დანაკარგები განიცადა. სეფიანთა შაჰები ცდილობდნენ დანაკარგების შევსებას, ამიტომ მოსკოვთან სავაჭრო ურთიერთობებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დაიწყეს. ეს დიდი ხანია აღმოსავლეთსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის აბრეშუმით ვაჭრობაზე მონოპოლიის მოპოვების მცდელი მოსკოვის სტრატეგიულ ინტერესებსაც პასუხობდა. ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზის გამოცოცხლება თანაც უკვე ვრცელი ტერიტორიების მქონე სახელმწიფოდ ქცეული რუსეთის აღმოსავლეთის ქვეყნებში ეკონომიკური ექსპანსიის[1] პირობებს ქმნიდა.



შაჰ აბას II

აბას II-ის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა შაჰ სულეიმანმა (1666-1694) რუსეთის სახელმწიფოსთან დადო ხელშეკრულება. 1667 წელს დადებულ ამ ხელშეკრულებაში რუს ვაჭრებს ვრცელი შეღავათები ეძლეოდა: ისინი სეფიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში სეფიანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უბაჟო ვაჭრობის უფლებას და სხვა შეღავათებს იღებდნენ. შაჰ სულეიმანის ბრძანებით ადგილობრივ მმართველებს მოეთხოვებოდათ, რომ რუს ვაჭრებს განსაკუთრებული პატივისცემით მოპყრობოდნენ.

ვოლგა-კასპიის სავაჭრო გზის გაცოცხლებამ აქ მძარცველური თავდასხმების დაწყების პირობები შექმნა. ამ საქმეში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ რუსი კაზაკები. მათი ყველაზე დიდი მძარცველური თავდასხმა სტეფანე რაზინის სახელთანაა დაკავშირებული. 1668 წლის ზაფხულში თავისი გემებით კასპში შემოსულმა ს. რეზინის მეთაურობით მძარცველთა რაზმებმა დერბენდიდან გილანამდე სანაპიროს გასწვრივ საცხოვრებელი პუნქტები გაძარცვეს, დიდი ნადავლით უკან დაბრუნდნენ. რუსი მეფეები ასეთი ლაშქრობების აღკვეთას ცდილობდნენ. დაკავებული ს. რაზინიც მკაცრად დაისაჯა.

შაჰ-აბას II-ისა და შაჰ სულეიმანის დროს სეფიანთა შაჰები მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიან პირობებში ცხოვრებას ანიჭებდნენ უპირატესობას, ეცდებოდნენ გაქცეოდნენ დაპირისპირებას და გაეფართოებინათ სავაჭრო ურთიერთობები. მათ მრავალჯერ სეფიანების ოსმანთა სახელმწიფოსთან ახალი ომისაკენ ბიძგების მცდელი ევროპისა და რუსი ელჩები თავიანთი კატეგორიული პასუხებით იმედგაცრუებული დატოვეს.

[1] ***ექსპანსია*** – სახელმწიფოს საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოება.

"მისი (შაჰ სულეიმანის) ყურადღების გამახვილებისას, რომ "თურქების მხრიდან დიდი საფრთხის ალბათობა არსებობს, თუ თქვენ თვითონ მათ წინააღმდეგ მობილიზირებული არ იქნებით, მათ (ოსმალები) ქრისტიანებთან ზავის დადებისთანავე, თქვენი ყველაზე ლამაზი ოლქების შემოტევით აღება შეეძლებათ" – პასუხად ამბობდა, რომ მას ეს არ აწუხებს და "ისფაჰანს ასეთი საკითხების მოგვარება შეუძლია."

თოფიკ ნეჯეფლი, ნაწარმოებიდან "სეფიან – ოსმანთა ურთიერთობები"

თქვენი აზრით, სეფიანთა წინა შაჰებმა რატომ ვერ შეძლეს აერიდებინათ თავი ოსმალებთა ომისათვის? გამოთქვით მოსაზრება წყაროზე დაყრდნობით.

ეკონომიკური დაცემა ანუ დასასრულის დასაწყისი. XVII საუკუნის ბოლოს სეფევიების სახელმწიფო მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს მომცავ კრიზისს ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა.

ეკონომიკური მიზეზები:

1. აბრეშუმის გზის მნიშვნელობის დაკარგვა და ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობების შესუსტება;
2. სახელმწიფოს ძირითადი შემოსავლის წყაროს - აბრეშუმის წარმოების შემცირება;
3. საგარეო ვაჭრობის შემცირების შედეგად ქვეყანაში შექმნილი ფულის ნაკლებობა, ბრუნვაში ყალბი ფულის შეტანის გზების პოვნა;
4. ხელოვნური მორწყვის ქსელების მოშლა და ნათესების ფართობების შემცირება.

პოლიტიკური მიზეზები:

1. მმართველობაში დაშვებული შეცდომები, სახელმწიფო მართვის აპარატში გამოუცდელი პიროვნებების მიერ გზის გაკვლევა.
2. მოხელეთა თვითნებობა, ეროვნული ბიუროკრატიის მექრთამეობა.

შაჰ სულთან ჰუსეინის ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მცდელობები. XVII საუკუნის ბოლოსაკენ მმართველობაში მოსულმა შაჰ სულთან ჰუსეინმა (1694-1722) ქვეყნის ჩავარდნილი კრიზისიდან გამოყვანისათვის გარკვეული წარუმატებელი ნაბიჯები გადადგა. ჯერ ფულის კრიზისის დაძლევისათვის შაჰმა ერდებილში მამა-პაპის საფლავებზე არსებული ოქრო-ვერცხლის ნივთები გადაადნო და ფული მოაჭრევინა, თუმცა ამ ღონისძიებამ შედეგი არ გამოიღო. ქვეყანაში ფინანსური კრიზისი სულ უფრო გაღრმავდა, სახელმწიფოს შემოსავლები შემცირდა, ხაზინა დაცარიელდა. დროის დიდი ნაწილის დროსტარებისათვის დამთმობმა შაჰმა ამჯერად ხაზინის შევსებისათვის გადასახადების გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. ამ მიზნით 1699 – 1702 წლებში მოხდა მოსახლეობისა და მოსახლეობის ქონების აღწერა. დაიწყო ახალი გადასახადების გამოყენება. წინანდელზე სამჯერ უფრო მეტად გაზრდილმა გადასახადებმა მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ამას დაერთო ისიც, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში მძვინვარე გვალვები საშინელი შიმშილის მიზეზი გახდა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე შეგროვებული გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილის მოხელეთა მხრიდან მითვისების პირობას ქმნიდა.



შაჰ სულთან ჰუსეინი

1716 წელს რუსეთის სახელმწიფოს აზერბაიჯანიდან დედაქალაქში მიმავალი ელჩი ა.პ. ვოლინსკი თავის დღიურში წერდა, რომ ბეგლარბეგების შეგროვებული გადასახადებიდან შაჰს "მხოლოდ ფოთლებს უგზავნიდნენ, ნაყოფს თავისთვის ინახავდნენ. ამას მათთან წესის ხარე ჰქონდა მიღებული."

აზერბაიჯანის ისტორია, გამოცემა VII, ტომი III

ა.პ. პოლიბესკის ეს ინფორმაცია რომელი ფაქტის გამოვლენის საფუძველს იძლევა?

მძიმე გადასახადები. მოხელეთა თვითნებობა შაჰისა და მისი ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ აჯანყებების მიზეზი გახდა. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედში მთელი იმპერია, მათ შორის აზერბაიჯანიც სახალხო გამოსვლებმა და აჯანყებებმა მოიცვა. 1707 და 1711 წელს ჭარელები ორჯერ აჯანყდნენ. ჭარელები სახელმწიფოს ჩრდილოეთ საზღვრებს იცავდნენ, ნაცვლად ხაზინიდან ხელფასს იღებდნენ. შირვანის ბეგლარბეგმა გადახდა თვითნებურად შეაჩერა და ეს მათი განრისხების მიზეზი გახდა. შირვანის უკმაყოფილო მოსახლეობაც აჯანყებულებს შეუერთდა. აჯანყების ჩახშობის მცდელობისას შირვანის ბეგლარბეგი ჰასანელი ხანი თვითონ დამარცხდა და მოკლულ იქნა.

1709 წელს ავღანთა ტომები აჯანყდნენ, კანდაჰარი ხელში აიღეს. შაჰ სულთან ჰუსეინის გაუფრთხილებელმა პოლიტიკამ ხალხში სეფიანთა დინასტიისადმი ნდობა შეარყია, ცენტრალური ხელისუფლებისაგან უკმაყოფილო ძალებიც გააქტიურდნენ და უკვე აჯანყებების ჩახშობა მძიმე საკითხად იქცა.

1719 წელს შირვანში სეფიანთა წინააღმდეგ მოხდა მორიგი აჯანყება. მას ხელმძღვანელობდა უსიანა მუშქურ მაჰალის სოფელ დედელის მცხოვრები ჰაჯი დავუდი. ის, კაითაკელ ეჰმედ ხანსა და კაზიკუმუკელ სურხაი ხანთან კავშირის დამყარებით შირვანის ადმინისტრაციული ცენტრის დაპყრობას გეგმავდა. შირვანში გამოგზავნილმა შაჰის რაზმებმა ადგილობრივი მმართველობის ძალებთან გაერთიანებით აჯანყების ჩახშობა და ჰაჯი დავუდის დაპატიმრება შეძლეს. თუმცა მალე დერბენდის ციხიდან გაქცეულმა ჰაჯი დავუდმა რუსეთის სამხედრო დახმარება სთხოვა. მან რუსეთის მმართველ წრეებს წერილი მისწერა. ის არ მალავდა, რომ სურდა შირვანის სეფიანებისაგან განთავისუფლება და რუსეთის მფარველობის ქვეშ შირვანის სახელმწიფოს მეთაურობა. სეფიანთა სახელმწიფოს ცენტრში მიმდინარე მოვლენებს ახლოდან აკვირდებოდა რუსეთის მთავრობა. მათ უარყვეს ჰაჯი დავუდის მოთხოვნა. ჰაჯი დავუდის სურვილები არ შეესაბამებოდა რუსეთის მთავრობის ინტერესებს, რომელსაც განზრახული ჰქონდა და ემზადებოდა კასპიისპირა რეგიონების დაპყრობისათვის. ჰაჯი დავუდმა კვლავ კაზიკუმუხელ სურხაი ხანთან აღადგინა კავშირი და მალე შირვანის ადმინისტრაციული ცენტრი შამახი დაიკავა. ქალაქში მიმდინარე ძარცვებისას რამდენიმე რუსი ვაჭარიც მოკლეს. საქონელი გაიძარცვა. რუსეთის შესაძლო შემოსვლით აფორიაქებულმა ჰაჯი დავუდმა მფარველობის მიზნით მიმართა ოსმალთა სულთანს ეჰმედ III-ს. პეტრე პირველის კასპიისპირა რეგიონებში ლაშქრობები უკმაყოფილო სულთან ეჰმედ III-მ ჰაჯი დავუდის მფარველობის თხოვნა მიიღო. შირვანი აღიარებული იქნა როგორც ოსმანთა მფარველობის ქვეშ მყოფი ნახევრადდამოუკიდებელი სახანო. ამრიგად, ჰაჯი დავუდის ქმედებებმა რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოსვლის მიზეზი მისცა. რუსეთი პირველად აზერბაიჯანისათვის კონკურენციაში ჩაება.

1722 წლის მარტში ავღანებმა სეფიანთა დედაქალაქი ისფაჰანი დაიკავეს, შაჰ სულთან ჰუსეინი და დინასტიის წევრები ტყვედ წაიყვანეს. მხოლოდ შაჰის შვილებიდან ერთმა - თეჰმასიბმა ასტრაბადში გაქცევა შეძლო და იქ თავი თეჰმასიბ II-ის სახელით შაჰად გამოაცხადა.

1. რატომ მისცა შაჰ სულეიმანმა რუს ვაჭრებს გრცელი შეღავათები?

2. თქვენი აზრით, XVIII საუკუნეში მომხდარი აჯანყებების თავიდან აცილება შეიძლებოდა?

3. რა მიზეზებით გააქტიურდა რუსეთი კავკასიაში?

4. განსაზღვრეთ მსგავსი ნაშრები აბას II-ისა და შაჰ სულეიმანის მოღვაწეობაში.

5. გამოიკვლიეთ, რომელმა მიზეზებმა გამოიწვიეს XVII საუკუნეში სეფიანთა სახელმწიფოს შესუსტება. ამასთან დაკავშირებით შეადგინეთ სქემა.

6. სეფიანთა რუკაზე განსაზღვრეთ XVIII საუკუნის I მეოთხედში აჯანყებული ტერიტორიები.

7. მოამზადეთ რეფერატი თემაზე: "სეფიანთა სახელმწიფო XVIII საუკუნის დასაწყისში."



34

აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებები

***XI–XVII** საუკუნეებში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ჩვენს მდიდარ ისტორიას ახალი სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებები შესძინა. ჩვენი ხალხის ფორმირება, აღორძინების პერიოდი, მონღოლთა ლაშქრობები, თეთრბატკნიანთა, შავბატკნიანთა და სეფიანთა სახელმწიფოების შექმნა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა. ამ სახელმწიფოთა მმართველების მიერ ცხოვრებაში გატარებული რეფორმებით არაბთა ხალიფატის დროიდან ფორმირება დაწყებული მიწის მფლობელობა და საგადასახადო სისტემაც უფრო განვითარდა.*

განაპირა მიწები, ბაირათი, სოიურგალი, ტიული, დამღა, კანუნნამე, მალჯეჰეთი, ღალა, ჩობანბეგი

მიწის საკუთრების ფორმები. XI საუკუნეში ცენტრალური აზიიდან ხმელთაშუა ზღვამდე დერბენდიდან სპარსეთის ყურემდე ვრცელი ტერიტორიების მომცველი სელჩუკთა იმპერიის ხანაში ისლამური მართვის ტრადიციები თურქული სახელმწიფოებრიობის ელემენტებით გამდიდრდა. ვრცელი ტერიტორიის მქონე იმპერიის შენარჩუნებისათვის სელჩუკმა მმართველებმა იკთას დაყოფა კიდევ უფრო გააფართოვეს. როგორც წესი სამხედროებისათვის სამსახურის სანაცვლოდ მიცემული ამ მიწის ფლობა, განსაკუთრებით მელიქშაჰის მმართველობის წლებში უფრო მეტად დაყოფამ, მიწაზე საკუთრების ძირითად ფორმად აქცია იგი. იკთა მიწაზე საკუთრების ფორმა აზერბაიჯანის ათაბაგების სახელმწიფოსა და ჰულაქების სასულთნოს მმართველობის წლებშიც ფართოდ გამოიყენებოდა. სელჩუკების იმპერიის დროს გაჩნდა მიწაზე საკუთრების კიდევ ერთი ფორმა „განაპირა მიწები“. დახასიათების თანახმად, იკთას გვაგონებს ეს მიწებიც, მაგრამ იმპერიის ნაპირა საზღვრების დამცავ ემირებს ეძლეოდათ და მემკვიდრეობით არ გადადიოდა.

მიწაზე საკუთრების რომელი ფორმები არსებობდა ხალიფატის დროს?



ყაზანის ხანი ელხანი

XIII საუკუნეში აზერბაიჯანის ცენტრად ამრჩევი ჰულაქების სასულთნოს მმართველობის წლებში არსებულ მიწაზე საკუთრების ფორმებს ახლებიც დაემატა. მონღოლების შემოსევების დროს მოსახლეობის გაწყვეტის საფრთხის ქვეშ აღმოჩენით, ამასთან მეზობელ ტერიტორიებზე გადასახადების შედეგად მარცვლეულის დასათესად ვარგისი ვრცელი მიწის ფართობები უპატრონოდ რჩებოდა. გამოყენების გარეშე დარჩენილ ამ მიწებს ბაირათი ეწოდებოდა. ელხანი ყაზანი ხანის რეფორმების შედეგად ამ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სიაში აღრიცხვით მოსახლეობას გაუნაწილდა. ელხანიების დროს ინჯუდ წოდებული მიწები კი ხანსა და ხანის ოჯახს ეკუთვნოდა.

ინჯუს მიწები ადრინდელ არსებულ ფორმებში რომელი მიწაზე არსებულ საკუთრების ფორმას შეესაბამებოდა?

XIII-XIV საუკუნეებში მიწაზე საკუთრების ფორმებში სხვა ცვლილებები არ მომხდარა. აზერბაიჯანში შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოების მმართველობის წლებში ფართოდ გავრცელებული მიწაზე საკუთრების ფორმებიდან ერთ-ერთი ***სოიურკალი*** (მონგოლურად - ეჰსანს, ნაჩუქარს ნიშნავს) იყო. შავბატკნიანთა მმართველობის დროს დაწყებული იკთას ნაცვლად სოიურკალის დაყოფის ტრადიციამ თეთრბატკნიანელების დროს უფრო დიდი გავრცელება ჰპოვა. სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მოცემული ეს მიწები იკთასაგან განსხვავებით მემკვიდრეობით გადადიოდა, მფლობელი კი სახელმწიფო გადასახადებიდან თავისუფლდებოდა. სოიურკალის დაყოფის პოლიტიკამ ორივე თურქული სახელმწიფო დაასუსტა, ცენტრალიზაციის პროცესი შეაფერხა. XVI საუკუნეში ხელისუფლებაში მოსული სეფიანი მმართველები სოიურკალის უარყოფით შედეგებს სწორად აფასებდნენ. სეფიანთა დროს სოიურკალი შეზღუდული სახით ცნობილ სეიდებს, დერვიშებს, მეცნიერების მუშაკებს და სხვას ეძლეოდა. სამაგიეროდ სეფიანთა შაჰებმა ***ტიულის*** დაყოფას მიანიჭეს უპირატესობა. ტიული სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდა, მემკვიდრეობით არ გადადიოდა. ტიულის პატრონს (მფლობელს) ***ტიულდარი*** ეწოდებოდა. ისინი შეგროვებული გადასახადის ერთ ნაწილს თვითონ იღებდნენ, ძირითად ნაწილს კი სახელმწიფოს ხაზინას გადასცემდნენ. ტიული გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შაჰის ნებართვით შეიძლებოდა გადასულიყო მემკვიდრეობით. XVII საუკუნეში სეფიანთა სახელმწიფოში მნიშვნელოვანი მიწები ***დივანი*** და ***ხასსე*** იყო. დივანიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად სახელმწიფო ხარჯების დაფარვას ხმარდებოდა, მეფის კუთვნილი ხასსე შემოსავლები კი ან ხაზინაში იგზავნებოდა ან კიდევ მეფის ნებართვით კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას ხმარდებოდა.

გადასახადები. სელჩუკთა იმპერიის დროს ძველ გადასახადებს ახლებიც დაემატა. მათ შორის ერთ-ერთი იყო ***უშრი*** (ერთი მეათედი). ხარაჯთან ერთად ეს გადასახადი ხასსის მიწებიდან და იკთას მფლობელებისაგან იკრიბებოდა. ***ალაფი*** (არაბული ულუფა სიტყვისაგან წარმოიშვა "***საკვები***", "***საჭმელი***" ნიშნავს) სადარაჯოზე მყოფი რაზმის ან ოფიციალური პირის უზრუნველყოფისათვის აიღებოდა. მოსახლეობიდან შეგროვებული გადასახადები, როგორიცაა ***ათარღის ბაჰა, ნალის ბაჰა*** ჯარის მოთხოვნილებებს ხმარდებოდა. ჰულაქების მმართველობის დროს ხელოსნებიდან ***დაძღა***, ვაჭრებიდან კი ***ბაჯად*** წოდებული გადასახადები იკრიბებოდა. მონღოლური დაპყრობების დროს გამოყენებული გადასახადებიდან ერთიც ***კოფჩური*** იყო. პირველი მონღოლური დაპყრობის დროს მომთაბარე მესაქონლეობიდან მიღებული ეს გადასახადები თანდათანობით ხმარებიდან ამოღებული იქნა და შეიცვალა არა მომთაბარე მოსახლეობის სულადობრივი გადასახადით. ყაზან ხანის სასულიერო რეფორმების შემდეგ ეს გადასახადი თანდათან გაუქმდა. თანაც მისი გადასახადების რეფორმის გატარებით ამ სფეროში მოხელეთა თვითნებობის აღკვეთა, არაკანონიერი გადასახადების შეგროვების აღკვეთა მოხერხდა.

სელჩუკებისა და ჰულაქიების სახელმწიფოების გამოყენებული გადასახადების უმრავლესობა სახელმწიფო მართვის სისტემის მათგან აღების გზით გამოყენებული იყო შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა დინასტიების მმართველობის ხანაშიც და ისინი ძალაში რჩებოდნენ. საგადასახადო სისტემა თეთრბატკნიანელი შაჰ ჰასანის შედგენილი "კანუნ ნამეთი" მოწესრიგდა.

"უზუნ ჰასანი სამართლიანი და კეთილშობილი იყო. მას მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაძღის გაუქმება სურდა. თუმცა ემირები მას არ ეთანხმებოდნენ. სულთანმა დაძღა სანახევროდ შეამცირა, ოცდაც ერთ დირჰემზე დაიყვანა... მან მთელ ქვეყანაში შეგროვებული გადასახადების მოცულობა დაახუსტა. უზუნ ჰასანმა მოსახლეობას შორის დაგებისა და საჩივრების შესახებ "კანონნამე" შეადგინა. იგი მოითხოვდა, რომ დამნაშავეები მკაცრად დასჯილიყვნენ. სულთანმა "კანუნნამე" შესრულებისათვის სახელმწიფოს ყველა ოლქში გააგზავნა. მან ქვეყანაში შეგროვებული მიწის გადასახადი შეამცირა, მოსავლის მოცულობის ⅕-ით განსაზღვრა... სადაც ძალა შესწევდა, სამართლის პრინციპებს არასოდეს არ შორდებოდა"

"თარიხი-ჯიასი"

თქვენი აზრით, რა მიზნებს ისახავდა უზუნ ჰასანის "კანუნნამე"?

თეთრბატკნიანელების მმართველობის დროს მოსახლეობიდან იკრიბებოდა ისეთი გადასახადებიც, როგორიცაა მალჯეჰეთი, ღალა, ჩობანბეგი. მალჯეჰეთი იყო მიღებული მოსავლიდან, ღალა კი სარწყავი წლით სარგებლობის საშემოსავლო გადასახადი. ჩობანბეგი გადასახადი კი მომთაბარე მესაქონლეობით დაკავებულისაგან საძოვრების გამოყენებისათვის იკრიბებოდა. უზუნ ჰასანის „კანუნნამე“ „ჰასან მეფის კანონები“-ს სახელით სეფიანთა XVI საუკუნის მმართველობის დროსაც ძალაში იყო. XV საუკუნის ბოლოსკენ ხელისუფლებაში მოსული თეთრბატკნიანელი მმართველი გოდაქ ეჰმედი ცდილობდა გადასახადების რეფორმების გატარებას. ის 1474 წელს მამის წინააღმდეგ გამოსული, მუჰამედ II-ის მფარველობის ქვეშ მყოფი და მის ქალიშვილზე დაქორწინებული უღურლუ მუჰამედის შვილი იყო. ოსმალთა სახელმწიფოებრიობის გამოცდილების შესაბამისად მმართველობის აგების მცდელმა გოდაქ ეჰმედმა პირობების გარეშე 20-ზე მეტი გადასახადისა და შეღავათის გაუქმების შესახებ გასცა ბრძანება. თუმცა მისი გადასახადების გაუქმება და სოიურკალის შეზღუდვის პოლიტიკა წარუმატებლად დასრულდა, თვითონ კი აჯანყების შედეგად მოკლული იქნა.

უზუნ ჰასან ფადიშაჰის სურვილი, გაეუქმებინა დამღის გადასახადი აღასრულა შაჰ თეჰმასიბ I-მა. მან, 1565 წელს გამოსცა ბრძანება დამღის გადასახადის გაუქმების შესახებ. მონღოლების დროიდან დარჩენილი ამ გადასახადის გაუქმებამ შექმნა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების პირობები.

“მის (თეჰმასიბ I-ის – რედ.) ყაენებს, ვეზირებს... სხვა მოხელეებს გადასახადების მცირედი-თაც კი შემცირების, ან კიდევ გაზრდის უფლება არ ჰქონდათ. ის კვირას ყოველ დღეს გან-საზღვრულ შესასრულებელ სამუშაოებს წინასწარ გეგმავდა. მისი ბრძანებით დავთარხანაში შეგროვებული ყველა მესარიფი (სეხსები–რედ.) გაუქმდა. ყოველ წელს დაახლოებით 80 ათას თუმანამდე ოლქებიდან შეგროვებული დამღა მათ შეღავათი მიეცათ. ქვეშემდომთაგან 10–20 წლიანი გადასახადის აღებაზე უარი თქვა. ერთი სიტყვით ქვეშემდომთა ასეთი სიმშვიდე და სიწყნარე არასდეს არ ენახათ. თუ ვინმე ქვეშემრდომი სასახლეში თავის მმართველს უჩივ-ლებდა. ეს უკანასკნელი საჩივრის განხილვის შემდეგ თანამდებობიდან თავისუფლდებოდა”.

ნაწარმოებიდან “ჯენეციანელები შაჰ თეჰმასიბ I-ის სასახლეში”

ჰასან ფადიშაჰისაგან განსხვავებით რატომ შესძლო შაჰ თეჰმასიბ I-მა დამღის გადასახადის გაუქმება? წყაროებზე დაყრდნობით გამოთქვით მოსაზრებები.

შაჰ-აბას I-ის წლებშიც გადასახადების პოლიტიკა ყურადღების ცენტრში იყო. შაჰ-აბას I-მა ამ სფეროში თვითნებობები აღკვეთა. ზოგიერთი ქალაქი გადასახადებისაგან გაანთავისუფლა.

სეფიანთა სახელმწიფოში მორიგი რეფორმები შაჰ სულთან ჰუსეინის დროს მოხდა. 1699-1702 წლებში მოსახლეობისა და ქონების აღწერის შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა მოსალოდნელი შედეგები არ გამოიღო. მართალია გადასახადები გაიზარდა, მაგრამ ხაზინის შემოსავლები არ გაიზარდა. პირიქით, შაჰის ხელისუფლების მძიმე საგადასახადო პოლიტიკა და მოხელეთა თვითნებობა ხალხის აჯანყების მიზეზი გახდა.

ქალაქის ცხოვრება. ხელოსნობა და ვაჭრობა. XI საუკუნეში აზერბაიჯანის ვრცელი ტერიტორიის მქონე სელჩუკთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნამ, ერთიანი ფულადი, ზომა-წონითი სისტემებისს გამოყენებამ ქალაქის ცხოვრების გამოცოცხლებაზე, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებაზე დადებითი გავლენა მოახდინა. ქალაქების განვითარების თავისებურებები მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მათ გეოგრაფიულ პოზიციაზე. საერთაშორისო სავაჭრო გზებზე მდებარე ქალაქები სტაბილურ პერიოდებში უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ. ასეთ ქალაქებს მიეკუთვნებოდა თებრიზი, განჯა, შამახი, დერბენდი, ნახჩევანი და ბეილეგანი. ადგილობრივი ნედლეულის სიმდიდრე, ტრადიციული მრეწველობის დარგების მემკვიდრეობითობის პრინციპის საფუძველზე გადაცემა, ქალაქის ცხოვრებაზე გავლენის მომხდენ ეკონომიკურ ფაქტორებს მიეკუთვნება. აზერბაიჯანის ქალაქებს სპეციალობების მიხედვით მეზობელ ქვეყნებში კარგად იცნობდნენ. მაგალითად, თებრიზი ნაქსოვი ნაწარმით, მატყლისა და აბრეშუმის ხალიჩებით იყო ცნობილი. განჯა ტრადიციული მეაბრეშუმეობითა და იარაღის წარმოებით, დერბენდი სელისა და ბამბის



ქალაქ შამახის ხედი, XVII საუკუნე


ქსოვილებით, ბეილეგანი და ნახჩევანი მექოთნეობის ნაწარმით. შამახი კი მაღალხარისხოვანი აბრეშუმით იპყრობდნენ უცხოელი ვაჭრების ყურადღებას. მეტალის დამუშავება, ქვის დამუშავება, ამოკვეთის ხელობის ნაწარმებიც ხელოსნობის მნიშვნელოვან სფეროებს მიეკუთვნება.

ქალაქების განვითარებაზე გავლენას ახდენდა პოლიტიკური ფაქტორებიც. განჯა ჯერ შედადების დედაქალაქი, შემდეგ კი სელჩუკი ჯანიშების ცენტრი იყო. კლასიკური ფეოდალიზმის ხანის წინ აქ 500 ათასი მოსახლე ცხოვრობდა. ბიზანტიელ-სომეხ-ქართველ ფეოდალთა თავდასხმების ქვეშ მყოფი განჯა იმ პერიოდში ისლამურ სამყაროსა და ქრისტიანულ სამყაროს შორის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-სიმაგრე იყო. ამიტომაც ფეოდალი მმართველები და სახელმწიფოები განჯის განმტკიცებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. თუმცა 1139 წელს მომხდარმა საშინელმა მიწისძვრამ, 1235 წელს კი მონღოლების მიერ ქალაქის დანგრევამ განჯის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ვინაიდან განჯა სეფიანთა ხანაში ყარაბაღის საბეგლარბეგოს ცენტრი იყო, კვლავ განმტკიცებულ ქალაქად იქცა.

ქალაქი შამახი - შირვანშაჰების ტრადიციული დედაქალაქი სეფიანთა დროსაც შირვანის საბეგლარბეგოს ცენტრი იყო. შამახის აბრეშუმი მთელ ევროპაში იყო ცნობილი. ომებმა და ხშირ-ხშირად მომხდარმა მიწისძვრებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს შამახის განვითარებაზე.

ქალაქი თებრიზი პირველად რევადიების, შემდეგ კი აზერბაიჯანში შექმნილი სახელმწიფოების დედაქალაქობის გამო მმართველები ამ ქალაქს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, აქ მიმდინარეობდა ვრცელი კეთილმოწყობითი სამუშაოები. თეთრბატკნიანთა მმართველს ჰასან შაჰის ბრძანებით აქ აშენდა კეისერიას ბაზარი. ეს ბაზარი შემდგომ ხანებში ახლო და შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმსხვილეს ბაზრად იქცა. თუმცა სეფიან-ოსმანთა ომებმა, დედაქალაქის გადატანამ თებრიზის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა.

ქალაქი ნახჩევანი აზერბაიჯანის ათაბეგების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. ათაბეგ შემსედინ ელდენიზის დროს ერთ-ერთი აყვავებილი ქალაქთაგანი იყო. სეფიან-ოსმანთა ომებმა ნახჩევანის ბედსაც გვერდი ვერ აუარა. ქალაქი არაერთგზის დაინგრა მოსახლეობა კი აბას I-ის მმართველობის პერიოდში ქვეყნის სიღრმეში იქნა გადასახლებული.



ბაქოს ციხე-სიმაგრის ხედი XVII საუკუნე

ქალაქმა ბეილეგანმა ბერდის სლავების მიერ დანგრევის შემდეგ დაიწყო აღორძინება. ერთ პერიოდში სელჩუკთა ჯანიშების ცენტრი იყო. იგი მონღოლთა ლაშქრობების შედეგად დაინგრა და ყოფილი მდგომარეობა ვეღარ აღიდგინა.

დერბენდი XV საუკუნემდე უმსხვილესი საპორტო ქალაქი და იმავდროულად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-სიმაგრე იყო.

სეფიანთა რელიგიურ-პოლიტიკური ცენტრი ქალაქი ერდებილი სეფიანთა სახელმწიფოს შექმნის შემდეგ კიდევ უფრო კეთილმოეწყო.

როგორც ხედავთ, ქალაქების განვითარებაზე გეოგრაფიულმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს.

ქალაქის ცხოვრებაში ხელოსნები და ვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. XIII-XIV საუკუნეებში ხელოსნები "ეხილიკ" (სამმო) წოდებულ ხელოსანთა ერთიანობებს ქმნიდნენ. ეხილიკი იყო მონღოლთა დაპყრობის დროს ხელოსანთა ეკონომიკური მნიშვნელობიდან შექმნილი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა. ამ გზით ხელოსნები ცდილობდნენ თავი დაეცვათ წარჩინებულების, ფეოდალების წნეხისაგან. XVII საუკუნეში შემნილ ხელოსანთა გაერთიანებებს კი "ესნაფი" ეწოდება.

აზერბაიჯანის კიდევ რომელ ქალაქებს იცნობთ, რომლებიც მანამდე პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრები იყვნენ?

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ხელოსნები 3 ჯგუფად იყოფოდნენ:

1. ორგანიზაციებში (ესნაფებში) გაერთიანებული ხელოსნები;
2. დამოუკიდებლად მომუშავე ხელოსნები;
3. ფეოდალთა სახელოსნოებში მომუშავეები.

მე-3 ჯგუფის ხელოსნების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო. ისინი როგორც ფეოდალებს, ისე სახელმწიფოს უხდიდნენ გადასახადებს. ქალაქებში ვაჭრებს, როგორც წესი, მელიქ-უთთუჯარად წოდებული ყველაზე მდიდარი და სახელოვანი ვაჭარი მეთაურობდა. ის ვაჭრებს შორის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნას აკონტროლებდა, სახელმწიფო გადასახადებს ანაწილებდა.





ხელოსნების ნაწარმები

კლასიკური ფეოდალობის ხანაში აზერბაიჯანელი მმართველები ზრუნავდნენ ვაჭრობაზე, როგორც სახელმწიფო ხაზინის ძირითადი შემოსავლის წყაროზე. ისინი ცდილობდნენ გაეფართოებინათ სავაჭრო ურთიერთობები. სელჩუკმა მმართველმა მელიქშაჰ I-მა ვაჭრების გადასახადები და საბაჟო შეამცირა, ჰულაქის მმართველმა ყაზან ხანმა კი ვაჭრობის დარგში რეფორმა განახორციელა. თეთრბატკნიანთა მმართველი შაჰ ჰასანიც ვაჭრობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ამ მიზნით ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიურ ურთიერთობებს აფართოებდა, მანაც ხელოსნებისა და ვაჭრების გადასახადები შეამცირა.

სეფიანთა შაჰები თეჰმასიბ I, აბას I , აბას II და შაჰ სულეიმანიც ვაჭრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი მმართველობის ხანაში ვენეციასთან, გერმანიასთან, ესპანეთთან, ინგლისთან, რუსეთთან და სხვა ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები განვითარდა, იმავდროულად ინდოეთთან, ჩინეთთან, ეგვიპტელ მამელუქებთან სავაჭრო ურთიერთობები გაძლიერდა. შაჰ თეჰმასიბ I-ის მეფობის დროს ინგლისელების „მოსკვა“ კომპანიასთან სეფიანთა აბრეშუმის გაყიდვასთან დაკავშირებით დაიდო ხელშეკრულება. თუმცა, ვინაიდან რუსი ვაჭრების ინტერესებს არ პასუხობდა, ივანე IV-მ ინგლისელების „მოსკვა“ კომპანიის საქმიანობა შეაჩერა. XVII საუკუნის II ნახევარში დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელობის დაკარგვის შემდეგ აზერბაიჯანის ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობები შესუსტდა, ადგილობრივი ნაწარმის გატანა მკვეთრად დაეცა.

1. რა გაგლენას ახდენდნენ ხალხის სამეურნეო ცხოვრებაზე აზერბაიჯანელი მმართველების კანონშემოქმედება?

2. თქვენი აზრით უფრო მეტად რაზე იყო დამოკიდებული ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება?

3. რა მსგავსებაა ელხანი კაზან ხანსა და თეთრბატკნიანელ ჰასან შაჰს შორის?

4. რატომ აქცევდნენ აზერბაიჯანელი მმართველები ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას?

5. უზუნ ჰასანსა და შაჰ თეჰმასიბ I-თან დაკავშირებით მოცემული წყაროები გაანალიზეთ, დასკვნა გამოიტანეთ.

6. მოამზადეთ რეფერატი თემაზე: რეფორმატორი მმართველები

*7. მოამზადეთ სქემა **XVI** საუკუნეში არსებული მიწის საკუთრების ფორმების შესახებ.*

8. შეადგინეთ ცხრილი ქალაქების განვითარებაზე გავლენის მომხდენ ფაქტორებთან დაკავშირებით.

9. განსაზღვრეთ მიზეზები რომლებიც აფერხებდნენ აზერბაიჯანში ხელოსნებისა და ვაჭრობის განვითარებას.



35

კულტურა სეფიანთა დროს

სეფიანთა დრო არა მხოლოდ აზერბაიჯანის, ზოგადად შუა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე გვერდია. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნამ დადებითი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანის კულტურის განვითარებაზეც. შექმნილი კულტურის ნიმუშები მსოფლიოს ყველაზე ცნობილ მუზეუმებშია გამოფენილი.

ჰეკირი, ორუჯ ბეი ბაიათი, შეიხ ჯუნეიდის აკლდამა, "ქოროღლუ", "აშუღი კერიბი."

მეცნიერება და განათლება. XVI-XVII საუკუნეებში აზერბაიჯანში დიდი სკოლებისა და მედრესების ქსელი არსებობდა. ამ პერიოდში გეოგრაფიის, ფილოსოფიის, ისტორიის, მათემატიკის, ლოგიკის, გრამატიკისა და სხვა საგნების შესახებ გარკვეული მეცნიერული ნაწარმოებები დაიწერა. ჰასან ბეი რუმლუ თეჰმასიბ I-ის ისტორიკოსი იყო. მისი თორმეტტომეული „ეჰსენ-უთ-თავარიხ“ ნაწარმოებიდან ჩვენამდე მხოლოდ მეთორმეტე ტომმა მოაღწია. ამ ტომებში თეჰმასიბ I-ისა და შაჰ ისმაილ II-ის მმართველობის წლებია ასახული.



ორუჯ ბეი ბაიათი

ორუჯ ბეი ბაიათი როგორც ცნობილი სეფიანი დიპლომატი, მრავალჯერ იყო ევროპის ქვეყნებში ვიზიტად. სეფიანთა ელჩების ჯგუფში ესპანეთში მისული ორუჯ ბეი იქვე დარჩა, დაწერა წიგნი თავისი თავგადასავლისა და სეფიანთა სახელმწიფოს შესახებ.



ვიზიტი ორუჯ ბეი ბაიათის მონაწილეობით

ისკანდარ ბეი მუნში შაჰ აბას I-ის სამხედრო ლაშქრობებში, ნადიროობებში, სასახლეში მიღებებზე იღებდა მონაწილეობას. მისი მთავარი ნაწარმოები „თარიხი-ალემ არაი-აბას“ დროის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყაროა.

აღნიშნეთ ის ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს აზერბაიჯანის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე. მოსაზრებები დაასაბუთეთ.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაში გარკვეული გამოცოცხლება შეიმჩნეოდა.

ამ დროს მხოლოდ შამახიში 40 სკოლა, 7 მედრესა, თებრიზში 600 სკოლა, 47 მედრესა ფუნქციონირებდა. აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აზერბაიჯანშიც უმაღლეს სასულიერო მედრესა დამთავრებული მასწავლებელს "მუდერრისი" ეწოდებოდა.

მირზა მუჰამედ შირვანი ნაწარმოებებს წერდა ფილოსოფიის, ასტრონომიისა და მათემატიკის შესახებ. ისტორიულ ნაწარმოებებს შორის შაჰ-აბას II-ის მთავარი ისტორიკოსის მუჰამედ თაჰირ ვაჰიდის ნაწარმოები "თარიხი-ვაჰიდ" ("აბბასნამე") იმ პერიოდის შესწავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

შაჰ ისმაილ I-დან დაწყებული სეფიანთა შაჰები მეცნიერებასა და ხელოვნებას მფარველობდნენ. მათ სასახლეებში საუკეთესო ხელნაწერების შესანახი წიგნების სახლები არსებობდა. თებრიზისა და ერდებილში არსებული ბიბლიოთეკები განსაკუთრებით მდიდარი იყო.

შაჰ-აბას II-ის დროს ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ წიგნის დაბეჭდვისათვის ევროპიდან ქვეყანაში ჩამოტანილიყო საბეჭდი მოწყობილობა.

გაიხსენეთ: სად გამოიგონეს ნაკრები შრიფტით დაბეჭდვა?

არქიტექტურა. ხელოვნება. 1522 წელს შაჰ ისმაილ I-ის მხატვარი ქემალედინ ბეჰზადი თებრიზში არსებული სასახლის ბიბლიოთეკის უფროსად დაინიშნა. XVI საუკუნეში სადიკ ბეი ეფშარი ცნობილი ნატურალისტი მხატვარი იყო. განუწყვეტლივ კულტურაზე მზრუნავმა სეფიანთა მმართველმა შაჰ ისმაილ I-მა აღადგინა მარაღის ობსერვატორია.

XVI საუკუნის აზერბაიჯანის არქიტექტურული ძეგლები

1544 წლის კუსარის სოფელ ჰეზრეში შეიხ ჯუნეიდის აკლდამა



ნახჩევანში ხიდი მდინარე ელინჯეზე



ბაქო აღმოსავლეთის კარიბჭე



ნახჩევანში მდინარე ელინჯეზე არსებული ხიდის გარდა რომელ ისტორიულ ხიდებს იცნობთ?

სეფიანთა მმართველების, განსაკუთრებით შაჰ სულთან ჰუსეინის მუსიკის ამკრძალავი ბრძანების მიუხედავად, XVII საუკუნის II ნახევარში მუსიკის ხელობა ვითარდებოდა.

რა იყო სეფიანთა სახელმწიფოში მუსიკის აკრძალვის მიზეზი?

ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა XVII საუკუნის შუა ხანებში ირევანში, ხანის სასახლეში სამ ნაწილიანი დადგმა ნახა და მას "აღმოსავლეთის ოპერა" უწოდა.

სეფიანთა დროს ხელოვნების ერთ-ერთ უძველეს დარგს-მეხალიჩეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

1539 წელს სეფიანთა მბრძანებლის თეჰმასიბ I-ის შეკვეთით შეიხ სეფის მეჩეთისათვის სპეციალური ხალიჩა მოიქსოვა. ეს ხალიჩა 1893 წელს ინგლისელებმა შეიძინეს და ლონდონში წაიღეს. ამჟამად ეს ხალიჩა "ვიქტორიასა და ალბერტის" მუზეუმში ინახება.

გამოიკვლიეთ 1893 წელს ინგლისელებმა ვისგან შეიძინეს შეიხ სეფის ხალიჩა.




შეახ სეფის ხალიჩა

სეფიანთა დროს შექმნილი ღირებული ხალიჩის ნიმუშები ევროპელი ავტორების ნაწარმოებებშიც გვხვდება.

იტალიელი მხატვარი (XVI საუკუნე) ლორენცი ლოტოს, ტაბლოზე „ოჯახი“ კუბა-კუსარის ტიპის ხალიჩებზე ხშირ-ხშირად შემხვედრი „კაშის“ სახის მოხატულობებია გამოყენებული. გარდა ამისა ევროპელი მხატვრების ნაწარმოებებში გამოყენებულია კუბა-შირვანის, მერეზე-კობუსტანის, თალიშ-მუღანისა და ბორჩალოს მხარეების ხალიჩის ნიმუშები.

XVII საუკუნის აზერბაიჯანის არქიტექტურის ძეგლები



? *რატომ არის ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი აგებული სახელდობრ სურახანიში?*



მუჰამედ ფიზული (1494-1556)

ლიტერატურა. აზერბაიჯანული ლიტერატურა XVI საუკუნიდან დაწტებული როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურა თავისი ტრადიციების გაგრძელებას იწყებს. აზერბაიჯანულ ლიტერატურაში აღორძინების იდეების ნიზამის მომდევნო მწვერვალი - დასავლეთ აღმოსავლეთმცოდნეობაში "გულის პოეტად" ცნობილი მუჰამედ ფიზულია. ის არა მხოლოდ აზერბაიჯანში, არამედ თურქულენოვანი, განსაკუთრებით ოღუზელი თურქულის მცოდნეთა შორის დიდ გეოგრაფიულ-ეთნიკურ სივრცეში დღემდე დიდი სიამოვნებით წაკითხვადი სიტყვის ოსტატთაგანია. ნაწარმოებების ფიზულის ფსევდონიმით დამწერი პოეტი ნაწარმოებში "ბენგუ ბადე" ("თრიაქი და ღვინო") მიუხედავად იმისა, რომ უძღვნიდა შაჰ ისმაილ ხეთაის, შაჰ თეჰმასიბ I-სა და მის სარდლებს უძღვნიდა სტროფებს, სასახლისკენ არ იჩენდა მიდრეკილებას. ფიზული, რომელმაც სულთან სულეიმანს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა, ოსმალთა ჯართან ერთად ბაღდადში მოსულ თურქ პოეტებს ხეიალისა და იეჰია ბეგს შეხვდა და მის მიერ "რუმის მეგობრებად" წოდებული ამ პოეტების თხოვნით "ლეილი და მეჯნუნი" (1537) ნაწარმოებს მოკიდა ხელი.

თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება იმ პერიოდს ისტორიულ მოვლენებს პოემა "ლეილი და მაჯნუნი"?

შაჰ ისმაილ ხეთაი აზერბაიჯანის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ისტორიაში გამორჩეული როლის შემსრულებელი სახელმწიფოს ფუძემდებელია. ხეთაიმ როგორც შაჰ-პოეტმა თავისი წინამორბედების კაზი ბურჰუნედინისა და მირზა ჯაჰანშაჰ ჰეკიკის პოეტური ტრადიციები განაგრძო და განავითარა, ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე არა მხოლოდ გრანდიოზული აზერბაიჯანის სახელმწიფო შექმნა და განავითარა, არამედ აზერბაიჯანის ლიტერატურის დედა ენაზე განვითარებაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

XVI-XVII ასწლეულები აზერბაიჯანის ლიტერატურაში თანაც ცნობილი არის, როგორც სიყვარულისა და გმირობის თქმულებების ფორმირების ხანა. ფიზულის წერილობით პოეზიაში მოპოვებული წარმატებები იმავდროულად ზეპირი ხალხური ლიტერატურის წარმომადგენლების: ყურბანის, აშუღ აბას თუფარკანლის, ხესტე კასიმის მაგვარი აშუღების შემოქმედებაში დანახვაც შესაძლებელია. ისეთი სრულყოფილი სასიყვარულო თქმულებები, როგორიცაა „აშუღი კერიბი“, „აბბასი და გულგეზი“, „ესლი და ქერემი“, „ქითაბი - დედეკორკუდის“ ღირსეული მემკვიდრე „ქოროღლუს“ გმირული ეპოსი ამ პერიოდშია ფორმირებული და შესულია ხალხური შემოქმედების რეპერტუარში.

1. თქვენი აზრით, XVI–XVIII საუკუნეებში ევროპისაგან განსხვავებით სეფიანთა სახელმწიფოში, რაში მდგომარეობდა მოქანდაკეობისა და მხატვრობის სუსტად განვითარების მიზეზი?
2. რომელი ისტორიკოსები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სეფიანთა სახელმწიფოში?
3. რომელი ისტორიული მოვლენების შედეგად გაჩნდა გმირული ეპოსი ქოროღლუ ?
4. შეადარეთ ერთმანეთს ქართლის მეფის ვახტანგ VI-ისა და სეფიანთა მმართველის შაჰ-აბას II-ის მოღვაწეობა კულტურის სფეროში.
5. შეადარეთ ისტანბულში არსებული სულთან ეჰმედის მეჩეთი და განჯაში არსებული შაჰ აბასის მეჩეთი.



36

ბრძოლა აზერბაიჯანის ტერიტორიების განთავისუფლებისათვის. ნადირ შაჰი

XVIII *საუკუნის დასაწყისში ეკონომიკური და პოლიტიკური რეგრესის პროცესში მყოფი სეფიანთა სახელმწიფოს ტერიტორიების შეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მიტაცება ხდებოდა და ამ სახელმწიფოს არ არსებობის საფრთხე შეექმნა. ასეთ მდგომარეობაში შაჰ თეჰმასიბ* ***II****-ის სამსახურში მყოფი ეფშართა მოდგმის წარმომადგენელმა ნადირმა თავისი საშხედრო ნიჭის წყალობით მტრები ქვეყნიდან განდევნა და სეფიანთა სახელმწიფოს ძველი საზღვრები აღადგინა, ხოლო შემდეგ კი ამ სახელმწიფოს ბოლო მოუღო.*

თეჰმასიბ ***II****, პეტრე* ***I****, პეტერბურგის ზავი, კირმანშაჰის ზავი, რეშტის ზავი, განჯის ზავი, მუღანის ყრილობა, ნადირ შაჰი, სამ მირზა*

აზერბაიჯანის ტერიტორიების საომარ მოედნად გადაქცევა. XVIII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერია აზერბაიჯანს, როგორც მომავალში რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელ საბრძოლო მოედნად განიხილავდა. ამავე დროს ოსმალთა სულთნებს სურდათ, რომ თავისი საზღვრები კასპიის ზღვამდე გაეფართოვებინათ და ამით აღმოსავლეთის ქვეყნებთან წარმოებულ ტრანზიტულ ვაჭრობაზე კონტროლი ხელში აეღოთ, აზერბაიჯანზე როგორც საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან და სასარგებლო პუნქტზე განემტკიცებინათ თავისი ბატონობა. ამ დროიდან დაწყებული აზერბაიჯანი იპყრობს რუსეთის ყურადღებას, როგორც მისი განვითარებადი მრეწველობის ნედლეულის წყარო და გაყიდვის ბაზარი. ის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საშუალების როლს შეასრულებდა და დამპყრობლური ომების გაფართოების დროს მნიშვნელოვანი სტრატეგიული დანიშნულების ქვეყანა იყო. ამიტომაც რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა ჰაჯი დავუდის ოსმალთა იმპერიის წინსწრების მიზნით 1722 წლის 18 ივნისს ასტრახანიდან ლაშქრობა დაიწყო. პეტრე I-მა აზერბაიჯანულ ენაზე "მანიფესტი" გამოსცა და შირვანსა და კასპიისპირა ოლქებში გამოაგზავნა. "მანიფესტში"[1] მეფე ჯარის ლაშქრობის ძირითად მიზეზს არ ამხელს.

რომელი მსგავსების პოვნა შეიძლება რუსეთისა და ოსმალეთის აზერბაიჯანში არსებულ ინტერესებში?

შეაფასეთ აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური პოზიციები ***XVIII*** *საუკუნის 20-იან წლებში.*

1722 წელს რუსებმა დერბენდიდან რეშტემდე ტერიტორია დაიკავეს. 1723 წლის ივლისში ბაქოსა და სხვა კასპიისპირა ოლქების დამპყრობი რუსეთი, რომელიც ცდილობდა რომ ოსმალებთან ომში არ შესულიყო, ცდილობდა დაპყრობისათვის „კანონიერი“ საფუძვლები გამოეგონებინა, ამიტომაც 1723 წლის სექტემბერში პეტერბურგში მოსულმა სეფიანთა ელჩმა ისმაილ ბეიმ შაჰის ნებართვის გარეშე რუსეთის მთავრობასთან თვითნებურად დადო ხელშეკრულება.

[1] ***მანიფესტი*** – განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენასთან დაკავშირებით უმაღლესი ხელისუფლების ორგანოების მოსახლეობისადმი წერილობითი მიმართვა.

ამ ხელშეკრულების თანახმად კასპიისპირა რეგიონები: დერბენდი, ბაქო, გილანი, მაზანდარანი, ასტრაბადი რუსეთს უერთდებოდა. რუსეთი კი ამის სანაცვლოდ სეფიანებს ავღანელებთან ომში დახმარების პირობას აძლევდა. თუმცა თეჰმასიბ II-მ ეს ხელშეკრულება არ დაამტკიცა.

რუსეთმა 1724 წელს ისტამბულში ოსმალებთან დადო ხელშეკრულება. სტამბოლის ხელშეკრულების პირობების თანახმად, სამხრეთი კავკასია ფაქტიურად ოსმალთა სახელმწიფოსა და მეფის რუსეთს შორის ნაწილდებოდა. კასპიისპირა ოლქები რუსეთის შემადგენლობაში, დანარჩენი ტერიტორიები კი სულთანის დაქვემდებარებაში გადავიდა.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება აზერბაიჯანის ტერიტორიების რუსეთსა და ოსმალთა იმპერიას შორის განაწილების შესახებ.

1724 წელს ოსმალთა ლაშქარმა ხოის, ნახჩევანისა და ორდუბადის ხელში აღების შემდეგ გეზი თებრიზისაკენ აიღო. 1725 წელს აგვისტოში ალყაში მყოფი ქალაქი თებრიზი დაეცა. შემდეგ კი ოსმალებმა ერდებილი, განჯა და სხვა ქალაქებიც აიღეს. ამრიგად, 1725 წლის ბოლოსათვის აზერბაიჯანი მთლიანად რუსებისა და ოსმალების მიერ დაპყრობილი იქნა.

ნადირ შაჰ ეფშარის მიერ ქვეყნის გადარჩენა. სეფიანთა ტერიტორიების დიდი ნაწილი უკვე ავღანეთის, ოსმალეთისა და რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, თეჰმასიბ II კი იძულებული იყო მხოლოდ სამხრეთი კასპიისპირა ოლქებითა და ხორასანის ერთი ნაწილით დაკმაყოფილებულიყო. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო მტრების წინააღმდეგ შინაგანი ძალების გაერთიანება. ეს პასუხსაგები მოვალეობა 1726 წელს საკუთარ თავზე აიღო თეჰმასიბ II-თან სამსახურის დამწყებმა ნადირმა, მალე ნადირ ხან ეფშარმა გარკვეული მხარეების სეფიანთა შაჰის მმართველობის ქვეშ გაერთიანების შემდეგ ავღანელების ქვეყნიდან განდევნაში წარმატებას მიაღწია, ამის შემდეგ მან დაიწყო ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ და მალე ჰემედანი, კირმანშაჰი, თებრიზი და ერდებილი დაიბრუნა. თუმცა ხორასანში ავღანყების ჩახშობაში გართული ნადირის არყოფნით ისარგებლა თეჰმასიბ II-მ და საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით ოსმალებთან ომის გაგრძელების გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად წარუმატებლობა განცდილმა თეჰმასიბ II-მ 1732 წლის 16 იანვარს **კირმანშაჰი** ოსმალეთის სახელმწიფოსთან ზავი დადო. ზავის პირობების თანახმად ირევანი, განჯა, თიფლისი, შამახისა და შირვანის მხარეები და დაღესტანი ოსმალეთს ეძლეოდა. მდინარე არაქსი ორივე სახელმწიფოს შორის საზღვარი უნდა ყოფილიყო.



ბრძოლა ოსმალთა და ნადირ შაჰის ჯარებს შორის

რა შეიძლება ყოფილიყო იმისი მიზეზი, რომ ასე მცირე დროში რუსებმა და ოსმალებმა სეფიანთა ტერიტორიების დაპყრობა შეძლეს?

სეფიანთა სახელმწიფოს გამოცოცხლების დაწყება 1732 წლის 21 იანვარს **რეშტში** რუსეთსა და სეფიანთა შორის ხელშეკრულების დადებით რუსეთი იძულებული იყო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე კასპიისპირა ტერიტორიები უკან დაებრუნებინა.

მალე ქვეყნის აღმოსავლეთში საქმეების მოწესრიგების შემდეგ ნადირმა ისფაჰანისაკენ აიღო გეზი. 1732 წლის აგვისტოში თეჰმასიბ II ჩამოაგდო, მის ნაცვლად მეფის 8 თვის შვილი აბას მირზა "აბას III-ის" სახელით შაჰად გამოაცხადა და ნადირ ხან ეფშარმა თავისი თავიც მის მფარველად დაინიშნა. ამით ნადირმა სინამდვილეში მმართველობა ხელში აიღო.

? *თქვენი აზრით, რატომ ჩამოაგდო ნადირ ხან ეფშარმა თეჰმასიბ II ტახტიდან?*

ნადირმა პირველ რიგში გააუქმა 1732 წელს დადებული კირმანშაჰის ხელშეკრულება და მოითხოვა 1723 წლიდან ზოგიერთი ოსმალების მხრიდან დაკავებული სეფიანთა ტერიტორიების უკან დაბრუნება. სულთანის უარყოფითი პასუხი ორ სახელმწიფოს შორის ომის მიზეზი გახდა. მთელი ზამთრის განმავლობაში ლაშქრის შეგროვებით დაკავებული ნადირ ხანი სამი მიმართულებით ოსმალებზე შეტევაზე გადავიდა.

? *რა უპირატესობა შეიძლება მიეცა ნადირ ხან ეფშარისათვის სამი მიმართულებით ოსმალთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლას?*

მალე ნადირმა **ბაღდადის** გარშემო მოწინააღმდეგე გაანადგურა და ბაღდადის მმართველ ეჰმედ ფაშასთან ზავის დადებას მიაღწია. ზავის ხელშეკრულების პირობების თანახმად ოსმალეთის იმპერიას ბოლო 10 წელიწადში სეფიანებისაგან დაპყრობილ ტერიტორიებზე უარი უნდა ეთქვა. თუმცა ეს ზავი ოსმალთა სულთანმა არ დაამტკიცა. ეს კი ომის განახლების მიზეზი გახდა. ომის მოედანი ნადირ შაჰმა დასავლეთ აზერბაიჯანსა და საქართველოს ტერიტორიაზე გადაიტანა და 1734 წელს შამახი დაიკავა. შამახის დაკავების შემდეგ მან ქალაქის დანგრევისა და მოსახლეობის აღსუდ წოდებულ პატარა ადგილას გადასახლების შესახებ გასცა ბრძანება.

M *"შამახი უძველესი დროიდან ირანის (სეფიანების–რედ.) კუთვნილ შირვანის მხარეში მდებარეობდა, თუმცა ირან–თურქეთის (სეფიან–ოსმანთა–რედ) ომის დროს მისი მოსახლეობა კაზიკუმუხელი სურხაი ხანის მმართველობას სცნობდა. ნადირთან მტრულ ურთიერთობაში მყოფი სურხაი ირანზე ერთად შეტევისათვის ყირიმის თათრებს (შირვანში) იწვევდა. თუმცა ნადირის შირვანში დანახვის შემდეგ ეს არ მოხდა. ზამთრის დაწყებასთან დაკავშირებით დაღესტანში წასულმა სურხაის დასჯის შესაძლებლობის არ მქონე ნადირმა მძვინვარება შამახიზე მიმართა. ქალაქი მთლიანად დაანგრია, ქვა ქვაზე არ დატოვა, მოსახლეობა კი მონებად აქცია, შუა აზიისა და ირანის ბაზრებზე გაყიდა".*

ჰუსეინოვი ე.ი "აზერბაიჯანი ნადირ შაჰ ეფშარის მმართველობის პერიოდში"

M *"ვინაიდან ქალაქი შამახი და ცისე შეუსაბამო ადგილას მდებარეობდა, მტრის ჯარს ადგილად შეეძლო მისი აღება... ამ მიზეზით შამახიდან 4 ფერსახლიზე აღსუდ წოდებული მდინარის სიახლოეს ... ახალი, ძლიერი ცისე–სიამგრე აშენდა და ძველი ქალაქის მოსახლეობა იქ იქნა გადასახლებული. ეს ცისე–სიამგრე მალე მჭიდროდ დასახლებულ ადგილად და შირვანის მმართველის რეზიდენციად იქცა".*

მ.მ. ასტრაბადი, ნაწარმოებიდან "ჯაჰანკუშაი ნადირის ისტორიაა"

? *შეადარეთ წყაროები: თქვენი აზრით, შამახის დანგრევის საბაბი რომელ წყაროში არის უფრო სარწმუნოდ მოცემული?*

ნადირ ხანმა ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ოსმალეთის მთავარ საყრდენ პუნქტად მიჩნეულ განჯას ალყა შემოარტყა. სეფიანთა სახელმწიფოსათვის ოსმალეთის წინააღმდეგ ომის წარმოების პირობების შექმნისათვის, ასევე ნადირის მოთხოვნების მხედველობაში მიღებით რუსეთის მთავრობამ 1735 წლის მარტში ნადირის **განჯის** სიახლოვეს მდებარე ბანაკში დაიწყო სეფიანთა სახელმწიფოსთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა თერგის სამხრეთით მდებარე მთელი კასპიისპირა ტერიტორიები სეფიანთა სახელმწიფოს დაუბრუნა.

? *რა მსგავსებები არსებობს ვანჯის ზავსა და რეშტის ზავს შორის?*



ბრძოლა უჩმუაძინის სიახლოვეს

1735 წელს უჩმუაძინის ჩრდილო-აღმოსავლეთით სეფიანთა და ოსმანთა ძალებს შორის მოხდა ბრძოლა, რომელიც ნადირის სრული გამარჯვებით დამთავრდა. 1735 წლის ბოლომდე ოსმალთა ძალები წინა კავკასიიდან, მათ შორის აზერბაიჯანიდან სრულიად გაყვანილი იქნენ. ამრიგად, ამ დროს ნადირ ხანის ხელმძღვანელობით შეიძლება ითქვას, რომ სეფიანთა სახელმწიფოს ყოფილი საზღვრები აღდგენილ იქნა. ამ წარმატებით, ხალხში გაზრდილი ავტორიტეტით ისარგებლა ნადირმა და 1736 წლის ზაფხულში იქ სადაც მტკვარი და არაქსი ერთვის ერთმანეთს, მუღანის ველზე დიდი ყრილობა მოიწვია და საკუთარი თავი შაჰად გამოაცხადა.

“განჯის ხანები სანამდვილეში ყაჯართა მოდგმისა იყვნენ, მათ ზაადოღლუებსაც უწოდებდნენ... ისინი მუღანის ყრილობაზე ფარულად და აშკარად, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ საფიანელთა ვარდა ვინმე შაჰი არ გახდეს და სხვა ვინმე პიროვნება სასულთნოს სათავეში არ მოხვდეს. თურმე, ყველა ეს მოსაზრება ნადირ შაჰის ყურამდე აღწევდა და ეს სიტყვები მის სამშვიდეს არღვევდნენ... ვინაიდან ზიადის შვილები უძველეს ერთ დიდ დიასტიას წარმოადგენდნენ, ნადირ შაჰმა მათთვის რაიმე სხვა სასჯელი და რაიმე სხვა პოლიტიკის გატარება საჭიროდ არ ჩათვალა.

ყაზახი და ბორჩალოს ხალხები თავიანთ ხანებთან ერთად, საქართველოს ემირებსა და მაღალი ჩინის ვალის მმართველობას დაუქვემდებარა. ჯავანშირის, ოთუზიქისა და კებირლისაგან შემდგარი ყარაბაღის წარჩინებულების შესახებაც, შესასრულებლად აუცილებელი ბრძანება გამოიცა, რომ ისინი გადასახლებულ გადაყვანილი იქნენ ხორასანის სერეხსის ტერიტორიებზე...ხაშას მმართველებს მიეცათ ბრძანება, რომ განჯის ხანების მორჩილების ჯაჭვი ჩემი მტკიცე გადაწყვეტილების საშუალებით წმინდა და ბნელი ხალხის თავიდან მოაშორეთ. საკუთარი თავი მთლიანად თავისუფლად ჩათვალეთ. ყველა თქვენი განცხადება და მნიშვნელოვანი საქმეები დაწერეთ ჩემს... წინაშე წარმოადგინეთ. ამრიგად, განჯის ხანებს უფლებები მთლიანად წაერთვათ”.

ყარაბაღნამეები – წიგნი I. მირზა ადიგოზალ ბეი, “ყარაბაღნამე”

თქვენი აზრით, ნადირ შაჰის ეს გადაწყვეტილებები თანამედროვე პერიოდში აზერბაიჯანის რომელი გეოპოლიტიკური დანაკარგების მიზეზი გახდა?



მუღანის ყრილობა

ნადირ შაჰის საშინაო პოლიტიკა. ნადირ ხან ეფშარმა 1736 წელს ოფიციალურად შაჰად გამოცხადების შემდეგ სცადა ირანის მართვის ცენტრალიზება. მისი სახელმწიფო მეჰშედის, თებრიზისა და შირაზის ცენტრებად ყოფნით 3 საბეგლარბეგოდ დაიყო. ხორასანს მისი შვილი რზაკულუ, აზერბაიჯანს კი მისი ძმა იბრაჰიმ ხანი მართავდა. მოსამართლეები და სხვა მოხელეები ბეგლარბეგებს ემორჩილებოდნენ. ისინი უშუალოდ მეფის მიერ ინიშნებოდნენ. ნადირის შიგასახელმწიფოებრივი ძირითადი ნაბიჯებიდან ერთ-ერთი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებასა და ფეოდალების სეპარატიზმის აღმოფხვრაზე მიმართული აგრარული პოლიტიკა იყო. ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით სახელმწიფო მიწის ფონდის გაზრდის მცდელმა ნადირ შაჰმა ვეკფის მიწების დიდი ნაწილი, ასევე მეცხოველე ტომებისათვის და ზოგიერთი მსხვილი ფეოდალებისათვის მიკუთვნებული მიწების სახელმწიფოს სასარგებლოდ კონფისკაცია მოახდინა. ხოლო შემდეგ ნადირ შაჰმა ქვეყანაში მთელი ვეკფის მიწების სახელმწიფოს მხრიდან დაბრუნებისა და მათი შემოსავლის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაუფლების შესახებ გამოსცა ბრძანება. ნადირის მსხვილი



ნადირ შაჰ ეფშარის იმპერია. 1736–1747 წლები

ფეოდალების ავტორიტეტის შერყევაზე მიმართული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ოლქის შემოსავლებსა და გასავლებში ჩარევის აღკვეთისაკენ შედგებოდა. ამიტომაც მან გასცა ბრძანება, რომ ამის შემდეგ მხარეების მმართველები, მოხელეები თავის ხელფასს აიღებენ არა მიწიდან მიღებული პროდუქტის, არამედ ფულის სახით. ეს შეეხო ბეგლარბეგებსაც. ტახტზე ასვლის შემდეგ ნადირ შაჰი სახელმწიფოს ქალაქებსა და სოფლების ეკონომიკური მდგომარეობას მუდმივად თვალ-ყურს ადევნებდა, იგი გამოსცემდა ბრძანებებს განსაკუთრებით დაუმუშავებელი, უპატრონოდ დარჩენილი მიწების კეთილმოწყობის, დანგრეული სარწყავი სისტემების მოწესრიგებისათვის.

1. მოხელეების მიერ ხელფასის არა მიწის ნობათით, არამედ ფულის სახით აღებამ რა გავლენა მოახდინა ფეოდალების ავტორიტეტის შერყევაზე?
2. რის წინააღმდეგ მიმართა ნადირშა აგრარული პოლიტიკა?
3. გეკეფის მიწებიდან მიღებული შემოსავლის სახელმწიფოს ხაზინაში გადასვლას ხელისუფლებისავან ვისი უკმაყოფილება შეიძლება გამოეწვია?

ნადირ შაჰი ცდილობდა, რომ საგადასახადო სისტემის წესრიგში მოყვანით გამოეცოცხლებინა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. ვაჭრობის შემაფერხებელი პიროვნებები სასტიკად ისჯებოდნენ.

ნადირ შაჰის ბრძანებით სახელმწიფოს შემოსავლების გაკონტროლებისათვის გადასახადების შეგროვების სფეროში წესრიგი გაიზარდა. XVIII საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში ნადირ შაჰის ჯარის დიდ ნაწილს სოფლელები შეადგენდნენ. ამას კი არ შეიძლება თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. თეჰმასიბ II-ის დროს დაწყებული და ნადირ შაჰ ეფშარის მიერ გაგრძელებული უცხოელი დამპყრობლების ქვეყნიდან განდევნის დაუსრულებელი ომები დიდ სახსრებს მოითხოვდნენ. ეს კი იწვევდა ახალი გადასახადების შემოღებას და საზოგადოებრივი მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას.

1. თქვენი აზრით, ნადირ შაჰის მიერ ცხოვრებაში გატარებული რომელი რეფორმა იყო არასწორი? მოსაზრება დაასაბუთეთ.
2. ნადირ შაჰის ადგილას თქვენ რომ ყოფილიყავით, რა ნაბიჯებს გადადგავდით სახელმწიფოს შინაგანი განმტკიცებისათვის?



ნადირ შაჰი საბრძოლო დავალებების მიცემისას

XVIII საუკუნის 30-40-იან წლებში გადასახადების ტვირთის სიმრავლე, მათი სიმძიმე, მუდმივად ომების მწარმოებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განვითარების შეფერხებას იწვევდა. ეს კი ხშირად აჯანყებებით სრულდებოდა.

ნადირის წინააღმდეგ აზერბაიჯანში პირველი აჯანყებები 1734 წელს ასტარაში, ხოლო შემდეგ ჭარ-ბელექანში მოხდა. 1738 წელს ნადირის ინდოეთის მიმართულებით სამხედრო ლაშქრობაში ყოფნით ისარგებლეს ჭარ-ბელექნელებმა და კვლავ აჯანყდნენ. აჯანყების ჩახშობისათვის ჭარში მოსული ნადირის ძმა იბრაჰიმ ხანი აჯანყებულებთან ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს. მალე ინდოეთში და ცენტრალურ აზიაში ლაშქრობის დამთავრების შემდეგ ნადირ შაჰი დიდი ჯარით აზერბაიჯანისა და დაღესტნისაკენ დაიძრა. დაღესტნის მთლიანად ხელში აღებისა და აზერბაიჯანში წესრიგის აღდგენის შემდეგ ნადირ შაჰმა 1743 წლის ზაფხულში ჯარი სამხრეთი კავკასიიდან გაიყვანა. ეს აზერბაიჯანში ახალი აჯანყებების ტალღის მიზეზი გახდა. 1743 წელს მიმდევრობით საკუთარი თავის სეფიანთა შაჰად გამომცხადებელი სამ მირზა I-ისა და II-ის აჯანყებები მოხდა. ჰაჯი ჩალაბის მეთაურობით დაიწყო აჯანყება, რომელიც 1743 წლის ბოლოს შეიქის სახანოს შექმნით დასრულდა. ნადირ შაჰი ამ აჯანყებებს წარმატებით ახშობდა. 1747 წელს ერდებილში სამ მირზა III-ის მეთაურობით დაწყებული აჯანყებაც ჩახშობილ იქნა. 1747 წლის 19 ივნისს "**აღმოსავლეთის უკანასკნელი დამპყრობის**" ნადირ შაჰის შეთქმულების შედეგად მოკვლით მისი იმპერიაც დაიშალა.

1. რაში მდგომარეობდა ნადირშაჰის მმართველობის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყებების მიზეზები?
2. თქვენი აზრით, აზერბაიჯანის მოსახლეობის გარდა რა შეიძლება ყოფილიყო საზღვრების შენარჩუნების მიზეზი?
*3. შეადგინეთ დიაგრამა **XIII, XVI** და **XVIII** საუკუნეებში აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური პოზიციების შესახებ.*
*4. განმარტეთ აზერბაიჯანის პოზიცია **XVIII** საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში.*
5. შეაფასეთ ნადირ შაჰის სახელმწიფოს შექმნასა და განვითარებაში შესაბამისი დროის თავისებურებები.
6. მოცემული წყაროების საფუძველზე შეადარეთ აზერბაიჯანის ისტორიის წარსული და თანამედროვე პერიოდებში
7. განსაზღვრეთ მოცემული წერილობითი წყაროების ავტორების პოზიციები
8. მოამზადეთ რეფერატი ნადირ შაჰის შესახებ.



37

ᲮᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲜᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცებული აზერბაიჯანის ერთი-ან სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის მებრძოლ ხანებს შორის ერთ-ერთი კუბელი ფათალი ხანი იყო. მისი მოღვაწეობის შედეგად ჩრდილო-აღმოსავლეთი აზერბაიჯანის მიწები მართალია მცირე ხნით, მაგრამ გაერთიანებული იქნა.

ჰუსეინელი ხანი. ფათალი ხანი, შამახის სახანო, დერბენდის სახანო, ბაქოს სახანო

როგორ შეიქმნა სახანოები. XVIII საუკუნის შუა ხანებიდან XIX საუკუნის I მეოთხედის ბოლომდე პერიოდი აზერბაიჯანის ისტორიაში შევიდა როგორც სახანოების ფეოდალური დაქუცმაცებულის პერიოდი. ამ დროს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 20 სახანო, 6 სასულთნო, 5 სამელიქო და 1 საჯამაათო (თემი) არსებობდა. აზერბაიჯანში მრავალი სახანოსა და სხვა ფეოდალური წარმონაქმნების შექმნა, ქვეყნის სხვადასხვა ოლქებს შორის სტაბილური ეკონომიკური ურთიერთობების არ არსებობის, ნატურალური მეურნეობის ბატონობის ცალკეულ ოლქებში სხვადასხვა ფულის, ზომისა და წონის ერთეულების გამოყენების, ასევე ფეოდალების ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავიანთი მმართველობის აგების დამოუკიდებლობის მცდელობის შედეგი იყო. იმავდროულად სახანოების წარმოქმნაში ერთ-ერთი დამხმარე ფაქტორი ნადირ შაჰის სიკვდილი და მას შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის მწვავე ბრძოლის დაწყება და ამ ბრძოლის მიმდინარეობისას ცენტრალური მმართველობის დასუსტება იყო.



აზერბაიჯანის სახანოები

რა იყო ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ აზერბაიჯანში ასე ბევრი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის მიზეზი? იმავე პერიოდში ევროპის რომელ ქვეყნებში ხდებოდა პოლიტიკური განსხვავებები?

ისტორიული დოკუმენტები და მათი შესაბამისი ზეპირსიტყვიერება უჩვენებს, რომ როგორც ამიერკავკასია ისე ირანი საუკუნეების განმავლობაში ხალხის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასვლისა და უწყვეტი შეტაკებების შედეგად, ამ ადგილების მმართველის ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ, ერთიმეორესადმი მტრულად განწყობილ მრავალ დამოუკიდებელ სახანოდ დაიშალა. ამ დროს უპატრონოდ დარჩენილი ტახტ-გვირგვინის მოპოვების მსურველი მრავალი ადამიანი აღმოჩნდა. თუმცა მათი უმრავლესობიდან არცერთს მოშხრეები არ ჰყოლია და შედეგად თითოეული ხანი მთელი ძალით სუსტი მეზობლების დამორჩილებასა და შემდეგ კი ირანის დიდებული ტახტ-გვირგვინის დაპყრობას ცდილობდა.

“ყარაბაღნამეები”, წიგნი I

რაში ხედავს ავტორი სახანოების შექმნის ძირითად მიზეზს?



ფათალი ხანი

1726 წელს რუსეთის სახელისუფლო ძალებმა რუსეთზე დამოკიდებულობის პირობით ჰუსეინ ბეგი კუბის ხანად გამოაცხადეს. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ კუბელმა ჰუსეინელი (1726-1758) ხანმა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო. კუბის სახანოს გაძლიერება დაკავშირებულია ფათალი ხანის (1758-1789) ხელისუფლებაში მოსვლასთან. ფათალი ხანის მმართველობის პერიოდის გაანალიზებისას მისი მოღვაწეობის 3 მნიშვნელოვან სფეროდ დაყოფა შეიძლება:

1. საგადასახადო რეფორმა;
2. გადასახლების პოლიტიკა;
3. გაერთიანების პოლიტიკა.

გადასახადების რეფორმა. ფათალი ხანი გადასახადების შეკრების საქმის მოწესრიგებით ეცდებოდა ხაზინის შემოსავლები გაეზარდა, ამიტომაც მან საგადასახადო რეფორმა გაატარა. მანამდე გადასახადებს მაჰალის ნაიბები აგროვებდნენ. ამ დროს ნაიბები შეგროვებული გადასახადების ერთ ნაწილს ითვისებდნენ, შეგროვებული გადასახადების ერთბაშად ხაზინაში შესვლის უზრუნველყოფის მიზნით ფათალი ხანმა ეს წესი გააუქმა. ამის შემდეგ გადასახადი ქენდხუდას (მამასახლისს) უნდა შეეკრიბა და ხანის ხაზინაში პირადად უნდა ჩაებარებინა. ასევე სოფლელების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფათალი ხანის მითითებით ზოგიერთი გადასახადი მხოლოდ შაჰის იასაულების მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გადახდილიყო.

რატომ იყო დაინტერესებული ფათალი ხანი სოფლელების მდგომარეობის გაუმჯობესებით?

გადასახლების პოლიტიკა. ფათალი ხანის გადასახლების პოლიტიკა თავის მხრივ 3 ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა: მუღანიდან, გილანიდან, ერდებილიდან და სხვა ადგილებიდან კუბის სახანოს თავისთვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად შემრჩევი სოფლელების, ხელოსნებისა და ზოგიერთი ფეოდალის კუბის სახანოს ტერიტორიაზე ჩამოსახლება; 2. თავდაცვის გაძლიერება: ფათალი ხანმა თავისი საზღვრების განმტკიცებისათვის მუღანიდან შაჰის ერთგული მებრძოლების ერთი ნაწილი სახანოს ტერიტორიაზე ჩამოასახლა; 3. საკუთარი თავისათვის საყრდენის შექმნა. ქალაქ შამახის დაპყრობის შემდეგ, ფათალი ხანმა საკუთარი საყრდენის შექმნის მიზნით დერბენდიდან, კუბიდან და სალიანიდან თავისი მომხრეები შამახიში ჩამოასახლა.

რატომ იყო დაინტერესებული ფათალი ხანი სახანოს მოსახლეობის გაზრდით?

გაერთიანების პოლიტიკა. ფათალი ხანის ყველაზე საინტერესო მნიშვნელობის მატარებელი პოლიტიკა მისი გატარებული გაერთიანების პოლიტიკა იყო. როგორც ცნობილია, გაერთიანების პოლიტიკის მხრივ კუბის სახანოსთან შეერთებული პირველი ტერიტორია 1757 წელს ჰუსეინელი ხანის დამორჩილებული სალიანის სახანო იყო. მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ასულმა ფათალი ხანმა შემოერთების პოლიტიკა გააგრძელა და მოკლე დროში ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით 1759 წელს წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დერბენდის სახანო კუბის სახანოს დაუმორჩილა. ჯერი შამახის სახანოზე მიდგა.

თუმცა ფათალი ხანმა მეზობელი სახანოებიდან დახმარების მიმღები და სხვა სახანოებისაგან ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით ძლიერი შამახის სახანოს დაპყრობა გარკვეული დროით გადადო. შამახის სახანოს დაპყრობისათვის მზადებისას ფათალი ხანმა „დაოჯახების დიპლომატიის“ საშუალებით ბაქოს სახანო მასზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააგდო, ამით ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიების გაერთიანების პირველი ეტაპი დასრულდა.

ფათალი ხანის გატარებული გაერთიანების პოლიტიკის საფუძვლისადმი რეფორმების გატარებით რეალიზება შეიძლებოდა?
რა კავშირებს ხედავთ, ფათალი ხანის გატარებულ პოლიტიკებს შორის?

"ფათალი ხანმა თავის მიზნებში უკან არ დაიხია. ბაქოს ხანთან შეთანხმებით მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედროებიდან 12000 კაცი შეკრიბა. შამახისაკენ მიმართა და შამახის სიახლოვეს მთაში მუჯდის ცისე-სიმაგრე ყოველგვარი სირთულის გარეშე აიღო... შამახის ხანს შეტყობინება გაუგზავნა, რომ მან თავისი ჯარი გაამზადოს და განსაზღვროს ბრძოლის დღე. შამახის ხანს მებრძოლები ბევრი ჰყავდა, თუმცა 25000-მდე მოწესრიგებული ჯარის შეკრების მიუხედავად, ფათალი ხანთან ბრძოლაში ჩასაბმელად გამბედაობა არ ეყოთ. რადგან შამახის მმართველების უმრავლესობა მისი ერთგული არ იყო..."
რუსეთის ირანში არსებული კონსულის მ.სულიაკოვის საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი 1767 წლის 13 სექტემბრის წერილიდან.

წყაროს საფუძველზე შეადარეთ შამახისა და კუბის ხანების პოზიციები.



ქალაქი დერბენდი, 1796 წელი

გაერთიანების პოლიტიკის მეორე ეტაპი. ამ ეტაპზე წარიმართა ბრძოლა შამახისა და ჯავადის სახანოების გაერთიანებისათვის. ბრძოლა შამახის აღებისათვის იყო ძალიან უმოწყალო და სისხლიანი. შამახის სახანო როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით იპყრობდა ფათალი ხანის ყურადღებას. სახანო ჩრდილო-აღმოსავლეთით კუბის სახანოს, აღმოსავლეთით ბაქოს, სამხრეთ-დასავლეთით ყარაბაღის სახანოებს, სამხრეთით მდინარე მტკვარს ესაზღვრებოდა. ადრე შამახის სახანო კუბის სახანოს მისი ტერიტორიების დაღესტნელთა შემოსევებისაგან დაცვისათვის ყოველწლიურად გადასახადს უხდიდა. გარკვეული დროის შემდეგ, შამახის მმართველებმა კუბის ხანს უარი უთხრეს გადახდაზე და ორ სახანოს შორის ურთიერთობები გაუარესდა. შედეგად 1765 წელს დაიწყო კუბა-ხაჩმაზის ომი. ომის პირველ ხანებში შექელი ჰუსეინ ხანის შამახის ხანისათვის გაწეული დახმარება ხელს უშლიდა ფათალი ხანს წარმატების მოპოვებაში. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მაძებარმა ფათალი ხანმა ჰუსეინ ხანი გადაიბირა. ამრიგად, შა-

მახის სახანოს ბედი გადაწყდა. მართალია, შამახის სახანო ჯერ კუბისა და შექის სახანოს შორის გადანაწილდა, 1768 წლის აგვისტოში ფათალი ხანმა ჰუსეინ ხანი დაამარცხა, შამახი მთლიანად კუბის სახანოს დაუმორჩილა. შამახის აღების შემდეგ მდინარეების მტკვრისა და არაქსის შესართავთან მდებარე ჯავადის სახანოც ჩრდილო-აღმოსავლეთი აზერბაიჯანის სახელმწიფოს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. ამ სახანოებთან ერთად 1785 წელს ლენქორანის (თალიშის) და შექის სახანოებმაც კუბის სახანოზე დამოკიდებულება მიიღეს.

რა სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა კუბის სახანოსათვის შამახის სახანოს დაპყრობას?

“კუბის სახანო ერთ-ერთ ძლიერ სახანოდ ითვლება, საკმაოდ მდიდარია. მისი მუდმივი ჯარი 3000 კაცი-საგან შედგება, თუმცა თავისი მეზობლების – ნუხის (შექი), შირვანისა და შუშის (ყარაბაღის) სახანოების წინააღმდეგ გამოსვლისას დაღესტნის მმართველებსა და ლეკებს დასახმარებლად იწვევდა”.

XVIII საუკუნის წყარო.

ე. კარაევი აზერბაიჯანი რუსი და დასავლეთ ევროპელი მოგზაურების ნაშუშევრებში

თუ გაგითვალისწინებთ იმას, რომ კუბის სახანო შექის, შამახისა და ყარაბაღის სახანოების წინააღმდეგ გამოსვლისას დაღესტნის მმართველებისაგან ითხოვდა დახმარებას, ამ სახანოს შეიძლება ეწოდოს ძლიერი სახანო?

ფათალი ხანს მხოლოდ მეზობელი ტერიტორიების შემოერთებით დაკმაყოფილების სურვილი არ ჰქონია. მის გეგმებში მთელი აზერბაიჯანის და უფრო მეტიც, ირანის ზოგიერთი ადგილების დაპყრობაც შედიოდა. ამ მიზნების რეალიზებისათვის ფათალი ხანმა 1784 წლის ზაფხულში სამხრეთ აზერბაიჯანს (ამ დროს მან ერდებილი და მუშქინი დაიკავა) შეუტია. თუმცა აზერბაიჯანის შესახებ საკუთარი გეგმების მქონე რუსეთი და მისი სამხრეთ კავკასიაში არსებული ხელქვეითი ქართლ-კახეთის სამეფო ყველა საშუალებით ცდილობდა ამისათვის ხელი შეეშალა.

1789 წელს ფათალი ხანი გარდაიცვალა. ხელისუფლებაში მოსულმა შვილებმა ვერ შეძლეს მამის წარმატებების განმტკიცება. მალე დამოკიდებულებაში მყოფი სახანოები კუბის დაქვემდებარებიდან გამოვიდნენ.

ისტორიიდან გაიხსენეთ ამის მსგავსი უუნარო მემკვიდრეებთან დაკავშირებული შემთხვევები.

კუბის ხანები

ჰუსეინელი → ფათალი → ეჰმედი → შეიხელი

1. ინტერნეტის რესურსების გამოყენებით შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია და მოამზადეთ რეფერატი კუბის ხანების შესახებ.

2. მე-8 კლასში მოპოვებული ცოდნის საფუძველზე შეავსეთ კუბის სახანოს მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირების ამსახველი ქვემოთ მოცემული ცხრილი.

კუბის სახანოსთან ურთიერთობაში მყოფი სახელმწიფოები	ურთიერთობის ტიპი		მოსაზრება ერთი ფაქტით დაასაბუთეთ.
	მეგობრული	მტრული	



38

შექის სახანო. ჭარ-ბელექანის თემი

“ჩემს წინაშე არავინ არის ისეთი, რომ გაიჭაჭანოს, შექელი ჩალაბი რა სიმამაცის მფლობელი ყოფილა, რომ ყველზე თოკწაჭირებულმა მე ეს გამიგეთა. თანაც სიტყვაც არ გატეხა, რა თქმა უნდა ამისავან ერთი შეცდომა იჩენს თავს. ჩემი გარაუდით შეცდომა არ იქნება”.

ნადირ შაჰი

ჰაჯი ჩალაბი, კიზილკარას ღალატი, ქართლ-კახეთის სამეფო, ბაიათის ომი



ჰაჯი ჩალაბი ხანი

შექის სახანოს შექმნა და განმტკიცება. აზერბაიჯანის ჩრდილოეთით მდებარე შექის სახანოს საფუძველი ჩაუყარა ჰაჯი ჩალაბიმ. მართალია, ჰაჯი ჩალაბიმ ჯერ კიდევ ნადირ შაჰის სიცოცხლეში აჯანყება მოახდინა, თავი დამოუკიდებელ ხანად გამოაცხადა, მაგრამ მისი ძირითადი მოღვაწეობა ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ პერიოდს ემთხვევა. 1747 წლის ზაფხულში, ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების შედეგად სხვა აზერბაიჯანელი ხალხების მსგავსად, შექის სახანომაც დაიწყო თავის დამოუკიდებელად ცნობა. ამ დროს ჰაჯი ჩალაბიმ ისარგებლა ხელსაყრელი მდგომარეობით და მეზობელი ტერიტორიების სახანოსათვის შემოერთება გადაწყვიტა. ჰაჯი ჩალაბიმ პირველ რიგში მეზობლად მდებარე კებელე და ერეშის სასულთნოები დაიმორჩილა, ხოლო შემდეგ ახლახან დამოუკიდებლობა გამოცხადებული ყარაბაღის სახანის შეუტია. მართალია, ყარაბაღის ზოგიერთი ტერიტორია დაიპყრო ყარაბაღელი ფენაჰელი ხანი ბაიათის ციხე-სიმაგრეში გამაგრდა და მას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ჰაჯი ჩალაბიმ თავის მოკავშირე შამახის ხანთან ერთ თვეზე მეტ ხანს ბაიათის ციხე-სიმაგრე ალყაში მოაქცია, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. დიდი დანაკარგების შემდეგ უკან დაბრუნებულმა ჰაჯი ჩალაბიმ ფენაჰელი ხანის დამოუკიდებლობა სცნო.

რომელი ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო ჰაჯი ჩალაბიმ მეზობელი ტერიტორიების სახანოსათვის შემოერთებისათვის?
თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ჰაჯი ჩალაბიმ ვერ აიღო ბაიათის ციხე?

ჰაჯი ჩალაბი მოვიდა და ალყის შემოტყმით დაკავდა. ყოველდღე კამათობს, აყალმაყალს თავს არ ანებებდნენ. ბოლოს ჰაჯი ჩალაბი მიზნისათვის მიუღწევლად საკმაო ზარალით უკან დაბრუნდა. მან გზაზე დაბრუნებისას თქვა: "ფენაჰ ხანი აქამდე გამოსახულების არ მქონე ვერცხლი იყო, ჩვენ მოვედით, ეი გამოვსახეთ და დავბრუნდით. ეს სიტყვები ხალხის ენაზე და ჯამაათი პირზე მაგალითად რჩებოდა."

“ყარაბაღნამეები“, წიგნი II

როგორ გესმით ჰაჯი ჩალაბის სიტყვები: "ფენაჰ ხანი აქამდე გამოსახულების არ მქონე გვერცხლი იყო, ჩვენ მოვედით, იგი გამოვსახეთ და დავბრუნდით"?

ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. შექის სახანოს ასეთი აქტიურობის გამოჩენა მეზობელ სახანოებსა და ასევე ქართლ-კახეთის[1] სამეფოს მოსვენებას უკარგავდა. ქართლ-კახეთის მეფეები სარგებლობდნენ რა, ირანში შაჰის ხელისუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლებით, ყაზახისა და შემსედილის სასულთნოების დაკავების შემდეგ, ჭარ-ბელაქანის თემის, განჯისა და უფრო მეტიც, ყარაბაღის დაკავებას ეცდებოდნენ. ქართლ-კახეთის მეფეების 1751 წლის თებერვალში ჭარის ტერიტორიებზე განხორციელებული შეტევები ჰაჯი ჩალაბიმ აღკვეთა. ასეთ პირობებში ქართველმა მეფეებმა ჰაჟი ჩალაბის წინააღმდეგ საბრძოლველად აზერბაიჯანელი ხანების ძალების გამოყენება მოიფიქრეს. განჯის, ყარაბაღის, ყარადაღის, ნახჩევანისა და ირევანის ხანები ქართლ-კახეთის მეფეებთან 1752 წლის მარტში მოკავშირეობის დადებისათვის განჯის სიახლოვეს შეხვდნენ ერთმანეთს.



ერეკლე II

თუმცა ეს შეხვედრა ისე არ დასრულდა, როგორსაც ხანები ელოდნენ. ქართველმა მეფეებმა, მოლაპარაკებაზე მოსული აზერბაიჯანელი ხანები ტყვედ აიყვანეს და საქართველოში წაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს. შეიტყო რა ეს ამბავი ჩალაბი ხანმა, დროის დაუკარგავად მტერს დაედევნა ყიზილყარად წოდებულ ადგილას ქართველებს დამარცხება აგემა. ჰაჯი ჩალაბი ხანმა ტყვეობიდან გათავისუფლებულ ხანებთან შეხვედრის გარეშე მტრის დევნა განაგრძო და შედეგად ბორჩალოსა და ყაზახის მაჰალები ხელში აიღო. ამ მაჰალების მართვა შვილს აღაქიშის ჩააბარა და შექიში დაბრუნდა.

ქართველმა მეფეებმა რატომ დაატყვევეს მოლაპარაკებაზე მოსული აზერბაიჯანელი ხანები და რა მიზნით მიჰყავდათ საქართველოში?

სახანოს დასუსტება. ქართველებზე გამარჯვებით რწმენა განმტკიცებულმა ჰაჯი ჩალაბიმ ყურადღება აღმოსავლეთისაკენ მიმართა და აღსუს ალყა შემოარტყა. თუმცა კუბისა და შამახის სახანოების გაერთიანებული ძალების მიერ დამარცხებულმა უკან დაიხია. 1755 წელს ჰაჯი ჩალაბის შემდეგ ხელისუფლებაში მისი შვილი აღაქიში მოვიდა. მოკლე დროში აღაქიში სიმამრმა კიზიკუმუხელმა მუჰამედ ხანმა მოკლა და ხელისუფლებაში მოვიდა. ორმოცი დღის შემდეგ კუბის ხანის ფათალი ხანის დახმარებით ჰაჯი ჩალაბის შვილიშვილმა ჰუსეინ ხანმა იგი ტახტიდან ჩამოაგდო და მმართველობა ხელში აიღო. ჰუსეინ ხანის მმართველობის პირველ ხანებში კუბის სახანოსთან სამოკავშირეო ურთიერთობები შენარჩუნებული იყო, თუმცა შამახის სახანოსათვის ბრძოლის დროს ეს კავშირი დაირღვა და ყოფილი მოკავშირეები მოწინააღმდეგეები გახდნენ. მალე ამ ბრძოლაში დამარცხებულმა ჰუსეინ ხანმა 1769 წელს ფათალი ხანთან ხელშეკრულება დადო, ამ ხელშეკრულებით ჰუსეინ ხანმა აიღო ვალდებულება, რომ როცა ფათალი ხანს დასჭირდებოდა ჯარი, უნდა მიეცა და შამახის საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო.



შექის სახანოს ჯარი ბრძოლაში, მინიატურა

[1] ***ქართლ-კახეთის სამეფო*** – 1744 წელს ნადირ შაჰმა თეიმურაზ II ქართლის მეფედ, მისი შვილი ერეკლე II კი კახეთის მეფედ დანიშნა. 1762 წელს თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ ერეკლე II მამის ტახტსაც დაეუფლა და სამეფო გააერთიანა.

“მუჰამედ ხანი... ნუხაში უწამებია, ორმოცი დღე ნუხაში დარჩენილა. ორმოცი დღის შემდეგ შექი მოუშინაურებია. ჰუსეინ შაჰი შირვანიდან მოუყვანია, მუჰამედ ხანი შექიდან გაუგდია. ჰუსეინ ხანი შექიში ხანად დაუსვიათ. ერეშის სულთანს მელიქ ელის ჰუსეინ ხანისათვის არ მოუსმენია. ორი წელი ჰუსეინ (ხანი) მათ შემდეგ ირანში ერთი ეფშარ ფეთელი ხანი ყოფილა, სარდალი ყოფილა, ყარაბაღში მოდის. მელიქ ელი ფათალი ხანთან წავა, რომ შექიში იგი ხანად დასვას. ჰუსეინ ხანი ამას გაიგებს, ისიც ფეშქაში სარდალთან წავა. სარდალი ფათალი ხანი სხვადასხვებისავან და უფროსებისავან შეიტყობს, რომ შექის ოლქის ნამდვილი ბეგისწული მელიქ ელია თუ ჰუსეინ ხანი? გაიაცხადებენ, რომ ჰუსეინი ხანია. მათი შვილები ამათი მოსამსახურეებია. ყოველთვის ამათ სამსახურში მდგარან. შემდეგ სარდალ ფათალი ხანს მელიქ ელი არ მოსწონებია (ბრაზი მოსვლია), რომ აღას რატომ უპირისპირდებიო უთქვია, დაუკავებია და ჰუსეინ ხანისათვის გადაუცია. ჰუსეინ ხანისათვის უთქვია, რომ მისი ბოძებით იყო ხანად ქცეული. ჰუსეინ ხანმა მელიქ ელი ჩაიბარა, შექში მოვიდა, მელიქ ელი მოკლა და შექის მმართველი გახდა”.

ქერიმ აღა ფატეჰი, ნაწარმოებიდან "შექის ხანების მოკლე ისტორია"

წყაროს ტექსტის შესაბამისი ადგილები გამართეთ და გამოთქვით მოსაზრებები.



ქარვანსარაი, შექი XVIII საუკუნე

ოც წელიწადზე მეტ ხანს შექის მმართველი ჰუსეინ ხანი მმართველობისათვის თავის ნათესავებსა და ემირებთან ბრძოლას აწარმოებდა. 1779 წელს შეთქმულების შედეგად ჰუსეინ ხანი მოკლეს. მმართველობაში მოვიდა ჰაჯი ჩალაბის შვილი ებდულკადირი. ამით შექიში მმართველობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, რამაც შექი როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით შეარყია

როგორ აისახა ჰუსეინ ხანის მმართველობა შექის ისტორიაზე?

"...შექის ხანს, შირვანისა და ყარაბაღის სარდლებს, მუჰამედ სეიდ ხანს, იბრაჰიმ ხანს, აღასი ხანს სიტყვა დაუთქვიათ, თუ მუსლიმანების მხარეს ურჯულოთა შეტევა მოხდება, მათ წინააღმდეგ ვაერთიანებულ ბრძოლას აწარმოებენ. თქვენვანაც სწორედ ეს გვინდა, ასეთ მდგომარეობაში თქვენც ისლამს მიეხმარეთ..."

ჩალდირის ვალის სულეიმან ფაშას ოსმალი სულთანისადმი 1784 წელს გაგზავნილი წერილიდან.

წერილის საფუძველზე რა შეგიძლიათ თქვათ შექის სახანოსა და ოსმანთა სახელმწიფოს ურთიერთობების შესახებ?

შექის ხანი მუჰამედ ჰასან ხანი 1784 წელს ოსმალთა სასახლეში გაგზავნილ მორიგ წერილში წერდა: "...არაკლი (ერეკლე. მთარგ.) ხანის რუსეთის წაქეზებით აზერბაიჯანის ტერიტორიების, მათ შორის არევანის ციხის აგრესიის წინააღმდეგ აზერბაიჯანისა და დაღესტნის ხანების ერთობლივი ქმედებების შესახებ ბრძანების დაცვით სახელმწიფოს უმაღლესი წრის სამსახურში ვიყავით.
...გვახსოვს სიმაგრე, რამდენიმე წელია რუსეთის დახმარებით არაკლი ხანის დაპყრობის ქვეშ მყოფი მოსახლეობა, გარშემო მყოფი მმართველებისა და ოსმალთა ჯარის ძალით უკან აღებულ იქნა. შემდგომში არაკლი ხანის შვილი ალმას მირზამ, სძე დავუდ ბეგმა და შემსდინელმა ელი სულთანმა საკმაო ჯარით აქ შეტევა განახორციელეს, ციხე-სიმაგრის მოსახლეობის თხოვნით და ალაჰის წყალობით მოსახლეობა და სხვა თანამორწმუნე მუჰამედის დახმარების შედეგად მტრის საფრთხისაგან გახსენით".

წერილზე დაყრდნობით შეაფასეთ მუჰამედ ჰასან ხანის პოლიტიკა.
ეს ორი სხვადასხვა წერილი შედარების ფორმით გაანალიზეთ.

ჭარ-ბელექანის საჯამაათო (თემი). აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ჭარ-ბელექანის თემი ჭარის, ბელექანის, კატეხის, თალას, მუხახისა და ჯენიქის თავისუფალი საზოგადოებების თავის თავში გამაერთიანებელი სოციალურ-პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. თითოეული საზოგადოება ჯამაათად წოდებული რამდენიმე სოფლის თემისაგან (იჯმა) შედგებოდა. თითოეული იჯმა ქენდხუდისა და ყაზის მიერ იმართებოდა. მართვა შარიათის წესებს ეფუძნებოდა. საზოგადოებაში სასულიერო პირებს დიდი ავტორიტეტი გააჩნდათ. საჯამაათოს უმაღლესი ორგანო სახალხო კრება იყო. მასში მონაწილეობის მიღება მხოლოდ სრულწლოვან მამაკაცებს შეეძლოთ. კრებაზე ჯამაათის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილებოდა და მიღებული გადაწყვეტილებები კანონის ძალას იღებდნენ. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჭარ-ბელექანის თემი შექის სახანოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. თემმა XVIII საუკუნის ბოლოს განსაზღვრული დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო.

რომელი დემოკრატიული ნორმები აღინიშნებოდა ჭარ-ბელექანის თემში? მოსაზრება დაასაბუთეთ.

1. 5-7 წინადადებიანი ესეი აღწერეთ გამაერთიანებელი პოლიტიკის გამავრებული სახანოების საქმიანობა.
2. მოამზადეთ წარდგენა ტექსტში მოცემული წყაროების გამოყენებით.
3. რუკაზე უჩვენეთ ჰაჯი ჩალაბის მიერ შემოერთებული და შეტევა განხორციელებული ტერიტორიები.



39


ყარაბაღის სახანო

ძალიან მიყვარს მე ყარა ბაღი,
შავი მტევანი და შავი ბაღი,
თეორანი თუნდ სამოთხედ იქცეს,
რაც დამავიწყოს მე ყარაბაღი.

იბრაჰიმხელილ ხანის ასულის აღაბეიმ აღას ლექსი

ზიადოღლუები, ქებირლი ელი, ფენაჰელი, იბრაჰიმხელილი, შაჰბულაღის ციხე, შუშა

ყარაბაღის სახანოს შექმნა. ყარაბაღის სახანო სეფიანთა სახელმწიფოში არსებული ყარაბაღის საბეგლარბეგოს ტერიტორიაზე შექმნილი ორი სახანოს (განჯისა და ყარაბაღის) ერთიანობა იყო. სახანოს საფუძველი დაუდო ჯავანშირების მოდგმიდან მყოფმა ფენეჰელი ხანმა. სახანოს მოსახლეობის უმრავლესობას ჯავანშირები, ზიადოღლუები, იგირმიდერდები, ოთუზიქიები, ქებირლის მოდგმები შეადგენდნენ. 1736 წელს მუღანში შემდგარი ტახტზე ასვლის ზეიმის დროს ნადირ შაჰის მეფედ გამოცხადებაზე უარის თქმის გამო ნადირმა ყარაბაღის საბეგლარბეგო დასაჯა. მან ყაზახი, ბორჩალო და შემსედდილის ტერიტორიები ყარაბაღის საბეგლარბეგოს დაქვემდებარებიდან გამოიყვანა, ქართლის მეფის განკარგულებაში გადასცა. ყარაბაღის მოსახლეობის ერთი ნაწილი ხორასანის მიმართულებით გადაასახლა. ასევე ყარაბაღის საბეგლარბეგოს დაქვემდებარებაში მყოფი ხუთი ყარაბაღის სამელიქო საბეგლარბეგოს დაქვემდებარებიდან გამოიყვანა, მათ დამოუკიდებლობა მისცა.



ყარაბაღის სახანო

?

ნადირ შაჰის მიერ ყარაბაღის საბეგლარბეგოს დასჯის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა შეშფოთში რომელი უარყოფითი შედეგები გამოიღო?

1748 წელს ყარაბაღის ერთ ნაწილში მმართველობის ხელში ამღებმა ფენეჰელი ხანმა სახანოს ტერიტორიაზე მმართველობის განმტკიცებისათვის ნადირ შაჰის მიერ გადასახლებული მოდგმები უკან დააბრუნა. ასევე მტრებისაგან და მეზობელი სახანოების შემოსევებისაგან

დაცვისათვის ქაბირლის მაჰალაში ბაიათის ციხე-სიმაგრე ააგო. ვინაიდან ბაიათის ციხე სახანოს საზღვრის ახლო ტერიტორიაზე მდებარეობდა, მეზობელი სახანოების მხრიდან შეტევისათვის ღია იყო. ამიტომაც ფენაჰელი ხანი ხალიღინის ცენტრ ხალიღინში ახლად აშენებულ ციხეებში - ჯერ შაჰბულაღში, ხოლო შემდეგ შუშის ციხეში გადაიყვანეს. 1756-1757 წლებში აშენება დასრულებულ შუშის ციხეს პირველ ხანებში მისი დამფუძნებლის სახელი ფენაჰაბადი ეწოდებოდა.



შაჰბულაღის ციხე-სიმაგრე

რა ღონისძიებები განახორციელა ფენაჰელი ხანმა სახანოს განმტკიცებისათვის?

ფენაჰელი ხანის ცენტრალიზაციის პოლიტიკა. სახანოს შინაგანი განმტკიცებისათვის ფენეჰელი ხანმა ყარაბაღის ტერიტორიაზე მდებარე მელიქების ცენტრალური ხელისუფლებისათვის დამორჩილება მოიფიქრა. ნადირ შაჰის დროიდან დამოუკიდებელმა ყარაბაღის ქრისტიანმა მელიქებმა დაუმორჩილებლობა გამოიჩინეს, პირიქით სეპარატისტული პოლიტიკის გატარებით მეზობელ სახანოებს მოუწოდებდნენ ყარაბაღზე შეტევის ორგანიზებისაკენ. ფენეჰელი ხანმა პირველ რიგში მელიქების ერთიანობის დარღვევისათვის მათ შორის შუღლი ჩამოაგდო. მალე მელიქების მეორე მხრიდან გამოცალკევებულმა ვერენდემ მისი მმართველობა სცნო. ფენეჰელი ხანის მელიქებზე ზეწოლის გაძლიერება ხაჩინ მელექის ძლიერი წინააღმდეგობის მიზეზი გახდა. ბალაკაიას სიახლოვეს მომხდარ ბრძოლაში დამარცხებულმა ხაჩინ მელექმა ფენეჰელის მმართველობა სცნო. მალე დიზაკის, ჩილებორდის, თალიშის (გულუსტანის) მელექებმაც გამოთქვეს ფენეჰელი ხანის მორჩილება. თუმცა, გარეგანად მელიქების მიერ ყარაბაღის სახანოს უმაღლესი მმართველობის ცნობის მიუხედავად, ფარულად სხვადასხვა გზებით ქართველ მეფეებთან და რუსეთის მმართველობის ორგანოებთან კავშირს ინარჩუნებენ და მათ ყარაბაღში ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნაში დახმარებას სთხოვდნენ.



ფენეჰელი ხანი

1. თქვენი აზრით, ფენეჰელი ხანის მიერ სახანოს შინაგანი განმტკიცებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს შორის რომელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?
2. ვის და რას ეყრდნობოდნენ ყარაბაღის სახანოს სეპარატისტული ძალები?

ფენეჰელი ხანის სახანოს შინაგანი განმტკიცების შემდეგ ყურადღება მეზობელი სახანოებისაკენ მიმართა. მოკლე დროში განჯის, ირევანისა და ნახჩევანის სახანოების ზოგიერთი ტერიტორიები ყარაბაღის ტერიტორიას შეუერთდა. ფენეჰელი ხანის მიერ ყარაბაღის ასე ვრცელ ტერიტორიაზე ძლიერ სახანოდ გადაქცევა ირანში ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლ ძალებს ყურადღებიდან არ გამორჩენიათ.

ასეთი ძალებიდან ერთ-ერთმა მუჰამედჰასან ხან ყაჯარმა 1757 წელს ყარაბაღს შეუტია. შუშის ერთთვიანმა ალყამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. მუჰამედჰასან ხანი იძულებული გახდა უკან დაეხია. გარკვეული დროის შემდეგ სამხრეთი აზერბაიჯანის რამდენიმე სახანოს თავის გარშემო შემოერთების შემდეგ, ფეთელი ხან ეფშარმა ფენეჰელი ხანს ელჩები გაუგზავნა და დანებება მოსთხოვა. ფენეჰელი ხანის უარყოფითი პასუხის შემდეგ 1759 წელს ფეთელი ხან ეფშარმა დიდი ჯარით ყარაბაღზე შეტევა განახორციელა. შუშის ციხის ექვსი თვის გან-



შუშის ციხე-სიმაგრე

მავლობაში ალყაში დარჩენის შემდეგ ფენეჰელი ხანმა იბრაჰიმხელილის ტყვედ მიცემით ქალაქი ალყისაგან გაანთავისუფლა.



იბრაჰიმხელილ ხანი

იბრაჰიმხელილ ხანი. იბრაჰიმხელილ ხანის დროს (1763-1806) სახანო კიდევ უფრო გაძლიერდა. იბრაჰიმხელილ ხანმა მელიქების ღალატისა და მეზობელი სახანოების შემოსევებისათვის ბოლოს მოღებისათვის ავართა სახანოსთან, ქართველთა სამეფოსთან და შექის სახანოსთან ნათესაური კავშირები დაამყარა. თავისი ნათესავი ესედულა ბეგი თებრიზის ხანის ტახტზე დასვა. მოკლე ხანში ნახჩევანი, ყარადაღი და ზოგიერთი სხვა სახანო ყარაბაღის სახანოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. იბრაჰიმხელილ ხანმა 1780 წელს მოკავშირე ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად განჯას შეუტია და სახანო გაიყვეს. იბრაჰიმხელილ ხანის ასეთი გაძლიერება მთელი აზერბაიჯანის გაერთიანების მიზნის მქონე კუბელი ფათალი ხანის გეგმებს არ შეესაბამებოდა, ამან კი თავის მხრივ აზერბაიჯანის სახანოების შეტაკება გამოიწვია. მართალია ამ დაპირისპირებაში უპირატესობა კუბის სახანოს მხარეს იყო, მაგრამ ქართლ-კახეთის სამეფოს ახლოდან დახმარების შემდეგ ყარაბაღი კუბის საფრთხეს გადაურჩა.

“მე შუშელ იბრაჰიმხელილ ხანს მორჩილებით მოახლოების შესახებ... მითითება მივეცი... ხელსაყრელ შემთხვევაში შუშელი იბრაჰიმხელილ ხანის.... ხალხებისაგან შემდგარი ოლქის ერთგულება მართვა და მისი საშუალებით აზიაში... სახელმწიფოს აღდგენაა საჭირო. ეს თქვენი უდიდებულესობის იმპერატორის ჩემი საშუალებით ქრისტიანი მელიქებისადმი მიცემულ დაპირებას შეესაბამება”.

კნიაზ კ. პოტიომკინის ეკატერინე II-ისადმი გაგზავნილი წერილიდან

ამ წყაროს მიხედვით, როგორ შეიძლება შეფასდეს რუსეთის დამოკიდებულება რუსეთის სახანოს მიმართ? მოსაზრება დაასაბუთეთ.

1. რა შეიძლება ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოს ყარაბაღის სახანოსათვის დახმარების აღმოჩენის ინტერესი?
2. თქვენი აზრით, რომელი ხანის დროს იყო უფრო ძლიერი ყარაბაღის სახანო – ფენუჰალი ხანის დროს თუ იბრაჰიმხელილ ხანის დროს? მოსაზრება დაასაბუთეთ.

ფენაჰ ხანი გარდაიცვალა, მისი ღვთისნიერი იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადასვლის შემდეგ უფროსი და გმირი შვილი იბრაჰიმხელილ ხანი 1173 წელს (1759 წელს) ყარაბაღის ოლქის მმართველი გახდა. დაიწყო ხალხის საქმის მოწესრიგება. არანის, რუმის, (თურქეთი) ხელმწიფეებსა და სხვა ქვეყნების მმართველებს ქედს არ უხრიდა. ყარაბაღის, შექის, შირვანის, განჯის, თებრიზის, ნახჩევანის, ერდებილის, ხოის, მარაღის, ირევანისა და ერაყთან აზერბაიჯანის შემომსაზღვრელი კახელანუაძდე მბრძანებელი გახდა. ამ ოლქების მმართველობის სამუშაოდან ჩამოცილება და ახლის დანიშვნაც მისი გადაწყვეტილებითა და ბრძანებით სრულდებოდა. გარდა ამისა, ის დაიმსტნის ქვეყნის ავარ ოლქის მმართველის ნუსალ ხანის შვილთან უმშე ხანთან დანათესავდა.

მირზა ადიგოზალ ბეის ნაწარმოებიდან "ყარაბაღნამე"

“ამრიგად, იბრაჰიმ ხანი იყო დამოუკიდებელი ხანი, ქერიმ ხანის, მეჰრელის, ასევე განჯის ხელში აღების შემდეგ, ფეთელი ხანის მოულოდნელი სიკვდილის შედეგად შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა. ამ მიზნით იბრაჰიმ ხანმა ძირითადად ლეკებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრიბა განჯის, შამახის, ნუხი სახანოები და რეშტი დაიმორჩილა. ირევანისა და ნახჩევანის მხარეს საზღვრები გააფართოვა. თებრიზი უბრძოლველად დაიკავა და დის შვილი ესედულა ბეი იქ მმართველად დანიშნა”.

ეჰმედ ბეი ჯავანშირის ნაწარმოებიდან
“ყარაბაღის სახანოს 1747–1805 წლებში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.”

ზემოთ მოცემულ წყაროებში არსებული ინფორმაციები თემაში მოცემულ ზუსტ ფაქტებს შეუპირისპირეთ და გამოააშკარავეთ არის თუ არა შეუსაბამობა.

ირაკლიმ იბრაჰიმხელილ ხანთან ერთად განჯა ხელში აიღეს, იქ თითოეულმა ერთი საჯანიშო შექმნა და გადასახადებს ავრთვებენ. მათ ნახჩევანის, ირევანისა და ჭარ-ბელაქანის დაპყრობაც აქვთ განზრახული. მათ ბაქოს ხანი ვითომ მეგობრად ყარაბაღში მიყავდათ. ტყვედ აიყვანეს. მე ბოლო ორ წელიწადში რამდენჯერმე ირაკლის მივმართე და მისი გათავისუფლება მოვითხოვე. მან კი ჩემი თხოვნის მოსმენა არ ისურვა. მათ მთელი აზერბაიჯანის ხელში აღება სურთ.

კუბელი ფათალი ხანის ეკატერინე II-ის მთავრობისადმი გაგზავნილი მიმართვიდან

ფეთელი ხანის წერილის საფუძველზე დაახასიათეთ იბრაჰიმხელილ ხანის საგარეო პოლიტიკა.

1. განსაზღვრეთ ყარაბაღის სახანოებისადმი დამოკიდებულებაში მირზა ადიგეზალ ბეისა და ეჰმედ ბეი ჯავანშირის პოზიციები.
2. იბრაჰიმხელილ ხანის შესახებ შეგროვებული მასალების საფუძველზე მოამზადეთ რეფერატი.
3. დაავრცობის საშუალებით უჩვენეთ გაერთიანების პოლიტიკის გამტარებელი სახანოები (გაერთიანებული ტერიტორიების მიხედვით).



40

ნახჩევანისა და ირევანის სახანოები

ამჟამინდელი სომხეთის ტერიტორია ჩვ. წ. აღ-მდე VIII–VII საუკუნეებიდან დაწყებული, ძირითადად თურქული წარმოშობის ეთნოსების საცხოვრებელი და მათ მიერ მართული ქვეყანა ყოფილა, და შემდეგ XIX საუკუნის დასაწყისამდე აქ თურქები წამყვან როლს თამაშობდნენ.

ჰეიდარკულუ ხანი, დერელეიაზი, გოგჩა, უჩქილსა, მირ მეჰდი ხანი



ნახჩევანელი ხანების სასახლე

ნახჩევანის სახანო. სეფიანთა სახელმწიფოს დროს არსებულ ჩუხურსეედის საბეგლარბეგოს ტერიტორიაზე ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ შეიქმნა ორი სახანო - ნახჩევანისა და ირევანის სახანოები. შედარებით მცირე ტერიტორიაზე მდებარე ნახჩევანის სახანოს საფუძველი დაუდო ქენგერლის მოდგმის მეთაურმა ჰეიდარკულუ ხანმა. თავისი მმართველობის გაძლიერებისა და საფრთხეებისაგან დაცვისათვის ჰეიდარკულუ ხანმა (1747-1763) მიიღო გადაწყვეტილება, რომ უფრო ძლიერად მიჩნეული ყარაბაღის სახანოს დაყრდნობოდა.

ამ მიზნით ის შეხვდა ფენეჰელი ხანს და უფრო მეტიც, მისი რჩევით შექის ხანის წინააღმდეგ შექმნილ კავშირს შეუერთდა. ჰეიდარკულუ ხანის სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრეების დროს სახანო შედარებით დასუსტდა. ჯერ სახანო ქერიმ ხან ზენდინის გავლენის ქვეშ მოექცა, შემდეგ ის ხოის, ირევანის, ყარაბაღის სახანოები და ქართველი მეფეები ნახჩევანში ხანის ტახტზე მათი შესაფერისი ადამიანის გაყვანას ცდილობდნენ. ეს კი თავის მხრივ, ნახჩევანში მმართველობისათვის მიმდინარე ბრძოლას კიდევ უფრო ამწვავებდა.

შეიძლება თუ არა, რომ ჰეიდარკულუ ხანის გადაწყვეტილმა ყარაბაღის სახანოზე დაყრდნობის შესახებ, შეფასდეს როგორც ნახჩევანის სახანოს ყარაბაღის სახანოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა?

ირაკლი II-მ... "აბრაჰამ ხანის მიერ ნახჩევანის დაკავების ამბავის შემტყობმა კნიაზი ივან ბაგრატიონი გამოავზავნა, რომ.... მან, რადაც არ უნდა დაუჯდეს, არ დაუშვას აბრაჰამ ხანის ნახჩევანში გამაგრება."

ფ. ალიევი, მ. ალიევის ნაწარმოებიდან "ნახჩევანის სახანო"

რასთან შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო ერეკლე II-ისათვის აბრაჰამ ხანის ნახჩევანში გამაგრების მიუღებლობა?

“... ასე მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანის მფლობელობა რუსეთისათვის ხელსაყრელია. შემდეგ კი ამ ტერიტორიების ერთ ნაწილზე მე შეღავათს გამიწევთ”.

ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მმართველი წრეებისადმი გაგზავნილი წერილიდან

აზერბაიჯანის დაუფლებით რა შეიძლება “მოეგო” რუსეთს?

ირევანის სახანო. ირევანის სახანოს საფუძველი ჩაუყარა მირ მეჰდი ხანმა. მოსახლეობის უმრავლესობას აზერბაიჯანელები შეადგენდნენ. სახანო აღრის ველის დერელეიაზისა და გოგჩის ტბას შორის არსებულ ტერიტორიებზე მდებარეობდა. სომხები ქალაქ ირევანის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. სახანოს ტერიტორიაზე სომხური რელიგიის ცენტრი უჩქილსეში[1] მდებარეობდა. ეკლესიის მეთაური - კათოლიკოსი ირევანის ხანის მიერ ინიშნებოდა. სახანო შედარებით სისუსტის გამო მეზობლების ყურადღებას იპყრობდა. 1749 წელს ირევანზე მოხდა ყარაბაღის ხანის ფენეჰელის, ხოლო შემდეგ კი კახეთის მეფის ერეკლე II-ის შეტევა და გარკვეული დროით ქართველთა სამეფოზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ირევანის სახანოს დაპყრობის მცდელი ქართლისა და კახეთის მეფეები უჩქილსის მონასტრის კათოლიკოსთან კავშირს ამყარებდნენ და მათი ხელით ცდილობდნენ მიეყენებინათ დარტყმა ირევნის სახანოსათვის.



ირევანის ციხე-სიმაგრე, 1796 წელი


რა შეიძლება ყოფილიყო უჩქილსეს მონასტრისა და ქართველი მეფეების გამაერთიანებელი?

1765 და 1769 წლებში ქართლ-კახეთის მეფის ირევანზე შეტევების შედეგად ხანი იძულებული გახდა მათთვის განსაზღვრული ბაჟი გადაეხადა. თუმცა ცენტრალურ ირანში ძალაუფლების ხელში ამღები ქერიმ ხან ფენდის მოთხოვნით, იმ დროს ირევნის ხანად მყოფმა ჰუსეინელი ხანმა ქართველთა მეფეს, ერეკლე II-ს უარი უთხრა გადასახადის გადახდაზე. 1779 წელს ქერიმ ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ერეკლე II-მ ირევანის სახანოდან ბაჟი მოითხოვა. თუმცა გარკვეული აზერბაიჯანული სახანოების იმედად ჰუსეინელი ხანმა უარყო ქართველთა მეფის მოთხოვნა. ამიტომაც ერეკლე II-მ ოცი ათასიანი ლაშქრით მოულოდნელად შეუტია ირევანს, თუმცა ძლიერი წინააღმდეგობის შეხვედრის შემდეგ უკან დაიხია. ირევანის ვერ დაპყრობის შემდეგ, ქართველთა მეფემ მრავალი სოფელი გაძარცვა და უკან დაბრუნებისას ჰუსეინელი ხანის გადაუხდელი ბაჟის ნაცვლად 2500-მდე ოჯახი წაიყვანა. ოსმალთა სახელმწიფოზე დაყრდნობით ჰუსეინელი ხანმა ერეკლე II-ისაგან მოითხოვა ირევანის სახანოდან იძულებით საქართველოში გადასახლებული ოჯახების უკანდაბრუნება. ჰუსეინელი ხანის მიერ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, უფრო მეტიც, ერთ პერიოდში იმის მცდელობა, რომ



ირევანის სახანოს დროშა

[1] ***უჩქილსე*** – 1441 წელს ჯაჰან შაჰმა შავბატკნიანელ სომეხ კათოლიკოსებს დართო ნება რომ ცენტრი კილიკიიდან ირევანის სიახლოვეს არსებულ უჩმუაძინის (უჩქილსეს) მონასტერში გადმოეტანათ.



სერდარის სასახლის შიდა ჭედის ერთი ნაწილი

ნახჩევანი მასზე დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფილიყო ერეკლე II-ს მოსვენებას არ აძლევდა. მალე ქართველი მეფეების წაქეზებით ირევანში მმართველობისათვის ბრძოლა გამწვავდა და სახანო მნიშვნელოვნად დასუსტდა.

1. რასთან იყო დაკავშირებული ჰუსეინელი ხანის ერეკლე II-ისადმი საქართველოში წაყვანილი 2500-მდე ოჯახის დაბრუნების სურვილი?
2. თქვენი აზრით, რატომ ვერ შეძლო ერეკლე II-მ ჰუსეინელი ხანის სრულად დამორჩილება?
3. რა მსგავსების დანახვა შეიძლება ნახჩევანისა და ირევანის სახანოებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში?

"ჩვენამდე მოვიდა ამბავი, რომ თიფლისის მეფე რუსეთთან შეერთებით აზერბაიჯანის სახანოების ერთმანეთთან დაჯახებას, მათ შორის რუსეთისათვის დასაყრდენის შექმნას ეცდება.... თქვენ ჩვენთან შეერთებისაკენ ისწრაფოდეთ. ჩვენი მიზანი ის არის, რომ თქვენ მეფე ერეკლეს ზიანი ვერ მოგაყენოთ. მტრის გაძევებისათვის გაერთიანდით, იგი მოკალით. დაანგიეთ და დახვრიტეთ".

ოსმალთა სულთანის ირევანის ხანისადმი გაგზავნილი წერილიდან

თქვენი აზრით, მეფე ერეკლეს მიერ აზერბაიჯანის სახანოებისათვის ზიანის მიყენების აღკვეთა ოსმალთა სახელმწიფოს ნამდვილი მიზანი იყო თუ ამის უკან სხვა "მიზნები" იმალებოდა? დაასაბუთეთ მოსაზრება.

"ახალი ინფორმაციების მოპოვების მიზნით ირანში გაგზავნილმა თავადმა ჭავჭავაძემ შეგვატყობინა, რომ თურქეთიდან აზერბაიჯანელი ხანებისათვის გაგზავნილი ბრძანებით სულთანი მათ ყოველთვის დაიცავდა, რადგან ქალაქი ირევანი აზერბაიჯანის კუთვნილებაა, მის საქართველოს დაქვემდებარებაში ყოფნაზე არასდროს არ დათანხმდებიან. სულთანმა ერზურუმის ფაშასა და სხვა საზღვარზე მდებარე ფაშაებს დაავალათ, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ რუსი ჯარების წინააღმდეგ გამოვიდნენ... უმმა ხანი, იბრაჰიმ ხელილ ხანი და სხვა აზერბაიჯანული სახანოები სამუდამოდ ირევანის ქართლ-კახეთის სამეფოსაგან გასათავისუფლებლად გაერთიანებულან".

1787 წლის 8 ივლისს პოლკოვნიკ ს. ბურნაშოვის პ.ს. პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან

თემის შესახებ მოცემული წყაროები შეპირისპირებით გაანალიზეთ.

1. განსაზღვრეთ თემის შესახებ წყაროების ავტორების პოზიციები.
2. სახანოების ჰერიოდის შესახებ წინა თემებს კიდევ ერთხელ გადახედეთ და გაანალიზეთ ქართველი მეფეების აზერბაიჯანული სახანოების წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკა.



41

სამხრეთის სახანოები

როგორც ჩვენ განვმარტავდით, თურქმანების (აზერბაიჯანელი თურქები – რედ.) ქვეყანა არც ირანის სახელმწიფოს მხარე არაა, არც მისი ერთ-ერთი ქალაქი არაა, ამიტომაც ჩვენ მის შესახებ, როგორც მხარის შესახებ არ ვსაუბრობთ. თუმცა ისინი სხვა ირანის დინასტიებს შორის ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონენი არიან, რადგან ისინი ყველაზე მამაცი ხალხია და საკმაოდ მრავალრიცხოვანნი არიან.

ორუჯ ბეი ბაიათი (XVI საუკუნის ისტორიკოსი)

ემირასლან ხანი, ფეთელი ხან ეფშარი, ყაჯარები, კარაჩეშენის ბრძოლა, შირაზის სტუმარ-მასპინძლობა.

ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ (1747) ირანში ნადირის მემკვიდრეებს შორის გამწვავდა ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

1747-1751 წლებში შაჰის ხელისუფლება ხუთჯერ გადავიდა ხელიდან ხელში. შაჰის ხელისუფლებისათვის ასეთი მწვავე ბრძოლის გამართვა და ამ ბრძოლის აზერბაიჯანიდან შორს ხორასანში მიმდინარეობამ სამხრეთ აზერბაიჯანში ცალკეულ ფეოდალ მმართველებს შეუქმნათ პირობები, რომ თავი დამოუკიდებლად ეგრძნოთ.



აზერბაიჯანის სახანოები

თებრიზის სახანო. 1747 წელს ემირასლან ხანმა თებრიზში თავის დამოუკიდებელ მმართველად გამოცხადებით თებრიზის სახანოს ჩაუყარა საფუძველი. მოკლე დროში ემირასლან ხანმა ერდებილი, ყარადაღი და გარკვეული სამხრეთი აზერბაიჯანის ტერიტორიები დაიქვემდებარა. თუმცა ეს წარმატება დროებითი აღმოჩნდა, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ემირასლან ხანი მოკლეს. ამის შემდეგ სამხრეთ აზერბაიჯანში ფეთელი ხან ეფშარის მეთაურობით დაიწყო ურმიის სახანოს გაძლიერება.

ურმიის სახანო. ფეთელი ხან ეფშარი (1747-1763) საქმიანობის პირველი დღეებიდან მეზობლად მდებარე ცალკეული სახანოების გაერთიანებით ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ინიციატივა გამოიჩინა. თავისი სურვილის ცხოვრებაში განხორციელებისათვის ფეთელი

ხანმა სამხედრო ძალის გაზრდის მიზნით ნადირ შაჰის ყოფილ მხედართმთავართან აზად ხანთან კავშირი შეკრა. ფეთელი ხან ეფშარმა ამასთან ხოის სახანოს მმართველის შაჰბაზ ხანის თავის მხარეს გადაბირება შესძლო. ამის შემდეგ ფეთელი ხან ეფშარმა აზერბაიჯანის სხვა სახანოების დამორჩილების მიზნით დაიწყო ფართო მოქმედებები და ამას სამხრეთი აზერბაიჯანის ჩარჩოებში მაშინვე მიაღწია. მოკლე დროის მანძილზე ყარადაღის, მარაღის, თებრიზის სახანოები, რიგი წვრილი ფეოდალური სამფლობელოები დაემორჩილა ურმიის სახანოს.



თებრიზი XVIII საუკუნეში

რა იყო ფეთელი ხან ეფშარის აზად ხანთან კავშირის შექმნის მიზეზი?

ამ დროს ირანში ცენტრალური ხელისუფლებისათვის ბრძოლა ძირითადად ასტრაბადელ მუჰამედჰასან ხან ყაჯარსა და შირაზელ ქერიმ ხან ზენდს შორის მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის მსვლელობაში მუჰამედჰასან ხანმა ერთ პერიოდში სამხრეთი აზერბაიჯანის ძირითადი ტერიტორიების დამორჩილების შემდეგ 1757 წელს ყარაბაღის სახანოს შეუტია. ისარგებლა რა იმით, რომ მუჰამედჰასან ხანი ჩრდილოეთ აზერბაიჯანში იყო, მოწინააღმდეგე ქერიმ ხან ზენდმა ასტრაბადს შეუტია. ამ შეტყობინების მიღების შემდეგ მუჰამედჰასან ხანი იძულებული გახდა მოეხსნა შუშის ციხე-სიმაგრის ალყა და სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყო. უკან დაბრუნებისას მუჰამედჰასან ხანმა ურმიის სახანოც დაიმორჩილა, შირაზში ქერიმ ხან ზენდს შეუტია. თუმცა გზაში შეთქმულების შედეგად მოკლული იქნა.

ამ მოვლენის შემდეგ ისევ გააქტიურებულმა ფეთელი ხან ეფშარმა მოკლე დროში სამხრეთ აზერბაიჯანში დაკარგული პოზიციები აღიდგინა და 1759 წელს ყარაბაღის სახანოს შეუტია. შუშის ციხეს ალყა შემოარტყა. მცირე ხანში შუშის ციხის ალყაში ამღებ ეფშარის ძალებს მელიქებმაც თავიანთი ძალები შემოუერთეს. ფენეჰელი ხანმა წინააღმდეგობის გაწევა მიზანშეუწონლად მიიჩნია, შვილი იბრაჰიმ აღა ფეთელი ხან ეფშარს ტყვედ გადასცა და შუშის ციხეს ალყა მოეხსნა.

ფენეჰელი ხანის შვილის იბრაჰიმ აღას ფეთელი ხან ეფშარისათვის ტყვედ გადაცემა შეიძლება თუ არა შეფასდეს, როგორც ყარაბაღის სახანოს დამოკიდებულებაში ყოფნად?

“აზერბაიჯანში თებრიზის, ხოისა და ურმიის სახანოებს შორის ომები გრძელდებოდა.... აზერბაიჯანის მმართველები ერთმანეთისათვის ზარალის მიყენებას არ ერიდებიან. უმნიშვნელო სარგებლის გულისათვისაც კი ურთიერთშორის ხელშეკრულებებს არღვევენ, ერთმანეთთან გაერთიანებით მესამეს ძარცვავენ”.

ფუად ალიევი, ურფან ჰასანოვი "არევანის სახანო"

“სახანოების მდგომარეობა, საზღვრები, ურთიერთობები, კავშირები და ომები, მეზობლების მიმართ მდებარეობა სტაბილური არაა. საზღვრები განუწყვეტელი ომების შედეგად მუდმივად იცვლებოდა”.

ე. კარაევი, აზერბაიჯანი XVIII საუკუნის რუსი და დასავლეთ ევროპელი მოგზაურების გამოსახვებში

რა მსგავსების დანახვა შეიძლება მოცემულ ორ წყაროს შორის?

ფეთელი ხან ეფშარისა და ქერიმ ხან ზენდის შეტოქეობა. ფათალი ხანის ასეთ წარმატებებთან შეურიგებელმა ქერიმ ხან ზენდმა 1760 წლის შემოდგომაზე სამხრეთ აზერბაიჯანზე განახორციელა შეტევა და თებრიზს ალყა შემოარტყა. თუმცა მალე ფეთელი ხან ეფშარის წნეხით უკან შირაზის მიმართულებით დასაბრუნებელი გახდა. მიუხედავად დამარცხებისა ქერიმ ხანმა კიდევ უფრო დიდი ძალა შეკრიბა და კვლავ სამხრეთ აზერბაიჯანს შეუტია. ქერიმ ხანის 1761 წლის ზაფხულში აზერბაიჯანზე შემოტევის დროს ფეთელი ხანი მას უჯანის ველზე, სოფელ კარასემენის სიახლოვეს დაუპირისპირდა. მომხდარ ბრძოლაში მართალია, უპირატესობა ჯერ ფეთელი ხანის მხარეს იყო, მაგრამ მოკავშირე ხოელი შაჰბაზ ხანის მოღალატეობრივად მტრის მხარეს გადასვლამ იგი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ამიტომ ფეთელი ხანი იძულებული გახდა ურმიის ციხეში დაეხია.



ფეთელი ხან ეფშარი

1762 წლის მაისის თვეში ქალაქ მარაღას დაკავების შემდეგ ქერიმ ხანი აქ დაბანაკდა და ურმიის ციხე-სიმაგრეზე შეტევისათვის მზადება დაიწყო. ქერიმ ხანმა დროთა განმავლობაში ფეთელი ხანთან დაპირისპირებულ აზერბაიჯანის სახანოებში წერილები გააგზავნა და მათ მოუწოდათ, რომ შემოერთებოდნენ ფეთელი ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქერიმ ხანის მოწოდების მიმღებმა ფენეჰელი ხანმა უმცროსი შვილი მეჰრალი ბეგი ყარაბაღში დროებით მმართველად დატოვა, რიგი სხვა აზერბაიჯანელი ხანების მსგავსად ქერიმ ხანის ურმიის სიახლოვეს მყოფ ბანაკში მივიდა. ხანების ძალების შემოერთების შემდეგ, ქერიმ ხანმა ურმიის ციხეს ალყა შემოარტყა. ცხრა თვიანი წინააღმდეგობის შემდეგ ურმიის ციხე დანებდა. ქერიმ ხანმა ფეთელი ხანი იჯახთან ერთად წამოუყვანა და შირაზის გზას დაადგა. მან იმავე დროს დასახმარებლად მოსული აზერბაიჯანელი ხანები: ფენეჰელი ხანი, ყარადაღელი ქაზიმ ხანი, ხოიელი შაჰბაზ ხანი, ნახჩევანელი ჰაჯი ხან ქენგერლი, სერამელი ელი ხან შეკკაკი და რიგი სხვა მთავრებიც ფეთელი ხანზე გამარჯვებასთან დაკავშირებით შირაზში ჩასატარებელ დღესასწაულში მონაწილეობის მიღების მიზეზით თავისთან წაიყვანა. ქერიმ ხანმა სინამდვილეში ისინი იქ ტყვედ ამყოფა. ფეთელი ხან ეფშარზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად ქერიმ ხან ზენდმა თავისი მმართველობის სამხრეთ აზერბაიჯანში გავრცელებაში წარმატებას მიაღწია.



ქერიმ ხან ზენდი

1. რა შეიძლება ყოფილიყო იმისი მიზეზი, რომ ქერიმ ხან ზენდი ფეთელი ხან ეფშერს ვერ ამარცხებდა?

2. ქერიმ ხან ზენდის მიერ რამდენიმე აზერბაიჯანელი ხანის შირაზში წაყვანასა და იქ ტყვედ შენახვას რა შედეგი შეიძლება მოეტანა მისთვის?

ჩამოთვალეთ სახანოები, რომლებიც ურმიის სახანოზე იყვნენ დამოკიდებული.

ხოის სახანო. ხოის სახანოც ნადირ შაჰის იმპერიის დაშლის შედეგად შექმნილი ერთ-ერთი სახანოა. სახანოს პირველი ხანი შაჰბაზ ხანი იყო. ის ნადი შაჰის დროს ხოის ოლქის მმართველად იყო დანიშნული. ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ კი თავი ხოის სახანოს დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა. მშვიდი პოლიტიკის გამტარებელი შაჰბაზ ხანი ფეთელი ხან ეფშართან მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა, უფრო მეტიც, ზოგიერთი ლაშქრობის დროს მას დახმარებასაც უწევდა. თუმცა ქერიმ ხან ზენდის 1762 წლის შეტევის დროს, შაჰბაზ ხანი, ქერიმ ხანის დაპირებებით მოტყუებული გამოვიდა ფეთელი ხანის წინააღმდეგ, შედეგად კი ტყვედ შირაზში იქნა წაყვანილი. გარკვეული აზერბაიჯანელი ხანების ტყვედ წაყვანის შემდეგ ქერიმ ხან ზენდმა თავისი მმართველობის სამხრეთ აზერბაიჯანში გავრცელებაში წარმატებას მიაღწია. მაგრამ მალე სამხრეთ აზერბაიჯანში ეჰმედ ხანის (1763-1786) მეთაურობით დაიწყო ხოის სახანოს აღმავლობა. ეჰმედ ხანმა აზერბაიჯანის უმრავლეს სახანოსთან, ამასთან ქართლ-კახეთის სამეფოსთანაც დიპლომატიური ურთიერთობა შეინარჩუნა, ერთ პერიოდში ირევანის, ნახჩევანის, თებრიზისა და ყარადაღის სახანოებიც მასზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 1786 წელს ეჰმედ ხანი ახლო ნათესავებმა მოკლეს. ამით სახანოში დაწყებულმა მმართველობისათვის ბრძოლამ სახანო დაასუსტა.



ეჰმედ ხანი

"ურმიის ხანის სახით სამხრეთ აზერბაიჯანის საზღვრებში თავის მოწინააღმდეგედ დამწახავმა ეჰმედ ხან ხოელმა მისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება გადაწყვიტა. სწორედ ამ მიზნით ურმიის სახანოზე ერთობლივი შეტევის შესახებ თებრიზის სახანოსთან ხელშეკრულება დადო. ამ ამბის შემტყობმა იმამკულუ ხანმა მიიღო ამ ლაშქრობისათვის დასწრების გადაწყვეტილება და 1783 წლის გაზაფხულზე თებრიზს შეუტია. ბრძოლა ურმიის ძალების დამარცხებით დასრულდა და იმამკულუ ხანი გარდაიცვალა".

ნ. მუსტაფაევა "სამხრეთ აზერბაიჯანის სახანოები"

წყაროზე დაყრდნობით ხოის სახანოს შეიძლება ეწოდოს ძლიერი სახანო? დაასაბუთეთ მოსაზრება.

"არანში შექმნილი უთავბოლობის გამო თიფლისის ვალიმ (ერეკლე) აზერბაიჯანისა და ჩვენი მიწების გაძარცვაში დახმარებისათვის რუსები მოიწვია. თუმცა მას დააგვიწყდა, რომ ჩვენ მმართველის არ მყოლი სახელმწიფოს დაცვის უფლებაც გვაქვს. ჩვენ არასდროს ირანის აშლილ მდგომარეობას არ დაგვეთანხმებით. ბაღდადის, განისა და მუშუნის მეთაურებისათვის გვიბრძანებია, რომ თუ თქვენ ჯარი დაგჭირდათ, გამოგვიგზავნიან, თუ თიფლისის ვალიმ საზღვრების გადმოლახვა მოიფიქრა, მაშინ ერზრუმის ფაშა მუსტაფა დაგეხმარებათ".

1787 წლის ივნისში სულთანისაგან ხოის სახანოს ახალი მმართველის ჰუსეინკულუ ხანისადმი გაგზავნილი ბრძანებიდან

თქვენი აზრით რა მიზანი ამოძრავებდა ოსმალთა სულთანს ხოის სახანოს დამხარებაში?

1. შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი სახანოების დროის შესახებ.
2. განსაზღვრეთ წერილობითი წყაროების ავტორების პოზიციები XVIII საუკუნეში აზერბაიჯანში მიმდინარე შიდა ომებისადმი დამოკიდებულებით.
3. კონტურულ რუკაზე უჩვენეთ XVIII საუკუნის II ნახევარში აზერბაიჯანის ტერიტორია და მისი მეზობელი ქვეყნები.
4 სახანოების დროის წყაროებზე დაყრდნობით განმარტეთ მეზობელი სახელმწიფოების დამოკიდებულება აზერბაიჯანის სახანოებისადმი.



42

აღა-მაჰმად შაჰ ყაჯარის ცენტრალიზაციის პოლიტიკა

XVIII საუკუნეში აზერბაიჯანში ბევრი გამოჩენილი გენიალური პიროვნება აღზრდილა. თუ ნადირ ხანმა – სამხედრო ხელობის დაუმარცხებელმა სარდალმა შეძლო სეფიანთა სახელმწიფოს დანგრევისაგან გადარჩენა, აღა-მაჰმად ხანმა მხედართმთავრულ ნიჭთან ერთად, თავი გამოიჩინა როგორც დრმა ჭკუის, სტრატეგიული აზროვნების სახელმწიფო მოღვაწემ, დაქუცმაცებული იმპერიის გაერთიანებით ირანში ახალი აზერბაიჯანული დინასტიის მმართველობა დაამყარა.

ყაჯარები, ზიადოღლუები, მაჰმადჰასან ხან ყაჯარი, ქერიმ ხან ზენდი, აღა მაჰმად ხან ყაჯარი, ეკატერინე II

ყაჯართა ტომები. ოღუზთა ტომებიდან მყოფი ყაჯარები ბაიათთა მოდგმის ერთი შტო ყოფილა. მონღოლების შემოსევის დროს სხვა ოღუზური ტომების მსგავსად აზერბაიჯანში მცხოვრები ყაჯართა ტომების ერთი ნაწილიც დასავლეთის მიმართულებით გადავიდა აღმოსავლეთ ანადოლუში და სირიაში დამკვიდრებულან.

რომელი ძველი აზერბაიჯანული ქალაქის კარებიდან ერთ-ერთს უწოდებდნენ "ბაიათის კარებს"? ვინ იყო ბაიათის ტომების ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი?

XIV საუკუნეში აღმოსავლეთ ანადოლუში ფორმირებულ თეთრბატკნიან ტომთა გაერთიანებაში ყაჯართა ტომიც შედიოდა. თეთრბატკნიანელი უზუნ ჰასანის მმართველობის დროს დიარბაქირში მცხოვრები ყაჯართა ტომები კვლავ აზერბაიჯანში დაბრუნდნენ. განჯის, ბერდისა და ირევანის გარშემო დამკვიდრდნენ. ჯერ კიდევ დიარბაქირში ყოფნის დროს ერდებილელი შეიხების გატარებული აგიტაციის შედეგად სხვა ოღუზურ ტომებთან ერთად ყაჯართა ტომმაც შიიტური სარწმუნოება მიიღო. სეფიანთა დინასტიის მმართველობაში მოსვლაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი შვიდი ყიზილბაშური ტომიდან ერთ-ერთი ყაჯარები იყვნენ, ისმაილ I-ის მიმდევრებს შორის მეტსახელად "თოზკოფარანი"-ს სახელით ცნობილი ყარა ფირი ბეგ ყაჯარი მთელ რიგ ბრძოლებში გმირობით გამოირჩეოდა.

"ყარა ფირი ბეგ ყაჯარი ისმაილის თეთრბატკნიანელი ელვენდის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის მეთაურად დაინიშნა".

ზეინალაბდინ ელის ნაწარმოებიდან "თექმიათულ ეხბარ"

აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფოს განმტკიცებაში ყაჯარ ემირებს დიდი წვლილი მიუძღვოდათ. სეფიანთა შაჰების მმართველობის დროს ყაჯართა ტომის ერთი შტოს ზიადოღლუების შთამომავლობა ყარაბაღის საბეგლარბეგოს (ცენტრი განჯა) მემკვიდრეობით მმართველობად ითვლებოდა.

კიდევ რომელ ყიზილბაშურ ტომებს იცნობთ? რა იყო ამ ტომების ასეთი სახელდების მიზეზი?

შაჰ-აბას I-მა ზიადოღლუს შთამომავლობიდან მყოფი ჰუსეინ ხან ყაჯარი ასთარაბადის ოლქის მმართველად დანიშნა. ამის შემდეგ აზერბაიჯანში მცხოვრები ყაჯარების დიდი ნაწილი ასთარაბადში გადასახლებულა. აქ ყაჯარები ორ ადგილას - კოვანელ და დევაელ ყაჯარებად დაიყვნენ. 1742 წელს დაბადებული აღა-მაჰმად-ხანის მამა მაჰმადჰასან ხანი კოვანელ, დედა ჯეირან ხანუმი კი დევაელთა შტოს მიეკუთვნებოდა. აღა-მაჰმად ხანმა პირველი განათლება დედისაგან მიიღო.


საქართველო
შავი ზღვა
ოსმალეთის იმპერია
დერბენდი
ბაქო
1813
1828
1806
1813
1828
1881
1884
1895
1918
1920
1921
1991
ყაზახი
ბორჩალო
ახალციხე
ყარსი
ბათუმი
ბაიაზეთი
ერევანი
ნახიჭევანი
ალექსანდროპოლი
ბორჩალო
ახალციხე
ყარსი
ბათუმი
ბაიაზეთი
ერევანი
ნახიჭევანი
ალექსანდროპოლი
ბაქო
ბაქო
ბაქო

1786 წელს ზენდების ძალების დამმარცხებელმა ყაჯარმა ისფაჰანი და თეჰრანი დაიკავა. აღა-მაჰმად-ხანმა თეჰრანი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა, შაჰის ტიტული აიღო, თავის სახელზე ლომისა და მზის (შირ-უ-ხურშიდ) გამოსახულებიანი ოქროს ფული მოაჭრევინა. მაგრამ გვირგვინის დადგმის ღონისძიება იმპერიის სრულ აღდგენამდე გადადო.

სამხრეთი აზერბაიჯანის გაერთიანების დამწყებმა ყაჯარმა სერაბის, ყარადაღის, ხოის, ურმიის სახანოები დაიმორჩილა. 1790 წელს თებრიზი ყაჯარი ტახტის მემკვიდრეთა საცხოვრებელ „დარ-უსთელთენე“ გახდა. ამის შემდეგ ყაჯარის წინაშე ყოფილი სეფიანთა იმპერიის სრულად აღდგენისათვის სამხრეთ კავკასიაში მდებარე ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთების ამოცანა იდგა.

***XVIII** საუკუნეში აზერბაიჯანის ტერიტორიების გაერთიანებაში გარკვეული წარმატებების მიმპოვებელ რომელ ხანებს იცნობთ?*

ბრძოლა სამხრეთი კავკასიისათვის. ყაჯარი იძულებული იყო ცოტა შეეფერხებინა სამხრეთი კავკასიის დალაშქვრა, ამის მიზეზი რუსეთის სამხრეთი კავკასიის ხელში აღებისათვის ქმედების გააქტიურება იყო. 1783 წელს რუსეთმა ქართლის სამეფო თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო. იგი ჩრდილოეთი აზერბაიჯანის სახანოებზეც ზეწოლას ამლიერებდა. ყაჯარმა იცოდა, რომ სამხეთ კავკასიაში შემოსვლის შემთხვევაში რუსეთთან დაჯახება გარდაუვალი იქნებოდა, ამიტომ მას მოკავშირე სჭირდებოდა. ამ მიზნით მან ოსმალეთის სასახლეში თავისი ელჩები გააგზავნა და მოლაპარაკებები აწარმოა. რუსეთის სამხრეთი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით წინსვლით შეშფოთებული ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოებიც ყაჯარის სახელმწიფოსთან დაახლოებას ცდილობდნენ. 1795 წელს ყაჯარი სამოცი ათასიანი ჯარით სამხრეთი კავკასიის დალაშქვრას იწყებს, მისი ამ ლაშქრობის ძირითადი მიზანი ყარაბაღის სახანოს დამორჩილება დაქვემდებარებიდან გაქცეული, რუსეთთან დაახლოებული ქართული სამეფოს დასჯა იყო. თუმცა ყაჯარის ჯარმა ყარაბაღის სახანოს ცენტრს შუშას ერთი თვე ალყა შემოარტყა, მაგრამ ვერ აიღო. მან შუშის ალყა შეაჩერა და თიფლისზე გაილაშქრა. საქართველოზე ლაშქრობაში ყაჯარელებს იგივე ფუძის მქონე ჯავადხანის მეთაურობით გენჯელი ზიადოღლუებიც მონაწილეობდნენ. ქართული ჯარების გამანადგურებელი ყაჯარის ჯარებმა თიფლისი დაიკავეს. შაჰის ნებართვით ქალაქი გაიძარცვა და დაინგრა. თიფლისის დაკავების შემდეგ ირევანის, დერბენდის, ბაქოს ხანებმა აღა-მაჰმად-ხანის მმართველობის ცნობის შესახებ განაცხადეს. საქართველოს მთლიანად დამმორჩილებელმა ყაჯარმა ჯარები მუღანში შეკრიბა და მიიღო გადაწყვეტილება აქ გამოზამთრების შესახებ. შაჰმა ჯერ კიდევ მისთვის დაუმორჩილებელი შექის, შამახისა და ყარაბაღის სახანოების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადადო. ამ დროს ხორასანში ნადირ შაჰის შვილიშვილის აჯანყების დაწყების ამბის შემტყობი ყაჯარი სასწრაფოდ ირანში დაბრუნდა. სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფამდე ოფიციალურად გვირგვინის დადგმის ცერემონიის გადამდებმა ყაჯარმა სასახლის წარჩინებულთა და ახლობლების მოთხოვნით ეს ღონისძიება 1796 წლის 21 მარტს ნოვრუზის დღესასწაულის დღეს ჩაატარა. ამის შემდეგ დიდი ლაშქრით დალაშქრა ხორასანი და იგი მთლიანად ყაჯართა სახელმწიფოს შემოუერთა. ყაჯართა მიერ რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი საქართველოს დაკავება ეკატერინე II-ის წინასწარ დაგეგმილი სამხრეთ კავკასიის დაპყრობის დაწყებისათვის მიზეზი გახდა.



ჯავად ხან ზიადოღლუ

1796 წელს რუსეთმა ყაჯართა სახელმწიფოს ოფიციალურად ომი გამოუცხადა. გენერალ ზუბოვის მეთაურობით სამხრეთ კავკასიაში ჯარი გამოაგზავნა. რუსების ჯარმა დერბენდი, კუბა და ბაქო დაიკავა, ოქტომბერში განჯის სახანოც დაიმორჩილა და დაიწყო მზადება ყაჯართა სახელმწიფოს წინააღმდეგ ომისათვის.

რუკაზე უჩვენეთ XVIII საუკუნეში რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.

ხორასანში ყოფნის დროს ამ მოვლენების გამგები ყაჯარი თეჰრანში დაბრუნდა და რუსეთთან ხანგრძლივი ომისათვის მზადება დაიწყო. ამ დროს რუსეთში ხელისუფლების ცვლილება მოხდა. ეკატერინე II-ის ადგილის დამკავებელმა ახალმა მეფემ სამხრეთ კავკასიაში მყოფი ჯარები უკან გაიწვია. ყაჯარმა კი გათვალისწინებული ლაშქრობა 1797 წელს განახორციელა. ამჯერად შეტევის ძირითადი მიზანი ყარაბაღის სახანო იყო. შუშის ალყაში ამღებმა ყაჯარის ჯარმა ქალაქი ზარბაზნების ცეცხლით დაიკავა. მართალია, იბრაჰიმხელილ ხანმა შეტევის შედეგად ზარბაზნები მწყობრიდან გამოიყვანა, მაგრამ ქალაქის დაბრუნება ვერ შეძლო და დაღესტანში წავიდა. შუშელებმა ამის შემდეგ შაჰთან მოლაპარაკება აწარმოეს, ბაჟის გადახდის პირობით წინააღმდეგობა შეწყვიტეს. აღა-მაჰამად-ხან შაჰმა იმისათვის, რომ ქალაქი არ გაძარცვულიყო, არ მომხდარიყო მოსახლეობის შეწუხება ბრძანება გასცა, რომ ჯარი ქალაქის გარეთ დაბანაკებულიყო. ამის შემდეგ შამახის შეუტია, მეფემ აქაც დიდსულოვნება გამოიჩინა და ქალაქის მოსახლეობის გაძარცვა არ დაუშვა. უფრო მეტიც, ჯარისათვის კუთვნილი ნადავლის ფული თავისი ხაზინიდან დაფარა, კვლავ შუშაში დაბრუნებულმა ყაჯარმა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ყველა ხანის მისთვის თაყვანისცემის შესახებ ბრძანება გასცა. შუშაში მოსული ბაქოელი ჰუსეინკულუ ხანი, განჯელი ჯავად ხანი რუსის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობის გამო დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იბრაჰიმხელილ ხანის მთავარი ვეზირი მოლა ფენაჰ ვაკიფი და ხანის ძმის შვილი მუჰამედ ბეი ჯავანშირიც (ბათმანხმლიანი) იყო.




ყაჯარების გერბი

1797 წლის 17 ივნისს აღა-მაჰმად-ხანი სასახლის მოღვაწეთა შეთქმულების შედეგად მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ აღა-მაჰმად-ხან შაჰმა ყველა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა შეძლო.

თქვენი აზრით, რომელი ძალები იყვნენ დაინტერესებული ყაჯარის სიკვდილით? შეეცადეთ მოსაზრება დაასაბუთოთ.

აღა-მაჰმად ხანის აღდგენილ გამლიერებულ მმართველის ტახტზე მემკვიდრეობით ძმის შვილი ბაბა ხანი მოვიდა. მან თავი ფეთელი შაჰად გამოაცხადა (1797-1834 წლები), მმართველობა დაიწყო. ყაჯართა სახელმწიფომ ირანსა და სამხრეთ აზერბაიჯანში 1925 წლამდე იარსება, მაგრამ ყაჯართა დინასტიის შემდგომი მმართველებიდან ვერცერთმა ვერ შეძლო აღა-მაჰმად-ხანის სიმაღლეზე ასულიყო.



ყაჯარების დედაქალაქი თეჰრანი

1. რასთან იყო დაკავშირებული ის, რომ ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ მმართველობისათვის ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო?

2. რატომ ეცდებოდა აღა-მაჰამად-ხანი აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობას?

3. შეადარეთ ნადირ შაჰისა და აღა-მაჰამად-ხან შაჰის მოღვაწეობა.



43

სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება სახანოების პერიოდში

XVIII საუკუნის II ნახევარში აზერბაიჯანი ფეოდალური დაშლილობის მმართველობის მქონე ქვეყანა იყო. განცალკევებულობის მახასიათებელი თვისება ის იყო, რომ სხვადასხვა ფეოდალები, ასევე ხანებიც მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებლობის დაცვა-შენარჩუნებას ეცდებოდნენ და ამიტომ ცენტრალიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ შეფერხებებს ქმნიდნენ. ეს კი, თავის მხრივ, აზერბაიჯანში ეკონომიკურ განვითარებას უშლიდა ხელს.

ბრინჯი, ღატაკი, მოჯამაგირე, მამასახლისი, ჩორბაში, მაფი

სოფლის ცხოვრება. აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანის ყველა სახანოს ეკონომიკისათვის ნატურალური მეურნეობის არსებობა იყო დამახასიათებელი. აქ ძირითად როლს ფეოდალური საწარმოო ურთიერთობები ასრულებდნენ. ამ დროს მანამდე არსებულის მსგავსად კვლავ მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. ძირითადი სახნავ-სათესი მიწები ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები, სარწყავი კვანძები ფეოდალების პირად მფლობელობაში იყო.

ფეოდალური განვითარებისა და ნატურალური მეურნეობის გაბატონებულ ეკონომიკის განვითარებაზე რა ფორმით შეიძლებოდა გავლენის მოხდენა?



განჯა XVIII საუკუნეში

ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნიადაგის ნაყოფიერება აზერბაიჯანში სხვადასხვა მცენარეების, მათ შორის სელის, ქუნჭუთის, ხორბალის, ქერის, ბრინჯისა და სხვათა მოყვანისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მართალია, სახანოების სამეურნეო ცხოვრება ერთმანეთს ჰგავდა, ბუნებრივი გეოგრაფიული პირობები და ისტორიულ ტრადიციებთან კავშირი მოსახლეობის საქმიანობაში განსაზღვრულ განსხვავებულობას გარდაუვალს ხდიდა. მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სახანოში ხორბალი ითესებოდა. მებამბეობა უფრო მეტად შირვანში, განჯაში, ყარაბაღში, ნახჩევანსა და სამხრეთი აზერბაიჯანის უმრავლეს რაიონებში იყო გავრცელებული. თუ წინა ხანებში ბამბა მხოლოდ საქსოვად, შიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მოჰყავდათ, ქვეყნისადმი უცხოელი ვაჭრების ინტერესების გაზრდამ ბამბაზე, როგორც ნედლეულზე მოთხოვნილება გაზარდა. ფეოდალური აშლილობები ამ შემოსავლიანი დარგით დასაქმების საშუალებას არ იძლეოდა. მებამბეობაში მოყვანის ტექნიკა დაბალ დონეზე იყო. მისი გასუფთავება პირველყოფილი ხერხით ხდებოდა.

რა განსხვავება არსებობდა XVIII საუკუნის ინგლისისა და აზერბაიჯანის ქსოვის სფეროში?

“მართალია, გაწუწყვეტელი ომები და მოსახლეობის არადინჯი მდგომარეობა მარცვლეულის წარმოებაზე უარყოფით გავლენას ახდენდა, სოფლელები იძულებული იყვნენ დაეშუშაგებინათ მიწები”.
მოგზაური მარშალ ფონ ბიბერშტეინის ინფორმაციებიდან

რატომ იყვნენ იძულებულნი სოფლელები ომის დროსაც კი დაეშუშაგებინათ მიწები?

ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეაბრეშუმეობას. იგი განვითარებული იყო შამახის, შექის, ყარაბაღის, ლენქორანის, ნახჩევანის და სხვა სახანებში. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მეფუტკრეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, განსაკუთრებით მებაღჩეობა. ისინი ძირითადად გავრცელებული იყო ყარაბაღის, თებრიზის, მარაღის, განჯის, შექის, კუბის, ურმიის, ნახჩევანისა და სხვა სახანოებში. აფშერონი ცნობილი იყო თავისი ეთეროვანი ზაფრანით. აქ განვითარებული იყო მებოსტნეობაც. ლენქორანში მოჰყავდათ ბრინჯი და შაქრის ჭარხალი, კასპიის ზღვისა და მდინარე მტკვრის სანაპიროებზე მცხოვრები მოსახლეობა მისდევდა მეთევზეობას.


სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო მესაქონლეობა. მესაქონლეობით ძირითადად დაკავებული იყვნენ ნახევრად მომთაბარე ტომები. ზამთრისა და ზაფხულის საძოვრებზე წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ინახავდნენ. ყარაბაღის სახანოში მეცხენეობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

1. თქვენი აზრით, ლენქორანის სახანოში ბრინჯის წარმოების, ხოლო აფშერონში კი მეზაფრანეობის განვითარება რომელ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული?
2. თქვენი აზრით, სახანოების დროსაც მეურნეობის წამყვანი დარგები რატომ იყო მეცხოველეობა და მიწათმოქმედება?

ქალაქის ცხოვრება და სოციალური ფენები. XVIII საუკუნის II ნახევარში აზერბაიჯანის თითოეულ სახანოში ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქი არსებობდა. თებრიზი, შამახი, ერდებილი, დერბენდი, ურმია, ხოი, განჯა - უძველესი ქალაქები კვლავინდებურად მნიშვნელოვანი ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრები იყვნენ. ამასთან ერთად გაჩნდნენ ისეთი ქალაქებიც, როგორიცაა შუშა, ახალი შამახი. ქალაქებში განვითარებული იყო ისეთი ხელობები როგორიცაა მქსოველობა, მეხალიჩეობა, მექოთნეობა, მეწაღეობა, მეხარატეობა, მჭედლობა და სხვა. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცებულობა ხშირ-ხშირად მომხდარი შიდა ომები ათეულობით ქალაქის ნანგრევებად ქცევის, ასობით ხელოსნის, ქალაქის მოსახლეობის კერის მიტოვების მიზეზი ხდებოდა.



თებრიზში დამზადებული ფარი



“ქალაქის ბაზარი ფართოა და აქ ახის ნაწარმის გარდა საკმაოდ ევროპის ნაწარმიც არის: აბრეშუმი, ქაღალდი, ბეჭრია მატყლის მასალები. ინგლისური და ჰოლანდიური მაუდი, საუკეთესო შალები და ხალიჩები, მინისა და ფაიფურის ჭურჭელი, ზოგიერთი ფოლადის ნივთები, გემოვნებიანი წვრილმანი საქონელი, სხვადასხვა კენჭები...) სპარსული შაქარი, ყავა, ეთერები, მწვანილეულობა, თმის საღებავები...და სხვ.”

XIX საუკუნის წყარო

გაიხსენეთ აზერბაიჯანის ტრადიციული საწარმოო სფეროები და თებრიზის ბაზარში არსებული ეს საქონელი დააჯგუფეთ როგორც აზერბაიჯანისა და სამხრეთ აზერბაიჯანისა შემოსული საქონელი.

გადასახადები და ვალდებულებები: აზერბაიჯანის სახანოებში ძირითადი გადასახადი მალჯეჰეთი იყო. სხვადასხვა სახანოში მისი მოცულობა მოსავლის 1/10-სა და 1/3 შორის მერყეობდა. ფეოდალთა საძოვრებიდან სარგებლობისათვის ღატაკებიდან დამატებითი გადასახადი ჩორბაში იკრიბებოდა. ბაღებიდან აღებული მოსავლისათვის გადასახადი მოსავლის 1/10-ს შეადგენდა და ბაღბაში ეწოდებოდა. დღესასწაულებზე ღატაკებს „საჩუქრად“ ფეოდალისათვის ბაირამლიკი უნდა მიერთმიათ. სოფლელს ხანის ცხენისათვის ქერი უნდა მიეცა. ამ გადასახადს ცხენის ქერი ერქვა. მათ ხშირ-ხშირად თავის ხარჯზე ხანის დაქირავებული ჯარისკაცებიც უნდა შეენახათ. ამ გადასახადს დიშქირესი ერქვა. ღატაკებიდან ამასთან ხანის კანცელარიის და ადმინისტრაციული მართვის სხვა სტრუქტურების ხარჯების დაფარვისათვის მირზეიანე, ქელენთერლიქ და სხვა გადასახადები იკრიბებოდა. გადასახადების შემკრებები ხანის ბრძანების საფუძველზე თავის სასარგებლოდ აგროვებდნენ დარღალიღ გადასახადს. სოფლელების შემოსავლის დიდი ნაწილი სხვადასხვა გადასახადებსა და ვალდებულებებს ხმარდებოდა.



განჯის ფული. XVIII საუკუნე

თქვენი აზრით, რატომ იყო, რომ სოფლელები გადასახადს ფულით კი არა, ძირითადად მოსავლით იხდიდნენ?

“სახანოების დროს ერთი მოჯამაგირე ცნობილ პიროვნებას სამეცნიერო ეძლევა, სხვა მოჯამაგირეები პიროვნების სიცოცხლის ბოლომდე ეძლევა, მესამეები კი რაიმე მოვალეობებს იღებდნენ. თანამდებობის პირის შეცვლისას მოჯამაგირეები მას ემსახურებოდნენ”.

ნ. მუსტაფაევას ნაწარმოებიდან "სამხრეთი აზერბაიჯანის სახანოები"

გაიხსენეთ, ვინ იყვნენ მოჯამაგირეები? შეიძლება მათი მონასთან შედარება? მოსაზრება დაასაბუთეთ.

სოფლელს ფეოდალის სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულებები - ბიარი და ევრეზი უნდა შეესრულებინა. ბიარი წელიწადში 3 დღიდან 6 დღემდე, ევრეზი კი 2 დღე იყო. ევრეზის დროს სოფლის მთელ მოსახლეობას ან ციხის კედლები უნდა აეგო, ხიდი აეგო ან ფეოდალის მეურნეობაში და საშინაო საქმეებში ერთად ემუშავათ. ეს კი სოფლელებს თავის მეურნეობაში დასაქმებაში შეფერხებებს უქმნიდა.



ხარატის დაზგა. XVIII საუკუნე

სახანოების მართვა. თითოეულ სახანოს სათავეში შეუზღუდავი ეფლებების მქონე ხანი ედგა. როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ხანის ხელში იყო თავმოყრილი. სახანოს მართვაში ხანის უახლოეს დამხმარედ ვეზირი ითვლებოდა. სახანო ადმინისტრაციული თვალსაზრისით მაჰალებად, მაჰალები კი სოფლებად იყოფოდა. მაჰალებს ნაიბები, სოფლებს კი ქენდხუდები ან იუზბაშები (ასისთავი) მართავდნენ. ქალაქის მოხელეები - ჯანიშინებიც ნაიბის თანამდებობას ატარებდნენ. გარდა ამისა, ქალაქის სხვა მოხელეები კალაბეგები, დარღაები და ესასბაშები იყვნენ.

როგორ გესმით გამოთქმა "შეუზღუდავი უფლებების მქონე"?

დარღები ქალაქში ძირითადად აქტიური ვაჭრობის ადგილებში წესრიგს აკონტროლებდნენ, ესასბაში კი ქალაქის ღამის დაცვაზე იყო პასუხისმგებელი. ნაიბი მართავდა მეურნეობას და ხანის წინაშე გადასახადების თავისდროინდელ შეგროვებაზე აგებდა პასუხს, მოვალეობების შესრულებას უზრუნველყოფდა. ხელოსნების გადასახადების განსაზღვრაც და შეგროვებაც ნაიბის მოვალეობებში შედიოდა. სოფლელების მორჩილებაში ყოფნისათვის ხანები მააფებისაგან შემდგარ სპეციალურ რაზმებს ქმნიდნენ. ეს მააფებს სპეციალურ უპირატესობას ანიჭებდა. ისინი ნატურალური და ფულადი გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ. მათ ხანისათვის სამხედრო სამსახური უნდა გაეწიათ. მის მოწოდებაზე ხელში იარაღით უნდა მოსულიყვნენ. ხანის სოციალურ დასაყრდენს დარღები, იუზბაშები, ქენდხუდები და ნაიბები შეადგენდნენ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამათგან არცერთი ხანისაგან შრომის ანაზღაურებას არ იღებდა და მხოლოდ მშრომელი ხალხის ხარჯზე ცხოვრობდნენ.

რასთან იყო დაკავშირებული ხანების ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ გამოსვლები?

" მთელი ეს სამართლის ადგილები მხოლოდ ღარიბებისთვისაა სასტიკი. როგორც ევროპაში, ირანშიც (სამხრეთი აზერბაიჯანი – რედ.) დიდია ფულის ძალა. ამ მეტალის ბრწყინვალება კანონებს აჩუმებს, სამართლიანი სასამართლოს თვალებს იბურობს, მმართველობა თავის კანონებს უარყოფს. ამიტომაც მდიდარი დამნაშავე თავაწეული მიდის, უქონელი დამნაშავე კი თავის უქონლობისა და დანაშაულისათვის სასჯელის მთელ ტანჯვას უძლებს".

მუსტაფაევა ნ. "სამხრეთი აზერბაიჯანის სახანოები"
ფრანგი მოგზაურის აბატ დე ლა პორტუნის ჩანაწერებიდან

გაანალიზეთ ფრანგი მოგზაურის ჩანაწერები.

*1. შეადგინეთ დიაგრამა **XVI–XVIII** საუკუნეებში აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ.*
2. შეადარეთ სახანოების დროინდელი გადასახადები და ვალდებულებები სეფიანთა სახელმწიფოში არსებულ გადასახადებსა და ვალდებულებებს.
3. ცხრილის ფორმით ააგეთ სახანოების დროს არსებული თანამდებობები.
4. შეადარეთ სახანოების დროინდელი და სეფიანთა სახელმწიფოში არსებული ადმინისტრაციული მართვის სისტემა.



44

კულტურა სახანოების დროს

ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ, აზერბაიჯანის ტერიტორია დამოუკიდებელ სახანოებად დაიყო. ერთიანი სახელმწიფოს არ არსებობა, ნატურალური მეურნეობისა და ფეოდალური წესების ბატონობა კულტურაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

ლურჯი მეჩეთი, შექის ხან სარაი, (სასახლე), მოლა ფენაჰ ვაყიფი

მეცნიერება და განათლება. დასავლეთის ქვეყნებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ხანაში აზერბაიჯანში სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად ცხოვრების ყველა სფეროში ტრადიციული ხერხი და მოწყობილობები გამოიყენებოდა.

დასავლეთში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დროს, რა იყო აზერბაიჯანში ამ სფეროში უკან ჩამორჩენის მიზეზი?


სახანოებში ლიტერატურასა და არქიტექტურის სფეროში კულტურის განვითარება იგრძნობოდა.

ამ პერიოდში ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ერდებილში არსებული შეიხ სეფის ბიბლიოთეკამ თავისი სახელი მოიხვეჭა და შეინარჩუნა.

წინა საუკუნეების მსგავსად, ამ დროსაც სწავლა-განათლების საკითხებს სასულიერო მოღვაწეები ხელმძღვანელობდნენ. მოსწავლეები კვლავაც მეჩეთებში, კერძო სახლებში ორგანიზებულ სკოლებში და მედრესებში იღებდნენ განათლებას. აქ ბავშვებს ჯერ დედაენაზე, შემდეგ კი არაბულ და სპარსულ ენებზე სწავლას აგრძელებინებდნენ. ანბანის სრულად შესწავლის შემდეგ "ყურანს" იზეპირებდნენ, მართალია, განათლების კერებში, ძირითადად საღვთო სწავლებას ექცეოდა ყურადღება, ზოგჯერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც ასწავლიდნენ.



მედრესაში გაკვეთილის დროს



შეიხ სეფის მავზოლეუმი. ბოსტონის ბიბლიოთეკის არქივიდან

რატომ ინარჩუნებდა სახანოების დროს რელიგიის გაკვეთილები თავის უპირატესობას?

არქიტექტურა და ხელოვნება. შექის ხანების ზაფხულის სასახლე აზერბაიჯანში პირველი დამოუკიდებელი სახანოს ფუძემდებლის ჰაჯი ჩალაბი ხანის შვილიშვილის ჰუსეინ ხანის დროს აშენდა. გალავანშემოტყმული ორსართულიანი ხანის სასა-ხლე ექვსი ოთახისაგან, ოთხი შესასვლე-ლისაგან, ორი სარკეებიანი აივნისაგან შედგება.




შექის ხან სარაი

ბინის მთავარი ფასადი მსოფლიოში ანალოგიის არ მქონე ყველაზე წვრილ გეომეტრიულ ფიგურადაა დაყოფილი, ხის მონაკვეთებს შორის სხვადასხვა ფერის მინებჩასმული ალათიანი ფანჯრებისა და კარებისაგან შედგება. მისი თითოეული კვადრატული მეტრი საშუალოდ 5000, რთული ადგილები კი 14000 ხისა და მინის ალათასაგან (ხლართი) შედგება.


შენობაში ლურსმანი და წებო არ არის გამოყენებული, ხისა და მინის ნაწილები ერთმანეთზე გადაცემულია. სასახლის კედლის ორნამენტები, მოხატული ხლართები, სხვადასხვა მოხატულობები, გაჯზე გაკეთებული ნაკვთები ვირტუალურად არის შესრულებული. შენობის შიგნით გეომეტრიულ მოხატულობებს, ფლორის ნახატებს, სიუჟეტიან და ფრინველებიან ნახატებს, ბრძოლისა და მონადირეობის სცენებს უფრო ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. გემოვნებით დამუშავებული ნიშები, სარკეებიანი ბუხრები ნამდვილი ხელოვნების ნიმუშებია.

XVIII საუკუნის არქიტექტურის ძეგლები


შექიში 1763 წელს ოსტატ აბასკულუს მიერ აშენებული ხან სარაი (სასახლე)



ირევანში 1764 წელს აშენებული ლურჯი მეჩეთი



ირევანში მთავარი არქიტექტორი მირზა საფარის სერდარის სასახლე



ირევანში სერდარის სასახლის 1791 წელს აშენებული სარკეებიანი სალონი



რუკაზე უჩვენეთ რომელ ქალაქებში არის აშენებული ლურჯი მეჩეთები.
*გაანალიზეთ **XVIII** საუკუნის ძეგლების დამახასიათებელი თავისებურებები.*

უძველესი ისტორიის მქონე აზერბაიჯანში მეხალიჩეობის განვითარების შესახებ ჰეროდოტი, კლავდი ელიანი, ქსენოფონტი და სხვა ძველი მსოფლიოს ისტორიკოსები გვაწვდიან ინფორმაციას. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, სახანოების დროს ხალიჩების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, თითოეულ სახანოს საკუთარი მეხალიჩეობის საწარმოები ჰქონდა და ეს სხვადასხვა სკოლების შექმნის საფუძველს ქმნიდა.

შეაფასეთ შექის ხანების სასახლის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

“თუ აზერბაიჯანს სხვა უძველესი ნაგებობები არ ექნებოდა, მხოლოდ შექის ხან სარაის მსოფლიოსათვის ჩვენება საკმარისი იქნებოდა”.

თურქი პოეტი ნაზიმ ჰიქმეთი

XVIII საუკუნეში ყარაბაღის მეხალიჩეობის სკოლამ შუშაში მოიყარა თავი. XVIII საუკუნეში შუშაში კლასიკური მოხატულობის ხალიჩებთან ერთად, რუსეთიდან ასევე ევროპიდან შემოსულ ლარნაკებიდან, ეთეროვან საპონებიდან, ჩითისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმებიდან აღებული მოხატულობებით ახალი ხალიჩის კომპოზიციები - "ბაღჩადაგულლარ", "სახსიდაგულლარ", "ბულუდ" და სხვა იქსოვებოდა. ყარაბაღის

ხალიჩების ფერი - ფერთა პალიტრა უაღრესად მდიდარი იყო.

ეს პალიტრა ყარაბაღის ბუნების ყველა ფერის ყველაზე ნაზ შეფერილობებსაც მოიცავდა თავის თავში. უძველესი დროიდან აზერბაიჯანული ხალიჩების შუა არეს ადგილი ტრადიციულად წითელ ფერში მუშავდებოდა. სხვადასხვა მცენარეებთან ერთად, შუა საუკუნეების აქეთ ფერები სხვადასხვა მწერებისაგანაც მიიღებოდა. მათ შორის წითელი ფერის მისაღებად ყველაზე მეტად გავრცელებული ქოშენია, ხალხში მას "წითელ ხოჭოს", "წითელ ჭიას", მუხის მწერს უწოდებენ. ნახჩევანის სახანოს დროს ამ ლამაზი და აღმაფრთოვანებელი ბუნების მქონე მამულში ფარდაგი, ფალასი, ჯეჯიმი და სხვა სახის ხალიჩები იქსოვებოდა და მეხალიჩეობის ხელობა ვითარდებოდა.

სახანოების დროს ყურადღების მიმპყრობი ერთ-ერთი მეხალიჩეობის სკოლა თებრიზში მდებარეობდა. 1828 წლის თურქმანჩაის ხელშეკრულების შემდეგ თებრიზის მეხალიჩეობის სკოლის ხალიჩის ნიმუშები მთელ მსოფლიოში ირანის ხალიჩების სახელით იქნა ცნობილი. აზერბაიჯანის კულტურის ისტორიის ყველაზე ღირებულ ნაწარმთა ჯაჭვში შემავალი თებრიზის ხალიჩები, კუბის, შექის ხალები და ხალიჩები დღესაც ინარჩუნებდნენ თავის ღირებულებას.

აზერბაიჯანი მეხალიჩეობის ხელობის სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა.



ბაღჩადაგულლარ (ყვავილები ბაღში)ხალიჩა



სახსიდაგულლარ (ქაშანურში) ხალიჩა



ბულუდ (ღრუბლოვანი) ხალიჩა

რა იყო ჩვენს ქვეყანაში მეხალიჩეობის განვითარების მიზეზი?

ლიტერატურა. XVII-XVIII საუკუნეებში აზერბაიჯანული ლიტერატურა ხალხური ზეპირსიტყვიერების, ძირითადად აშუღთა წარმომადგენლების ნაწარმოების გავლენით ცოცხალ სამყაროს, ხალხურ ენას კიდევ უფრო დაუახლოვდა. ამასთან ერთად, საფუძველი ჩაეყარა აზერბაიჯანულ პოეზიაში რეალიზმზე გადასვლის პერიოდს. მართალია, ამ დროს პოეზიაში ფიზულის ტრადიციები ჯერ საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ უკვე მიზიდულობიდან გამოსვლის მცდელობები **საიბ თებრიზის, კოვსი თებრიზის** შემოქმედებაში შესამჩნევი ხდება. **მოლა ველი ვიდადიმ** და **მოლა ფენაჰ ვაკიფმა** მარტივი, ცოცხალი ენით დაწერილი ნაწარმოებებით პოეზია ხალხს კიდევ უფრო მიუახლოვეს. ვაკიფი თავის დროის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე იყო. დიდი დროის განმავლობაში ყარაბაღის სახანოს საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა. XVIII საუკუნის აზერბაიჯანული ლიტერატურა შუა საუკუნეების დასრულებისა და ახალი ეტაპის დაწყებაზე გარდამავალ ხასიათს ატარებს.

1. რა ბედი ეწია ირევანის ლურჯ მეჩეთსა და სერდარის სასახლის სარკეებიან სალონს?
*2. პარაგრაფში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე მოამზადეთ ქრონოლოგიური ცხრილი **XVIII** საუკუნის კულტურის შესახებ.*
3. ნიმუშების საფუძველზე წარმოადგინეთ ხალიჩის ნიმუშებში ადამიანების ცხოვრების წესის ცვლილებების ასახვა.
4. ხალიჩის ნიმუშების საფუძველზე შეადარეთ აზერბაიჯანის მეხალიჩეობის ისტორიის წარსული და თანამედროვე პერიოდები. მოამზადეთ წარდგენა.

დამატებითი წყაროები

სარგონ II-ის ურარტუსთან შესახებ ღვთაებრივი აშურასადმი წერილიდან (ჩვ.წ.აღ-მდე 714 წელი). ნაწარმოებიდან "უძველესი აზერბაიჯანის ისტორია ლურსმნულ დამწერლობიან წყაროებში."

ფარსუაშიდან გამოვედი მანელთა ქვეყნის მისის ოლქს მივუახლოვდი. ულუსუნი გულითადად მომსახურებისათვის მზად მყოფი, თავისი ქვეყნის წარჩინებულებთან ერთად, ჩემს მისვლას სირდაქის ციხე-სიმაგრეში ელოდა. მას, როგორც ჩემს დამჯერე აშურ ჯანიშებს ჯარის უზრუნველყოფისათვის ფქვილისა და ღვინის საცავები გაემზადებინა თავისი უფროსი შვილი საჩუქრებითა და ტკბილი სიტყვებით მე ჩამაბარა და თავისი მმართველობის განმტკიცებისათვის მე სტელა მომიძღვნა. დიდი შესაბმელი ცხენები და საქონელი ბაჟად ავიღე. მე მათთან დიდსულოვნება გამოვიჩინე, მათი ხვეწნა მივიღე, ვედრებები მოვისმინე და ვთქვი: „შემიწყალებია...აშურისა და მარდუქის ჩემთვის მონიჭებული მძიერებისა და მთელი მსოფლიოს მმართველებს შორის ჩემი ძალის ამაღლების გამო, ურარტუს ქვეყნის დამარცხება, მათ საზღვრების აღდგენა, მანელთა ქვეყნის ჩაგრული მოსახლეობისათვის სიმშვიდის შექმნაზე სიტყვა მივეცი და მათი გულები იმედით აივსო. მათ მმართველს, ხელმწიფე ულუსუნს საპატიო სუფრა გავუშალე, ტახტი მისი მამის, მისი დამაარსებლის ირანზუს (ტახტზე) მაღლა ავწიე, ასურიელებთან ერთად მაგიდას შემოვუსხედით, მათაც ჩემი წინამძღოლობით აშურისა და თავიანთი სალოცავების წინაშე კეთილი სურვილები გამოთქვეს.

ჰეროდოტი. ისტორია

დეიოკმა გამაგრებული ქალაქი - ახლანდელი აღბათანანი აღმართა; [იქ] ქალაქის კედლები ერთი მეორეს წრიული სახით მოიცავდა. ციხე-სიმაგრის კედლები ისე იყო აგებული, რომ ერთი [კედლის] წრე, მეორის ზემოთ ბასტიონად მაღლდებოდა. ქალაქის გორაკზე მდებარეობა [ციხის] ასეთი აგებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ამის მიუხედავად, ეს ადგილი ხელოვნურად რამდენადმე შეცვლილი იყო. კედლის წრეების რაოდენობა 7 იყო. ბოლო წრეში ხელმწიფის სასახლე და ხაზინა მდებარეობდა. ყველაზე დიდი კედლის წრის სიგრძე მიახლოებით ათენის წრიული კედლის სიგრძის ტოლია. პირველი კედლის წრის ბურჯები თეთრი, მეორე - შავი,მესამე-მოყვითალო - წითელი, მეოთხე - მუქი ლურჯი, მეხუთე-ნარინჯისფერი-წითელი ფერისა იყო. ამრიგად, ყველა ამ ხუთი წრის ბურჯები სხვადასხვა ფერად იყო გაფერადებული. ბოლო ორი წრიდან ერთი ვერცხლის და ერთი ოქროს ფერა იყო.

მ. ქალანქათუქლუ. წიგნი I. მე-4 განყოფილება ალბანეთის ქვეყნის სიუხვე და ბარაქა და როგორ სარგებლობდნენ ადამიანები ამ მიწით

მაღალი დიდი და მცირე კავკასიის მთების კალთებზე მდებარე ალბანთა ქვეყანა თავისი უთვალავი ბუნებრივი სიმდიდრით ძალიან ლამაზი და აღმაფრთოვანებელი ქვეყანაა. დიდი მდინარე მტკვარი წყნარი დინებით ამ ქვეყნის ზუსტად შუაზე მიედინება, მას მსხვილი და წვრილი თევზი მოჰყვება, წყალი ხაზარის ზღვაში ჩაედინება. მდინარის სანაპიროებზე ნაყოფიერ მინდვრებში დიდი რაოდენობით ხორბალი და ყურძენი, ნავთობი და მარილი, აბრეშუმი და ბამბა, დიდი რაოდენობით ზეითუნის ხეებია. მის მთებში ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და მინერალური საღებავები მოიპოვება. რაც შეეხება გარეულ ცხოველებს აქ ლომი, ლეოპარდი, ონაგრი, უამრავი ფრინველი არწივები, შევარდნები და სხვა მისთანებია.

ქვეყნის დედაქალაქი დიდებული ქალაქი ბერდაა.

მ. ქალანქათუქლუ. ალბანების ისტორია

…დიდებული ხელმწიფე ჯავანშირი .... [მეორედ] დამასკოში მოვიდა. ხალიფამ მისთვის თავისი ღვიძლი ძმის სასახლის გამზადებისათვის ბრძანება გასცა; ის ვახშმად მასთან ერთად ჯდებოდა. შემდეგ მან კონსტანტინოპოლიდან მოსულ დიდებულ მამაცებთან მოლაპარაკება ჯავანშირს შესთავაზა. ხალიფა აღფრთოვანდა მისი ღრმა ცოდნით. ბიზანტიური ელჩებიც მისი ძალიან კმაყოფილები იყვნენ, რადგან ის ყოველნაირად ცდილობდა, რომ ხალიფას მოსაზრება მათ სასარგებლოდ მიემართა.

ამის შემდეგ მისი დიდების კიდევ უფრო გაზრდისათვის სამხრეთის ხელმწიფემ აღმოსავლეთის კნიაზის თავზე გვირგვინდადგმულ ხელმწიფესავით პატივისცემის გამოჩენის შესახებ გასცა ბრძანება.

... ამის გარდა ხალიფამ მას სხვა საჩუქრებიც მიუძღვნა: ოქროს ქარქაშიანი ფოლადის ხმალი, მარგალიტით გაწყობილი სამოსი და ქსოვილები.... ხალიფას საკუთარი 52 იორღა ცხენი... მან სუნიქის ოლქი ჯავანშირის განკარგულებაში გადასცა და სთხოვა, რომ მდინარე არაქსის მეორე ნაპირას მცხოვრები ატროპატენას მოსახლეობაც მას ემართა. თუმცა ჯავანშირმა ყოველ მხრივ მმართველად მყოფმა მმართველ- ხელმწიფედ ყოფნა არ ისურვა. ამის შემდეგ მან თავის ქვეყანაზე დადებული მძიმე გადასახადების შემსუბუქება სთხოვა. სამხრეთის მბრძანებელმა თანხმობა განუცხადა და ბრძანა, რომ გადასახადი ერთ მესამედამდე შემსუბუქებულიყო.

ეთ-თებერი "თარიხ ერ-რუსულ გე-ლ-მულუქ"

ამბობენ, რომ 218 (833) წელს ელ-ჯიბელში ქალაქებიდან ჰემედანი, ისფაჰანი, მასაბაზანი, მიჰრი-ჯანკაზაკ დიდი რაოდენობით ადამიანებმა ხურამიელთა რწმენა მიიღო. ისინი ერთად შეიკრიბნენ და ჰემედანის სიახლოვეს დაბანაკდნენ. ელ-მუთესიმმა მათ წინააღმდეგ ლაშქარი გამოაგზავნა და მისი ბოლო ჯერზე გამოგზავნილ ჯარს ისჰაკ იბნ იბრაჰიმ იბნ მუსაბი მეთაურობდა. იმავე წლის შევალის თვეში (ხალიფამ) ჯიბელის მმართველად დანიშნა. ზულკედის თვეში ის მათი მიმართულებით გაემგზავრა და გამარჯვების შესახებ მისმა შეტყობინებამ (ბაღდადში) თერვიის დღეს (25 დეკემბერი 833 წელი) მოაღწია. ჰემედანის ახლოს მან 60 ათასი კაცი მოსპო, დანარჩენები კი ბიზანტიის ტერიტორიაზე გაიქცნენ.

სედრედინ ელი ელ-ჰუსეინი. ეხბარ ედ-დოვლათ ეს-სელჩუკიე

... სულთან არსლან შაჰ იბნ თოღრულის მხოლოდ სახელი მმართველი იყო, ათაბეგი ელდენიზი კი თვითონ ბრძანებებს იძლეოდა, იკთას მიწებს ანაწილებდა, ხაზინებს განკარგავდა, მათ ქვეყნის სასურველ ადგილებში აგზავნიდა. სულთანი კი მასთან ამ საკითხების შესახებ წინააღმდეგობაში ვერ შედიოდა. ელდენიზის მართვის საქმეებში თვითნებობით, ბრძანებების გაცემით და ვისზეც თვითონ სურდა იკთის მიწების განაწილებით ზოგჯერ მას გული უწუხდა.

იბნ ელ-ესირი. ელ-ქამილ ფით-თარიხ

შემდეგ (თათრები) რეის, ჰემედანის, ელ-ჯიბელის ქვეყანაში შემოიჭრნენ ერაყის საზღვრებამდე მოვიდნენ. შემდეგ აზერბაიჯანში და არანში შემოვიდნენ და ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ქვეყნები ნანგრევებად აქციეს, მოსახლეობის უმრავლესობა გაწყვიტეს. მხოლოდ გაქცეულებმა უშველეს თავს. ეს არნახული მოვლენა იყო.

აზერბაიჯანისა და არანის საქმის მოთავების შემდეგ თათრებმა შირვანიდან დერბენდის მხარეს წასვლისას აქ მდებარე ქალაქები დაიპყრეს. აქედან ალანთა და ლეკთა ქვეყნებში შეიჭრნენ, იქ მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ.შემდეგ თურქებიდან რაოდენობრივად ყველაზე მეტ ყივჩაღებს შეუტიეს. ვინც შეხვდათ ყველა ხმლით აჩეხეს, დანარჩენებმა კი ტყეებსა და მთებს შეაფარეს თავი.

ყველა ეს საქმე თათრებმა მცირე დროში, როგორც იტყვიან, ერთი მოგზაურობის მიმდინარეობის დღეებში მოამთავრეს. როგორც ისტორიკოსები ამბობენ მთელი მსოფლიოს დამპყრობმა ისკანდერმა თათრებივით ასე სწრაფად ვერ მოამთავრა საქმე.

ებდ ურ-რეშიდ ელ ბაკუვი "ქითაბ თელხის ელ-ესერ გე ეჯაიდ ელ-მალიქ ელ-კეჰჰარ"

მე-5 მხარე. **ბაქუვე** ... კასპიის ზღვის ნაპირას, დერბენდის ოლქებიდან ერთ-ერთში, შირვანის სიახლოვეს ქვით აშენებული ქალაქი, ზღვა მის კედლებს ლოკავს, ზღვამ მისი ბევრი ბურჯი გადალახა, მეჩეთს მიუახლოვდა. იქ ადგილები მთა-გორიანია, სახლების უმრავლესობა გორაკზეა აშენებული. კლიმატი კარგია, წყალი მტკნარია, კლდეებიდან გადმომდინარე წყალი კარგი გემოსია. იქ მოსული ხორბალი მცირეა, ამიტომ ხორბლის დიდი ნაწილი აქ შირვანიდან შემოაქვთ. აქ უხვად არის ლეღვი, ბროწეული და ყურძენი. ბაღები ქალაქიდან შორს არის, ამიტომ ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა ზაფხულობით იქ გადადის, გარკვეულ დროს იქ ცხოვრობს, შემდეგ კი უკან ბრუნდება. ისინი ყოველ წელს ასე იქცევიან.

ქალაქს უაღრესად გამაგრებული ორი აუღებელი ქვის ციხე-სიმაგრე აქვს. მათ შორის ერთი, დიდი ზღვის სიახლოვესაა. ამ ციხის აღება თათრებმა ვერ შეძლეს. მეორე სიმაგრე პირველზე უფრო ზევითაა. მისი ზემო ნაწილის ერთი მხარე დანადგარებით ნასროლი ქვებითაა დანგრეული. აქ ფისისა და ნავთობის საბადოებია. ყოველდღიურად 200 აქლემის ტვირთზე მეტი ნავთობი ამოაქვთ...

თარიხ-ი შაჰ ისმაილ სეფევი (ბრიტანეთის მუზეუმში შენახული ხელნაწერებიდან)

... (ისმაილმა) სახელმწიფოს სვეტები - ჰუსეინ ბეგ ლელე, მუჰამედ ბეგ უსტაჯლი, ებდი ბეგ შამლი, ხადიმ ბეი ხულეფა, ყარაფირი ბეი ყაჯარი მიიწვია და მათ ჰკითხათ: „ თქვენ აზერბაიჯანის ტახტად ყოფნა გსურთ თუ გულუსტანის ციხისა?“ მათ უპასუხეს: "აზერბაიჯანი!"

შაჰ ისმაილ I-ის მუსა დურღუთ ოღლიზე ბრძანება. ბისმილლაჰი-რეჰმანირ-რეჰიმ. ებულ მუზეფფერის სიტყვა ისმაილ ბაჰადურს

ემირი - ბრძენი წინასწარმეტყველის მუსა დურღუდ-ოღლუს მადლისა და მოწყალების იმედით იმედის გადაწურვის შემდეგ, ასე იცოდეს, რომ დიდებული სიამაყით ეჰმედ აღა კარამანლი იმ მხარეს გავაგზავნეთ. მას ყველა უფლება მივანიჭეთ: არავინ ზემოთ ნაჩვენები პიროვნების სიტყვასა და რჩევას არ გადაუხვიოს, მას მიეხმაროს და დაემორჩილოს.

ალაჰის წყალობით ყველა ის ვინც მის თხოვნასა და სურვილებს შეასრულებს ხეირს მიიღებს. ყოველდღიურად მომხდარი მოვლენები ეჰმედ აღას საშუალებით მაღალ თანამდებობაზე მყოფთ მიეწოდებათ. ვბრძანებ, რომ ყველა სახის თანხმობა თუ იქნება, შეასრულოს, გულში საუკეთესო სურვილები გაივლოს და მოწყალება გამოიჩინოს.

მირზა ადიგოზალ ბეი. "ყარაბაღნამე" შუშის ციხე-სიმაგრის ბინაა

... ფენაჭ ხანმა... ქალაქი შუშა საცხოვრისად აქცია. ქალაქის საცხოვრებელ ადგილებში გამდინარე წყალი და წყარო არ იყო. ცდის მიზნით რამდენიმე ჭა ამოთხარეს: იმ ჭებიდან წყლის ამოსვლის შემდეგ 1170 (1777) წელს ქალაქ შუშას ჩაეყარა საფუძველი.

შაჰ ბულაღის მაცხოვრებლები, სხვადასხვა სოფლის მოსახლეობა გადმოასახლეს, აქ მოიყვანეს. თითოეულ პიროვნებას კერა და ადგილი გამოუყვეს და ხალხი მაცხოვრებლებად აქციეს. შემდეგ ფენაჭ ხანმა თავისი ოჯახისათვის მაღალი სახლები და ვრცელი შენობები ააგო. ჰუმერელი ოსტატები, ხელობის მფლობელნი და საქმის მცოდნე არქიტექტორები კედლებს, ზღუდეებს, ბურჯებს, გალავნებს აგებდნენ. ის კედლები ზოგიერთ ადგილას ეხლაც დგას...

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

აზათი	სასანიების დროს საშუალო და წვრილი ფეოდალი.
ალაფი	სელჩუკთა იმპერიის დროს ყარაულში (დაცვაში) მდგომი რაზმის ან ოფიციალური პირის უზრუნველყოფისათვის მიღებული გადასახადი.
ამილი	არაბთა ხალიფატის დროს გადასახადების მაკონტროლებელი მოხელე.
ბაირათი	ჰულაქიელთა დროს გამოუყენებლად დარჩენილი მიწები.
ბაჟი	ჰულაქიების სახელმწიფოში ვაჭრებისაგან შეკრებილი გადასახადი.
ბასილევსი	ხელმწიფე (ბერძნულად).
ბეჰრე	თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში მორწყვის დროს წყლით სარგებლობისათვის აღებული გადასახადი.
გეზითი	გადასახადი სასანიელთა სახელმწიფოში.
დარუშეფა	სამკურნალო სახლი (საავადმყოფო, ჯანმრთელობის სახლი).
დარუხანა	აფთიაქი.
დარღა	ქალაქში წესრიგის მაკონტროლებელი მოხელე.
დასტაქერთი	მსხვილი მიწათმფლობელი სასანელთა დროს.
დივანი	არაბთა სახალიფატოში სახელმწიფოს კუთვნილი მიწები.
დინარი	ოქროს ფული ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.
დირჰემი	ვერცხლის ფულის ერთეული ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში.
დიშქირესი	აზერბაიჯანის სახანოებში ქვეშემრდომთა ხარჯზე ხანის დაქირავებული ჯარისკაცების შენახვის ვალდებულება.
დრაჰმა	ფულის ერთეული.
ევრეზი	სოფლელების მოვალეობა აზერბაიჯანის სახანოებში.
“ელ-მუხემირე” (წითლად ჩაცმულები)	ხურამიელების სახელი არაბულენოვან წყაროებში.
ემირ - ულ - უმერა	შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში, როგორც წესი დინასტიების წევრებისაგან და ნახევრად მომთაბარე თურქული ზედა ფენელებისაგან შემდგარი ჯარის მეთაური.
ემირი	სამხედრო მეთაური არაბთა სახალიფატოში.
ეპისკოპოსი	ქრისტიანულ რელიგიაში მაღალი სასულიერო წოდება - მდგომარეობა და ამ მდგომარეობის დამკავებელი პირი.
ეშიქაღა	თანამდებობა შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სასახლეში.
ეხილიქი (საძმო)	ხელოსანთა გაერთიანება XIII-XIV საუკუნეებში.
ვერნი	ხალიჩის სახე.
ზილლი	ხალიჩის სახე.
თამღა	ჰულაქების სახელმწიფოში ხელოსნებისაგან შეკრებილი გადასახადი.
თევაჩი	შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში ომის წინ ოლქებიდან ლაშქრის შემკრები და მათი რაოდენობის დამზუსტებელი მოხელე.

თიული	სეფიანთა სახელმწიფოში მიწის პირობითი მფლობელობა.
თურბე	საფლავი. დიდი ან წმინდად მიჩნეული პიროვნებების საფლავებზე აგებული და შემდეგ მრავალგზის მოსანახულებელი ნაგებობა.
იეროგლიფი	იდეოგრაფიკულ დამწერლობით სისტემაში ბგერის ან ხმის შემტყობინებელი ფიგურული ნიშანი.
ინჯუ	ხანისა და მისი ოჯახის კუთვნილი მიწები ელხანიების დროს.
კავარი	ოლქი სასანიელთა სახელმწიფოში.
კათალიკოსი	ეკლესიის მეთაურის (პატრიარქის) ტიტული.
კაროვული	დამცველი, მეთვალყურე.
კატაკომბა	ხელოვნური ან ბუნებრივი წარმოშობის მიწისქვეშა ლაბირინთები
კოლბეი	სასანიელთა სახელმწიფოში საბეგლარბეგოში შემავალი მაჰალის მმართველი მოხელე.
კრიფონი	ლომისტანიანი და არწივისთავიანი არარეალური არსება.
კულამი	წარსულში მონა, ნოქარი, მოსამსახურე.
ლაშქარი	ჯარი, არმია.
ლაჯვარდი	ქვის სახე.
ლეგიონი	ჯარის ერთეული ძველ რომში.
მალჟეჰეთი	თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში საშემოსავლო გადასახადი მიღებული მოსავლიდან.
მარენა (საღებავი ბალახი)	ენდრო, წითლად საღებავი ნივთიერება.
მაშმაში	არატაში რელიგიის მართვის სათავეში მდგომი წინასწარმეტყველი.
მერზბანი	ჯანიშინი სასანიელთა სახელმწიფოში.
მირზაიანე	აზერბაიჯანის სახანოებში არსებული გადასახადი.
მონარქია	სახელმწიფოს სათავეში ერთი პირის - ხელმწიფის დგომით მართვის მეთოდი, ასევე ამ მეთოდით მართული სახელმწიფო, სამეფო.
მოჰურდარი	თანამდებობა შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სასახლეში.
ნეჰენგი	ოლქი სასანიელთა სახელმწიფოში.
ნოიონ (ნოინი)	ჯარის მეთაური მონღოლებში.
ორდენი	რელიგიური იჯმა, სექტა.
რამიკი	ალბანეთის “შავი” მოსახლეობა ადრეულ შუა საუკუნეებში.
რენჯბერი	სოფლელი, რომელიც დასაქმებულია მარცვლეულის მოყვანით.
სატრაპი	ჯანიშინი ეჰემენთა (აქემენიდების) სახელმწიფოში.
საქელენთერო	აზერბაიჯანის სახანოებში შეკრებილი გადასახადი.
სედრ - ეზემი (მთავარი სედრი)	შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში მუსლიმანების სულიერი მეთაური.
სოიურგალი	შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში მემკვიდრეობით გარდამავალი მიწის საკუთრების ფორმა.
სუმახი	ხალიჩის სახე.

სუფი	მისტიკით დაკავებული ადამიანი; ადამიანი, რომელიც კატეგორიულად არ გამოდის რელიგიიდან და რელიგიური მოთხოვნებიდან; განდეგილი, ასკეტი.
ულუსი	მხარე, სოფელი, კერა; მონღოლებში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეული.
უშრი	IX-XI საუკუნეებში მიწით სარგებლობისათვის სოფლელებისაგან მიღებული გადასახადი (ერთი მეათედი).
ფელსი	ფულის ერთეული.
ფერსეხი	სიგრძის საზომი ერთეული.
ფითრა	ისლამის მიმდევრებში ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით ორუჯის (მარხვის) თვეში უქონლებისათვის, ობლებისათვის გაღებული შესაწირი.
ქაში	როგორც წესი, კედლების გარე ზედაპირზე მოსართავად მოპირკეთებული მოხატული ფაიფური.
ქელენთერი	ქალაქის ადმინისტრაციული საკითხების მეთვალყურე თანამდებობის პირი.
ქენკაში	შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოებში დინასტიების წევრებისაგან და ემირებისაგან შემდგარი ფარული სათათბირო ორგანო.
ქუსტი	მსხვილი საჯანიშოები სასანიელთა სახელმწიფოში.
ყაზი	მუსლიმნებში სასულიერო სასამართლო საქმეების განმხილველი სასულიერო პირი, შარიათით მოსამართლე.
შებექე	ხისაგან, მეტალისაგან, ქვისაგან, მავთულისაგან დამზადებული ბადისებრი ნაწარმი, სათითე; ორნამენტი.
შედდე	ხალიჩის სახე.
ჩერიქი	სეფიანთა სახელმწიფოში აზერბაიჯანული ტომებიდან შეგროვებული ყიზილბაშთა ჯარი.
ჩობანბეი	თეთრბატკნიანთა სახელმწიფოში საძოვრებით სარგებლობისათვის მომთაბარე მეცხოველეებისაგან შეგროვებული გადასახადი.
ჩორბაში	აზერბაიჯანის სახანოებში საძოვრებით სარგებლობისათვის სოფლელებისაგან შეგროვებული გადასახადი.
ციკლოპური ნაგებობა (“თეფეგოზყალა”)	გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის მსხვილი კლდის ნატეხებისაგან აგებული თავდაცვითი ნაგებობა.
წითელა (ქოშანილი)	წითელი ხოჭოსაგან დამზადებული წითელი საღებავი.
ხალისე (ხასს)	ხელმწიფისა და მისი ოჯახის კუთვნილი მიწები.
ხარაკი	მიწის გადასახადი სასანელთა პერიოდში.
ხოსტაკი	მიწის პირობითი მფლობელობა სასანელთა პერიოდში.
ხუთბე	ხეთიბის მინბარიდან ჯამაათისათვის სათქმელი დამრიგებლური სიტყვები, მიმართვა.
ხუმსი	ისლამის რელიგიაში მდიდარი ადამიანების მიერ თავისი შემოსავლის, მოგების ერთი მეხუთედი ნაწილის ღარიბებისათვის მისაცემი გადასახადი.

გამოყენებული ლიტერატურა

აზერბაიჯანულ ენაზე

1. აზერბაიჯანის ეროვნული ენციკლოპედია. 25 ტომად. ტომი "აზერბაიჯანი". ბაქო, 2007.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკა. ეროვნული ატლასი. ბაქო, 2014.
3. დამწერლობითი წყაროები აზერბაიჯანის უძველესი ისტორიის შესახებ. ბაქო, 2014.
4. აზერბაიჯანის ისტორია. 7 ტომად. ტომი I-III. ბაქო, 1998-1999.
5. წყაროები აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ. ბაქო, 1989.
6. აშურბეილი ს. შირვანშაჰების სახელმწიფო. ბაქო, 2006.
7. ბაქიხანოვი ა. გულუსტან-ირემი. ბაქო, 2010.
8. ბუნიადოვი ზ. აზერბაიჯანის ათაბეგების სახელმწიფო (1136-1225). ბაქო, 1985.
9. ბუნიადოვი ზ. აზერბაიჯანი VII-IX საუკუნეებში. ბაქო, 1989.
10. აბდულრეშიდ ელ-ბაკუვი. ძეგლების არსი და ძლიერ ხელისუფალთა საოცრებები. ბაქო, 1992.
11. ებუ ელი ჰასან იბნ ელი ხაჯე ნიზამულმულქი. სიასათნამე. ბაქო, 2007.
12. ალიევი ქ. ალიევა ფ. აზერბაიჯანი ანტიკურ ხანაში (ჩვ. წ. აღ-მდე IV- ჩვ. წ. აღ-ით III საუკუნეები) ბაქო, 1997.
13. ეფენდიევი ო. ე. აზერბაიჯანის სეფიანთა სახელმწიფო. ბაქო, 1993.
14. ალიევი ფ., ჰასანოვი ი. ირევანის სახანო. ბაქო, 1997.
15. ალიევი ფ., ალიევი მ. ნახჩივანის სახანო. ბაქო, 1996.
16. ალიევი ფ. მ. ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქები XVIII საუკუნის II ნახევარში. ბაქო, 1960.
17. გოუშოვი რ. ბ. აზერბაიჯანის არქეოლოგია. ბაქო, 1986.
18. ჰეროდოტი. ისტორია. ბაქო, 1998.
19. ჰასან ბეი რუმლუ. ეჰსენ ეთ-თევარიხი. ბაქო, 1983.
20. ჰუსეინოვი ე. ი. აზერბაიჯანი ნადირ შაჰ ეფშარის მმართველობის დროს. ბაქო, 2013.
21. იბნ-ელ ესირი. ელ-ქამილ ფი-თ-თარიხ. ბაქო, 1959.
22. ირევანის სახანო. რუსეთის მიერ დაპყრობა და სომხების ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე გადასახლება. ბაქო, 2009.
23. ისქენდერ ბეი მუნში. მსოფლიოს მშვენების აბასის ისტორია. (თარიხი-ალემარაია-აბბასი). ბაქო, 2010.
24. კაშკაი ს. მ. მანის სახელმწიფო. ბაქო, 1993.
25. ყარაბაღნამეები. I-III წიგნები. ბაქო, 2006.
26. კარაევი ე. აზერბაიჯანი XVIII საუკუნის რუსი და დასავლეთ ევროპელი მოგზაურების აღწერებში. ბაქო,2005.
27. უძველესი აზერბაიჯანის ისტორია ლურსმნულ დამწერლობიან წყაროებში. ბაქო, 2006.
28. კიასი ს. ნიზამის დროინდელი არქიტექტურული ძეგლები. ბაქო, 1991.
29. ლოკკარტ ლ. ნადირ შაჰი. ბაქო, 2013.
30. მაჰმუდოვი ი. მ. აზერბაიჯანის დიპლომატია. თეთრბატკნიანებისა და სეფიანთა სახელმწიფოების ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა (XV-XVII ასწლეულები). ბაქო, 1996.
31. მემმედოვი თ. მ. კავკასიის ალბანეთი ადრეულ შუა საუკუნეებში. ბაქო, 2006.
32. მემმედოვა ა. ე. ჭარ-ბელექნის თემი (XVII საუკუნის ბოლო-XIX საუკუნის 30-იანი წლები). ბაქო, 2009.
33. მოისეი კალანკატელი. ალბანეთის ისტორია. მხითარ კოში. ალბანეთის ჟამთააღრიცხვა. ბაქო, 2006.
34. მუსტაფაევა ნ. სამხრეთ აზერბაიჯანის სახანოები. ბაქო, 1995.
35. მუსტაფაზადე თ.თ. ყარაბაღის სახანო. ბაქო, 2009.

36. მუსტაფაზადე თ.თ. კუბის სახანო. ბაქო, 2005.
37. მუსტაფაზადე თ.თ. ოსმალეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობა XVIII ასწლეული-XIX ასწლეულის დასაწყისში. ბაქო, 2002.
38. ნეჯეფლი თ. ჰ. აზერბაიჯანის შავბატკნიანთა და თეთრბატკნიანთა სახელმწიფოები. ბაქო, 2012.
39. ნეჯეფლი თ. ჰ. სეფიან-ოსმალთა ურთიერთობები. ბაქო, 2016.
40. ნიზამედინ შამი. ზეფერ-ნამე. ბაქო, 1992.
41. აზერბაიჯანის ისტორიის შესახებ მასალები შუა საუკუნეების არაბულ წყაროებში. ბაქო, 2005.
42. ოსმანოვი ფ. ლ. კავკასიის ალბანეთის მატერიალური კულტურა (ჩვ. წ. აღ-მდე IV- ჩვ. წ. აღ-ით III საუკუნეები). ბაქო, 1982.
43. ფირიევი ვ. ზ. აზერბაიჯანი XIII-XIV საუკუნეებში. ბაქო, 2003.
44. შაჰ თეჰმასიბის თეზჰირე. ბაქო, 1996.
45. შერიფლი მ. ხ. აზერბაიჯანის ფეოდალური სახელმწიფოები IX საუკუნის II ნახევარსა და X საუკუნეებში. ბაქო, 1978.
46. შუქუროვი ქ. ქ. აზერბაიჯანის მოსახლეობა: შესწავლის ისტორია და წყაროები (უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე). ბაქო, 2004.
47. ვენეციელები შაჰ თეჰმასიბ I-ის სასახლეში. (მიქელე მემბრე და ვინჩენცო ალესანდრი). ბაქო, 2005.
48. ველიხანლი ნ. მ. არაბთა სახალიფატო და აზერბაიჯანი. ბაქო, 1993.

რუსულ ენაზე

49. Алиев И. История Мидии. Баку, 1960.
50. Алиев К. Античная Кавказская Албания. Баку, 1992.
51. Алиев К. Античные источники по истории Азербайджана. Баку, 1987.
52. Ализаде А.А. Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII–XIV веков. Баку, 1956.
53. Ашурбейли С.В. Очерк истории средневекового Баку. Баку, 1964.
54. Бабаев И.А. Города Кавказской Албании в IV в. до н.э. – III в. н.э. Баку, 1990.
55. Гафуров Б.Г. Александр Македонский, М., 2007.
56. Гусейнов М.М. Древний палеолит Азербайджана. Баку, 1983.
57. Дьяконов И.М. История Мидии от древнейших времен до конца IV века до н. э. М.-Л., Изд. АН СССР, 1956.
58. Искендерова М. Бакинское ханство. Баку, 2000.
59. История Древнего Востока. Часть 1. Месопотамия (под ред. И.М.Дьяконова). Москва, 1983.
60. Книга Орудж-бека Байата-Дон Жуана Персидского (Историко-географический трактат). Баку, 1988.
61. Мамедов Т.М. Кавказская Албания в IV–VII вв. Баку, 1993.
62. Николле Д., МакБрайд А. Армии мусульманского Востока. VII–XI века. Москва, 2003.
63. Петрушевский И.П. Азербайджан в XVI–XVII вв. Сборник статей по истории Азербайджана. Выпуск I. Баку, 1949.
64. Путешественники об Азербайджане, том I. Баку, 1961.
65. Халилов Дж.А. Материальная культура Кавказской Албании. Баку, 1985.

ინტერნეტ რესურსები

66. www.history.az
67. www.history.ru
68. http://www.britishmuseum.org/
69. http://hermitagemuseum.org/wps/portal/hermitage/
70. http://collections.vam.ac.uk/

AZƏRBAYCAN TARİXİ 10

Ümumtəhsil məktəblərinin 10-cu sinfi üçün
Azərbaycan tarixi fənni üzrə

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	**Təvəkkül Əliyev** **Pərviz Ağalarov** **Niyaməddin Quliyev** **Elşən Qasımov** **Faiq Babayev** **Elnur Hüseynov** **Kamran Əsədov** **Rafiq Məmmədov**
Tərcümə edən	**Abdurahmanov Çalabi**
Buraxılışa məsul	**Sevil İsmayılova**
Baş redaktor	**Gültəkin Cəfərova**
İxtisas redaktoru	**Nərgiz Qasımzadə**
Üz qabığının dizaynı	**Zaur Abbasov**
Dizayner və səhifələyici	**Eldəniz Xocazadə**
Texniki redaktor	**Fəridə Səmədova**
Texniki direktor	**Xəqani Fərzalıyev**
Nəşriyyat direktoru	**Kəmalə Qarayeva**

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:
2017-102

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 12,5. Formatı 70x100 $^{1}/_{16}$.
Səhifə sayı 200. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

"Şərq-Qərb" ASC
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17.

Pulsuz